

114
1952/2


საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეომეტრია

12

გეომეტრია



1952

მნათობი



ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტველოს საბოთა მწიგნობის კავშირის ორგანიზაცია

წელიწადი ოცდამეცხრე

140205
5119

12



დ ე კ ე მ ბ ე რ ი



19

სახელგამი
თბილისი

52

საპარტველოს
საბოთა მწიგნობის
კავშირის
ორგანიზაცია



ლემსები გორჯმა: — ს. შიხალკოვი — მშობლიერო ქართლის გული: ნ. გრიბა-
ჩევი — გორჯი: იანკა კუპალა — ამ პატარა ტოხში იშვა, თარგმანი ვ. ბაჩია-
ძისა: შიხეილ სანიკიძე — გორჯი ორ ნოემერს

ბიორაბი მღივანი — პეტრე ბაგრატიონი, ისტორიული დრამა 6
სიმონ ჩიმოვანი — მგზავრის დღიურები, ლექსები 78
ადოლფ რუდნიცკი — ცხენი, მოთხრობა, თარგმანი მ. ახალაძისა 104
დ. ნ. მამინ-სიბირიანი — თავისუფალი აღმზიანი იაშვა, მოთხრობა, თარგმანი ელ. გო-
გოლაშვილისა 117
დოც. ს. ინჟირაძე — ეპოქის შემქმნელი ნაწარმოები, წერილი 124
დოც. ბ. ბრეზაძე — ლენინი და სტალინი რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური
პირობების შესახებ, წერილი 137
აკაკი ბაღიანი — შენიშვნები ერთი კრიტიკული სტატიის გამო, წერილი 148

დ. გურბენიძე — ი. გოგებაშვილის თხზულებათა პირველი ტომი,
ბიბლიოგრაფია 156
ფოთა ძიძიგური — ხალხური სიტყვიერების ახალი მასალები,
ბიბლიოგრაფია 158
გ. გურაბანიძე — ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების
ფუძემდებელი, ბიბლიოგრაფია 161
პროფ. ივ. სურბულაძე — საქართველოს ისტორიის მემორიული-
ლი, ბიბლიოგრაფია 164
გ. გოგოლაძე — საყურადღებო ბიბლიოგრაფიული ნაშრომი,
ბიბლიოგრაფია 168
ბრ. ხეთელი — ნარკვევი კომუნის დიად მშენებლობაზე,
ბიბლიოგრაფია 170
ახალი წიგნები გარეანის მე-3 გვერდი

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ნიკოლოზ აბიასვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბანასვილი,
ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიასვილი, ოთარ ჩხეიძე, სიკრი ვილიანი.

ხელმოწერილია დასაბუღად 14/1-53 წ. ნაბუღ ფორმათა რაოდენობა 103 $\frac{3}{4}$.
ში 01220. შეკეთის № 848. ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული შრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის
კომინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

ლექსები გორზე

6. მიხალკოვი

★

მშობლიური პარტიის გულში

მშობლიური ქართლის გულში,
სიყვარულით მკერდში ვიხვევ, —
შენს წაღკოტებს, ვერხვებს, სუროს,
ლაყვარდ ზეცას უსასრულოს,
მტკვარს და ბებერ, გორის ციხეს.

მე მარადი სახლი ვნახე...
ფრთხილად აეყვე დაბალ კიბეს,
დავავიროდი კედლებს, თავხეს
და საოცრად მოვიხიბლე.

რას გავხდები სიტყვამწერი, —
რით წავკვილო სტრიქონს ალი,

რომ დავხატო გასაკვირი
ბავშვის დიდი ნატერფალი.

როგორ მივწვდე ნეტარ ხანას,
ურმის თვლები მიმჭრალ ჭრიალს,
დედის გულში ჩამწვდომ ნანას,
ბავშვის ხმების ნათელ წკრიალს.

ჰო, იქ იყო ყველაფერი:
სასოება განწირულის,
მომავალი სვენათელი,
აღმაფრენა არწიველი.

6. ზრიბაჩევი

გორში

★

კავკასიონზე ნისლის ჩადრია,
გზებზე ბურუსი აღის ბოლებად;
მე გორში მოველ დილაადრიან
ბელადის ყრმობის საამბორებლად.

დაე დარაჯი ნუ აჩქარდება
და მარტოდმარტო მამყოფოს ასე:
ამ სიმშვიდეში მსურს გარინდება,
წყნარი ოცნება დიდ ქართველ ყრმაზე.

აქედან—როგორც მთის მწვერვალიდან—
ძირს რომ ჩაუღის მდინარეები,
მინდა ვიხილო ეს შორი დილა,
წინამორბედი ჩვენი დღეების.

ფუჭი ზღაპრებით როდი გვხიბლავდა,
როდი გვახვევდა სიზმრის ბურანში, —
საშიშ სამსახურს გვთხოვდა ნიადაგ
ამ გამძაფრებულ დროთა ბრუნვაში.

როცა სამშობლოს ყოველი კილით
რკინის მეწყერი აწვიმდა ზავითით,
„ლენინ“, ვამბობდით მაშინ იმედით,
და სიმტკიცეში სტალინს ებაძავდით.

და ახლა თითქოს თვალწინ მეშლება
ჩემი ცხოვრების განვლილი გზები.
ვადარებ მის გზას: — ხომ არ მეშლება
სადმე ნაბიჯი, ხომ არა ვეღები!

ჩემი ხვედრია ათასგზის მცირე —
და მე აქედან თვალნათლივ ვხედავ:
რა დიდ ვალში ვარ ჯერ შენს წინაშე,
ჩემო ქვეყანავ, მშობელო დედავ!

რა სევდიანი ვყოფილვარ ზოგჯერ,
რა უმნიშვნელო ფიქრი მქონია, —
ზომ აღარა ვარ კაბუკი მოყმე,
თავზე ჭალარას დაუთოვია.

და ჰა, ეამთავლის გუგუნი მესმის,
შენს ზღურბლს ვაბიჯებ, კერავ მზიანო,

რომ სული გახდეს უსპეტაკესი
და სულ მართალი გზებზე
გინგლინოთქვა

ვღაგავარ და ვდუმვარ, და თითქოს გულში
დიდი ძერძიანი ზარივით რეკავს...
კავკასიონზე ნისლები ბოლავს,
მთებს წამოუხსნამთ ღრუბლების თეკა.

და მზე უსაზღვრო სივრცეებიდან
ძირს მოფრქვევა სხივთ შადრევენებად,
ეკრავს ჩემს ზევით, გორის ზევით და
მთელ ჩვეს ქვეყანას თავზე ევლება.

ინაქა კუპალა

ამ პატარა მოხში იშვა,



სანუკვარი საქართველო
ბრწყინავს ათასფერად;
მღერის მისი მთა და მდელი
გულის ასაძგერად.

გმირი ხალხის მშობელია
მეომარი ძველი;
ვაეკაცობის მკობელია
მისი რუსთაველი.

ოქროს წვიმა დასწვიმს თავზე, —
ოქრომკერდით ქარგავს.
საქართველოს სილამაზით
არა კუთხე არ ჰგავს.

ელიმებათ მზის სხივებით
გალაღებულ ვაზებს;
იღვიძებენ ტირიფებიც
ნაკადულის ხმაზე.

და ბრიალა ბროწეული
მძიმედ დახუნძლულა...
ჩაის ვარდი გაენტილა
როგორც ბამბის ქულა...

იციო, ადრე აქაც იყო
მწუ რ ს ბინდია ხანა.
ბალახიც კი გამხმარიყო,
ყანას ვერ ეყანა.

დღეს ცხოვრება საამური
ზევით-ზევით ილტვის,
უქმად მცირე ნაკადულის
აღარა ჩქეფს ზვირთიც...

სადაც ქარის ქროლას ორბთა
ფრთის ტყლაშუნი ერთვის, —
ქართლის გულში, გორში კოხტა
სახლი არის ერთი.

ვინც ხუნდები აგვაგლიჯა,
გვითხრა: ტანჯვა კმარა! —
ამ პატარა მოხში იშვა
ჩვენდა გასახარად...

სანუკვარი საქართველო
ბრწყინავს ათასფერად;
მღერის მისი მთა და მდელი
გულის ასაძგერად.

გიხილ სანიკიძე

გორში ორ ნოემბერს



★

ბევრჯერ ვიყავ გორში, მაგრამ
 სულ სხვა იყო ის დღე ტკბილი,
 იმ დღეს ფართო მოედანზე
 ვნახე ჩვენი მზის ღიმილი.
 გასცქეროდა მშობელ ქალაქს,
 გაშალათ ფრთები ვარდებს
 და მტრედები ხალხის ვაშას
 შიათრენდნენ ლაყვარდამდე.
 გორი, დიდი ხნის უნახავ
 შვილის მნახველ დედას ჰგავდა.

გორი, სადაც ხალხის ნატერა
 და სიცოცხლე დაიბადა.
 ირგვლივ ერთყა ცისარტყელა,
 ბრძენის შუქით დაბატული,
 ცის თალიდან იღვრებოდა
 მრავალ ფერის ნაკადული...
 და საყვარელ ადამიანს,
 ვინც გვახარებს გამარჯვებით,
 ჩვენთან ერთად უმღეროდნენ
 მშობლიური ქვეყნის მთები.

პეპრა ბაგრაჟიონი

ისტორიული ღრამა



სოკრედიანის გმირები

კუტუზოვი მიხეილ ილარიონის-ძე.
 ბაგრატიონი პეტრე ივანეს-ძე.
 ხარკლაი დეტოლი მიხეილ ზოგდანის-ძე.
 პლატოვი მათე ივანეს-ძე.
 კუტაისოვი }
 ვრშოლოვი } რუსეთის
 რაევსკი } გენერლები.
 ვორონცოვი }
 კონოვნიცინი }
 სენაროვი }
 კონსტანტინე პავლეს-ძე — რუსეთის მეფისწული.
 ივანე და სიმონ ფანჯულიძეები
 კოხტა }
 ჯაგარინი } ბაგრატიონის
 გრაბოვსკი } აღიუტანტები.
 დავიდოვი ვასილი }
 ლვოვი — ახალგაზრდა პორუნიკი.
 ბაგრატიონი რევაზი — პეტრეს ძმა.
 დავიდოვი დენის — პოდპოლკოვნიკი.
 ჯანგარტი — ბაგრატიონის ექიმი.
 იდრიანოვი — კიბასირთა პოლკის უნტერ-ოფიცერი.
 კონსტანტინოვი — ინტენდანტი.
 კარაუპოვი ივანე ანდრიას-ძე — სმოლენსკის მოქალაქე.
 ანა — მისი ცოლი
 ნიკოლოზ }
 ლიზა } მათი შვილები.
 ნაპოლეონ ბონაპარტი-
 გრაფი ნარბონი.
 მიურატი }
 ნეი }
 დავუ } საფრანგეთის
 ფიუნო } მარშლები.
 ბერტიე }
 მარესკო — ნაპოლეონის აღიუტანტი.
 ნაპოლეონის მდივანი.
 პრუსიის დესპანი.
 ოფიცრები, ჯარისკაცები.
 მოქმედება მიმდინარეობს 1812 წელს ქ. სმოლენსკში და ბოროდინოს ველზე

მოქმედება პირველი

სურათი პირველი



„სმოლენსკი“

ადრინი დღია. სმოლენსკის მოქალაქის ივან კარაცაპოვის შინა. შობანს ორი ოთახი — პირველი მისაღები დარბაზი, მეორე — საწოლი ოთახი. საწოლ ოთახში სუფთად გაწყობილი ლოგინი ცარიელია. შუა ოთახში ტახტზე ნაბადგადაფარებულ კაცს სძინავს, მეორე კაცს ოფიცის მაზარა წაუხრავს და დევანზე სძინავს.

მისაღებ დარბაზში — ტახტზე, ლოგინზე და დევანზე წეხს კიდევ სამი კაცი ორივე ოთახში — სკამებზე და მაგიდებზე დაწყობილია იარაღები: დაშნები, დამბახები და თოფები. დარბაზის შემოსასვლელ კარებში დგას მხარბეჭიანი გუშაგი, კირასირების პოლკის უნტერ-ოფიცერი მისეილ ადრიანოვი.

დარბაზის კუთხეში ფართო ტახტზე აღმოსავლურად მორთბული შეგვრემანი კბეუი ოფიცერი ვაცეცხლებული თვალებით და ხელების მოძრაობით ჰყვება ამბებს. ეს არის ბაგრატიონის ძიძიშვილი და ადიუტანტი კობტა, მას უსმენენ იდაყვზე დაყრდნობილი კარაცაპოვის ჩვილმეტი წლის ქალი, ოქროსთმიანი ლიზა და მისი მამა 14 წლის ნიკოლაი. ჩანს, ეს საუბარი უკვე რამდენიმე საათი გრძელდება, ვინაიდან ნიკოლაი ჩათვლემს ხოლმე და თავს ჩაქინდრავს. ლიზა კი მოჯადოებული უუერებს კობტას.

კობტა — (ლიზას ხარბად მისჩერებია) მდინარე გადავლახეთ. მტერს ზურგიდან მოუუარეთ და უეცრად შევეუტიეთ. შეიქმნა საშინელი ხელჩართული ბრძოლა და ხმლების ჩახაჩუხი. აღამიანთა თავეები მწიფე ვაშლებივით ცვივოდნენ... (გაჩუმდა. დაინახა, რომ ნიკოლაიმ ჩასთვლიმა. ხმა აუწია) ბაგრატიონმა ცხენს დეზი ჰკრა და შემოგვძახა: — აბა, ბიჭებო, არ ჩამომრჩეთო!

(კობტას შეძახილზე დარბაზში ლოგინიდან, ტახტიდან და დევანიდან ბაგრატიონის სამი ადიუტანტი: ვასილ დავიდოვი, გრაბოვსკი და გაგარინი გიჟბივით ზეზე წამოცვიდნენ და დაშნებს ხელი სტაცეს).

დავიდოვი: (ნამძინარე თვალებს ისრესს და კობტას წყენით მიმართავს) რამ გადაგრია, შე მელამურავ?!
კობტა — (ლიზას დავიდოვზე მიუთითა) ვასიამ დაშნა იშისვლა და იქ შეიკრა, სადაც მტრის დიდი გუნდი იბრძოდა.

(ნასიამოვნები დავიდოვი ხელახლა მიწვა).

გაგარინი — (კობტას) რა მოგივიდა, რად არ გძინავს?

კობტა — (გაგარინს ხელი მიაშვირა) უნდა გენახათ, ლიზა გაგარინი რას სჩადიოდა. იგი ქილყავათა გუნდში ჯიქურად შეჭრილ შევარდენს ჰგავდა.

(კმაყოფილი გაგარინი ტახტზე დაჯდა).

გრაბოვსკი — შენ თუ უძილობითა ხარ ავად, ამ აღამიანებს მაინც ნუ აწუხებ!

(ლიზასა და ნიკოლაის ხელი მიაშვირა).

ლიზა — (კობტას შეყვარებული თვალებით მისჩერებია და ჩურჩულით ეუბნება) არაფერია... განაგრძეთ... განაგრძეთ, ბატონო ოფიცერო!

კობტა — ქალბატონო! ეგებ ჩემთან ბაასს კეთილი ძილი გერჩიოთ?

ლიზა — არა... არა, ბატონო ოფიცერო, გემუდარებით, განაგრძოთ.

ნიკოლაი — არა... არა, ჩვენ არ გვეძინება. განაგრძეთ!

ლიზა — თქვენი თავგადასავალი გვიამბეთ.

ნიკოლაი — ბრძოლების ამბები!

კოხტა — (დარცხენილი) მე ჩემ შესახებ რა უნდა ვიამბოთ? (ჩაფიქრდა) გინდათ, შენგრაბენის ამბებს მოგიყვებით, თუ როგორ იბრძოდა ბაგრატიონი ექვსიათასი ჯარისკაცით საფრანგეთის მთელი არმიის წინააღმდეგ.

ლიზა — მოყევით! მოყევით, რაც გინდოდეთ, ოღონდ ილაპარაკეთ. თქვენ მოჯადოებული ენა გქონიათ, თუ თქვენი ხმალიც ეგრე ჭრის, ალბათ... მემომარიც კარგი იქნებით!

კოხტა — რას ბრძანებთ, ქალბატონო, — მე როდესაც თქვენთან ვლაპარაკობ, აზრს ქართულიდან ვთარგმნი (მუშტი შეკრა) ხმალს კი პირდაპირ ვურტყამ, უთარგმნელად.

ნიკოლაი — (აღტაცებული) დიდხანია იცნობთ ბაგრატიონს?

კოხტა — დაბადებიდან. მე ჩვენი თავადის მონათლული და ძიძიშვილი ვარ. ჩემი დედ-მამა ჩემი ბატონის მშობელთა მსლებლები იყვნენ საქართველოდან.

(ყარები გაიღება და დარბაზში შემოდის ივანე კარაივაპოვი, მას თან შეუღლებული ანა — შუახნის ლამაზი დედაცი — შემოჰყვება. ცოლსა და ქმარს საუბრისათვის ფართო ლანგარებზე დალაგებული სერსათი შემოჰკვთ და სუფრასზე დებენ. კოხტა ზეზე წამოხტა).

კარაივაპოვი — (შვილებს, გულმოსული ჩურჩულით) ნუთუ ჯერ კიდევ არ დაგიძინიათ? რას აწუხებთ ამ ადამიანს? თქვენ დღეც მოასწრებთ ძილს, ბატონ ოფიცერს კი ერთი საათის დასვენების საშუალებაც არა აქვს!

ანა — (კოხტას) შვილების თავხედობა ჩვენ გვაპატიეთ, ბატონო ოფიცერო!

კოხტა — როგორ გეკადრებათ.

ანა — (შვილებს) აბა! წადით, დაიძინეთ!

ლიზა — (კოხტას დაღვრემილი თვალები მიაპყრო) ძილი ნებისა, ბატონო ოფიცერო!

კოხტა — ნახვამდის, ჩემო ქალბატონო!

(ლიზა და ნიკოლაი დარბაზიდან გადიან. კოხტა მეორე ოთახში გადის, სადაც ორ კაცს სძინავს. მზარა ფრთხილად დაავლო იატაკზე. უნაგირის ბალიში თავვეშ დაიდო, კარებისაქენ გაიხედა, ამოიოხრა და დაწვა).

ანა — (სუფრას შლის. ათრთოლებული, ჩურჩულით), რა მოგველის!.. ნეტავ სმოლენსკს რა მოეღის, ივან?

კარაივაპოვი — (პურს ჭრის) მე ამაზე არ ვფიქრობ, ანუშკა, ფიქრის შეშინია. შენ იმაზე იფიქრე, რა დიდი სტუმარი გყავს. რამხელა კაცი, — „ომის ღმერთი“, — ბაგრატიონი!

ანა — რა უბრალო ადამიანია. წუხელი რომ სახლში შემოვიდნენ, — აი ის მაღალი და ორდენებიანი რომ არის, მე ის მეგონა თავადი ბაგრატიონი და მას პირველს მივაწოდე სკამი.

კარაივაპოვი — მას სენ-პრის ეძახიან, ბაგრატიონის არმიის შტაბის უფროსი ყოფილა.

ანა — ის კი ყველაზე ბოლოს შემობრძანდა და თავი დაბლად დამიკრა. მე უბრალო ჯარისკაცი მეგონა, მაგრამ მის შემოსვლაზე ყველანი ზეზე

წამოცივდნენ. იმ სენ-პრიმაც და ყველა დამსწრემ თაყვანი სცეს და თვალბში რომ შეეხედე, მაშინ ვიგრძენი, რომ ის იყო თავადი ბაბრატონი.

კარაცაპოვი ოთახიდან გადის. ანა ხატებთან ჩაივლის, შეჩერდება, ხელებს ასწევს და ჩაიბუტბუტებს: ოი, მეუფეო! შენ იხსენი ჩვენი სპოლენსკი განსაცდელის აგან, შენ დაგვიფარე, მაეხოვარო! დარბაზში ფრთხილი ნაბიჯით შემოდის ლიზა.

ლიზა — დედა, მოხმარება ხომ არ გინდა?

ანა — არა... წადი, დაიძინე!

(ლიზას შემოსვლისთანავე მეორე ოთახში კოხტა ფრთხილად ზეზე წამოიჭრა და კარებს ყურით მიეყრდნო).

ლიზა — (დედას ბეჭებზე ხელი მოხვია. ჩურჩულით) დედა! ქრისტიან ქალს თუ შეუძლია მაჰმადიანის მეუღლე გახდეს?

ანა — კადნიერი ლაყობა დმერთმა გაპატიოს შეილო! ვის უნახავს! მართლ-მორწმუნე ქალი ურჯულოს გაჰყვეს?

ლიზა — (აღელვებული) ქართველები ხომ მაჰმადიანებია?

ანა — არა, შეილო! ამბობენ, რომ პირველი ქრისტიანები ეგენი ყოფილან.

ლიზა — (გახარებული) მაშ შეგვგრძემანები რად არიან?

ანა — იმიტომ, რომ მზით არიან დამწვარი, შეილო.

(ანა დარბაზიდან გადის, ლიზამ ოთახისაკენ გაიხედა და დედას უკან გამოედგა. გახარებული კოხტა იატაკზე დავარდა და უნაგირის ბალიშს ხელები მაგრად მოხვია. დარბაზში კარაცაპოვი შემოდის, რომელსაც ფაიფურის ლანგარზე დადებული არუთ სავსე ბოთლი შემოაქვს, გარშემო შემოლაგებული სასმისებით).

კარაცაპოვი — (კარებთან მდგარ ადრიანოვთან შეჩერდა და არაყი დაასხა) დალიე, მეგობარო!

ადრიანოვი — ვერ დავლევე, გუშაგად ვდგავარ!

კარაცაპოვი — დალიე... ცოტა დალიე!

ადრიანოვი — (მძინარეებს გადახედა) ბატონი ოფიცრები დამინახვენ.

კარაცაპოვი — (ჩურჩულით) მათ სძინავთ... დალიე, არა უშავს-რა!

ადრიანოვი — თქვენს ოჯახს გაუმარჯოს!

(გადაქრა არაყი).

კარაცაპოვი — შენ გაგიმარჯოს, მეგობარო!

(სასმისი ჩამართვა, მაგიდას მიუახლოვდა, შემოდის ანა, რომელსაც ლანგარზე შემოლაგებული სასმისებით ფერადი არაყი შემოაქვს, ისიც ადრიანოვთან შეჩერდა და არაყი დაუსხა).

ანა — მიირთვიეთ.

ადრიანოვი — მეტი მომივა, ქალბატონო.

(და ამ სიტყვებთან ერთად მძინარეებს ათვალღერებს).

ანა — თქვენხელა ვაეკაცს რას დააკლებს ერთი ჭიქა არაყი!

ადრიანოვი — (სასმისი აიღო) ანტიქრისტე ბონაპარტეს დამზობის იყოს, ჩემო ქალბატონო.

(არაყი გადაქრა).

ანა — ამინ... ამინ, მეგობარო! (პირჯვარი გადაიწერა, სასმისი ჩამოართვა, მაგიდას მიუახლოვდა) რა გვეშველება, ჩვენც რომ ისე გაქცევა მოგვიხდეს სმოლენსკიდან, როგორც აი იმ ათასობით ლტოლვილებს! მრუხლად თავიანთი სოფლებიდან და ქალაქებიდან?

კარა ცაპოვი — შე ჯერ არაფერზე არ მინდა ვიფიქრო, ანუშკა... შენ მაშინ იღარდე, როდესაც შენმა ქმარმა — ივანე კარა ცაპოვმა ფიქრი დაიწყო.

ანა — ლმერთო, შენ დაგეფთარე! როგორ გგონიათ, სმოლენსკს რა მოელის?

ადრიანოვი — რა მოგახსენოთ. საშინელი იქნება, თუ ჩვენმა სარდლებმა უბრძოლველად დატოვეს. მაშინ...

კარა ცაპოვი — მაშინ ყველა დავიღუპებით. როგორ გგონიათ, ვითომ დატოვებენ? — რას ბრძანებს თქვენი მთავარსარდალი?

ადრიანოვი — თავადი ბაგრატიონი იერიშისა და გამარჯვების გენერალია, მას უკანდახევა არ უყვარს და არცა სჩვევია, მაგრამ მთავარსარდალი გენერალი ბარკლაი დე ტოლი გყავს. ვნახოთ, ის რას გადაწყვეტს. (კარებში ნიკოლაი შემოდის).

ნიკოლაი — (ადრიანოვს) ბაგრატიონი როდის გამოიღვიძებს?

ადრიანოვი — არ ვიცი, ძვირფასო, სულ ორი საათი თუ იქნება, რაც თავადს სძინავს.

კარა ცაპოვი — ოთახიდან გადი, ხალხი არ გააღვიძო!

ნიკოლაი — მამა! სმოლენსკში რომ ბრძოლები დაიწყო, მეც ხომ არმიაში უნდა წავიდე?

ანა — გადი... ოთახიდან გადი, შენ შემოგვევლოს დედაშენი. ბრძოლა ნუ გეჩქარება, შვილო, შენი დროც დადგება.

ადრიანოვი — (იღიმება) ნუ გეშინია, ბიძია, დრო მოვა და შენც მოგიხდება ბრძოლა. რუსეთი დიდი და ეს ყველას ეხარება.

(ანა და კარა ცაპოვი ოთახიდან გადიან).

ნიკოლაი — რამდენი წლის იყავით, ბიძია, თქვენ რომ არმიაში ჩაერიცხეთ?

ადრიანოვი — ცხრამეტისა.

(ამ დროს ოთახის კარები გაიღო და შემოვიდა დონის კახკანის ატამანი გენერალ პლატოვი. ადრიანოვი მხედრულად გაიქიმა).

პლატოვი — (უეცრად ადრიანოვისაკენ შემოტრიალდა ჰაერი განგებ მოყნოსა და თვალი უქნია) პიტნის არაყი... მოასწარი?... უკვე დილიდანვე მოასწარი... აახ, შე წუწუკო!

ადრიანოვი — (დაიბნა) მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ!

პლატოვი — ლმერთო შეგარგოს... ასეთ დანაშაულს მე ყველას ვაპატიებ. სარდალმა გამოიღვიძა?

ადრიანოვი — ჯერ არა, თქვენო აღმატებულებავ!

პლატოვი — (ნიკოლაის) გამარჯვება შენი.

ნიკოლაი — გაგიმარჯოს, ბატონო გენერალო პლატოვ!

პლატოვი — ოჰო! შენ საიდან მიცანი?

ნიკოლაი — გმირების სურათებში მინახავხართ.

პლატოვი — (თავზე ხელი მოუსვა) მეომარი იქნები... უსათუოდ გმირი,



ვაეკაცი იქნები. თვალი მაქვს კარგი.

(პლატოვი მეორე ოთახში გადის).

ნიკოლაი — (აღფროვანებული, აღრიანოვს) რა უბრალო კაცობაა!
 აღრიანოვი — ოქრო კაცია. დონის კაზაკებს მეომრები არ სჯობს, პლატოვი კი კაზაკების დიდება და ატამანია.

(მეორე ოთახში პლატოვის შემოსვლაზე კოხტა ზეზე წამოხტა და გაიქცა).

პლატოვი — სალამი კოხტას!

კოხტა — (ჩურჩულით) სალამი, თქვენო აღმატებულებავ.

(ლოგინზე მწოლარე პოლკოვნიკმა რევაზ ბაგრატიონმა თავი წამოსწია და პლატოვს შეხედა).

პლატოვი — თავად ბაგრატიონს გაუმარჯოს!

რევაზ — (ზეზე წამოდგა) გამარჯვება, მატევი ივანოვიჩს.

(დარბაზის კარები გაიღება და ორი ჰუსარის თანხლებით პოდპოლკოვნიკ დენის დავიდოვს დატყვევებული ფრანგი პოლკოვნიკი შემოჰყავს და პირდაპირ მეორე ოთახში გაყავს. დარბაზში მწოლარე ადიუტანტები, გაგარინი, გრაბოვსკი და ვასილი დავიდოვი ზეზე წამოცვიდნენ).

გრაბოვსკი — (აღრიანოვს) რა მოხდა?

აღრიანოვი — ბატონო ოფიცერო! ჰუსართა პოდპოლკოვნიკმა დენის დავიდოვმა, ხრანცი პოლკოვნიკი ტყვედ მოიყვანა.

გრაბოვსკი

დავიდოვი — (ერთად შესძახებენ) ტყვე?

გაგარინი

(სამჭაროდ მეორე ოთახში გადის).

ნიკოლაი — არ შეიძლება იმ ოთახში მეც შევიდე?

აღრიანოვი — არა, ძმობილო, იქ არ შეიძლება.

ნიკოლაი — მე ბაგრატიონს მინდა შევხედო.

აღრიანოვი — აი... საუზმეზე რომ გამობრძანდება, მაშინ ნახავ. ახლა კი სჯობს აქედან წახვიდე, თორემ, რომ დაგინახონ, გული მოუვათ.

(ნიკოლაი გადის).

დენისი — შეიძლება, ბატონებო?

პლატოვი — მობრძანდით, ბატონო პოდპოლკოვნიკო? (ფრანგი ტყვე პოლკოვნიკი დაინახა. გახარებული). ოჰო! ყოჩაღ, ძმაო დენის!

რევაზი — საიდან წამოიყვანეთ?

დენისი — ლამით, — ჰუსარების რაზმით დნეპრის მარჯვენა მხარეზე დასაზვერავად გადავედი და ფრანგების ავანგარდის მწვერავ რაზმს წაეაწყედი, პოლკოვნიკ პიერ ენტოს მეთაურობით (ტყვეს ხელი მიაშვირა). ხანმოკლე, მაგრამ ცხარე ბრძოლას შემდეგ ასთერამეტი ფრანგი ცხენოსანი აეკეპეთ და ოცდასამი ტყვედ წამოიყვანეთ, მათ შორის ბატონი პოლკოვნიკიც.

პლატოვი — (ტყვეს) დაბრძანდით, ბატონო პოლკოვნიკო. (ტყვე ჯდება გრაბოვსკის.). სთხოვეთ გენერალ სენ-პრის!

(გრაბოვსკი სამჭაროდ გადის).

რ ე ვ ა ზ ი — (ტყვეს) თქვენ მარშალ ნეის ავანგარდიდან იქნებით?

(ტყვე არ უპასუხებს).

პ ლ ა ტ ო ვ ი — (აღრენილი) ბატონო პოლკოვნიკო, უპასუხეთ, ბრძანებებთან!

ტყვე — (მკვახედ მიუგო) მე შეკითხვებზე პასუხს ვაძლევ მხოლოდ ჩემს იმპერატორსა და საფრანგეთის მარშლებს.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ირონიულად) რასა ბრძანებთ?.. აი... აი... აი... მხოლოდ გავიწყდებათ, რომ ტყვედ ბრძანდებით!

ტყვე — დიდი არმიის ოფიცრის ტყვეობა, — ტყვეობა კი არ არის, არამედ იძულებითი სავალალო დასვენებაა მტრის ბანაკში... სანამ ჩემი იმპერატორი ნაპოლეონი მოწინააღმდეგეს არ გააცამტვერებს და ქვეყანას არ დაიპყრობს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მისს უდიდებულესობას დამარცხება არ სჩვევია.

(ტახტზე შწოლარე ნაბაღადაფარებული კაცი უცბად შეტრიალდა. ნაბაღი შუა ოთახში არწივის მოტეხილი ფრთებით გადაადგო და ტყვიასავეთ ზეზე წამოიჭრა. ჩვენს წინ გაიმართა მხარბეჭიანი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, შავი გრუნა თითა და გაციცხლებული მრისხანე თვალებით).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ტყვეს მიაყვირა) უზრდელო! როგორ ბედავ რუს გენერალთან უდიერ ლაუბობას!

ტყვე — (გაფითრებული ზეზე წამოიჭრა, დაბარბაცდა, ისევ ჩაჯდა, ისევ წამოხტა და ენადაბმულივით ჩაილულულდა) ღმერთო ჩემო!.. გენერალი ბაგრატიონი.

ბ ა გ ა რ ა ტ ი ო ნ ი — (ტყვეს) დაბრძანდით! (პლატოვს) სალამი მატვეი ივანოვიჩს. გამარჯვება დენის. (ტყვეს გულმოსული) თქვენ რას ბაქიაობთ, პოლკოვნიკო? პასუხი გაეცით არა მარტო რუს ოფიცრებს, არამედ ყოველ ჯარისკაცს, რომელიც რაიმეს შეგვეკითხებათ.

ტყვე — მესმის, ბატონო გენერალო... მე მჭვია პიერ ეანტო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაგარინს) გაიყვანეთ მუსიე ეანტო! (გაგარინს ჰუსარეზის თანხლებით ტყვე გაჰყავს) როგორა ხარ, მატვეი ივანოვიჩ?

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ამოიოხრა) გახლავართ...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მადლობა ღმერთს, დღეს ფხიზელი ხარ!

პ ლ ა ტ ო ვ ი — (იციინის) თქვენდამი მოცემულ სიტყვას ვასრულებ, ჩემო თავადო! (ჩაახველა). ორი კვირაა, წვეთიც არ დამილევია. გრაფობის ტიტულს მოველი... თქვენი დაპირება...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გუშინწინ სალამოს? — გუშინ დილით?

პ ლ ა ტ ო ვ ი — (აღიმება) ეს ჩემი ბრალი არ არის, იმ ოხერმა დამლუპა...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (იციინის) რომელმა ოხერმა?

პ ლ ა ტ ო ვ ი — აი იმ დღეს მალევეა ბოლოტასთან მარშალ ნეის ავანგარდი რომ გაენადგურე, ვილაც ფრანგ ტყვე ეჭიმს ერთი ჩაის ჰიქა წმინდა სპირტი აღმოაჩნდა, მე უბრალო არაყი მეგონა და ერთბაშად გადავხუხე! (იციინის) მის შემდეგ რამდენჯერაც კი დავლევ წყალს, კუჭში სპირტი არაყად იქცევა და მათრობს, თავადო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (სიცილით) სანამ ის ფრანგული სპირტი თავის ძალას არ დაკარგავს, იმპერატორს არ გავუგზავნი შუამდგომლობას შენი გრაფობის ტიტულის შესახებ.

პლატოვი — მე მგონია, არ ივარგებს, მე ატამანად მოვეყვდე და (კარებში შე-
მოსულ სენ-პარის ღიმილით ხელი მიაშვირა) გენერალი სენ-პარი
გრაფი ბრძანდებოდეს.

ბაგრატიონი — რა ეშმაკად გინდა ეს გრაფობა? — პლატოვი მთელს-
რუსეთში ატამანთა ატამანია, გრაფები კი...

(ხელი ჩაიჭია).

პლატოვი — ოჯახში გამომადგება პიოტრ ივანოვიჩი. ქალიშვილი მყავს გა-
სათხოვარი, იმას დავიპირდი.

ბაგრატიონი — (იციინის) ეშმაკსაც წაუღიხარ. დღესვე გავუგზავნი იმპე-
რატორს შეამდგომლობას.

პლატოვი — (გახარებულმა ბაგრატიონს ხელზე ხელი სტაცა) მართალს
აპბობ?

ბაგრატიონი — სიტყვას გაძღვე. (პლატოვი დარბაზში გაეკარდა. ბაგრა-
ტიონი სენ-პარის) ემანუილ ფრანკევიჩ! პოდპოლკოვნიკმა დენის დავი-
დოვმა კიდევ მოიყვანა ერთი ფრანგი პოლკოვნიკი.

სენ-პარი — დიდად მოხარული ვარ.

(დენისს ხელი ჩამოართვა).

ბაგრატიონი — ტყვეს კარგად გამოჰკითხეთ! მე მგონია, მარშალ ნეის
ავენგარდი სმოლენსკთან სადღაც ახლოს დაძრწის.

სენ-პარი — გასაგებია თავადო!

(სენ-პარი გადის დარბაზში, სადაც პლატოვი სუფრასთან უკვე მესამე ჰიჭ-
არყს ცლის).

პლატოვი — (სენ-პარის) თქვენს სადღეგრძელოს ვსევამ, გრაფ!

სენ-პარი — (სიცილით) ალბათ მომავალ გრაფობას დღესასწაულობთ, ბატო-
ნო გენერალო? ჩემი აზრით, ჯერჯერობით ნაჩქარევია.

პლატოვი — (გაბრაზებული) მე მგონია, თქვენ დარწმუნებული ბრძანდე-
ბით, გრაფ, რომ თქვენი ბრწყინვალე აზრები ატამან პლატოვს არასოდეს
არ აინტერესებს.

სენ-პარი — (გაღიზიანებული, ირონიულად) ნუთუ მე გენერალ პლატოვის
გულს ვერასოდეს ვერ მოვიგებ?

პლატოვი — (დინჯად) ეს თქვენს მომავალზეა დამოკიდებული, გრაფ-
მერწმუნეთ, მე ბავშვობიდან საერთოდ არ მიყვარდა მხოლოდ შტაბში
მომეშავე გენერლები და ოფიცრები.

სენ-პარი — (ირონიულად) მადლობა, ღმერთს, რომ მე გამონაკლისი არ ვყო-
ფილვარ.

(გადის, თან მხლებლები გაჰყვებიან).

პლატოვი — (თვალი გააყოლა) ჰმ! გამონაკლისი.

(დაბალი ღღინით დარბაზიდან გადის).

ბაგრატიონი — (მუნდირი შეიკრა და თმა დაივარცხნა) გმადლობთ,
ძმავ დენის.

დენისი — მოხარული ვარ, გემსახუროთ, თავადო! ნება მიბოძეთ, გეახლოთ?

ბაგრატიონი — ნახვამდის. რაც შეიძლება, ფრთხილად იყავ და ჩქარა
იმოქმედე, არც ერთი წუთით დაზვერვა არ შეწყვიტო და შედეგი ყო-

ველთვის პირადად მე მომახსენე. ღმერთი იყოს შენი შემწე. (ღმწისი გადის, ბაგრატიონი მაგიდაზე დალაგებულ ქალაღღებს ათავალიერებს. წერილი გახსნა, გადაიკითხა) ვინ მოიტანა?

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — გენერალ პასკევიჩის ადიუტანტმა, — თქვენო უგანათლებულესობავ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ინტენდანტი კონსტანტინოვი საღ არის?

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — აქ გახლავთ, თავადო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მილორადოვიჩის პიერ გამოგზავნილი ოფიცერი?

კ ო ხ ტ ა — ისიც აქ გახლავთ, ბატონიშვილო.

რ ე ე ა ზ ი — (რომელმაც იარაღი აისხა). მე მივდივარ, პეტრე!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ძმას) ნახვამღის, ძმაო! (გაგარინს) მომიყვანეთ ინტენდანტი კონსტანტინოვი. (რეეაზი ოთახიდან გადის, მას თან გაგარინი გამოუღდა. ბაგრატიონმა ვასილ დავიდოვს მიმართა) შენ გაფრინდი და საჩქაროდ შემატყობინე. რად აგვიანებს ცნობებს არიერგარდიდან მილორადოვიჩი. შენ კი (მიმართა გრაბოვსკის) გაფრინდი და გადაეცი არმიის ინტენდანტს პოლკოვნიკ სკვორცოვს საჩქაროდ მომაწოდოს სანოვავისა და ფურაეის დამზადების ცნობები.

(ადიუტანტები გარბიან. დარჩენ მარტო ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი და კ ო ხ ტ ა).

კ ო ხ ტ ა — როგორ გგონიათ, ბატონიშვილო, სმოლენსკიც უნდა დავტოვოთ?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (განრისხებული) სმოლენსკიდანაც გენერალური ბრძოლის გარეშე უკან დახვევა რომ მიბრძანონ, — ჩითახო ბარკლაის მეორე ფესსაც მოვტებ.

კ ო ხ ტ ა — (ჩურჩულით) ბატონიშვილო! ეგებ ბარკლავ მართლა მოღალატეა?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გაჩუმდი, კახტა! ბარკლავ პატიოსანი კაცია. იგი მოღალატე არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება, — ეს ჭორები უპკურო მეფისწულის კონსტანტინ პავლოვიჩის მოჩმახულია.

კ ო ხ ტ ა — მაშ ბარკლავ უკან რად იხევს, ბრძოლებს რად არ ლებულობს, ბატონიშვილო?!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ეს უკვე მისი სამხედრო ჭკუის საქმეა.

კ ო ხ ტ ა — გული მტკიცა და ვერ გამიგია, ბატონიშვილო, რატომ თქვენ არ დავნიშნეს მთავარსარღღად?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ალბათ მე ის მაკლია, რასაც თვით ვერ ვგრძნობ, ჩემო კახტა, და ამ ჩემს ნაკლს ვერც შენ ხედავ, ჩემდამი სიყვარულით დაბრმავებული... შენ ჩემთან გაზრდილი ხარ, კახტა, ერთი ძუძუ გვიწოვია და გულახდილად გეტყვი, რომ მეც მტკიცეა გული, მაგრამ, ღმერთს ვფიცავ, არა ჩემი განდიდებისათვის. (ფანჯარას მიადგა. დიდხანს იყურება) ამ ოჯახის პატრონი ან მეტად საქმიანი კაცია, ანღა ქურდი და ცულღღტი.

კ ო ხ ტ ა — (ღღღღღღ) დიდებული... დიდებული ადამიანი, ბატონიშვილო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დაეკვებული) შენ საიღან იცი?

კ ო ხ ტ ა — (დიღბნა) დიღღ... დღღს გავიცანი. კარგი ადამიანი უნდა იყოს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — სატანა რომ ეშმაკობას არიგბდა, ჩემი დიდი ცხვირის გამო ჭაჯი ვეგონე და ასი კაცის ეშმაკობა მომცა. ჩვენს მასპინძელს ღამაზი ჭალიშვილი ეყოღღება.

- კოხტა — (ხმა ძლიერ ამოიღო. ამოიოხრა). შვეთუნახავია, ბატონიშვილო!
- ბაგრატიონი — (იღიმება) ჰმ! შეყვარებაც მოასწარი? (კოხტამ ხელში გაშალა) ეგეც არ მოატყუო, თორემ გახურებულ თავს მოგჩუხავ.
- კოხტა — (დამიდებულნი) არა, ბატონიშვილო! სინიღის ვფიცავ, ცოლად შევირთავ.
- ბაგრატიონი — (გაიცინა) „შევირთავ“... ვინ გამოგატანს მერე?
- კოხტა — ცხადია, თქვენ თუ თანახმა იქნებით.
- ბაგრატიონი — (იციინს) მე ხომ იმ ქალის მამა არა ვარ.
- კოხტა — (გამხნევებული) ოღონდ თქვენ იყავით თანახმა, ბატონიშვილო, და მთელი სმოლენსკი რომ დარაჯად დაღვეს და ომი გამოიძახდოს, ქალს მაინც მოვიტაცებ.
- (დარბაზში შემოდის კარაცაპოვი, რომელსაც საუზმით სავსე ზონა შემოაქვს.)
- ბაგრატიონი — სთხოვე თქვენს მასპინძელს.
- კოხტა — (საჩქაროდ დარბაზში გაეარდა, კარაცაპოვს მივარდა) თქვენ... თქვენ ჩვენი თავადი ვთხოვთ.
- კარაცაპოვი — (გაკვირვებული) თავადი?
- კოხტა — თავადი ბაგრატიონი.
- (კარაცაპოვმა საჩქაროდ შეიწმინდა ხელები და კოხტასთან ერთად ოთახში შემოვიდა.)
- კარაცაპოვი — (ბაგრატიონს პირდაპირ თვალებში მისჩერებია) სალამი და დღეგრძელობა ბატონ გენერალ ბაგრატიონს.
- ბაგრატიონი — (ხელს ართმევს) სალამი მასპინძელს.
- კარაცაპოვი — ამ მწარე დღეების სიმძიმე იმან შემიმსუბუქა, თავადო, რომ ჩემს ქოხში თქვენ ღამე გაათიეთ.
- ბაგრატიონი — მპატიეთ, რომ დაუპატიებელი სტუმარი გახლავართ.
- კარაცაპოვი — როგორ გეკადრებათ! რუსი ხალხის გმირი გენერალი ბაგრატიონი ჩემს ოჯახში სტუმარი კი არა, პირველი მასპინძელია.
- ბაგრატიონი — (თავს უხერხულად გრძნობს) გმადლობთ, დიდი მადლობელი ვარ. (პაუზის შემდეგ) თქვენი გვარი?
- კარაცაპოვი — ივანე ანდრიას-ძე კარაცაპოვი.
- ბაგრატიონი — სმოლენსკელი ბრძანდებით?
- კარაცაპოვი — სმოლენსკის გუბერნიიდან, სოფელ შახოვსკაიას გლეხი. ბავშვობიდან სმოლენსკში ვცხოვრობ. ჯერ დურგლის შეგირდად გახლდით, შემდეგ კი საუკეთესო ოსტატის წოდება მივიღე და სმოლენსკის ყველა ახალი სახლი თითქმის ჩემი ან და ჩემი შეგირდების აშენებულია.
- ბაგრატიონი — მ-შ თქვენ სმოლენსკი სხევებზე უფრო გეყვარებათ.
- კარაცაპოვი — მთელი ქალაქი ჩემი ოჯახი მგონია, ჩემო თავადო.
- ბაგრატიონი — ამეამად რას აკეთებთ, ივანე ანდრევიჩი?
- კარაცაპოვი — ვუცდი, თავადო, ბიღს ვუცდი. (კრემლები მოიწმინდა). ჩემი სამშობლოსა და ჩემი სმოლენსკის ბედს ვუცდი.
- (შემოდის აღიუტანტი გაგარინი, რომელსაც ინტენდანტი კონსტანტინოვი შემოჰყვება, ჩასოიებული შექალაქებული ოფიცერი. ბაგრატიონმა კონსტანტინოვს მრისხანედ გადახედა.)
- კონსტანტინოვი — რით დავიმსახურე, თქვენო უგანათლებულესობავ, ასეთი ყურადღება, რომ გამომიძახეთ.

- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (განრისხებული) ქურდობით, აფიორით, უსინდისობით.
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (უკან იხევს) როგორ გეკადრებათ! *მარტინული*
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კონსტანტინოვს მივარდა, დაშნას ხელი ჩამოჭრა) ქანქასი შიანად ჩამოაგლიჯა და კუთხეში მიაგლო). თქვენ რა უფლება გაქვთ, რუსი ოფიცრის სახელი ატაროთ? (ამ სიტყვებთან ერთად სამხრეები დააგლიჯა, ამოიხვნეშა და უკვე წუნარად მიმართა). ახლა მიპასუხეთ! — გუშინწინ ღამით ბანქოში რამდენი წააგე?
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (დარცხვენით) ასი თუმანი.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ცხენში რამდენი მიეცი?
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — ორასი მანეთი.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — სახლში რამდენი გაგზავნე?
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (პაუზის შემდეგ) ასი თუმანი.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კბილები შეკრა) ვინ მოგცა, შე უნამუსო. ამდენი ფული?
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (ხმას ძლივს იღებს) მდიდარი ქალი ცოლად შევიერთე... მზითვებით...
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — სტყუი... იჭურღე. რუდნიაში ფურაქი გაჰყიდე (ყიდევ უფრო გაცეცხლდა) ზოლო სმოლენსკში გუშინ სუხარის მარაგი. ზვალ კი ალბათ სულს მიჰყიდი ფრანგებს... მე გამყიდი... შემდეგი ათასი მანეთისათვის რუსეთსაც გაჰყიდი. უსინდისო! სამშობლო განსაცდელშია და ასეთ ღროს იმის ნაცვლად, რომ სისხლი დაღვარო, ჯიბეებს ისტელებ და ქურდ-ბაცაცობ!
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (ოფლს იწმენდს) ნება მიბოძეთ, თავადო, რომ ბრძოლის მოწინავე ხაზზე, ხელში იარაღით, სისხლით გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაცეცხლებული) არა... მე პატიოსან რუს ჯარისკაცს არ შევერაცხვეყოფ იმით, რომ მის გვერდით გაუსწორებელი ყომარბაზი დავაყენო. არც იმის საშუალებას მოგცემ, რომ ბრძოლაში ვაეკაცურად დაიღუპო. შენი ბინძური სისხლი მამულს არ ესაჭიროება.
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — დამხვრიტეთ!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — არა. ეს შენთვის ჯილდო იქნება. ახლავე წადი და არმიის ინტენდანტ სკვორცოვს გადაეცი ჩემი ზეპირი ბრძანება: მთელს არმიას გამოაცხადოს, რომ არმიის სარდალმა თავადმა ბაგრატიონმა ინტენდანტ კონსტანტინოვს ქურდობისათვის ხარისხი ჩამოართვა და ჯარისკაცთა ფეხსადგილების ორმოების სათხრელად განაწესა.
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — შემიწყალებ. თქვენო უგანათლებულესობავ, მე აზნაური ვახლავართ.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შეპყვირა) ქურდი აზნაური! წაეთრიე! ბრძანება შეასრულე!
- კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი — (გაიმართა) მესმის, თქვენო უგანათლებულესობავ, (კარებისაკენ მიდის).
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (მიადება) არ იცრუო, ვაებატონო, თორემ ბრძანებას მე პირადად შევამოწმებ. (კონსტანტინოვი დარეტიანებული გადის. ბაგრატიონი კარავაპოვს შემოუბრუნდა) მპატიეთ, მასპინძელო!
- კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — როგორ გეკადრებათ... უსინდისო აღამიანი ყოფილა.

(ოფიცერი სდუმს) მართალია თუ არა, — გენერალმა მილორადოვიჩმა შემატყობინა, — რომ არიერგარდის ხელჩართული ბრძოლების დროს თქვენ თქვენი ნაწილი მიატოვეთ და უკან გაიქცეთ?

ოფიცერი — (დარცხვენილი) მართალია, თქვენო უგანათლებულებსობავ. ბაგრატიონი — იცით, ამისათვის რა მოგელით? (ოფიცერი სდუმს) სამხედრო სასამართლო, მწვანე ქუჩაზე უშარვლოდ გავლა, გაწყველა და საყოველთაო შერაცხენა. რამდენი ხანია, არმიაში ხართ?

ოფიცერი — (ატრემლებული) ერთი თვე, თქვენო უგანათლებულებსობავ.

ბაგრატიონი — განა სასწავლებელში მხოლოდ ის გასწავლეს, უფროსებთან თავი როგორ დაიჭირო, სალაში როგორ მისცე და დაავიწყდათ ესწავლებინათ, ბრძოლაში როგორ იმოქმედო? ეეხ! მე შენს სასწავლებელ გენერლებსა და ოფიცერებს ერთი წლით ბრძოლის ველზე უბრალო ჯარისკაცებად გავამწესებდი და მხოლოდ ამის შემდეგ მიხედებოდნენ ისინი, როგორი ოფიცრის აღზრდაა საჭირო.

ოფიცერი — (დარცხვენილი) დავიბენი, თქვენო უგანათლებულებსობავ. — ხელჩართულ ბრძოლაში პირველად მოეხედი.

ბაგრატიონი — ახლა მითხარი, შენ, რა გიყო? აქ მე სამხედრო სკოლა გავხსნა, თუ ნაპოლეონს ვებრძოლო?

ოფიცერი — შე მრცხენია, თავადო! პატიებას არ ვთხოვლობ, მაგრამ განწყება და მწვანე ქუჩა... (პაუზა) თქვენო უგანათლებულებსობავ, სიკვდილი მიჩვენია!

ბაგრატიონი — კეთილი, მე მილორადოვიჩს ეთხოვ, რომ გაპატიოს. წადი, იბრძოლე, ღმერთი იყოს შენი შემწე, (ოფიცერმა უცერად დაიჩოქა, ბაგრატიონისაიენ ხელები გასწია და ხელზე კოცნა მოუწოდომა. ბაგრატიონმა ხელი დამალა.) ვაჟკაცი კაცი ხელზე რას მკოცნი, მე არც მღვდელი ვარ და არც მოცეკვავე მანდილოსანი. მიწას აკოცე! მოკვდი მამულისათვის, მაგრამ უკან ნაბიჯი არ გადადგა. შენი გვარი?

ოფიცერი — ლეოვი, თქვენო უგანათლებულებსობავ.

ბაგრატიონი — ლეოვი, — აფსუს რა დიდებული გვარი გაგიფუჭებია? კარგი, პორუჩიკო, წადი და ეცადე, შემდეგისათვის შენი გვარი სხვა რიგად მომაგონონ.

ოფიცერი — (თავი პირველად წამოსწია და ანთებული თვალებით ბაგრატიონს შეხედა) შეიძლება გააბლოთ, თქვენო უგანათლებულებსობავ?

ბაგრატიონი — წადი.

(ოფიცერი შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. ამ დროს დარბაზში გენერლები ერთმანეთს და კუტაისოვი შემოდიან.)

ერმოლოვი — (აღრიანოვს) სარდალმა გამოიღვიძა?

აღრიანოვი — დიდი ხანია, თქვენო აღმატებულებავ!

(ერმოლოვი და კუტაისოვი ოთახში შედიან.)

ბაგრატიონი — (აღფრთოვანებული გაეჭანა და შესძახა) ძვირფას მეგობრებს ჩემი სალაში. (გადაეხვია, ჯერ ერმოლოვი გადაკოცნა და შემდეგ კუტაისოვი) როგორ ხართ, ძმებო?

ერმოლოვი — ჩვენ რა გვიჭირს, ჩემო თავადო, შენი ღარდი გვქონდა.

ბაბრატონი — (რალა მთავონდა, წარბები შეკრა) ჩემი დარდი ეტყობა ბარკლავი ჩემზე მინცდამინც არ დარდობდა, ძლივს დაგეწივით, ერთი ეს გამაგებინეთ, სად მირბინართ, რომ სმოლენსკში არ დაგეწივით, მათ მოსკოვამდე მარბენინებდით.

(ამ დროს დარბაზში შემოდიან გენერლები რაევსკი და ვორონცოვი).

რაევსკი — (ბაბრატონის გულმოსული ლაპარაკი გაიგონა და ვორონცოვს ღომილით მიმართა) ეჰ! მთავარსარდალი ალბათ პირველი არმიის გენერლებს გინებით უმასპინძლებდა.

ბაბრატონი — მიპასუხეთ, თუკი მეფე და სამხედრო მინისტრი აპირებდნენ ნაპოლეონისათვის მთელი რუსეთი უბრძოლოდ ჩაებარებინათ, რალა საჭირო იყო ჩემი ავანგარდების ბრძოლების კომედია. (ოთახში შემოდიან რაევსკი და ვორონცოვი. ბაბრატონმა რაევსკის ხელი მიასვირა და განაგრძო) მარშალ დაეუს მთელი კორპუსის წინააღმდეგ იბრძოდა რაევსკი თავისი დივიზიით. გენერლები ვორონცოვი, ვასილჩიკოვი, პასკევიჩი, მილორადოვიჩი, — უბრალო ჯარისკაცებით იბრძოდნენ ხელჩართულ ომში, და რატომ?... იმიტომ, რომ ჩვენი არმიები შეერთებულიყვნენ და ერთად დაგვერტყა ნაპოლეონისათვის. ბარკლავი კი თავისი არმიით გარბის, თითქოს ჩვენი დაწევისა ეშინოდეს.

ერმოლოვი — (რაევსკისა და ვორონცოვს) ნიკოლაი ნიკოლაევიჩ! მიხაილ სემიონოვიჩ! ჩემი თავმდაბალი სალამი.

(ხელს ართმევს მათ და ორივეს ეხვევა).

კუტაისოვი — (რაევსკისა და ვორონცოვს გადაეხვევა) მადლობა ღმერთს, რომ ერთად ვართ, ახლა მინც იგრძნობს ნაპოლეონი ჩვენს ძალას.

რაევსკი — (კუტაისოვს) კარგია, თუ მთავარსარდალიც ამ აზრისაა, ჩემო ალიოშა.

ბაბრატონი — (რაევსკის) რუსეთი დიდია, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ. ბარკლავისა და მის პირველ არმიას გრძელი ფეხები გამობძია.

კუტაისოვი — არმია რა შუაშია, თავადო? პირველ არმიასა და მის გენერლებს ისევე სწყურიათ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, როგორც მეორე არმიასა და მის სარდალს თავად ბაბრატონს. (ოთახში ჩქარი ნაბიჯით შემოდის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინ პავლოვიჩი, რომელიც ძალან ჰგავს პავლე პირველის პორტრეტს. ეს ადამიანი პირველ შეხედვისთანავე არ ტოვებს ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას).

კონსტ. პავლ. — სალამი ბატონ გენერლებს.

გენერლები — (თავაზიანად) — სალამი!

— სალამი კონსტანტინ პავლოვიჩს!

— სალამი თქვენს უმაღლესობას.

კონსტ. პავლ. — ოჰო! ერმოლოვს გაუმარჯოს! (ხელს არ ართმევს. კუტაისოვს ხელი გაუწოდა) გაუმარჯოს კუტაისოვს. (ის საჩქაროდ ჩაცუცქდა და კუტაისოვისა და ერმოლოვის ჩეკმებს ღორნეტით დათვალეობდა დაუწყობ და ირონიულად შეეკითხა) ნეტავ პირველი არმიის გენერლებმა რამდენი წყვილი ჩეკმა გაცვიოთეს ჩვენი სახლვრებიდან სმოლენსკამდე სირბილში?

გოროცოვი — (ირონიულად) არა, ბატონო უფლისწულო, მაგათ ჩექმები არ დაუცვეთიათ, ცხენები დახოცეს კენებით.

კონსტ. პავლ. — (ხითხითებს) ხახა... ხახახა... ცხენები დახოცეს... ხა... ხა... ხა!..

ერმოლოვი — (დინჯად) სასაცილო აქ არაფერია, კონსტანტინ პავლოვიჩი. ბარკლავი მთავარსარდლად თვით იმპერატორმა დანიშნა.

კონსტ. პავლ. — (ერმოლოვს) ალექსეი პეტროვიჩი! იმპერატორიც აღაშინა, და როდესაც ჩემი ძმა შეცდომებს უშვებს, მე მას პირში ვეუბნები.

ერმოლოვი — ამ საქმეში იმდენად ბარკლავი არ არის დამნაშავე, რამდენადაც პრუსიელ გენერალ პფულის უხეირო სამხედრო გეგმა. ჩვენი არმიების ცალკალკე დაქსაქსვამ ნაპოლეონს საშუალება მისცა სმოლენსკამდე თითქმის უბრძოლველად მოსულიყო.

ბაგრატიონი — (ერმოლოვს) ამისენი, ალექსეი, ბარკლავი რას ფიქრობს. მოხდება თუ არა სმოლენსკთან გადამწყვეტი ბრძოლა?

ერმოლოვი — ეს შენზეა დამოკიდებული, თავადო. როგორ შეხვდები და ორივენი ერთად რას გადაწყვეტ.

(ამ დროს დარბაზში გიჟივით შემოიჭრა პლატოვი).

პლატოვი — (ოთახში შევარდა, მუნდირი გაიძრო, ტახტზე მიაგდო და იყვირა) არა... მე რუსი გუნერლის მუნდირი აღარ მინდა ვატარო, სირცხვილია. ჩემი კაზაკები ისე მომჩერებიან, თითქოს მე ვიყო დამნაშავე, რომ ნაპოლეონს ნახევარი რუსეთი უბრძოლველად ჩავებარეთ. ჩვენს ოფიცრებს ქუჩებში ლტოლვილი დედაკაცები დასცინიან და სახეში აფურთხებენ. განა ამ სირცხვილს ბრძოლაში სიკვდილი არა სჯობს?

ბაგრატიონი — (დაწყნარებული. გენერლებს პლატოვზე უჩვენა) მიპასუხეთ, ამის შემდეგ გენერალ პლატოვზე ვინ იტყვის, რომ გიჟია? მართალს ამბობს (პლატოვს) მუნდირი ჩაიციე მატყვი ივანოვიჩი! (თვალი უქნია) უცხო რომ ვინმე შემოვიდეს, მთვრალი ეგონები.

(საჩქაროდ შემოდის სენპრი).

სენპრი — ბატონ გენერლებს გაუმარჯოს! (სათითოდ ყველას ხელს ართმევს. ბაგრატიონს შემოუბრუნდა) პიოტრ ივანოვიჩი! სმოლენსკის მოჭალაქეთა დელეგაცია გეახლათ და გთხოვენ მიღებას.

ბაგრატიონი — ტყვე ფრანგი პოლკოვნიკის ცნობები როგორია?

სენპრი — მისი ცნობებიდან ჩანს, რომ ნაპოლეონის არმიის ძალები უკვე შეერთდნენ და მარშალ ნეის ავანგარდი ხვალ დილით დნებრის მარჯვენა ნაპირს მოადგება. არის უფრო დაწვრილებითი ცნობა, რომ მარშალი ეიუნო ვესტფალელების კორპუსით ცდილობს ჩვენს არმიებს მოსკოვის გზა გადაუჭრას.

ბაგრატიონი — (გენერლებს) დილა მშვიდობისა! თითქოს ამას უცდიდა ბარკლავი. პირველ არმიას რომ ჩემთვის გორკაში მოეცადა, გზას გადაუღობავდით ფრანგებს და შეერთებული ძალებით დეარტყამდით ნაპოლეონს. მისი მთავარი ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსული იყო და ჩემ მიერ მოტყუებული მარშალი დაეუ, სამოცი ათასიანი კორპუსით, სალტანოვიჩის მისადგომებზე უცდიდა ჩვენს შეტევას. (უცბად გაჩუმდა.

ერმოლოვს აღმაცერად გადახედა და დაეკვიანებულნი შეეკითხა) **მაგ**
ბარკლაი სმოლენსკის დაცვასაც არ აპირებს?

ერმოლოვი — (მხრები აიჩინა) რა მოგახსენო, თავადო! **მეცხენული**
 იმისა, რომ მე შტაბის უფროსი ვარ, მისი გეგმები ჩემთვის უკანასკნელ
 წუთამდე საიდუმლოებაა... მე მგონია...

მაგრატიონი — რაო?... რა გგონია, ბატონო გენერალო?

ერმოლოვი — ჩემი დაკვირვებით, მთავარსარდლის გეგმაში არ შედის
 სმოლენსკის დაცვა.

კუტაისოვი — (ზეზე წამოხტა და შეჰყვირა) ეშმაკსაც წაულია. თუნდაც
 უბრალო ჯარისკაცად გამამწყსონ, დამხვრიტონ, მაგრამ მე სმოლენსკი-
 დან ფეხს არ გადავდგამ, სანამ ნაპოლეონს გადამწყვეტ ბრძოლას არ
 მიეცემთ. რად მინდა ეს ორდენები, რად მინდა დაშნა, თუ ჩვენს ქვეყა-
 ნას არაფერში გამოვადგები.

ვორონცოვი — კუტაისოვი მართალია.

რაევსკი — სმოლენსკი რომ უბრძოლველად ჩავაბაროთ, არცერთი რუსი
 ჯარისკაცი თავის გენერლებს აღარ დაუჯერებს, იძულებული გავხდებ-
 ბით, არმია მივატოვოთ და მოღალატეებივით ფრონტიდან გავიპაროთ.

კონსტ. პავლ. — (იყვირა) დალატია... რუსეთს უღალატეს.

პლატოვი — (მაგრატიონს) თავადო! დღეს სმოლენსკში შეგროვილია რუსე-
 თის ყველა სახელგანთქმული გენერალი. მე არ შეეცდები; თუ ვილაპა-
 რაკებ მილორადოვიჩის, ვასილჩიკოვის, პასკევიჩის, კონოვნიცინის, დოხ-
 ტუროვის, ნევეროვსკისა და სხვათა სახელით. დღეს თუ ხვალ ნაპოლეო-
 ნი თავისი მარშლებითა და კორპუსებით სმოლენსკს მოადგება. მისი
 უდიდებულესობა, ჩვენი იმპერატორი შორს არის, რომ მის ბრძნულ
 ბრძანებას ვუცადოთ. თქვენ უნდა აიღოთ ხელში მთავარსარდლობა და
 სმოლენსკი დაიცვათ და ამით რუსეთი იხსნათ სამარცხვინო დაღუპვისა-
 გან.

მაგრატიონი — შენ მთერალი ხარ, ატამანო!

კუტაისოვი — ამასვე მოითხოვენ არა მარტო გენერლები, არამედ რუსე-
 თის ორივე არმია, რომელთა ყოველი ჯარისკაცი ბრძოლას ნატრულობს
 და სიხარულით იომებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

რაევსკი — (მაგრატიონს) პირადი თავმოყვარეობა რუსეთის სიყვარულს
 უნდა შესწიროთ, თავადო, — ასეთია დღეს ჩვენი გენერლების სურვილი.

ერმოლოვი — მეგობრებო! ეს გენერალთა აჯანყებას ჰგავს, — ასე არ
 ივარგებს.

კონსტ. პავლ. — (შეერთა) აჯანყება? — ვის წინააღმდეგ?

რაევსკი — (გაცეცხლებული) ჩვენთვის სულ ერთია, თქვენო უმაღლესო-
 ბავ, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს, დღეს სმოლენსკი უნდა ვიხსნათ.

სენპარი — სასახლე რას იტყვის?

რაევსკი — (სენპარის) ჩვენ ვიბრძვით არა პეტერბურგის სალონებისათვის,
 არამედ სამშობლოსათვის, რუსი ხალხისათვის, მე ამას დაგიმტკიცებთ, —
 ჩემი და ჩემი ორი ვაჟის სისხლით.

ვორონცოვი — (მაგრატიონს) სამშობლო უნდა ვიხსნათ განსაცდელისა-
 გან, თავადო!

კუტაისოვი — (მაგრატიონს) მთავარსარდალო, — გვიბრძანე, — ორივე
 არმია თქვენს ბრძანებებს მოელის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ეს შეუძლებელია, ძმებო!

პ ლ ა ტ ო ვ ი — (გაცხარებული) რად არის შეუძლებელი? მიპასუხეთ, დღეს ვინ ითვლება რუსეთში სუვოროვისა და მოხუცი კუტუზოვის საუკეთესო მოწაფედ?

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — ვინ იბრძოდა რუსეთის იარაღის განსადიდებლად, ოჩაკოვის კედლებთან, იტალიაში, ალპებზე, შენგრაბენთან? ვინ უკუაქცია, და ისიც არა ერთხელ საფრანგეთის სახელგანთქმული მარშლების საუკეთესო კორპუსები?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შეჰყვირა) გთხოვთ, გაჩუმდეთ!

(განერლება დაღუბნენ).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ასე არ ივარგებს, ბატონო გენერლებო!

რ ა ე ვ ს კ ი — მაშ როგორ, ალექსეი პეტროვიჩ — ნახევარი რუსეთი დავტოვეთ და ჩვენს ჯარისკაცს ჯერ თოფის ლულა კვამლით არ გაუმურავს. მე დარწმუნებული ვარ, ბარკლაი სმოლენსკს უომოდ დატოვებს.

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — (შესძახებს) ბარკლაი მოლაღატეა...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გიჟივით შეყვირა) ჩუმად, თქვენო უმაღლესობავ! უდიერ ლაყობას თავი დაანებეთ! (წინ ნაბიჯი წადგა, თავს ძლივს იმაგრებს) უფლისწულო! თქვენ დედაკაცივით ჭორიყანობთ.

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — როგორ მიბედავთ?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ბარკლაი დე ტოლი პატიოსანი კაცია და მე, როგორც თქვენი მთავარსარდალი, განმეორებით გიბრძანებთ, უდიერ ლაყობას თავი დაანებოთ, კონსტანტინ პავლოვიჩ!

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — (გაწიწმტებით) თქვენ გავიწყდებათ, თავადო, რომ მე რუსეთის ტახტის მემკვიდრე ვარ.

(ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გადის).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (კონსტანტინ პავლოვიჩს დარბაზში დაეწია და შეაჩერა) თქვენო უმაღლესობავ! გაქცევა არ ივარგებს. ბაგრატიონს გული მოუვა.

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — ვითომ? (პაუზის შემდეგ) მან მე შეურაცხყოფა მომაყენა.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ცდებით, კონსტანტინ პავლოვიჩ! მას შეურაცხყოფა არ მოუყენებია, — დაღლილი და განერვიულებულია თავადი... თქვენ ხომ იცით, მას როგორ უყვარხართ.

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — დიად, ვუყვარვარ.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — გაბრუნდით და ბოდიში მოუხადეთ!

კ ო ნ ს ტ. პ ა ვ ლ. — (საჩქაროდ შემოტრიალდა, ოთახში დაბრუნდა და მივიდა ბაგრატიონთან, რომელიც ფანჯარაში იყურება. კონსტანტინ პავლოვიჩმა ბაგრატიონს მკლავზე ხელი მოჰკიდა) პიოტრ ივანოვიჩ, ბოდიშს ვიხდი, რომ აგაღლევეთ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კონსტანტინ პავლოვიჩს ბეჭებზე ხელი მოხვია და ფანჯარაში გაახედა) ხედავთ, თქვენო უმაღლესობავ, რა დიდებულია სმოლენსკი? რუსეთის უძველესი ქალაქი, გოდუნოვის გალავნითა და ციხეებით. სმოლენსკი ჩვენი ქვეყნის კარიბჭეა დასაველეთიდან, ქალაქი, რომლის კედლებთან ათასობით გმირები დახოცილან რუსეთის დიდ-

ბისათვის. აქ თუ არა, სად უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა-წყლის ბედი, მისი ღირსება და მისი კარიბჭე. (საჩქაროდ შემოტრიალდა და კოხტას მიმართა) აბა, კოხტა ჩემი დაშნა, ორდენები და ბრკევიანი საბოლოო ტანსაცმელი მომართვი, — მინისტრსა და მთავარსარდალს, ბარკლაი დე ტოლის უნდა ვეახლო.

(მუნდირის ფოლაქებს იხსნის).

ს ე ნ - პ რ ი — სმოლენსკის მოქალაქეთა დელეგაციას რა გადაეცე, თქვენო უგანათლებულესობავ?

ე რ მ ო ლ ო ვ ი — გადაეცით, რომ თავადმა ბაგრატიონმა გადაწყვიტა სმოლენსკის დაცვა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გადაეცით, რომ მთავარსარდალმა ბარკლაი დე ტოლიმ გადაწყვიტა სმოლენსკის დაცვა და გენერალი ბაგრატიონი ამის მოხარულა.

ფ ა რ დ ა

მოკმელება მეორე

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

„ყინვა და ცეცხლი“

ქალაქგარეთ. გორაკზე მთავარსარდალის ბარკლაი დე ტოლის კარავი. ჩამავლი მზე კარავს ანათებს. სცენაზე მოჩანს არა მარტო გორაკი, რომლის ბოლოებზე ქვეშეხება ვანლაგებული, არამედ კარავის შინაგანი ნაწილიც. შორეული ხმური. ჩანს, რომ სმოლენსკში გახურებული ბრძოლებია.

კარავის წინ გენერლები: პ ლ ა ტ ო ვ ი, ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი, კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი. ღერბინდებით სმოლენსკისაკენ იყურებიან.

კარავში სამუშაო მაგიდასთან ზის ე რ მ ო ლ ო ვ ი და რადაცას წერს. მაგიდის წინ ბოლთასა სცემს ბ ა რ კ ლ ა ი დ ე ტ ო ლ ი.

კარავის გარეთ სცენაზე შემოიჭრა აღუღებელი კ უ ტ ა ი ს ო ვ ი.

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (გალიზიანებული) დალაზეროს ღმერთმა, რად არ გვაძლევს ბრძანებას, — ორი დღეა მარტო ორი დღეიზია იბრძვის საფრანგეთის ყველა კორპუსის წინააღმდეგ.

კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი — დობტუროვს საქმე როგორა აქვს?

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — მარშალმა დავუმ მეხუთედ შემოუტია მალახოვის ჭიშკარს, მაგრამ მეორე დღეიზია დაჭრილი ვეფხვივით იბრძოდა და ფრანგთა გეპმებით ხრამები აივსო. უნდა გენახათ, სახელგანთქმული მარშალი როგორ გარბოდა.

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — (სმოლენსკისკენ იყურება) ეხ! ქალაქი კი იწვის... სმოლენსკი... სმოლენსკი...

(გენერლები სმოლენსკისაკენ ღერბინდებით იყურებიან. ბ ა რ კ ლ ა ი მას შემდეგ, რაც კ უ ტ ა ი ს ო ვ ი სცენაზე შემოიჭრა, შუა კარავში დგას და უფრს უგდებს გენერლების საუბარს).

ბ ა რ კ ლ ა ი — (ერმოლოვს) გენერალ კუტაისოვს უკანასკნელი გაფრთხილება მიეცით, — თუკი ის არ მიანებებს თავს პოზიციიდან პოზიციაზე თარეშს,

მე მას პეტერბურგში გავგზავნი. (გულმოსული) მოხეტიალე გენერალი... ვის ვაუფონია, რომ არტილერიის გენერალი უბრალო ჯარისკაცისთვის ხელჩართულ ბრძოლებში ერეოდეს.

ერმოლოვი — მე უკვე გავაფრთხილე, თქვენო აღმატებულებავ! გრაფი კუტაისოვი დღეს შტაბს არ მოსცილება.

ბარკლაი — ბატონო შტაბის უფროსო! მე დღეს ჩემი თვალით დაეინახე, რომ ნიკოლსკის ჰიმკართან გენერალი კუტაისოვი თავისი ლურჯათი ცხენოსან პოლკთან ერთად შეტევაზე გადავიდა და თითქმის ნახევარი საათი ჯამბაზივით ატრიალებდა ხმალსა და ჩეხავდა ფრანგ ჯარისკაცებს.

ერმოლოვი — (წერას განაგრძობს) ერთხელ კიდევ უნდა აპატიოთ ასეთი უდიერობა... ახალგაზრდა...

ბარკლაი — (გულმოსული) ცხვირმოუხოცელი გენერალი.

კუტაისოვი — (გულმოსულმა კარავისაკენ ხელი გაიშვირა) ალბათ სძინავს.

კონოვნიცინი — არა... ერმოლოვს გამოუძახა, ალბათ გენერალური ბრძოლის გეგმას ადგენს.

პლატოვი — (ცას შეხედა) დღევანდელი დღე დასრულდა, ალბათ ხვალისათვის გადაღო გენერალური შეტევა.

ვორონცოვი — ვაითუ მთავარსარდალმა სმოლენსკიც დაგვატოვებინოს.

პლატოვი — ზომ არ შეშლილხარ, მიშა! მაშინ მე ჩემი კაზაკებით მარტო დავრჩები სმოლენსკში და ვიბრძოლებ, სანამ ხმალი არ გამოიკედება.

ბარკლაი — (დაბალი ხმით) ამბობენ, პლატოვი კიდევ ლოთობსო.

ერმოლოვი — დარდით, — თქვენო აღმატებულებავ! პლატოვი ბრძოლისა და გამარჯვების გენერალია... ჩვენ კი მხოლოდ უკან ვიხევთ.

ბარკლაი — (დაბალი ხმით) თქვენ ასე გგონიათ?

ერმოლოვი — დარწმუნებული ვარ.

ბარკლაი — მე კი მგონია, პლატოვი საერთოდ ლოთია და ჭორიკანა.

ერმოლოვი — (წერას განაგრძობს) პლატოვს მე ოცი წელია, ვიცნობ და მისი ჭორიკანობის შესახებ პირველად მესმის, თქვენო აღმატებულებავ! შეიძლება მე დაკვირვება მაკლდეს.

ბარკლაი — შეიძლება.

ერმოლოვი — (გაღიზიანებული, წერას თავი დაანება) ბრძანება მზად არის, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ გემუდარებით, ხელს ნუ მოაწერთ. (ბარკლაი ნელა შემოტრიალდა, დაწერილი გადაათვალიერა და ხელი მოაწერა. ერმოლოვი შინაგან დუღილს ძლივს იკავებს და ენადამბულივით მიმართავს) მე... მეშინია ასეთი ბრძანება გენერლებს მიცე.

ბარკლაი — ბრძანება უკვე ხელმოწერილია.

ერმოლოვი — მაგრამ ამ ბრძანების შეცვლა ჯერ კიდევ შეიძლება.

ბარკლაი — (აუღელვებლად) ბატონო გენერალი! თქვენ მხოლოდ ჩემს ბრძანებას ასრულებთ... თქვენ პასუხს არავინ მოგთხოვთ.

ერმოლოვი — (ხმა ძლივს ამოიღო) მესმის, თქვენო აღმატებულებავ.

(კარებისაკენ მიდის. ამ დროს გარეთ მყოფ გენერლებში ჩიჩქოლი ატყდა).

კუტაისოვი — (გახარებული) თავადი მაგრატიონი.

კონოვნიცინი — აი... ახლა გადაწყდება გენერალური შეტევის საკითხი.

(უცერად ცხენის ფეხთა თქარუნი შეწულა და სცენაზე მაგრატიონი შემოიჭრა გამტყვრილი უბრალო მუნდირითა და ბოზობით. მას უკან კობტა შემოსდევს).



ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (აღფრთოვანებული) სალამი ბატონ გენერლებს.

გ ე ნ ე რ ლ ე ბ ი — სალამი თავადს!
— სალამი პიოტრ ივანოვიჩს!

(ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი კარავისავე გაეჭანა და კარებში მომავალ ერმოლოვს დაეჯახა.)

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — სალამი ალექსეი პეტროვიჩ! (ერმოლოვმა სალამის მიცემაც ვერ მოასწრო, რომ ბაგრატიონი უკვე კარავში შეიჭრა. ბარკლის მივარდა და ხელი ჩამოართვა) თქვენო აღმატებულებავ! გამარჯვება გამარჯვებაზე მოდის. დოხტუროვმა დაეუს მესუთე შემოტევაც მოიგერია. ნევეროვსკის გამარჯვებაზე უკვე გეცოდინებათ, საერთოდ რაევსკისა და მისი კორპუსის სახელი მომავალში სმოლენსკის ყოველ ქვაზე იქნება აღბეჭდილი.

(ბოხოხს იხდის და სკამზე აგდებს).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (აქამდე კარებთან იდგა, პირვეარი გადაიწერა და ჩაილაპარაკა) მაღლობა ღმერთს, რომ აქ მოვიდა, თორემ... (გენერლებს კარავზე ხელით უჩვენა) აქ ახლა ისეთი ცეცხლი დატრიალდება, რომ ეს კარავი კი არა, შეიძლება მთელი ეს გორაკიც გადაიწვას. აქედან წავიდეთ, სანამ ბაგრატიონი კარვ ხასიათზეა.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (გაფითრებული) რა მოხდა?

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (ბრძანება შეეცცა და ჯიბეში ჩაიღო) წამობრძანდით და შეგატყობინებთ.

(ღდის, უკან გენერლები მიჰყვებიან. კარავის გარეთ მხოლოდ ე რ მ ო ლ ო ვ ი დარჩა.)

ბ ა რ კ ლ ა ი — (პაუზის შემდეგ) რაევსკი ჩინებული გენერალია, კარგად შეასრულა დავალება.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რაევსკი ჩინებული კი არა, მეტად ნიჭიერი გენერალია... ნიჭიერი... აუცილებლად ნიჭიერი. ახლა რაღას უცდით?

— ჩემი აზრით, ბრძანება უნდა გასცეთ, რომ დილით ორივე არმიამ შეერთებული ძალით დაარტყას და გათამამებულ ნაპოლეონს სმოლენსკის ქიშკრებთან ფრთები შეეაკვეცოთ.

ბ ა რ კ ლ ა ი — (პაუზის შემდეგ, გაქვავებულმა ხმა ძლივს ამოიღო) საყვარელო თავადო!

(გაზუმდა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (სმენად გადაქცეული) ავად ხომ არ ბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ?

ბ ა რ კ ლ ა ი — (დაბალი ხმით) ნაპოლეონი ძლიერია.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — განა ეს თქვენთვის ახალი ამბავია, მიხეილ ბოგდანოვიჩი?!

ბ ა რ კ ლ ა ი — სმოლენსკთან ნაპოლეონის არმია რიცხოვნობრივად ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენი, ჩემო თავადო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მე თქვენ მაკვირვებთ, მიხეილ ბოგდანოვიჩ! თუ გნებავთ მთავარსარდლობა მხოლოდ მაღალ ღმერთს დაუთმოთ და მისი სასწაულებით მოიგოთ ომი, ეს შემცდარი აზრია. მოგეხსენებათ, რომ ღმერთი ომის საქმეებში არ ერევა.

- ბ ა რ კ ლ ა ი — (რუკაზე თითით უჩვენა) უტყუარი ცნობები მაქვს, რომ მარაშკალი ეიუნო ვესტფალელების კორპუსით მოსკოვის გზის გადაჭრას ცდილობს, რომ ჩვენი არმიები რაკალში მოამწყვდიოს.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ეს ცნობა მეც მივიღე, მიხეილ ბოგდანოვიჩ!
- ბ ა რ კ ლ ა ი — ნაპოლეონს უნდა, რომ მე მას გენერალური ბრძოლა სმოლენსკთან მივცე.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (უკვე მიუხვდა) როგორ? განა თქვენ სმოლენსკთან გენერალურ ბრძოლას არ აპირებთ?
- ბ ა რ კ ლ ა ი — სმოლენსკთან ბრძოლა ჯერჯერობით ძვირად გვიღირს, ჩემო თავადო... რაეცის დევიზია განახვევრდა.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ვიცი.
- ბ ა რ კ ლ ა ი — დობტროვისაღ.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (მოუთმენლად) ესეც ვიცი. აქ ომია, მიხეილ ბოგდანოვიჩ, საქმე დაშნითა და სისხლით წყდება და არა მთავარსარდალთა მიწერ-მოწერით (გაშმაგებული), მოკლედ მითხარით, რა გადაწყვეტით! (ბარკლავი გაქვევებული სღუმს და თვალებით მიწას დასჩერებია. მოთმინებიდან გამოსულმა ბაგრატიონმა შესძახა) ხმას რად არ იღებთ?
- ბ ა რ კ ლ ა ი — (ჩურჩულით) სმოლენსკი უნდა დავტოვოთ!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შელრიალა) რაო? რაო?
- (დამნაზე ხელი გაიკრა და ბარკლავსაცენ ნაიჯი ვადაღა).
- ბ ა რ კ ლ ა ი — (ბაგრატიონს თვალბში შეხვდა) საყვარელო თავადო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაცეცხლებული) ეს შეუძლებელია! უხ! თქვენ... თქვენ... (ენა დაება).
- ბ ა რ კ ლ ა ი — (წყნარად) შემავინეთ, პიოტრ ივანოვიჩ, თუკი ჩემი გინება თქვენ დაგაწყნარებთ.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაშმაგებული ბორგავს) მე ყურებმა მომატყუეს... არა. (ხევწნით) არა, თქვენ არ ბრძანდებით იმის მომხრე, რომ სმოლენსკი მტერს დავუტოვოთ?
- ბ ა რ კ ლ ა ი — მე არასოდეს არ დავტოვებდი სმოლენსკს, მაგრამ მდგომარეობა გვაიძულებს, ჩემო თავადო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დაბარბაცდა) ღმერთო ჩემო. (უცხად ბარკლავის თვალბში შეხვდა) იცით, თუ არა, რომ თქვენ მოლაღატეს გეძახიან?
- ბ ა რ კ ლ ა ი — (წყნარად) ვიცი, ჩემო თავადო! ისიც ვიცი, რომ გენერალი ბაგრატიონი ამ ჭორებს არ ეთანხმება. ვიცი, ვინ შწამებს ცილს, — ტახტის მემკვიდრე, კონსტანტინ პავლოვიჩი, — მაგრამ მე უკვე გავეცი ბრძანება და მისი უმაღლესობა არმიას დატოვებს ხვალ დილით და პეტერბურგში გაემგზავრება.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — თქვენ გგონიათ, რომ კონსტანტინ პავლოვიჩის არმიიდან გაძევება მოსპობს ამ ჭორებს?
- ბ ა რ კ ლ ა ი — ისიც ვიცი, რომ გენერლები ჩემი წინააღმდეგნი არიან. მეც დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი თქვენი ხელქვეითი, ჩემო თავადო... მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩვენი იმპერატორის ბრძანება.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — განა ნუმანიდან დნებარის ნაპირებამდე მხოლოდ მისთვის გამოვიყვანე ომის ქარცეცხლში ჩემი არმია, რომ თქვენთან შევერთებუ-

ლიყავ და სმოლენსკი უბრძოლოდ დაგვეტოვებინა? განა ამას ის არ მერჩია, ბელორუსიის ჭაობებში დაეღუპულიყავ და ჩემი თვალით არ დამენახა გადამწვარი, ცეცხლით გადარუჯული რუსეთი? (ხელი კარგად საკენ გაიშვირა) გადით, გასცდით ამ კარავს, თქვენო აღმატებულებავ და დაინახავთ ათასობით ღტოლვილ მოხუცებსა და ბავშვებთან დედაკაცებს, რომლებიც ჩვენგან მოვლიან შეელას. მათ რაღა გინდათ უპასუხოთ. მთავარსარდალო ბარკლაი დე ტოლი?

ბ ა რ კ ლ ა ი — საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩემო თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ისტორია... ჩვენი სამშობლოს ისტორია სმოლენსკის დაღუპვას არ გვაპატიებს.

ბ ა რ კ ლ ა ი — სამხედრო მეცნიერებაში არ არსებობს ისეთი კანონები, რომელთაც დღეს სმოლენსკის გადარჩენა შეეძლოს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ცდებით, მიხეილ ბოგდანოვიჩ! ყოველ ახალ ბრძოლას თავისი კანონი აქვს... მე თავყვანს ვცემ სამხედრო საქმის თეორეტიკოსებს, მაგრამ მე დღეს თეორია კი არ მაინტერესებს... დღეს სმოლენსკი უნდა დავიცვათ.

ბ ა რ კ ლ ა ი — ვიცი, რომ გამარჯვებების ოსტატს გენერალ ბაგრატიონს ჩემი არ სჯერა, მას ომში თავისი ხერხები აქვს, მაგრამ...

(ხელეზი გაშალა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (განრისხებულად) თქვენ გინდათ გაიმეოროთ ის, რასაც სასახლის ბაიუღშები ამბობენ, თითქოს მხნე და მამაცი ბაგრატიონი ომის ოსტატობის უფიცი იყოს?

ბ ა რ კ ლ ა ი — სრულიადაც არა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ღმერთმა შეგინდოთ, თქვენო აღმატებულებავ. რა გაეწყობა, — თავადი ბაგრატიონი და მისი გიჟი გენერლები სამხედრო თეორიაში უფიცი არან, მათ მხოლოდ შეტევა და გამარჯვება იციან და ვერ შეისწავლეს ჯერჯერობით თვითდამარცხების ხერხები. მაგრამ ომის დასრულების შემდეგ საშუალება გექნებათ ჩემი გენერლებისთვის სპეციალური სამხედრო სკოლა გახსნათ.

(სარებისაკენ გაქანა).

ბ ა რ კ ლ ა ი — ჩემო თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ელვასავით შემოტრიალდა). რა გნებათ?

ბ ა რ კ ლ ა ი — მე მინდა, რომ თქვენც დაეთანხმოთ ჩემს ბრძანებას.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (მიახალა) მადლობა ღმერთს, რომ ჯერჯერობით არ დამიკარგავს მორჩილების უნარი და, როგორც ხედავთ, სიხარულით მივისწრაფვი, რომ თქვენი სურვილის თანახმად ჩემს გენერლებს უკანდახევის ბრძანება მიცეც. (ჩაფიქრდა). მაგრამ საით, თქვენო აღმატებულებავ? რომელ გამაგრებულ ან ამორჩეულ პოზიციაზე ვიხვეთ უკან? ასეთი რომ არა გვაქვს!

ბ ა რ კ ლ ა ი — მოვნახავთ, თავადო. მე უკვე გავგზავნე პოლკოვნიკი ტოლი პოზიციის ამოსარჩევად.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — კარგი სარდალი ჯერ პოზიციას მონახავს, გაამაგრებს და შემდეგ გასცემს უკანდახევის ბრძანებას. ჩვენ კი ალაღებულზე მივდი-

ვართ და მოწინააღმდეგეს საშუალება ექნება გვირტყას, როგორც დაბნეულ ცხვრის ფარას, და მოსკოვამდე მიგვდიოს.

ბ ა რ კ ლ ა ი — მე არ მინდა ჩემს უურებს დავეუჯერო, რომ ზღვანფარდხსკადა არიერგარდის ღმერთი გენერალი ბაგრატიონი პოზიციის უქონლობას შიშობდეს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ეს საყენი თქვენ თქვენს წიწილებს დაუყარეთ, ბატონო გენერალო. მე ამ ასაკიდან დიდხანია გამოვედი.

ბ ა რ კ ლ ა ი — (გაფითრდა) სინდისს ვფიცავ, თავადო, რომ გულწრფელად მოგახსენებთ და იმდენად ბრძოვად ნუ ჩამთვლით, რომ მე ვცდილობდე გენერალ ბაგრატიონს ქუეა ვასწავლო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (რალაც მოაგონდა) რას იტყვით, ბატონო მთავარსარდალო, რომ ნაპოლეონმა თავისი ათას რეაასთორმეტი წლის კამპანია სმოლენსკის ალებით დაასრულოს და მოსკოვზე შემოტევა გაზაფხულამდე გადადოს?

ბ ა რ კ ლ ა ი — (გაფითრდა) ეს შეუძლებელია.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მაშინ ხომ განადგურდა რუსეთი. ხომ მოგვექრა თავი მთელ მსოფლიოში. მაშინ ხომ დაელუბეთ ამდენი ხალხი. რუსეთი, ბატონო გენერალო, რუსეთი დაელუბეთ.

ბ ა რ კ ლ ა ი — (სასოწარკვეთილი) ეს შეუძლებელია. ნაპოლეონი სმოლენსკის ალებით ვერ დაწყენარდება.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რომ დაწყენარდეს? ნუთუ ნაპოლეონის სამხედრო გენია თქვენ საეჭვოდ მიგაჩნიათ და მისი უცაბედი შეცდომით გინდათ ისარგებლოთ? რომ არ შეცდეს? მე თქვენ გეკითხებით, ნაპოლეონი რომ წელს სმოლენსკის ალებით დაწყენარდეს, მაშინ რალას იზამთ? (ამ დროს შორეული აფეთქების ქუხილი მოისმა, ბაგრატიონი კარებისაკენ შეტრიალდა) რა ამბავია?

ბ ა რ კ ლ ა ი — (აღელვებული) ჩემი ბრძანებით დნებრის ხიდი ააფეთქეს. არმია უკან იხევს. სმოლენსკს ეტოვებთ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — თქვენ ჭკუიდან შეშლილხართ!

ბ ა რ კ ლ ა ი — გთხოვთ, ბატონო გენერალო, ჩემი ბრძანება შეასრულოთ!

(ბაგრატიონი კარაიდან ვარეთ გავიდა, მას წინ გენერლები შემოეფთნენ, იგი გენერლებს ვერ ზედავს, გაეცხლებული თვალებით სმოლენსკისაკენ იყურება. მის სახეზე უკვე ხანძრების ალის ანარეკლები თამაშობს).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — სმოლენსკი იწვის... სმოლენსკი... რუსეთი არ გააბტიებს სმოლენსკის დაწვას, ნაპოლეონო! (წაბარბაცდა. გენერლები პლატოვი, კონოვნიკინი და სენ-პარი დაინახა. წელში გაიმართა და ბრძანების კილოთი სენ-პრის მიმართა). ემანუილ ფრანცევიჩი სმოლენსკს ეტოვებთ. გაეცით ჩემი ბრძანება, რომ არმია მოემზადოს.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (შესძახა) რა სასჯელი მომელის, თავადო, რომ თქვენი ბრძანება არ შევასრულო?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაბარებული გაექანა, პლატოვს მივარდა, გადაეხვია და კოცნა დაუწყო). დიდება შენ, ატამანო... დიდება... (უცბათ სახე შეეცვალა და პლატოვს მრისხანედ წასჩურჩულა) ატამანო! ბრძანება შეასრულე, თორემ დაგხვრეტ! (გარბის. გორაკზე შეჩერდა და პლატოვს მიაძახა). ატამანო, შენი კახაკებით დაუყოვნებლივ არიერგარდში გადი. ჩვენს დი-

ვიზიებს თავისუფლად უკანდახვევის საშუალება მიეცი. (გენერლები სცენიდან გარბიან. ბაგრატიონმა სცენის გარეთ გასძახა). თქვენ საით, ოფიცერო კარაცაპოვო?

საით, ოფიცერო
გენერლები

(სცენაზე ივანე კარაცაპოვი შემოიჭრა, თან ატარებულნი ნიკოლაი მისდევს).

კარაცაპოვი — ჩემო თავადო! სმოლენსკში ცოლი და ქალიშვილი დამრჩა, ჩემი ანუშკა და ჩემი ლიზა!

კოხტა — (გაფითრდა, ჩაიხურჩულა) ლიზა...

ნიკოლაი — დედა... დედა... ბატონო... (ტირის) დედა და ლიზა ქალაქში დარჩნენ.

ბაგრატიონი — (დაბნეული) არაფერია... (კარაცაპოვს) რატომ დატოვეთ! ოჯახი ქალაქში, რატომ დატოვეთ?..

კარაცაპოვი — (სცენის გარეთ ხელი გაიშვირა) ხედავთ ამ ხალხს, საცოდავად აწიოკებულს, როგორ გამოიბის ქალაქიდან! ვის ეგონა, რომ გენერალი ბაგრატიონი სმოლენსკს დატოვებდა.

ბაგრატიონი — (დაბარბაცდა) ვაი სირცხვილო!

(სახეზე ბოზობი მიიღვარა, რომ არ იცნო და სცენიდან გაეარდა).

კოხტა — (აღელვებული კარაცაპოვს) არ იდარდოთ... დიახ, არ იდარდოთ. თავადი ეცდება, თქვენი შეუღლე და ქალიშვილი გადაარჩინოს.

(სცენიდან გაიქცა).

კარაცაპოვი — (კოხტას მიიძახებებს) ახლა ჩემთვის ვილას სცალია, ბატონო ოფიცერო.

(სცენიდან გადის, უკან ნიკოლაი მისდევს).

ბარკლაი — (კარაგეში მარტოა, მას ესმის ბაგრატიონის მიერ გაქროლებული ცხენის ფლოქთა თქარუნის). ოო! თავადო ბაგრატიონო. გიყო გენერალი. რომ იცოდე, რა რიგ მიყვარხარ, შენი ღიღებაც ღვიძლ ქმასავით მეზარბება, ვიცი, შენ ცეცხლი ხარ, მე კი ყინვა, მაგრამ გული რუსეთისათვის ორივეს ერთგვარად გვეწვის და მე მგონია, სამშობლოს წინაშე დღეს მე უფრო მართალი ვარ, ვიდრე შენ. (ჩაფიქრდა) ნუთუ მე ვცდები და ისტორია მართლა მოღალატედ მომნათლავს. (ამოიკვნესა) მე და მოღალატე? ნუთუ რუსეთის იარაღის განდიდებას არ შეეწირე მთელი ჩემი სიცოცხლე, აზრი და მკლავის ძალა? განა. რუსეთისათვის არ დიღვარა ჩემი სისხლი ეილაუში?... მე და მოღალატე! ტახტის უსინდისო მემკვიდრე! (კედელს თავი მიაყრდნო და გაშეშებულ სახეზე ცრემლები ჩამოცვივდა. ჩამქრალი თვალები სასოწარკვეთილების ცეცხლით აენთო, წელში გაიმართა და ჩაიხურჩულა) ვაითუ ნაპოლეონი მართლა დაწყნარდეს სმოლენსკის აღებათ. მაშინ რაღა მეშველება... მაშინ ხომ მართლა მოღალატედ ჩამთვალეს (შუბლზე ხელი მოიჭირა, დაბარბაცდა და ამოიხრია). მოღალატე ბარკლაი დე ტოლი. ვაი სირცხვილო!



საქართველოს
წიგნების კავშირი

სურათი მეორე

„იმპერატორი“

სპოლენსკი. კარაცაპოვის ბინა. საღამო ფანჯრები ხანძრის შექით განათებულია. დარბაზში და ოთახში ნივთები უწყსრივოდ ჰყრია. დარბაზში შემლიღვით შემოიჭრა ლიზა.

ლიზა — (სასოწარკვეთილი გაკვივის) დედა!.. დედა, დედა, სადა ხარ? დედა. (მეორე ოთახში გავარდება, დედას დაეძებს და გაკვივის) დედა... დედა! (დარბაზში ორი ფრანგი ჯარისკაცი შემოდის. სცენაზე ტყვიასავით შემოიჭრა კობტა, რომელსაც ხელში შიშველი დაშნა უჭირავს. ფრანგები კობტასაკენ შემოტრიალდნენ).

1. ჯარისკაცი — (მეორეს შეჰყვირა) რუსი!

კობტა — (გაცეცხლებული შესძახა), რუსი... რუსი.

(მეორე ჯარისკაცმა შემობრუნება ვერ მოასწრო, რომ კობტას დაშნით განგვირული იატაკზე დაეცა. პირველი ჯარისკაცი ოთახში გავარდა და შიგნიდან კარები გამოიკეტა.)

ლიზა — (ფრანგი ჯარისკაცი დაინახა, შეჰკივლა) მიშველეთ! მიშველეთ!

კობტა — (ლიზას ხმა გაიგონა) ლიზა! ჩემო ლიზა!

(კარებს ვეფხვივით დაეჯახა და შევლოჯა. ფრანგი ჯარისკაცი იატაკზე დაეცა. კობტამ ჯარისკაცი დაშნით იატაკზე მიამაგრა.)

ლიზა — (ისტერიულად) ბატონო! ბატონო ოფიცერო!

კობტა — (ლიზასაკენ გაექანა) ლიზა! ჩემო სიცოცხლევ!

(მეივარდა, ხელები მოხვია და მკერდზე მიიკრა.)

ლიზა — (აღელვებული და აცრემლებული) თქვენ აქ რა გინდათ, ბატონო ოფიცერო? თავს უშველეთ!.. მოგკლავენ.

კობტა — მე უთქვენოდ თავი რად მინდა, ლიზა. (გადაეხვია, თვალებში ჩახედა) ერთხელ ხომ კიდევ გიხილე, ქალო, აწი კი შენმა მზერამ მომკლას. (გარედან ხმაური მოესმის. კობტა უცბად გამოერყვა) დედა სად არის?

ლიზა — (სასოწარკვეთილი) არ ვიცი. არც დედა ვიცი, სად არის, არც მამა და არც ნიკოლაი.

კობტა — მამა და ნიკოლაი სამშეიდობოს არიან. — დედა სად არის?

ლიზა — არ ვიცი, ბატონო ოფიცერო, არ ვიცი... მიშველეთ...

(დარბაზში ნაპოლეონის აღიუტანტი მარცხო შემოდის ოთხი გვარდიელის თანხლებით.)

მარცხო — (მოკლული ჯარისკაცის გვამი დაინახა) ვინ მოკლა? ჩქარა ბინა განჩრივთ!

კობტა — (აღელვებული ჩურჩულით) ფანჯარა გააღეთ!

(ლიზა ფანჯარას მივარდება და ხმაურით აღებს. კობტა კარებს თვალს არ აცილებს.)

მარცხო — (ოთახიდან ხმაური გაიგონა. ჯარისკაცებს) აბა! ოთახში!

(ჯარისკაცები კარებს მივარდნენ.)

კობტა — (ლიზას) გადახტით... ფანჯარაში გადახტით!

ლიზა — დედა სად არის?

კოხტა — გადახტით-მეთქი.

(ლიზას მივარდა, ხელი მოვლო, ფანჯრის გადაღმა ვადასვა. კოხტა კი ვეღარცა-
ცები მივარდნენ. მან ერთი ჯარისკაცის მოკვლა კიდევ მოასწრო ფეხსაცმელით
დახტა. სცენის გარეთ ატყდა ხმაური და თოფების სროლა).

მარესკო — (ფანჯარას მივარდა და გაათვრებული იძახის) არ გაუშვათ,
არ გაუშვათ.

I გვარდიელი — (მარესკოს) ამ ქალაქში მარტო შეშლილები ცხოვრობენ,
ბატონო ოფიცრო! ამ სახლის კარებთან ვილაც დედაკაცი დაგხვდა და
თავში კეტი დამარტყა. მე იგი მოვკალი.

მარესკო — ამ ქვეყანაში ალბათ მეც კვდიდან შევიშლები, მოკლულები
გათრიეთ, ოთახები მიაღაგეთ.

(დარბაზში შერდღლივით შემოიჭრა ნაპოლეონის მეორე ადიუტანტი).

II ადიუტანტი — იმპერატორი.

მარესკო — (გვარდიელებს) გვამები ფანჯარაში გადაჰყარეთ!

(მოკლულ ფრანგ ჯარისკაცებს ფანჯრიდან აგდებენ. ადიუტანტები და გვარდიელები
ოთახებს ალაგებენ. დარბაზში ჩქარი ნაბიჯით შემოდის მარშალი ბერტიე).

ბერტიე — იმპერატორი!

(დარბაზში შემოდის ნაპოლეონი. ეტყობა, დაღლილია. გაოფლიანებულ მაღალ
შებლზე თმა უწესრიგოდ მიწებებია. ხელში ქული უჭირავს).

ნაპოლეონი — სკვითები... სკვითები... რა საშინელი ხალხია... რა გამბე-
დაობა... ეს დედაკაცი... (კარებისაკენ ხელი გაიშვირა), რომელიც ჯერ
კიდევ კიბეზე აგლია და რომლის გადათრევაც თქვენ ვერ მოასწარით,
შვედარიც კი ლამაზია.

(ოთახში ვადის. დარბაზში შემოდის მარშლები მიურატი, ეიუნო და გრაფი
ნარბონი, რომლებიც ნაპოლეონთან ოთახში შედიან).

მიურატი — ქალაქი სმოლენსკი თქვენს ფეხქვეშ არის, იმპერატორო!

ნაპოლეონი — ბაქიობა და ტრაბახი რა საჭიროა, მარშალო? სმოლენსკის
ხანძრების ცეცხლის ალი დამტრიალებს თავზე... (ამ სიტყვებთან ერთად
დაშნა მოიხსნა, მაგიდაზე დააგდო და მარშლებს შემოუბრუნდა). როგორ
გგონიათ, ჩემო მარშლებო, ათას რეაას თორმეტი წლის კამპანია სმო-
ლენსკით იწყება თუ თავდება? (აღფრთოვანებული მარშლები იმპერა-
ტორს მისჩერებინან. ელიან, თვით იმპერატორი რას იტყვის. ნაპოლეონი
პაუზის შემდეგ). თავდება... (ოთახში გაიარა-გამოიარა), ათას რეაას თორ-
მეტი წლის კამპანია სმოლენსკის აღებით თავდება... სმოლენსკი, მოსკო-
ვის კარიბჭე უკვე ჩემს ხელშია. პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში
ზურგი გავამაგროთ, ევროპიდან ახალი ძალები წამოვიყვანოთ და ათას
რეაას ცამეტი წლის გაზაფხულზე შეეუტვე მოსკოვს და დაეიყრობ.

მიურატი — (ილიმება) ვაი გენერალ ბარკლაის. ბაგრატიონი მას დააღრჩობს.

ნაპოლეონი — (მიურატს) იოახიმ! ჩემთვის რომ ბარკლაის სმოლენსკთან
გენერალური ბრძოლა მოეცა, მე ამით რუსეთის არმიას გავანადგურებდი
და მოსკოვზე შეტევას გაზაფხულისათვის აღარ გადავდებდი.

ეიუნო — რა ბედნიერი იქნებოდა ბარკლაი, რომ მან იცოდეს, ჩვენი იმპე-

რატორი როგორ აქებს... (ნაპოლეონს) როგორც ჩანს, თქვენ იგი ნიჭერ სარდლად მიგაჩნიათ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — არა, კიუნო! ბარკლაიმ სმოლენსკთან გენერალური ბრძოლა არ მომცა არა თავის ნიჭის წყალობით, — იგი შშიშარაა. მართალია, მას გონება სარდლისა აქვს, მაგრამ გული არა აქვს სარდლისა. საერთოდ ბარკლაი უფრო დიდი ადამიანის ჭკვივ მეუღლეს ჰგავს, ვიდრე თვით დიდ ადამიანს. (მარშლებს აღმაცერად გადახედა და მკვახედ მიახალა) თუმცა... ბარკლაი ფრანგი რომ იყო... მარშალი იქნებოდა.

ბ ე რ ტ ი ე — ვუცდი თქვენს ბრძანებებს, ჩემო იმპერატორო!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — გააკარით ქალაქში განცხადებები და შეატყობინეთ მოსახლეობას, რომ თუ ვინმე სურსათ-სანოვავს გადამაღავს, ყოველ ფრანგ ჯარისკაცს ექნება უფლება იგი ადგილზე დახვრიტოს.

ბ ე რ ტ ი ე — მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — საჩქაროდ შემიგროვეთ ცნობები — ქალაქში სურსათისა და ფურაყის რა მარაგი დარჩა.

ბ ე რ ტ ი ე — მესმის, ჩემო იმპერატორო.

(ჩქარი ნაბიჯით გადის).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ბერტიეს თვალი გააყოლა) ბარკლაი ჩემთვის კარგი მარშალი იქნებოდა. იგი ჩემი ბრძანების გარეშე მიხედებოდა, რა არის სიჭირო და რა არა. იგი უკითხავად მომიტანდა ცნობებს სურსათისა და ფურაყის შესახებ. (გაიარ-გამოიარა, დადუმებულ მარშლებს გადახედა) რა ვუყოთ მერე, რომ მას სარდლის გული არა აქვს, ყველა ზომ სუვიროვი და კუტუზოვი არ იქნება რუსეთში.

(შემოდის მარშალი დ ა ვ უ).

დ ა ვ უ — (გალიზიანებული) დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა, მთელი ქალაქი ცეცხლის აღშია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გულმოსული) კუტუზოვი რომ ჩემთან იყოს, ყველაზე საუკეთესო მარშალი იქნებოდა. (დაეუს გადახედა) მარშლები მე ომისათვის მჭირდება და არა ცნობების მოსაწოდებლად... ცნობები ჩემთან აღიუტანტებსა და შიკრიკებს მოაქვთ. (მარშლები უხმოდ მისჩერებიან იმპერატორს. ნაპოლეონი წინ და უკან დადის) რა ბედნიერებაა, რომ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრეს, კუტუზოვი არ უყვარს და იგი დღეს სადღაც მიყრუებულ სოფელში ბალებსა და ქათმებს აშენებს. ალექსანდრეს ქალური ღიმილი აქვს და დედაკაცივით ეჭვიანიცაა. მას თავისი გენერლების სახელისა და დიდების ეშინია და ეხარბება. არც გენერალი ბაგრატიონი უყვარს იმპერატორს. (მარშლებს მრისხანედ გადახედა) ბაგრატიონი რომ ჩემთან იყოს, უდიდესი მარშალი იქნებოდა.

მ ი უ რ ა ტ ი — ამდენი ქება-დიდება მე არასოდეს არ გამოიგონია ჩვენი იმპერატორისაგან.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — არა, მიურატ! არც ერთი ჩემი მარშალი დღეს ქების ღირსი არ არის. დღეს კარგად იბრძოლეს რუსმა გენერლებმა რაევსკიმ, დოხტუროვმა, ნევეროვსკიმ. მე თქვენ გეკითხებით, საფრანგეთის მარშლებო, რა გვეშველებოდა, რომ დღეს რუსეთის ჯარათა მთავარსარდლად ბარკლაი დეტოლი კი არა, ბაგრატიონი ყოფილიყო?

(შემოდის მარშალი ნ ე ი).

- ნ ე ი — ამდენი დაპირილი ჯარისკაცი ჩვენ არასოდეს არა გვეყოლია, იმპერატორო!
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — დაპირლებს მოუარეთ... დაპირლებზე ზრუნვა არაა, არამედ რალურ სიმტკიცეს ნიშნავს.
- ნ ე ი — დაპირილი რუსებიც ბევრია.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — რუსები კი შეაგროვეთ და დახვრიტეთ. ყოველი გამოჯანსაღებული რუსი ზვალ ზურგში ტყეიას დაგვართყამს.
- (ოთახში შემოდის ნაპოლეონის პირადი მსახური. იგი იატაკზე ხალიჩებს აგებს და მაგიდებზე ნესესერებსა და ჩემოდნებს აწყობს. კედელზე ნაპოლეონის პატარა ვაჟის პორტრეტი ჩამოკიდდა. სურათზე ბავშვს ხელში გლობუსი უჭირავს. შემოდის ბერტიე)
- ბ ე რ ტ ი ე — თქვენო უდიდებულესობაე! საწყობებს ცეცხლი უკიდია. სურათ-საწოვავის მარაგი ხუთ დღეს ძლივს გვეყოფა.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — შემდეგ რა ვქნათ, ბერტიე?
- ბ ე რ ტ ი ე — მე გავეცი ბრძანება, რომ სოფლებში რაზმები გაგზავნონ და გლეხობას სურსათი ჩამოართვან.
- დ ა ე უ — (ირონიულად) დღეს სოფლებში მხოლოდ ნახშირის დამზადება შეიძლება.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ბერტიეს) ვაეციო ჩემი ბრძანება, რომ ერთი მშვიერი ჯარისკაცისათვის ორ ინტენდანტს დავხვრეტ.
- ბ ე რ ტ ი ე — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.
- დ ა ე უ — მეშინია, ჩემო იმპერატორო, რომ რუსეთის პირობებში ინტენდანტების ათი კორპუსი რომ გვეყავდეს, ყველას დახვრეტა მოგვიხდება.
- ე ი უ ნ ო — არაფერია. ათიოდე ინტენდანტი რომ დაიხვრიტება, სურსათიც გაჩნდება.
- დ ა ე უ — (ეიუნოს) თქვენი ჰკვიანი აზრები მე ყოველთვის მეხარებოდა. ჰერცოგ! დღეს ჩვენ სურსათ-საწოვავე გვეჭირდება და არა იმპერატორთან მლიქვნელობა.
- ე ი უ ნ ო — (დაეუს) მე მგონია. გენერალი ბაგრატიონი დღეს დასციინის არა ეიუნოს, არამედ მარშალ დაეუს. იგი თავისი ერთი მუჭა არმიით თქვენ ხელიდან დაგისხლტათ და სამშვიდობოს გავიდა.
- დ ა ე უ — ეიუნო! თქვენ ჯერ მოამბნეთ მარშლის კვერთხი, რომელიც ოსტროვნასთან დაპყარგეთ, და შემდეგ...
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გულმოსული) დამე ნებისა, ჩემო მარშლებო! (კარებისაკენ ხელი გაიშვირა) ქათინაურებით ერთიმეორეს ქუჩაში გაუმასპინძლით! (მარშლები უხმოდ გადიან. ნაპოლეონთან მარტო ნარბონი და ბერტიე დარჩნენ. ნაპოლეონმა მიმავალ მარშლებს თვალი გააყოლა). ოოხ! ადამიანები... (ნარბონს შემოუბრუნდა) ომში ვეფხვეები არიან, ცხოვრებაში კორიკანა დედაკაცები. (გაიარ-გამოიარა) დედაკაცები. რა ლამაზი იყო, ნარბონ, ის დედაკაცი. კიბეზე მოკლული რომ ეგდო.

(კარებისაკენ ხელი გაიშვირა).

ნ ა რ ბ ო ნ ი — საერთოდ რუსის ქალები მეტად ლამაზები არიან, ჩემო იმპერატორო.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ჯერ კიდევ თემურ-ლენგი თავის ველურ არმიას რუსეთის დასაპყრობლად იმით იზიდავდა, რომ პირღებოდა სკვითების ოქროს-

თმიან ქალებს, რომლებიც ყვავილოვან მინდვრებში, ისე როგორც სამოთხეში, შიშვლები დადიანო.

ნ ა რ ბ ო ნ ი — მე მგონია, ფრანგ ქალზე უმშვენიერესი ქალმა მსმელთაში არ არის.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — არ ვიცი, შესძლებენ თუ არა ჩვენი მანდილოსნები, ისე როგორც რუსის ქალები, ხელში იარაღი აიღონ და შემოსეულ მტერს ებრძოლონ. (ბერტიეს) მარშალო, უთხარით, ფოსტა მომიტანონ.

ბ ე რ ტ ი ე — უკვე მესამე დღეა, პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმის დესპანი უცდის თქვენთან აღუდნეციას.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — იცადოს, ჩემო ალექსანდრე! მე ფრიდრიხ ვილჰელმისაგან დამხმარე არმიას მოველი და არა დესპანს.

ბ ე რ ტ ი ე — გასაგებია, თქვენო უდიდებულესობაე.

(გაღს).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ეხ! ჩემო ნარბონ. მე არ შემიძლია ჩემი გამარჯვებით დავემაყოფილდე ევროპაში, მაშინ როდესაც რუსეთში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ბავშვი იბადება და უმრავლესობა ვაჟებია.

ნ ა რ ბ ო ნ ი — ვერ გამიგია, რით ხელმძღვანელობს ალექსანდრე პირველი, რომ თქვენთან ზავს არ დებს. ხომ იცის, რომ მისთვის დამარცხება აუცილებელია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ალექსანდრე პირველი იმპერატორად არის დაბადებული, ჩემო ნარბონ. იმპერატორების დინასტიის შთამომავალია. ომში დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ისე დაბრუნდება თავის სატახტო ქალაქში, როგორც უხეირო ნადირობის შემდეგ. მე კი უბრალო ჯარისკაცი ვარ და ჩემს სამშობლოში დამარცხებული ვერ დავბრუნდები. ალექსანდრე პირველი დამარცხდება, — მაინც იმპერატორია, გაიმარჯვებს, — მაინც იმპერატორია, ერთი სიტყვით, მისთვის სულერთია, — ხალხმა და ქვეყანამ იკითხოს. (ზარს რეკავს, შემოდის მდივანი, ყდებში ჩალაგებულ ქალაღებს მაგიდაზე უხმოდ დებს. ნაპოლეონი მაგიდასთან ჯდება, ქალაღებს შლის, უხმოდ კითხულობს. მდივანს) დაწერეთ ბრძანება, ახლავე შეუდგნენ საფრანგეთის იმპერიის ათას რეაას ცამეტი წლის წვევამდელთა ვადამდე მობილიზაციას.

მ დ ი ვ ა ნ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.

(რეულში ინიშნავს).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ქალაღს კითხულობს. გულმოსულმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა) გაიძვერა... ვერაგი. (მდივანს) მისწერეთ ფუშეს, პარიზის ყველა გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორები გაათავისუფლოს.

მ დ ი ვ ა ნ ი — მესმის, თქვენო აღმატებულეობაე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (მდივანს) ნუ ჩქარობთ! მისწერეთ, რომ ზოგი მათგანი ციხეში ჩახვას და ზოგსაც სიკვდილი მიუსაჯოს.

მ დ ი ვ ა ნ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მე მათ ეუწევენებ, რას ნიშნავს აზრისა და სიტყვის თავისუფლება. ჩემს გარეშე იმპერიაში არ არსებობს არც აზრი და არც სიტყვა. — ამას მე არ ვფარავ და არც არავისი პრეტენზია. (შემდეგ ქალაღს კითხულობს. მდივანს) ხვალ დილით პარიზის კომედის თეატრის რეპერტუარი მიჩვენეთ.



მ დ ი ვ ა ნ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (შემდეგ ქალაღს კითხულობს. თავი გააქნია) ექვთიშვილი
ბაცაცა. (ნარბონს ქალაღღზე უჩვენა) კიღეე ახალი სიღნაღმი ჰქმნის! შექმნა
ხებ, რომ ტაღერიანი ნაწიღ-ნაწიღ გაყიღეღს მიპირეღს.

მ დ ი ვ ა ნ ი — მასზე კიღეე არის ერთი საიღუმლო ბარათი, თქვენო უდიღებუ-
ღესობაე.

(წერიღი გაუწოღა).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ფუშესაღან იქნეღა.

მ დ ი ვ ა ნ ი — დიღღ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (თავი გააქნია) ფუშე და ტაღერიანი. ერთი შეწეღი და მე-
ორე მოხრეღეე. (უხმოღ კითხულობს) სანამ ამას ჩემი პოღიღიღის მინისტრი
იქვე პარიღში გაიღებღა, მანამ მე ეს უკვე რუსეთში ვიღყოღი. არაფერიღ,
ყუღზე დავაღღეღები ტაღერიანს და მის კღიღენტებს. ფღიღი და გამყიღვეღ-
საღარეღ საქმეღა მინისტრი მე მისთეღს მქიღრღეღა, რომ ჩემღა მოწინააღ-
მღეღეღებღა ჩემი ნამღღეღიღი აზრები არასოღეს არ იღყოღენ. (შემდეგ ქა-
ღაღღს გაშღის, კითხულობს) ცუღღღღღღღღ... ჩემი სიღამრიღ — აეს-
ტრიღის იმპერატორიღ ცუღღღღღღღღ. მას გონიღა, ნათესაობა იხსნის გან-
საღღღღღღღღ.

(წერიღი დხიღა და ვაღყარა).

ნ ა რ ბ ო ნ ი — ნუთუ ისიღ თქვენს მოწინააღმღეღეღთა ბანეღყღიღა?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ის მე მაშინ მღაღატობღა, ნარბონ, როღესაღ ქაღიშეღღს
ყოღღღ მატანღა.

მ დ ი ვ ა ნ ი — დეღოფღღის წერიღღებღა, თქვენო უდიღებუღღესობაე!

(მაღიღაზე წერიღღები დაღღაღა).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — აღბათ გუღმოსუღღიღა, რომ არა ეწერი?

მ დ ი ვ ა ნ ი — დიღღ, თქვენო უდიღებუღღესობაე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ნარბონს) მაკიღრღეღს დეღეღეღეღის ქეღუღა, დიღიღღან საღა-
მომღე მთეღი საფრანღეთის გაზეთები ყოვეღ ჩემს ნაბიღჯზე გაყეღირიღან,
რა ხასიათზე ვარ, როღღის დავახვეღღე, როღღის მეძინა და როღღის გამო-
ვიღვიძე. მისთეღს კი ეს ყვეღაფერი ცოტაღა. (მღიღანს) მისწერიღთ დეღო-
ფღღს, რომ მისი მეუღღღე, მისი უდიღებუღღესობა იმპერატორი ნაპო-
ღეღონი ჯანსაღად ბრძანღებღა. მიაწერიღთ, რამღღენიღ გენებოთ, ტკბიღღი
სიტყეღები ჩემი მისღამი სიყვარუღღის შესახებ. (ქაღაღღეღღის თვაღღიღრე-
ღას განაღღრღობს. მღიღანს). შემიღღღინეღთ პროექტი გღეღეღებზე და ვაქრებზე
სამხეღღრო ვაღღასახაღღეღღის ვაღღიღეღღის შესახებ, ხეღს მოვაწერი, — მე კი
არა... — სენატის პრეზიღღენტი ლასეღეღი.

მ დ ი ვ ა ნ ი — მესმის, თქვენო უდიღებუღღესობაე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (წამოღღა. შეღღღის პორტრეტს მისჩერიღბიღა. გღობუღსს ხე-
ღღით შეეღხო). ეგვიტე... სირიღა... ირანი... ირანი... (მღიღანს მიმაროთ).
მომიხმეღთ პრუსიღის მეფის დღესანი. (მღიღანი ვაღღის. ნაპოღეღონი გღობუღსს
მისჩერიღბიღ) ეხ! ნარბონ, დეღამიწიღა არა მარტო გღობუღსზეღა პატარა. კი-
ღეე საში წეღღი და მთეღღი ამ სათამაშოს ბატონ-პატრონი ვავხღებღი.

(გღობუღსს ხეღღი დაღღარა).

- ნ ა რ ბ ო ნ ი — დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს გეგმებს ვერაფრითაა ძალა ვერ აღუდგება წინ.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გლობუსზე თითი დაადო) ალექსანდრე მაკედონელი რომ მიადწია განგესამდე და სპარსეთში დაბრუნდა თავისი არმიით გამარჯვებული.
- ნ ა რ ბ ო ნ ი — ჩვენც მივალწევთ განგესამდე, ჩემო იმპერატორო!
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მოსკოვის აღების შემდეგ რუსეთის მეფე არ შემირიგდება და დაილუბება სასახლის ჩვეულებრივი შეთქმულებით. განა ამის შემდეგ ჩემთვის არ იქნება ღია გზა აღმოსავლეთისაკენ?
- ნ ა რ ბ ო ნ ი — პარიზის ვაქრებმა უკვე დააეღლეს ჩვენს ჯარისკაცებს, რომ მათ ირანიდან და ინდოეთიდან აბრეშუმები და ხალიჩები ვაღუფავდნენ. თქვენი გამარჯვებანი უფრო მეტია, ჩემო იმპერატორო, ვიდრე მაკედონელისა, ჰანიბალს და კეისრის ყველა გამარჯვება.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მაკედონელი, ჰანიბალე, კეისარი... ეს სახელები მე ბავშვობიდანვე მაწუხებდა, ნარბონ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, როგორც კი განგეს ფრანგული დაშნა მიწვდება, ინგლისი, — ეს ოქროს ტომრებით აკოლიკებული შენობა, — ბავშვის სათამაშო ხელუღასავით დაინგრევა. ინდოეთი, ნარბონ! ინდოეთი... აღმოსავლეთი, აი სად შეიძლება დიდი საქმეების გაკეთება. ვერომა ჩემთვის უკვე პატარაა. (მაგიდასთან შეჩერდა, წერილი აიღო და ნარბონს უჩვენა). აი დიდებული ამბები, კონსულ ნერსისაგან მოწერილი. ჩემი სამხედრო ემისრები უკვე წერთნიან ეგვიპტის, სირიისა და ირანის ჯარებს. ეგვიპტეს არაფერს არ ვპირდები, გარდა კეთილი მოპყრობისა, სირიას — ხელშეუხლებლობას. ირანს, რადგან ამ ველურ ქვეყანას აღმოსავლეთში დღემდე კიდევ ძლიერი სახელმწიფოს სახელი აქვს, შევპირდი ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.
- ნ ა რ ბ ო ნ ი — და ამ დაპირებას თქვენ მათ შეუსრულებთ?
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ხელისუფალთა ხელშეკრულებანი და წერილობითი დაპირებანი, ჩემო ნარბონ, ეს ის უბრალო ქალაქის ნაკუწია, რომელიც ყურგახვრეტელ კაპიკადაც არა ღირს.
- ნ ა რ ბ ო ნ ი — (ილიმება) მაშ რად ცდილობენ ისინი თქვენგან ეს დაპირებები მიიღონ?
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ეშინიათ, ნარბონ, ეშინიათ ყოვლისშემძლე იმპერატორისა. განა შიშით არ ცახცახებენ ჩემ გარშემო ქეციანი ლეკებივითა და კატის კნუტებივით მთელი ევროპის იმპერატორები და მეფეები? განა შიშით არ გამობობოდა ბარკლაი სმოლენსკამდე? მართალია, ზოგიერთებს არ ეშინიათ, მაგრამ მე მათ შიშობებით დავამარცხებ. (ჩაფიქრდა) მაშასადამე, სმოლენსკში სურსათ-სანოვავის მხოლოდ ხუთი დღის მარაგია?
- ნ ა რ ბ ო ნ ი — ასე თქვა მარშალმა ბერტიემ.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — რადგან ბერტიე ასეთ ცნობებს იძლევა, ხუთის კი არა, ორი დღის მარაგი ყოფილა.
- (შემოდის მღვიანი)
- მ დ ი ვ ა ნ ი — პრუსიის მეფის დესპანი, თქვენო უდიდებულესობაე.
- (ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ფანჯარასთან მიდის. შემოდის პ რ უ ს ი ი ს დ ე ს პ ა ნ ი).
- დ ე ს პ ა ნ ი — (თავი დახარა) სალაში თქვენო უდიდებულესობაე!



ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (დესპანისაკენ ზურგით დგას. ხმას არ იღებს. ბოლოს უცბად შემოტრიალდა, სალამზე არ უბასუხა და შეყვირა) ფრთხილად შევედით ჰელმის მიერ დაპირებული არმია სად არის?

დ ე ს პ ა ნ ი — თქვენო უდიდებულესობავ! — მისმა უდიდებულესობამ ფრიდრიხ ვილჰელმმა...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (შეაწყვეტია) მოკლედ, დესპანო! მე ბრძოლის ველზე ვარ, სალაყბოდ არა შცაღია. სად არის დაპირებული არმია?

დ ე ს პ ა ნ ი — თქვენო უდიდებულესობავ!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ყვირილით შეაწყვეტინა) მე მოხეტიალე დესპანები კი არ მჭირდება, არმია მინდა. ეგებ თქვენი მყრალი მეფე იმას ფიქრობს, რომ ნაპოლეონი რუსეთში დაიღუპება? (დესპანს მიეარდა, ცხვირთან მუჭი მოუღირა) უუხ! პრუსიელებო. უსინდისო და საზიზღარი ერი... უსინდისო მეფე... უსინდისო არმია. სახელმწიფო, რომელიც მუდამ ყველას ატყუებდა და რომლის არსებობა საქირო არაა.

დ ე ს პ ა ნ ი — (აღელვებული) თქვენო უდიდებულესობავ!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (დესპანს) აქედან გაეთრიეთ და თვალით აღარ დამენახოთ.

დ ე ს პ ა ნ ი — მამატიეთ, იმპერატორო!

(თავდახრილი ოთახიდან გადის, თან მდივანი გაყვება.)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (არაჩვეულებრივად და უეცრად დაწყნარდა და ნარბონს ღიმილით მიმართა) მე ბევრი რამ შევისწავლე ჩვენი დიდი ტრაგიკოსის ტალმასაგან, თუმცა მანაც ბევრი შეიძინა ჩემგან და მის მიერ შესრულებული როლები კლასიკურ ტრაგედიაში ამ ბოლო დროს უფრო ზორც-შესხმულია. განა ტრაგედიის ცოტა გმირები უნახავს მას ჩემს სასახლეში? — მეფეები, რომლებმაც თავის სამეფოები დაკარგეს, გამოჩენილი გენერლები, რომლებიც ცდილობენ ვინმეს მიერ უკვე დაკარგული სახელმწიფოს გვირგვინი მიიღონ. ჩემს გარშემო ტალმა მუდამ ცხადად ხედავს მოტყუებულ პატივმოყვარეობას, ცხარე მოქიშვებობას, სულის კატასტროფებს, — ამაზე უკეთესი მასალა ტრაგიკოსისათვის ვის უნახავს? განა მე თვით ახლანდელ ეპოქის ყველაზე ტრაგიკული სახე არა ვარ? (ნარბონს თვალი უქნია) თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცი, ნარბონ, ჩემი ტრაგედიის უკანასკნელი აქტი რითი დასრულდება.

ნ ა რ ბ ო ნ ი — ტალმა ნიჭიერი მსახიობია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (შეჩერდა) იგი იმპერატორობას შესძლებდა, ნარბონ, მაგრამ ჩემს ნამდვილ როლში იგი თავის სათამაშო როლს არასოდეს არ გასცვლის... სახიფათოა.

(შემოდის ბ ე რ ტ ი ე.)

ბ ე რ ტ ი ე — თქვენო უდიდებულესობავ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ბერტიეს თვალეში შეხედა) თქვენ რაღაც გაღელვებთ, მარშალო!

ბ ე რ ტ ი ე — (გაუბედავად) თქვენო უდიდებულესობავ! სმოლენსკის მოქალაქეებმა მაინც მოახერხეს დარჩენილი სასურსათო საწყობების გადაწვა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — კიდევ რით გამახარებ, ბერტიე?

ბ ე რ ტ ი ე — კორპუსებიდან ცნობები მივიღე, რომ ცხენების უმრავლესობა ფურაიის უქონლობის გამო ეცემა და წყდება.

- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — კიდეც, მარშალო?
- ბ ე რ ტ ი ე — ასევესი პოლკის ასეულს, რომელიც მოთავსებულია დნებრის აფეთქებულ ხიდთან, მოსახლეობისაგან სურსათი აუღიფიდა. კოფხმეცი ჯარისკაცი სასიკვდილოდ მოწამლულა.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გალიზიანებული) დაწყველილი ქვეყანა. კიდეც რით გამახარებ, მარშალო?
- ბ ე რ ტ ი ე — პეტერბურგიდან ჩვენი მშვერავების ცნობები მივიღეთ, რომ ალექსანდრე პირველსა და მის სამხედრო კომიტეტს გენერალი ბარკლაი დე ტოლი მთავარსარდლობიდან გადაუყენებიათ.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (დაასწრო) მის მაგიერ ბაგრატიონი დაუნიშნავთ, არა?
- ბ ე რ ტ ი ე — არა თქვენო უდიდებულესობაე, გენერალი კუტუზოვი.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — კუტუზოვი? უფრო უარესი. (თავი გააქნია) უუხ! ეს ცბიერი მელა... (ჩაფიქრდა) კუტუზოვი. მაშასადამე, რუსები ზავის დადებას არ აპირებენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მიცხადებენ? (პაუზის შემდეგ ბერტიეს) გამოუძახეთ მარშლებს.
- ბ ე რ ტ ი ე — მესმის, ჩემო იმპერატორო.
- (ჩქარა გადის).
- (ნაპოლეონი მაგიდაზე გაშლილ რუკას მივარდა, ათვლიერებს. ოთახში შემოდის მიურატი, ნეი, დავუ, ჟიუნო და ბერტიე. ნაპოლეონი მათ არ უყურებს, რუკას დასჩერებია). იოახიმ!
- მ ი უ რ ა ტ ი — გისმენთ, ჩემო იმპერატორო!
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (მარშლებს შეხედა) რუსეთის სარდლობაში ცვლილება მოხდა. მოწინააღმდეგე ეცდება ინიციატივა დაიბრუნოს. (მიურატს) თქვენ იოახიმ, ახლავე, ღამის სიბნელეშივე. დასმართ თქვენი კავალერიის ყველა კორპუსი და ფეხდაფეხ მისდით ბაგრატიონისა და ბარკლაის არმიებს. საშველი არ მისცეთ, სანამ გადამწყვეტი ბრძოლა თავზე არ მოახვიოთ.
- მ ი უ რ ა ტ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მარშლები ნეი და დავუ თავისი კორპუსებით კვალდაკვალ გაჰყვებიან მარშალ მიურატის კავალერიის კორპუსებს.
- ნ ე ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მარშალი ჟიუნო ვესტფალელების კორპუსით ნეისა და დავუს კორპუსების მარცხენა ფრთას გაჰყვება.
- ჟ ი უ ნ ო — მესმის, თქვენო უდიდებულესობაე.
- ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მტერს გაქცევის საშუალება არ მისცეთ. ათას რეაას თორმეტი წლის კომანია მხოლოდ იწყება, ჩემო მარშლებო, და იგი დამთავრდება მოსკოვის კრემლში. (დაშნა ჩამოიკიდა) აბა! თქვენებურად, ჩემო არწივებო! ელვისებურად შეუტით!



მომხდება მსაგმი

სურათი პირველი

აუტუზოვი.

კუტუზოვის ბინა ბოროდინოსთან სოფელ ტატარინოვოში. რუსული ქობი. დიდი მაგიდის გარშემო სხედან გენერლები: ბატონი, ბარკლაი, ერმოლოვი, რაევსკი, ვორონოვი, პლატოვი, კუტაისოვი, სენ-პარი, კონოვნიცინი. მაგიდის თავში ზის, ცალთვალა კალარა, უბრალოდ ჩაცმული ჩახუტებული გენერალი: — ეს კუტუზოვია. კარებთან დგას გეშაგი გრენადერი.

კუტუზოვი — (ჯარისკაცის თუნუქის სასმისიდან ჩაის სევამს და ლაპარაკს განაგრძობს). მაშ ასე, ბატონო გენერლებო! ამით დავასრულოთ ჩვენი პირველი შეხვედრა. (გენერლებს გახედა) თუმცა მე აქ ისეთს ვერავის ვხედავ, რომელსაც ჩემს მიერ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიეღოს. პირველი შეხვედრა ბოროდინოს ბრძოლის წინ. ღმერთმა ინებოს, ჩემო შვილებო, რომ ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ, ასევე უკლებლივ ერთიმეორეს შევხვდეთ.

რაევსკი — ღმერთმა ინებოს თქვენი დღეგრძელობა, მიხაილ ილარიონოვიჩ.

კუტუზოვი — დაიმახსოვრეთ, შვილებო, რომ ჩვენს დედა რუსეთს, თათართა და მონღოლთა ურდოების შემოსევის შემდეგ, არასოდეს ასეთი მწარე დღეები არ განუცდია, და ხვალ წყდება ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოაგონეთ თქვენს ოფიცერებსა და ჯარისკაცებს, რომ ჩვენს ზურგს უკან დედა მოსკოვია და რუსეთის მიწა და სინდისი ბოროდინოში უნდა დავიცვათ.

ერმოლოვი — ბატონო მთავარსარდალო! ჯარისკაცები ბრძოლას დღესასწაულივით ნატრობენ.

კუტუზოვი — გაუმეორეთ მათ ჩემი დაპირება, რომ ხვალ ბოროდინოში არც ერთი ჯარისკაცი უსაქმოდ არ დარჩება და საშუალება ექნება სამშობლოსათვის სისხლი დაღვაროს. მართალია ნაპოლეონი მეტად ძლიერი მტერია, მაგრამ რუს ჯარისკაცს მტრის სიუხვითა და ძლიერებით ვერ შეაშინებ.

სენ-პარი — (რუკას დასჩერებია) მარჯვენა ფრთა თითქმის სრულიად მოუდგომელია მტრისათვის, მიხაილ ილარიონოვიჩ, — მაგრამ რაც შეეხება მარცხენა ფრთას, სემიონოვსკის ფლეშებს, მეტად ცუდი პოზიციაა.

კუტუზოვი — სმოლენსკიდან მოეაჩქამდე ბოროდინოს გარდა მე ვერ ვნახე ისეთი ადგილი, რომელიც პოზიციად გამოდგებოდა. (სენ-პარის) ბოროდინო კარგი პოზიციაა, გრაფ! (რუკას დახედა და ხელით უჩვენებს) აქ ჩვენ ვიწრო ყელში შევკარით მოსკოვისაკენ მიმავალი ორი გზა: პირველი, — ძველი სმოლენსკის გზა, მეორეც, — ახალი სმოლენსკის გზა. ნაპოლეონი ხვალ იძულებული იქნება მთელი თავისი უზარმაზარი ჯარით იბრძოლოს ჩვენს წინააღმდეგ ამ ვიწრო ყელზე. მართალია სემიონოვსკის ფლეშები შედარებით ცუდი პოზიციაა, მაგრამ ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია არა მარტო პოზიციაზე, არამედ არმიაზე და სარდალზე, რომელიც ამ პოზიციას იცავს. ხვალ სემიონოვსკის ფლეშები თქვენ

მთავარსარდლის თავად ბაგრატიონის ხელში მიუვალ ციხე-სიმაგრედ
გადაიქცევა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს ვ ა ლ ხ ე ლ ა :

ე რ ო ნ ე ს უ ლ ი
გ ი მ ლ ი ო მ ე ნ ა ს

- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ვეცდები, მიხაილ ილარიონოვიჩ!
- ს ე ნ — პ რ ი — ტყვე ოფიცრების ცნობებით ნაპოლეონს ხვალ ჩვენს წინააღმდეგ
შეიდასი ქვემეხი გამოაქვს. ამბობენ ყუმბარების კვამლით მზე დაიჩრდი-
ლებოა.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — არაფერია, გრაფ! რუსები ჩრდილში უფრო კარგად იბრძვიან.
(წამოდგა) ღამე ნებისა, ჩემო შვილებო! მოემზადეთ ბრძოლისა და გა-
მარჯვებისათვის. ბატონი მთავარსარდლები ჩემთან სათათბიროდ დარ-
ჩებიან.
- გ ე ნ ე რ ლ ე ბ ი — მშვიდობით, მიხაილ ილარიონოვიჩ.
მშვიდობით ბრძანდებოდეთ.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — გამარჯვებას ვისურვებთ, შვილებო! (გენერლები გადიან,
დარჩნენ ბაგრატიონი და ბარკლაი, კუტუზოვი გენერლებს კარებამდე
მიყვია, კარები მოხურა და ჭაღარა გრენადერის წინ გაჩერდა, რომელიც
გამოთლილ ქვის ფიგურასავით უძრავად დგას. კუტუზოვმა გრენადერს
მედლებით საესე მკერდზე ხელი დაადო) მოხუცებულხარ, ჩემო ვედოკიმ!
- ჯ ა რ ის კ ა ც ი — ეფიმი, თქვენო უგანათლებულესობავ!
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — სულ ერთია, ჩემო ეფიმ, — ერთი სიტყვით. ჩემო ძველო
მებრძოლო მეგობარო! რად არ გაეწერებით ჯარიდან?
- ჯ ა რ ის კ ა ც ი — ჩეულებაა, ჩემო თავადო. როგორც გლეხი კაცი უსახნი-
სოდ ვერ გაძლებს, ისე მე ვეღარ ვძლებ ჩემი თოფ-იარაღის გარეშე.
ლაშქრობაში მოვხუციდი. ალბათ ლაშქრობაშივე დავლევ სულს.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ვიცი... ვიცი, ძმაო! ჩვენი დიდი რუსეთი იმით არის დიდე-
ბული, რომ მის რომელიმე ნაწილში უსათუოდ ბრძოლაა და ჯარისკაცს
საგმირო საქმეებიც ბევრი აქვს. ღმერთი იყოს შენი შემწე, ჩემო ეფიმ!
ახლა გარეთ გადი, და კარებთან დადექ. არც შენ უგდო ყური ჩვენს საუ-
ბარს და არც არავის მისცე უფლება ყური დაგვიგდოს.
- ჯ ა რ ის კ ა ც ი — მესმის, მიხაილ ილარიონოვიჩ.
(გადის)
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ოთახში გაიარ-გამოიარა, ბუტბუტებს) მაშ ხვალ... ხვალ...
სარდლისათვის ბრძოლის წინა ღამე ათჯერ უფრო ძნელია, ვიდრე თვით
ბრძოლის დღე. (მაგიდაზე გაშლილ რუკას მიუახლოვდა. თავზე დაადგნენ
ბაგრატიონი და ბარკლაი. კუტუზოვმა რუკას ხელი დაადო). მთავარი ძა-
ლები რეზერვში უნდა ვიყოლიოთ მოსკოვის ახალ გზაზე, რომ თამამად
შეგვეძლოს კონტრშეტევაზე გადასვლა.
- ბ ა რ კ ლ ა ი — (რუკაზე უჩვენა) ნაპოლეონმა რომ სემიონოვსკის ფლევების
აღება შესძლოს, ფრონტი გაარღვიოს და მთელი ჩვენი არმია ალყაში
მოხედეს, — მაშინ რაღა ვქნათ, მიხაილ ილარიონოვიჩ?
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ამ შემთხვევაში ჩვენი არიერგარდი კონტრშეტევებს გა-
ნაგრძობს და მთავარი ძალები კი მოყაისკამდე უკან დაიხევის, სადაც მოს-
კოვისაკენ მიმავალი ყველა გზა ერთდება.

- კუტუზოვი — (მაგრატიონს) მართალი ბრძანდებით, თავადო, სწორედ ასეთია ჩემი გეგმა. ამით შევეუკრავთ მოწინააღმდეგეს ვზას მოსკოვისაკენ.
- ბარკლაი — ნაპოლეონმა რომ უარყოს სემიონოვსკზე შემოტევა, რა უნდა ვუთხროთ ფელ უტიციდან თავი დაგვიაროს?
- კუტუზოვი — (კარებისაკენ გაიხედა, თითქოს ეშინია არავინ გაიგონოს, რუკაზე თითოთ უჩვენა და ჩურჩულით უპასუხა) უტიცასთან ტყეში მე ამდამდე მალულად ჩავსაფრებ გენერალ ტუჩკოვის კორპუსსა და სახალხო ლაშქრების მოსკოვის ნაწილებს. თუ კი ნაპოლეონმა თქვენს მიერ ხსენებული მანევრი აირჩია, იგი საშინლად დამარცხდება.
- ბარკლაი — შეშინია, მიხაილ ილარიონოვიჩ, რომ კორპუსის მოძრაობა თუნდაც ღამით მოწინააღმდეგისათვის საიდუმლოებად არ დარჩება.
- კუტუზოვი — ვიცი, რომ ჩვენს შტაბებში ბონაპარტეს ბევრი ჯაშუში ჰყავს, მაგრამ ტუჩკოვის კორპუსის მანევრი, ჩვენ სამს გარდა არავის ეცოდინება, — ამის უზრუნველყოფა ჩემს კისერზე იყოს. (ხელები გაშალა) რა გაეწყობა, ომია. ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია. (ბარკლაის) მიხაილ ბოგდანოვიჩ! ცხადია, ნაპოლეონი პირველ შეტევას ბოროდინოზე მოიტანს და შეიძლება ხვალინდელი ბრძოლის ქარცეცხლი მხოლოდ თქვენ გადაგხდეთ. ამისათვის რა არის საჭირო, თქვენც კარგად იცით. მე თქვენ გაძლეეთ თავისუფალი მოქმედების საშუალებას.
- ბარკლაი — მესმის, თავადო!
- კუტუზოვი — გთხოვთ იმოქმედოთ გეგმის მიხედვით და რაც შეეხება ძალთა გადაჯგუფებას, — ეს თქვენი პირადი საქმეა და მეც თქვენს ნიჭსა და გამოცდილებას ვენდობი.
- ბარკლაი — მესმის, თავადო!
- კუტუზოვი — ნაპოლეონს ჯერჯერობით შეუძლია იტრაბახოს მხოლოდ დაპყრობილი ტერიტორიით, მაგრამ რაც შეეხება რუსეთის არმიის დამარცხებას, მას ჯერ ამის შესახებ ტრაბახის საშუალება არა აქვს და, მე მგონია, არც მიეცემა ამის საბაბს, ბატონო მთავარსარდლებო.
- ბარკლაი — (ჩურჩულით) მართალია.
(მაგრატიონს გადახედა).
- კუტუზოვი — დარწმუნებული ვარ, მიხაილ ბოგდანოვიჩ, რომ ამ თქვენს ღვაწლს ისტორია შესაფერისად დააფასებს! (ბარკლაიმ თავი ჩაღუნა. კუტუზოვი ბარკლაის წინ შეჩერდა) ცხადია, ჩემი დანიშნით თქვენი თავმოყვარეობა შელახულია, მაგრამ...
- ბარკლაი — მიხაილ ილარიონოვიჩ! მაშინ, როდესაც სამშობლოს ბედი წყდება, საკუთარ თავმოყვარეობაზე ფიქრი შეცოდებაა ლეთისა და ქვეყნის წინაშე.
(თავი ჩაღუნა).
- კუტუზოვი — მეც ამ აზრისა ვარ, ჩემო შვილო. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მიხაილ ბოგდანოვიჩ!
- ბარკლაი — ნება მიბოძეთ, გეახლოთ?
- კუტუზოვი — (პირუჯუარი გადაიწერა) გამარჯვებას გისურვებთ! (ბარკლაი კარებამდე მიაცილა და მისი გასვლის შემდეგ დიდხანს კარებთან დგას,

თითქოს მიმავალ ბარკლაის ფეხის ხმას ყურს უგდებს; ბოლოს მაგრატიონისაყენ შემოტრიალდა და თვალეზში შეხედა). თავადო პეტრე!
 (ხელეზი მისკენ გაიშვირა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გაეჭანა) მიხაილ ილარიონოვიჩ!

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (მაგრატიონს ხელეზი მოხვია და მკერდზე მიიჭრა. ჩურჩულებს) რა საშინელებაა, როდესაც პატიოსანი, მაგრამ უიღბლო და ადამიანის შებღალული თავმოყვარეობა ყალბი ღიმილითა და პირმოთნეობით უნდა შეამსუბუქო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მისი უდიდებულესობის, ჩვენი იმპერატორის შეცდომა იმაშია, რომ თავიდანვე თქვენ არ ბრძანდებოდით მთავარსარდლად.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ეეს, ძვირფასო თავადო! მე და შენ ალექსანდრე პირველის გულს ვერასოდეს ვერ მოვიგებთ, მისთვის ჩვენი გამარჯვებანი აუცილებელია, მაგრამ მას ეშინია ჩვენი დიდებისა და სახელის და ამიტომ უნიჭო ბენინგსენი, სხვადასხვა ქვეყნების იმპერატორთა სასახლეებში მოხეტიალე გენერალი პფული, ბრძანებების შემსრულებელი და ფრთხილი ბარკლაი დე ტოლი, — აი ვინ არიან იმპერატორის საქმები გენერლები. (ხელეზი გაშალა) გაჭირვების დროს — მაგრატიონი და კუტუზოვი. მაგრამ არაფერია, ჩემო თავადო, დიდი რუსეთი, ჩვენი ხალხი, ჩვენს თავდადებას არ დაივიწყებს. განა პაეღე პირველს სუეოროვის დიდებისა და სახელის სიკვილივით არ ეშინოდა? — მის შემკვიდრესაც მამამისის ხასიათი აქვს. (გაიარ-გამოიარა, ხელეზი გაშალა და ალღელებული ლაპარაკობს) დღეს მე რაღა ძალა ვინმარო... სმოლენსკი, — მოსკოვის კარიბჭე და გასაღები, — ბარკლაიმ უკვე მტერს ჩააბარა. მე ღია კარებში უნდა ვიბრძოლო. ღია კარებში... (ხმას აუწვია) ჩემს გენერლებსა და ჯარისკაცებს ხალისიანი სახე უნდა ვუჩვენო, და ვინ გამოიგებს. რა ცეცხლი ტრიალებს ამ მოხუც გულში.

(მკერდზე მუშტი დაირტყა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მიხაილ ილარიონოვიჩ, მე აღარაფრის თქმა არ შემიძლია.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ვიცი. თავადო, შენი გულისწვა მე ისე გამეგება, როგორც არავის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ჩვენს არმიას ფრანგებისათვის მამინ უნდა დაერთყა (რუკაზე ხელით უჩვენებს), როდესაც პორეჩიეში და ველიეში მოწინააღმდეგე თითქმის სრულიად არ ჩანდა, სურაეში მხოლოდ მარშალი ბოგარნე იყო, მარშალი დავუ თავისი კორპუსით ჯერ კიდევ მხოლოდ ორშას უახლოვდებოდა, რუდნამდე მარტო მიურატის კავალერიამ მოაღწია და ნაპოლეონი თავისი გვარდით ჯერ კიდევ ვიტებსკში იჯდა. მიპასუხეთ, მიხაილ ილარიონოვიჩ, განა ამაზე მარჯვე მომენტი ბრძოლისათვის შეიძლებოდა? ბარკლაიმ ვერ გამოიყენა ეს დიდებული შესაძლებლობა და ნაპოლეონის შეცდომა. ჩვენ შეგვეძლო ფრანგთა დაქსაქსული არმია უეცარი დარტყმით გაგვენადგურებინა.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — მართალი ხარ, შეილო, მართალი, ჩემო პეტრე, მაგრამ რა გაწყობა, დამნაშავეს ვინ მოსთხოვს პასუხს, ვინაიდან თვით მეფეა ამ შეცდომების მონაწილე. (ჩაფიქრდა. თავი გააქანია) განა რუს ხალხზე წყნარი და შშრომელი ხალხი ქვეყანაზე არსებობს? რუს კაცს თავისი

კერა და თავისი სამშობლო უყვარს. მაგრამ როდესაც ვააბრაზებენ (კბილები შეკრა, მუშტი მოიღერა და ხმამალა წამოიძახა) გალიიდან გამოვარდნილი ვეფხევივით იბრძვის და არაეის არაფერს დაუტომბს. ღმერთმა იცოდეს, რომ ჩვენი მამულის ბედი ხვალინდელ დღეზეა დამოკიდებული, ხვალინდელი ბრძოლის ბედი კი შენ უნდა მოგანდო, ჩემო პეტრე!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გმადლობთ, მიხაილ ილარიონოვიჩ.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ნაპოლეონი მე ცბიერსა და გრძნეულ მელას მეძახის. ვეცდები უდიდეს სარდალს დავუმტყუო, რომ იგი მართალია და მე ცბიერი და გრძნეული ვარ. ბარკლამ თავისი უხეირო გეგმა თავზე მომახვია და ერთადერთი ის დამრჩენია, არმია ვიხსნა დალუპვისაგან. სარდალი, რომელსაც რეზერვები შერჩება, ჩემო თავადო, დამარცხებულად არ ჩაითვლება, ვინაიდან, უკანასკნელი სასიკვდილო დარტყმის ბედნიერი შედეგი მის სასარგებლოდ გადაწყდება და არა დროებით გამხნეებულ მოწინააღმდეგისათვის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მართალი ბრძანდებით.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — თავადო პეტრე, ხვალინდელ ბრძოლაში ძნელი და რთული ამოცანა უნდა მოგანდო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მიბრძანეთ, როგორც შეილსა და როგორც ხელქვეითს.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — არა, როგორც ძმასა და როგორც თანასწორს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ღირსი არა ვარ, თავადო!

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — თავაზიანობ, ჩემო პეტრე! შენ კარგად იცი ნაპოლეონის აზრი შენი სამხედრო ნიჭის შესახებ და ხვალინდელ ბრძოლაში მას შენი უფრო ეშინია, ვიდრე მოხუცი კუტუზოვისა, ამისათვის იგი მთელ თავის უმთავრეს ძალებს ბოროდინოსა და ბარკლამის კი არა — შენს პოზიციას დააჯახებს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — თქვენ ასე გგონიათ?

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — დარწმუნებული ვარ. ცხადია, ის ეშმაკობას იხმარს და დილიდანვე ბარკლამის პოზიციას შემოუტყვეს, რათა მე დამაბნინოს, მაგრამ მისი მთავარი სამიზნო ხვალ სემიონოვსკის ფლუშები იქნება, ვინაიდან გეოგრაფიულად მისთვის ეს პოზიცია უფრო ხელსაყრელია. იგი ეცდება, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხვალ ბოროდინოში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვოს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რასაკვირველია, ეცდება, მიხაილ ილარიონოვიჩ.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — თუ კი ხვალ ბოროდინოში ოცდაათ ათასამდე ფრანგი ჯარისკაცი გაწყდება, მერწმუნე, რომ გამარჯვება უკვე ჩვენია, თავადო, და ნაპოლეონის ბედ-ილბალი ჩვენს ხელში იქნება. ჩემი არჩევანი შენსა და შენს გმირ გენერლებსა და გმირ არმიასზე შეჩერდა, თუ არა მეორე არმიასა და მის მამაც სარდალსა და გენერლებს, ვის შეუძლია ნაპოლეონის მარშლების ასოცდაათათასიანი ჯარი დილიდან საღამომდე ერთ პოზიციასზე დააბას და ანადგუროს?!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ჩაფიქრებული) ვეცდები, თქვენი იმედები გავამართლო.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — მე შენს ხვალინდელ ბრძოლაში არ ჩავერევი. იმოქმედე, როგორც გინდოდეს. (მარჯვარი გადასწერა და გადაეხვია). ღმერთმა იცის, მენანებით შენცა და შენი არმიაც. მაგრამ რუსეთი უფრო მენანება, შეილო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მე კარგად მესმის, რომ სარდალი და არმია ბრძოლასათვის არის გაჩენილი და არა მხოლოდ სადღესასწაულო აღლუმებისთვის.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ღმერთი იყოს შენი შემწე, თავადო პეტრე. ზიზღილიყმისა

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კუტუზოვი გადაკოცნა და კარებისაკენ წავიდა. უცბად რაღაც მოაგონდა და შემოტრიალდა). მიხაილ ილარიონოვიჩ! თუ გახსოვთ მე თქვენ გუშინ ჰუსართა პოდპოლკოვნიკ დენის დავიდოვის შესახებ მოგახსენეთ.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — დენის დავიდოვის?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — დიალ. აი პარტიზანული ბრძოლის გეგმა რომ წარმოადგინა.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — მახსოვს... დიალ, მახსოვს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მე მგონია დიდებული აზრია და კარგი იქნებოდა, რომ კახაკებისა და ჰუსართა რაზმები მიეცეთ.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — პოდპოლკოვნიკ დავიდოვს თქვენ კარგად იცნობთ?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — დავიდოვი ხუთ წელიწადს ჩემი პირადი ადიუტანტი იყო.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — აახ! ვიცი... ვიცი, აი ის თმახუჭუჭა პოეტი.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ილიმება) დიალ, ლექსებსაც წერს.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ჩაფიქრდა) კარგია ეს აზრი. პარტიზანული ბრძოლა ომის ახალი ხერხი იქნება და სწორედ რუსი კაცის ჭკუა მივიდა ბრძოლის ამ ხერხამდე. (ღიმილით თავი გააქნია). დენის დავიდოვი. ჰმ! ამ ქოჩორა ბიჭუნას დიდი საქმისათვის მიუგნია... ისტორიაში დარჩება.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მარჯვე და ნიჭიერი ახალგაზრდაა. ხუთას ცხენოსანს თხოულობს.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — გზა დაულოცე, ჩემო თავადო, მიეცი ჰუსარებისა და კახაკების რაზმები და ნაპოლეონის ზურგში ითარეშოს. ასორმოცდაათი ცხენოსანი მიეცი.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ასორმოცდაათი კაცი ცოტა იქნება, მიხაილ ილარიონოვიჩ.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ხუთასი კაციც ცოტა იქნება, ჩემო პეტრე, თუ კი დავიდოვმა ნაპოლეონის ზურგში ჩვენი გლეხობა არ ააჯანყა და თან არ გაიყოლია.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გასაგებია, მიხაილ ილარიონოვიჩ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

(ჩქარი ნაბიჯით გადის).

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (დიდხანს იყურება დახურული კარებისაკენ. შემდეგ იძახის) ეფიმი! (ქოხში ეფიმი შემოდის) აბა, ეფიმი! ჩაი. (ბრძოლის გეგმას მიუჯდა, დიდხანს დასჩერებია, რაღაცას ხაზავს და ჩურჩულებს). დიალ... დიალ... ასე სჯობია... სჯობია... არა, ასე არ ივარგებს... ასე სჯობია.



ხ უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

მაგრატიონის ბინა ბორღინოში. რუსული ქოხი უბრალოდ მორთულია თვის საწოლებითა და მუხის მაგიდით. ღამეა. ქოხი კარტოფილის სანთლებითაა განათებული. სცენაზე კოხტა და დენის დავიდოვია. დენისი თვაზე წამოწოლია.

კოხტა — (შუა ქოხში დგას, დენისს გატაცებული უყვება) წელზე ხელი მოვაველე და ფანჯარაზე ავიყვანე. დარბაზიდან უეცრად ორი ჯარისკაცი დამეწია. არ მახსოვს, მგონი, ერთი მათგანი მოვკალი. ეზოში გადავხტი, ქალიც თან გადავიყვანე. გარშემო სროლა იყო, წვივ-კივილი. დაჭრილთა ღრიალი. უეცრად შევამჩნიე, რომ ცხენოსანი გვარდიელები მოჯირითობენ. ქალი დანგრეულ ჭიშკარს ამოვაფარე, მეც იქ მივიმალე. გეფიცები, დენის, ნაპოლეონი ჩემი თვალთ დაეინახე.

დენისი — (წამოიწია) მერე?

კოხტა — დამბაჩაზე ხელი გავიკარ, მაგრამ დაუტენელი იყო.

დენისი — (უკანვე წამოწვა) მეც მინახავს ნაპოლეონი ტილზიტში.

კოხტა — შენ გინახავს მეგობარი, მე კი მტერი ვნახე. (ამოიხსრა). ვანთიადისას ჩვენს არმიას დაეწიე.

დენისი — ქალიც ხომ თან წამოიყვანე?

კოხტა — მამ რისთვის წავედი, — წამოვიყვანე და მამამისს ჩავებარე.

(სა დროს კარავში ღიზა შემოდის. კოხტამ და დენისმა მისი შემოსვლა ვერ შეამჩნიეს).

დენისი — შეყვარებული ყოფილხარ, ძმაო კოხტა.

კოხტა — არა, დენის, შეყვარებული კი არა ვარ, იმ ქალის ოჯახში დამეგავათიეთ, მამამისმა პატივი გეცა და მოვალე ვიყავი მე იგი გადამერჩინა.

დენისი — (სიცილით წამოდგა) აახ, შე ეშმაკო! დაეფიცებ, რომ შეყვარებული ხარ.

კოხტა — არა... არა... არა, დენის. მე და სიყვარული ვის გაუგია.

(ღიზამ კოხტასა და დენისის ლაპარაკი გაიგონა და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს დენისი ზეზე წამოდგა და კარებისაკენ გეშარბა).

დენისი — (ღიზა დაინახა. გაკვირვებული მისჩერებია და ჩურჩულით ლაპარაკობს) მოჩვენებაა, თუ მართლა ქალია? (ღიზას) ბოდიშს ვიხდი, მადამაზელ. (კოხტას მოუბრუნდა) ასეთი ქალისათვის მტრის ბანაკში კი არა, თვით ჯოჯოხეთში შევიჭრებოდი, სატანას დავაჩრქებდი და ღვთის შობილის ხატზე ვალოცებდი. (ღიზას ღიმილით) მამატიეთ. მადმაზელ.

(ჩქარი ნაბიჯით გადის).

კოხტა — (გაექანა) ღიზა.

ღიზა — (გულმოსული) ბოდიშს ვიხდი, რომ გეახელით, მაგრამ მეც ვალდებული ვიყავი მოვსულიყავი და მადლობა გადამეხადა ჩემი გადარჩენისათვის.

კოხტა — (სასოწარკვეთილი) ღიზა სინდისს გეფიცები მე ვიკრუე.

ღიზა — (გულაჩუყებული) მჯერა, ბატონო ოფიცერო! ჩემთან იკრუეთ.

კობტა — გეფიცები, რომ არა, შენ არასოდეს არ მომიტყუებნარ და არც მოგატყუებ. პოდპოლკოვნიკ დაეიდოვთან ვიცრუე.

ლიზა — თუ ჩემდამი სიყვარული აგრე სამარცხენია, — მე შემინამსქიმე ტვირთს, სამუდამოდ მოგაცილებ.

კობტა — ლიზა! განა შენდამი სიყვარულმა არ შემომიყვანა სმოლენსკის ცეცხლში? განა შენდამი სიყვარულმა არ დამაეიწყა სიცოცხლე და მთავარსარდალის ხელქვეითობაც?

ლიზა — მთავარსარდალმა რა გითხრა, თქვენ ასეთი თავხედობისათვის, რომ უმისოდ სმოლენსკში გამოიპარეთ?

კობტა — მადლობა მითხრა შენი გადარჩენისათვის. ლიზა!

(უცრად მოხვია და გადაკოცნა).

ლიზა — მოიცა, გიყო!

კობტა — არა ვფარავ... არა ვფარავ, ლიზა, რომ გიყი ვარ. დაე, მუდამ გიყს მეძახდნენ, მხოლოდ სულ შენ გიყურებდე.

ლიზა — (თვალეებში ჩასჩერებია) მართლა გიყვარვარ?

კობტა — (გახარებულად) ჩემო სიცოცხლე... ჩემო გოგონა. (ლიზას ხელი მოხვია, სკამზე დასვა) ლიზა, ომი რომ გაათვლება ჩემს თავადს ვთხოვ...

(განუშდა, თავი ჩაღუნა).

ლიზა — (მოუთმენლად) რასა სთხოვ?..

კობტა — არ ვიცი... მე მისი დატოვება არ შემიძლია.

ლიზა — მე კი დამტოვებ?

კობტა — ვერც შენ დატოვებ, ვერც ჩემს სარდალს... ერთად ვიაროთ.

ლიზა — სად?

კობტა — ბრძოლიდან ბრძოლაში. ევროპიდან აზიაში... რუსეთიდან საქართველოში... საქართველოდან საფრანგეთში. ერთი სიტყვით, სადაც კი გაგზავნიან ჩვენს მთავარსარდალს. ხომ თანახმა ხარ?

ლიზა — მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ შენთან ვიყო.

კობტა — (ხეზე წამოიჭრა) სიკვდილამდე ერთად ვიქნებით. (ლიზას ხელი მოხვია და გიგივით კოცნა დაუწყო. ამ დროს ფეხის ხმა გაიგონა, შეშფოთდა), აბა, ჩქარა.

ლიზა — მე წავალ.

კობტა — არა წასვლა აღარ შეიძლება. (რუსულ ლუმელზე უჩვენა) აი იქ. იქ დაიშალე.

(ლიზა ლუმელზე აღის და იშალე. შემოდის გაგარინი).

გაგარინი — გამარჯვება, კობტა. მართალია თუ არა, ამბობენ სმოლენსკიდან ქალი გამოიტაცაო.

კობტა — ამბობენ.

გაგარინი — იმასაც ამბობენ, რომ ქალი ანგელოზივით ლამაზიაო.

კობტა — ამბობენ.

გაგარინი — (იციინს) რა თუთიყუშივით იმეორებ ერთსა და იმავე სიტყვებს. განა შენ თითონ არ იცი, ლამაზია თუ არა?

კობტა — (გაგარინს რაღაც უნდა უთხრას, მაგრამ ლუმელისაკენ გაიხედა) ლამაზი რომ არ იყოს, ასე უხეიროდ თავს გაეწირავდი?

გ ა გ ა რ ი ნ ი — ეჰე! შეყვარებული ყოფილხარ. კობტა, განა ასე შეიძლება? ყოველ მეორე დღეს ახალი შეყვარებული ვის უნახავს.

კობტა — (გულმოსული) რას სულელობ? მე სხვა ვინ მყვარებდა?

გ ა გ ა რ ი ნ ი — (ხმაბალლა იცინის) ნუ ზუმრობ, კობტა! მე და შენ, რომ აქ მარტო არ ვიყოთ ვიფიქრებდი, ვინმეს წინაშე აპირებ თავის მართლებას. განა ათი დღის წინათ არ იყავი შეყვარებული? შენ არ იყავი, რომ ჩამცივებოდი მარგარიტა უნდა ვითხოვოო. (დაამღერა) მარგარიტა... მარგარიტა.

(ლიზას მტვერიან ღუმელზე ცხვირს დაეცმინა. გ ა გ ა რ ი ნ ი უცერად შემოტრიალდა და გარშემო იყურება).

კობტა — (დაბნეული, განგებ ცხვირს აცემინებს) წარმოგიდგენია, ვასია. სმოლენსკში ხანძრებსაგან სიცხე იყო. ქალაქგარეთ რომ გამოვედიო, ნიავმა დამარტყა და გავცივდი.

(გ ა გ ა რ ი ნ ი კობტას ეკვის თვლით მისჩერებია. ქოხში რ ე ვ ა ზ ი შემოდის)

რ ე ვ ა ზ ი — სარდალი არ დაბრუნებულა?

კობტა — არა, ბატონიშვილო.

(დენის დავიდოვი შემოიჭრა).

დენისი — (რევაზს მისჩერებია) მე მეგონა, თავადი დაბრუნდა.

რ ე ვ ა ზ ი — ღელავ, დენის?

დენისი — ვლელავ, რევაზ! მეშინია, რომ მთავარსარდალმა უარი მითხრას.

რ ე ვ ა ზ ი — ნეტავ ამდენ ხანს რად დაიგვიანა?

კობტა — გენერალთა თათბირია კულტუზოვთან.

დენისი — ხეალ დიდი ბრძოლა იქნება.

კობტა — მადლობა ლმერთს, თორემ ბატონიშვილი ჯავრით ჩამოხმა.

(შემოდის ვენერალი პლატოვი, ყველანი წამოდგნენ).

პლატოვი — სალაში გმირებს!

რ ე ვ ა ზ ი — თქვენი დღეგრძელობა, მატვეი ივანოვიჩ!

პლატოვი — თავადი ჯერ არ დაბრუნებულა?

კობტა — არა, ბატონო.

პლატოვი — (ამოიოხრა) რა საშინელია ეს ომი.

რ ე ვ ა ზ ი — (უხერხულად) დიად. საშინელეებაა.

პლატოვი — როგორც კი ომი დაიწყება არაყიც და ლვინოც გაქრება.

კობტა — ხომ არ მიირთმევთ, თქვენო აღმატებულებაე?

პლატოვი — (კარებისაკენ გაიხედა) კარგი იქნებოდა, მაგრამ მაგრატონის ბინაში მეშინია დავლიო.

კობტა — (საჩქაროდ არაყი დაასხა და პლატოვს გაუწოდა) მიირთვიო, ბატონო გენერალო!

პლატოვი — (ცხვირი მოისრისა, სასმისი ასწია) ზეალინდელი დღისა და თქვენი გამარჯვების იყოს, გმირებო! თუ არა ომში, ვაჟკაცმა სახელი სად მოიხვეჭოს? ომს რა ჯობია. ბიჭებო. (არაყი გადაკრა).

რ ე ვ ა ზ ი — კიდევ მიირთვიო, ბატონო გენერალო!

(კრავში ვ რ ა ბ ო ვ ს კ ი შემოიჭრა).

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — თავადი მობრძანდება.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (საჩქაროდ ჩაახველა. კობტას). მეტი საჭირო არაა — დამალე, თუ ძმა ხარ.

(კობტა ბოთლსა და სასმისს ძალავს, კარებში გამოჩნდება ბაგრატიონი).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დენისს ხელს ართმევს): მომილოცავს, ძმაო დენის. მთავარსარდალმა ბრძანა — გზა დაგილოცო!

დ ე ნ ი ს ი — (აღელვებული) გმადლობთ, ჩემო მფარველო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გადაეცი ჩემი ბრძანება გენერალ ვასილჩიკოვს, ორმოცდაათი ჰუსარი გაგატანოს. (პლატოვს) მატყვი ივანოვიჩ, პარტიზანთა რაზმების მეთაურს პოდპოლკოვნიკ დენის დავიდოვს გაატანე ასი კახაკი.

პ ლ ა ტ ო ვ ი — დიდი სიამოვნებით, თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მხოლოდ, ატამანო! ისეთი ბიჭები დაარჩიე, რომ მიურატისა და მისი კავალერიის ცხენებს ჭენების დროს ხმლებით ნალები დააძრონ.

პ ლ ა ტ ო ვ ი — ჩემი ღომები ყველანი ეგეთები არიან, ჩემო თავადო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დავიდოვს). დენის! გზა დამილოცნია, ძმაო! გაამართლე ჩვენი მთავარსარდალის იმედი. აბა შენ იცი, პარტიზანული ბრძოლის როგორ ხანძარს დაატრიალებ. მთავარსარდალმა გთხოვა ნაპოლეონის ზურგში გლებობა ააჯანყო. ღმერთი იყოს შენი შემწე.

დ ე ნ ი ს ი — გმადლობთ, თქვენო უგანათლებულესობავ!

(ბაგრატიონს ხელზე საკონულად მიწვდა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გადაეხვია და გადაკოცნა. თვალბეჭეში ჩახედა და უთხრა). თუ კიდევ შევხვდით ერთი მეორეს, ხომ კარგი, და თუ არა... (ხუჭუჭა თმაზე ხელი მოუსვა) ეეს! ჩემო ქოჩორა პოეტო, გამიზრდიხარ და გაფრინდი, შენ გრძელი და დიადი გზა აირჩიე. ვინ იცის, ეგებ შენს მიერ მოგონილი პარტიზანული ბრძოლა ოდესმე კიდევ გამოადგეს ჩვენს სამშობლოს.

დ ე ნ ი ს ი — (მკერდზე აკოცა. ცრემლები ძლივს შეიკავა) მამავ! მშობელო მამავ!

(ბაგრატიონს თვალბეჭეში ველარ შეხედა, ვერც გამოეხიზა და ქობიდან გაეარდა).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დავიდოვს თვალი გააყოლა. პლატოვს შემოუბრუნდა და ხელით კარებზე უჩვენა). აი ვაჟკაცი. მეგობრობის, სიწმინდისა და პატიოსნების განსახიერებაა. — განა ბედნიერება არ არის, ატამანო, ასეთი ხალხისათვის თავი დაღო?

(გარედან ჯარისკაცთა სიმღერა მოსმის):

„სოფლები და
ქოხები, გოგონა!
ოხ!
გოგონა, გოგონა!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დბალი ხმით დაამღერებს).

„სოფლები და
ქოხები, გოგონა!
ოხ!
გოგონა, გოგონა!

ეხ, ატამანო, ამალამ შენთან ერთად რა დიდი სიამოვნებით დავფურცობდი პლატოვი — (დამსწრეებს ირიბულად გადახედა). მე აღარ ვსევამ, თავად, თორემ ხათრს არ გაგიტეხდი.

ბაბრატონი — (პლატოვს ბეჭებზე ხელი მოხვია). ვიცი, ვიცი... მჯერა... ცულლუტი ხარ... გრაფობას მაინც მიიღებ. (ხელი ჩაიქნია) რა თხრად გინდა გრაფობა, ატამანო, — გმირი პლატოვი გრაფობაზე მეტი არ არის? (სიმღერას ყურს უგდებს). გესმის, მატვეი, რა დიდებულად მღერიან დრაგუნები და გრენადერები?

(დარედან სიმღერა მოისმის):

„ჯარისკაცო ვაქაცო
შენ ფარაჯა გაცვია,
მტერი უნდა გაეღიტო,
თათარი თუ ხრანცია,
სოფლები და
ქოხები, გოგონა...
ოხ!
გოგონა, გოგონა.“

ბაბრატონი — (დაბალი ხმით აყვავ). ოხ, გოგონა, გოგონა, რომ შემეძლოს, ატამანო, ამალამ ბრძოლის წინ, დიდი სიამოვნებით საითათოდ გადაევკოცნიდი ჩემს ორმოცდაორი ათას ჯარისკაცს. ვინ იცის, ხვალ ამ დროს, რამდენი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ იქნეს.

(მოისმის ჯარისკაცთა სიმღერა, ბაბრატონი ყურს უგდებს).

„ბაგრატიონს გიყვები,
ვაქაცია სარდალი,
ღმერთი მისი შემწე,
ომში არ ყავს ბადალი.
სოფლები და
ქოხები, გოგონა...
ოხ,
გოგონა, გოგონა...“

(ბაგრატიონმა ხელი ჩაიქნია აღიუტანტებს მიმართა).

აბა, ძმებო! გაფრინდით ახლავე კორპუსისა და დივიზიების მეთაურებს გადაეცით ჩემი ბრძანება, — ხვალ დილის ხუთი საათისათვის გენერლები და ოფიცრები სააღლუმო ტანსაცმელში გამოწყობილი იყვნენ!

პლატოვი — (გაკვირვებულად) სააღლუმო ტანსაცმელი?

ბაბრატონი — დიად, ატამანო! როგორც ხედავ ბაგრატიონის არმიას აღლუმებისათვის არ სცალია, მუდამ ლაშქრობაშია. დაე ხვალინდელი ბრძოლა იყოს ჩემი არმიის დღესასწაული და აღლუმი. ჩემს გენერლებსა და ოფიცრობას აღმასებით და ბრილიანტებით მოჭედილი ორდენები და ოქროს იარაღი ბრძოლებში სისხლით მოპოვებული აქვთ. დაე, ამ ორდენების სხივებით მტერს თვალები დაეხსოს და მოყვარის გული მხიარულებით აივსოს.

პლატოვი — მთელი არმია ცივ მდინარეში ბანაობს, თავადო... და ჯარისკაცები სუფთა პერანგებს იცვამენ.

ბაბრატონი — რუსმა ჯარისკაცმა კარგად იცის, ბრძოლისათვის როგორ უნდა მოემზადოს.

(შემოდინა გენერლები ერმოლოვი და კუტიასოვი).

ერმოლოვი — მიგვიღებს თუ არა მასპინძელი?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გახარებული) ოო, მეგობრებო, რა კარგია, რომ მოდიხ. ვიცოდი, მოხვდიოდით... მჯეროდა. (შემოდან გენერლები, რაველები და ვორონცოვი. გახარებულმა ბაგრატიონმა ხელები გაშალა) კლოდიუს! მშა! აბა, კონტა, სუფრა გაშალე! მოიტანე, რაც კი რამ გაქვს. ასეთ სტუმართა მოსვლის გამო შეგიძლია ხვალისათვის აღარაფერი დასტოვო.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (ბაგრატიონს სიცილით) სხვა დროს როდის გიფიქრია, თავადო, ხვალინდელ დღეზე?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ხვალინდელ დღეზე მუდამ ის ფიქრობს, ვისაც საკუთარი თავის არ სჯერა. სასახლეების აშენებას, ჩემო ალექსეი, მე არ ვაპირებ. ბალებსა და სადღესასწაულო დარბაზობისათვის მე არა ვარ დაბადებული. მოხეტიალე გლახადაც რომ გავხდე, დიდ რუსეთში ოჯახი არ დარჩება, პეტრე ბაგრატიონს სიხარულით ერთი სადილი მაინც არ აკამოს. (მკერდზე ხელი დაირტყა) მე ეს სიმდიდრე მირჩევნია სხვის სასახლეებს, ჩემო ალექსეი. (გაშლილ სუფრას გადახედა) აბა! მშებო, სუფრასთან. დაასხი, კონტა! ქართულ ღვინოებს დაგაღვევინებთ, ძვირფასო სტუმრებო. (ბოთლები აიღო) ეს კახური ვაზის წვეწია. ქინძმარაული, ეს ატენური, ეს კი (პლატოვს გადახედა) გორული თაფლის არაყია.

რ ა ე ვ ს კ ი — საიდან მიიღეთ ეს ძვირფასი კოლექცია?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — პეტერბურგიდან საჩუქრად, ქართველებმა გამომიგზავნეს. (სასმისი ასწია). ხვალინდელი ჩვენი გამარჯვების იუოს მეგობრებო!

ე რ მ ო ლ ო ვ ი — თავადო, დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ სემიონოვსკის ფლემებზე დატრიალდება მთავარი ცეცხლი და ნაპოლეონი მთელ თავის არმიას შენს წინააღმდეგ გამოუშვებს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ტყუილად კი არ გეძახიან შენ წინასწარმეტყველს, ჩემო ალექსეი.

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — ხვალ რომ მართო თავად ბაგრატიონის არმიას მოუხდეს ბრძოლა, მე ჩემს პოზიციას მივატოვებ და სემიონოვსკის ფლემებზე ვიბრძოლებ. მე ჯერ კიდევ ბავშვობისას ვნატრობდი, ბაგრატიონთან ახლოს ვყოფილიყავი.

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — განა რამდენი წლის ბრძანდებით გენერალო?

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — ოცდა რვა შემისრულდა.

რ ა ე ვ ს კ ი — ბავშვია.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ნამდვილი ბავშვია, მხოლოდ ჭკუით.

(იკინიან).

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (ერმოლოვს) რას ჩამაცივდი, ალექსეი? ღმერთმანი, ვერ გამიგია.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (კუტაისოვს) შენ განა ღმერთი გწამს?

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ამოიოხრა) ეეებ, მშებო, ყოველ მემომარს თავისი ღმერთი ყავს. (არყით სავსე სასმისი ასწია) მე, მაგალითად, ბახუსზე ელოცულობ, მაგრამ დახატული ჯერჯერობით ვერსად ვნახე და არყით სავსე სასმისში ვეძებ.

(არაყი გადაკრა. ვეელანი იკინიან).

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — რა დიდებული იქნებოდა, რომ ხვალ საღამოს, ასე უკლებლივ ერთი მეორესთან შეეხვედრილიყავით. (სასმისი ასწია) გაუმარჯოს ხვალინდელ ჩვენს შეხვედრას!

- რ ა ე ვ ს კ ი — ეს შეუძლებელია, მიშა! ისეთი ბრძოლა ჯერ არ მხოლოდ არ ყოფილა, რომ ვინმე საყვარელი ძმა და მეგობარი არ დაგვეკარგოს, ხელოვნური კი, ძმებო, საშინელი ბრძოლა იქნება.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ვინ მოთელის ხვალისდელ ბრძოლაში, ვაჟკაცური სიკვდილით, რამდენი გმირი დაიბადება.
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — ეგებ, რა დიდებულია, მეგობრებო, რუსი ხალხის გმირი იყო, არასოდეს ის შენ არ დაგივიწყებს და ისტორიაში შეგიტანს, წმიდანადაც გამოგაცხადებს, — არა იმიტომ, რომ შენ რაღაც ზეციური სასწაულები მოახდინე, — არამედ იმისათვის, რომ ვაჟკაცურად, სამშობლოსათვის თავი დადევი. აიღეო ალექსანდრე ნეველი და დიმიტრი დონელი, განა ისინი ხალხმა იმიტომ მიიღო წმიდანებად, რომ მათ ჰყვარი რკინად გადააქციეს ან და ქვა პურად გამოაცხვეს? სრულიადაც არა, მათ მამული იხსნეს სასიკვდილო განსაცდელისაგან და ამისათვის ისინი მადლიერმა ხალხმა, ეკლესიებში მაცხოვრისა და მოციქულების გვერდით დახატა. (სასმისი ასწია) გაუმარჯოს ჩვენს რუს ხალხს!
- კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (ილიმება) ვინ იცის, ეგებ ჩემმა შვილიშვილებმა ეკლესიაში ხატზე ილოცონ, რომელზედაც ერმოლოვი იქნება გამოხატული, — თავზე წმინდანის შარავანდელით.
- ე ო რ ო ნ ც ო ვ ი — (სიცილით) ერმოლოვს ხომ ცხოვრებაშიაც წინასწარმეტყველს ეძახიან.
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — (კუტაისოვს, სერიოზულად) ალიოშა, შენ შვილიშვილი არ გეყოლება.
- კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (გაკვირვებული) ვითომ რატომ?
(იცინიან).
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — დარწმუნებული ვარ, რომ ხელო ბოროდინო შენი უკანასკნელი ბრძოლაა.
(ყველანი გაჩუმდნენ).
- კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (გაფთხრდა. ხელიდან სასმისი გაუვარდა. ხმა ძლიერს ამოიღო). ეს რა მითხარი, წინასწარმეტყველო!
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — (კუტაისოვს ბეჭზე ხელი დააარტყა და უხერხულად ილიმება). გეხუმრე, ალიოშა! მეტს ნულარ დამალევივინებთ, თორემ კიდევ უარესს ვიტყვი.
(ბაგრატონს გადახედა).
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მწარე ენა გაქვს, ალექსეი პეტროვიჩ! რას გაუფუჭე ბიქს ხასიათი? (კუტაისოვს). ერმოლოვის ხუმრობა ნუ შეგაფიქრებს, ალიოშა. მაგას ჩემთვის ათასჯერ უთქვამს, რომ ხვალისდელ ბრძოლაში მოგკლავენო, მაგრამ, ხომ უყურებ, დღემდე ცოცხალი ვარ და კიდევ ას წელიწადს სიკვდილს არ ვაპირებ.
- რ ა ე ვ ს კ ი — რა დროს შენი სიკვდილია, ალიოშა, ჯერ მხოლოდ ოცდა რვა წლისა ხარ.
- პ ლ ა ტ ო ვ ი — ღმერთი იწამეთ და სიკვდილზე ნუ ლაპარაკობთ. რამდენი მტერიც მომეკლავს მე ჩემი ხელით იმდენი სიცოცხლის მიცემა რომ შემეძლოს, ცალკე სახელმწიფოს დავაარსებდი და ღმერთად გამომაცხადებდნენ.

რ ა ე ვ ს კ ი — (რევებს) ბატონო პოლკოვნიკო, განზე რად დგეხართ, სუფრასთან ახლო მობრძანდით, თორემ პლატოვი მალე ცარიელ ბოთლებს დაუწყებს ყლაპვას.

რ ე ვ ა ზ ი — (წამოდგა) გმადლობთ ნიკოლაი ნიკოლაევიჩ.

(ქოხში შემოდის დამტვერილი, ბრძოლით გართულები ორი გენერალი, რომლებიც ისე გვანან ერთი მეორეს, რომ მაყურებელს ეშლება ვინ რომელია. მათმა შემოსვლამ საერთო მხიარულება გამოიწვია).

პ ლ ა ტ ო ვ ი — (მხიარულად შეჰყვირა) ივანი! სემიონ! (გაექანა და ხელს ართმევს ერთსაც და მეორესაც). ეშმაკსაც წაუღიხარო, ხუთმეტი წელიწადია, ვერ გამიგია, რომელი ხარო სემიონი და რომელი ივანი.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (პლატოვს) ესენი ფხიზლებსაც ერევათ ერთი მეორეში, შენ კი მუდამ მთვრალი ხარ.

(შემოსული გენერლები სათითაოდ ყველას ხელს ართმევენ).

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (ორივეს ხელი ჩამოართვა, თავს აცნობს). კუტაისოვი.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (კუტაისოვს) ეი, შენ დიდებაზე მეოცნებე! აი შენს წინ ბრძოლის დიდების ოსტატები დგანან. მაგათ ვერ იცნობ?

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — ვერა.

რ ა ე ვ ს კ ი — ჩემი კორპუსის გენერლები, — ძმები ფანჩულიძეები.

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — ბაგრატიონის ავანგარდის, — შენგრაბენის გმირები.

ი ვ ა ნ ე — (დარცხენილი) რა საჭიროა, ბატონო გენერალო! (რევესკის შემოუბრუნდა) ნიკოლაი ნიკოლაევიჩ! დივიზია ავანგარდიდან სემიონოვსკის ფლემებზე გამოვიყვანეთ.

რ ა ე ვ ს კ ი — დაიკავეთ ჩემი ბატარეების ყურგანის მარცხენა ფრთა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (რევესკის) ორლოვის დივიზია სად დააყენეთ, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ?

რ ა ე ვ ს კ ი — ბატარეების მარჯვენა ფრთაზე, თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — შე მგონია აჯობებს ფანჩულიძეების დივიზია სემიონოვსკის ფლემებზე დარჩეს, ორლოვის დივიზიაც სჯობს სემიონოვსკის ფლემებზე რეზერვში გადაიყვანოთ და ყურგანის ბატარეებზე ვოლკოვის დივიზია წასწიოთ წინ. ვინ იცის ხვალ, — შეიძლება, მანევრების საშუალებაც არ გვექმეს.

რ ა ე ვ ს კ ი — მესმის, თავადო.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ფანჩულიძეებს) აბა, გმირებო! თითო კიქა არაყი.

(ფანჩულიძეებმა სასმისებს ხელი მოაღწეს. დამსწრებს თავი დაუქნევს უხმოდ დაილოცნენ და გადაკრეს).

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (იღიმება) რუსულად სვამენ.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (იციინის) „ხარი ხართან რომ დააბა ან ფერს იცვლის ან ზნესაო“ — ფანჩულიძეები ატამან პლატოვის მეგობრები არიან.

ს ვ ი მ ო ნ ი — (იღიმება; პლატოვს წელზე ხელი მოხვია). ჩვენ ვამაყობთ ატამანის მეგობრობით.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ფანჩულიძეებს) ეი, თქვენ! ატამანის მეგობრებო; დაბალი ხმით დაამღერეთ. კოხტა, თარი!

ს ვ ი მ ო ნ ი — გაცივებული ვარ, თავადო, ხმა არა მაქვს. (კოხტას მიერ მიწოდებული თარი ხელში აიღო) მიბრძანეთ, რა დავამღეროთ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — აი ის... თქვენ რომ მღერით ხოლმე. „ნოემა ერთხელ ინება“...

ს გ ი მ ო ნ ი — (ივანეს, რევას და კობტას) აბა ამყევით.

(თარზე ამღერებს. რ ე ვ ა ზ. ი ვ ა ნ ე და კ ო ბ ტ ა აყვნი.)

... მინდა ესეა — საღივნი მომე

მოძღვარო, დასტური დამე!

წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,

წარღვნაა ამის მოწამე.

ვაჟაკნო, მოდიოთ — დავლიოთ,

ესა სჯობს, ღვინო დავძლიოთ

ომამის სისხლად იქცევა,

მერმეთ ბრძოლაში დავთბიოთ.

ნოემ რა ერთხელ ინება

ყურძნის წვევისა გეშება,

თვითონ წუნვას მიუჯდა.

წყალი პირუტყვით დაანება.

(გაბარებული პლატონი და სხვა გენერლები აყვნი და მღერაან. ს გ ი მ ო ნ ი სიმღერა დაამთავრა, თარზე რუსულ საცეკვაოს უკრავს.)

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — (პლატოვს) ერთი შენი კაზაკი მოცეკვავე ჯარისკაცი მოგვცა!

პ ლ ა ტ ო ვ ი — განა გენერალსა და ატამანს ჯარისკაცზე ნაკლები ცეკვა შეუძლია? მაგრამ... (ბაგრატიონს ირიბულად გადახედა) მთავარსარდლის მეშინია.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (პლატოვს) ატამანო, ხვალ სალამოთი იცეკვე, გამარჯვების შემდეგ!

პ ლ ა ტ ო ვ ი — ღამე ნებისა, ბატონო მთავარსარდალო, ბატონო გენერლებო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ღამე ნებისა.

გ ე ნ ე რ ლ ე ბ ი — ღამე ხებისა.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ჩვენც უნდა წაეიდეთ. მშვიდობით პიოტრ ივანოვიჩ!

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — ღამე ნებისა, თავადო!

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (ბაგრატიონს ხელს ართმევს) მშვიდობის ძილი, ჩემო თავადო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გენერლებს) ღამე ნებისა, ძმებო! (გენერლები გადიან. დარჩნენ ბაგრატიონი, რევაზი და კობტა, ბაგრატიონი კარავის კარებში შეჩერდა და დადუმებულ ღამის წყვილადს გასჩერებია. საყელოს საკინძეები გაიხსნა და მძიმედ ამოიხრა) რა დადუმებულაა ბოროდინო, ძილს მიეცა. საშინელი მყუდროება, საშინელი ჭექა-ქუხილის წინამორბედი.

რ ე ვ ა ზ ი — (ძმა ნელა მიუახლოვდა, წელზე ხელი მოხვია, სიერცეს გასჩერებია) ვინ წარმოიდგენს, ძმაო, რომ ამ სიბნელით მოცულ მინდორზე სამასიათასამდე კაცის გული სცემს; — უცდიან დილას, ერთიმეორე რომ ამოელტონ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ბოროდინო! ეს პატარა სოფელი დღეს საბრძოლო ასპარეზად გადაქცეული, ნუთუ ისტორიაში მისი სახელი ტროადის ან კართაგენის სახელზე მეტად დარჩება და სამშობლოს ბედი ხვალ აქ უნდა გადაწყდეს.

(მოისმა შორეული სიმღერა, ვიღაც მარტო მღერის).

რ ე ვ ა ზ ი — გესმის? ვიღაც მღერის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რუსი კაცი იმდენად ფაქიზია, რომ იგი ბრძოლისწინაც ისე მღერის, როგორც გამარჯვების შემდეგ. (შემოტრიალდა და ინახა კოხტა, რომელიც ზანდუკიდან იღებს ბაგრატიონის სააღლუმო მუნდირს. ოქროს ეპოლეტებით, ორდენებითა და წმინდა ანდრეის ლენტით. ბაგრატიონი ილიმება) სააღლუმოდ მაწყობ კოხტა?

კ ო ხ ტ ა — ასე არ ვარგა, ცოტას რომ წაიძინებდეთ აჯობებს, ბატონიშვილო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ძალს პეტერბურგში მოვასწრებთ, ჩემო კოხტა! ხვალ ბრძოლის ველზე ჩემი არმიის წინააღმდეგ ორჯერ მეტი მტერი გამოვა. ჩვენი სიმცირე სიფხიზლით უნდა შევაესოთ. (ძმას ბეჭებზე ხელი მოხვია). რას იტყვი, რევაზ, ვითომ დავბერდი?

რ ე ვ ა ზ ი — რამ დაგაბერა!..

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ორმოცდა შვიდი წლისა ვარ, მაგრამ ჩვიდმეტი წლის ქაბუჯის ძალასა ვგრძნობ. (შემოტრიალდა და მაგიდაზე გაფენილ ბრძოლის გეგმას დასჩერებია) ღამე ნებისა, ძმაო.

რ ე ვ ა ზ ი — (ქული დაიხურა) ღამე ნებისა. (ვადის).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ბრძოლის გეგმას დასჩერებია და სტვენს, უცბად შემოტრიალდა და წამოიძახა). რევაზ!

კ ო ხ ტ ა — რევაზი წავიდა, ბატონიშვილო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რატომ არ გამომეთხოვა?

კ ო ხ ტ ა — გამოგეთხოვათ, ბატონიშვილო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გეგმას დასჩერებია, ხაზავს, ბუტბუტებს) ასე სჯობია... არა, არ ივარგებს. (ჩაფიქრდა) უჰ, რა ცუდია, როდესაც სარდალს ბრძოლის ველად იძულებითი პოზიცია აქვს. (კოხტა მიუახლოვდა, ისიც რუკას დასჩერებია). ხედავ, კოხტა, რა გაშლილ მინდორზე გვიხდება ბრძოლა?

კ ო ხ ტ ა — მე არაფრის არ მეშინია, ბატონიშვილო! რამდენი ასეთი ომი ჩავიტარებიათ თქვენ და გამარჯვებული გამოსულხართ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ეჰ, ჩემო კოხტა! ოჩაკოვის კედლები, ვარშავის მისადგომები, პრალის აღება, იტალიისა და ავსტრიის მინდვრებში ბრძოლა, ეშმაკის ხიდი და შენგრაბენი, — ხვალინდელ ბრძოლასთან შედარებით. არაფერი არ არის. ხვალ საშინელი ბრძოლა იქნება. (გეგმას დასჩერებია, ხაზავს, კოხტა ფრთხილად მოსცილდა, თარი აიღო და წყნარ მელოდისს უკრავს. ბაგრატიონმა თვალეზე ხელი მიიფარა, ჩაჯდა და ამოიოხრა). რატომ არ თენდება, კოხტა?

კ ო ხ ტ ა — ჯერ შუალამეც არ არის ბატონიშვილო.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ზეზე წამოიჭრა, სახე ცხვირსახოციით მოიწმინდა) აბა, კოხტა წავიდეთ! ვნახოთ არმია როგორ ისვენებს. (კოხტამ ბოხოხი და დაშნა მიაწოდა. ბაგრატიონმა დაშნა ჩამოიკიდა. კოხტას ბეჭებზე ხელი მოხვია და თვალეში ჩახედა). როგორ გგონია, კოხტა, — ხვალ შენი ბატონიშვილი პეტრე ბაგრატიონი სემიონოვსკის სიმაგრეებზე ვერ გაანადგურებს ნაპოლეონის ოცდაათი ათასამდე ჯარისკაცს?

კ ო ხ ტ ა — (გადაწყვეტით) გაანადგურებს, ბატონიშვილო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გაანადგურებს, ჩემო კოხტა, მეც ასე მგონია.

(ჩქარი ნაბიჯით ქობიდან ვადის, უკან კ ო ხ ტ ა გამოუდგა).

ლიზა — (შეშინებული, ლუმელიდან ჩამოდის) ღმერთო ჩემო, შიშით კრწ-
ლამ მოვეკვდი.

(ქობში კობტა შემოიჭრა).

კობტა — ლიზა!

ლიზა — ბატონო ოფიცერო... (კობტას მკერდზე მიეკრა) კობტა, შენი ჰი-
რიმე.

კობტა — წამოდი... გაგაცილებ.

(კონის).

ლიზა — არა, წადი, თავადს გაყევი, მე თვითონ წავალ.

კობტა — (კიდევ კონის) არა, გაგაცილებ.

ლიზა — (ჩურჩულით) მომეშვი, გიჟო. ალბათ, თავადი გიცდის.

კობტა — წამოდი, ჯერ შენ გაგაცილებ და შემდეგ თავადაც დავეწევი.

(ქობიდან გაჟრდა, თან ლიზაც გაიყოლია).

ფარდა

მოკვლევა მართხი

ნაპოლეონის წინა.

შევარდინოს დანგრეულ რეღუტებზე ბონაპარტეს კარავი დგას. ფრონტიდან მოსმის თოფების ბათქი, ქვეშეხების ქუხილი, რომლის შემდეგ ჩამოვარდნილი სინემე ალბათ ზღწარათული ბრძოლების ინტერვალა. კარავის წინ დგას ნაპოლეონი. იმპერატორის გარშემო დგანან მარშლები: მიურატო, ბერტიე, გრაფი ნარბონი და ადიუტანტები. ისინი ღერბინდებით ბრძოლის ველისაკენ იფურებია. ნაპოლეონი წინ და უკან დადის. ზშირად ახველებს და ცდილობს ნერვიულობა დაფაროს.

ნაპოლეონი — (შეჩერდა. მზეს შეხედა. თავისთვის) ეს ხომ აუსტერლიცის მზე არის. (ნერვიულად შემოტრიალდა) იოახიმ!

მიურატო — გისმენთ, ჩემო იმპერატორო!

ნაპოლეონი — ნუთუ მარშალმა დავუმაც ვერ მოახერხა სემიონოვსკის ფლუმების აღება?

მიურატო — (მხრები აიჩჩა) თქვენო უდიდებულესობავ! (რუკაზე უჩვენა) მე მგონია აჯობებს, — რუსების მარცხენა ფრთას სოფელ უტიცადან შემოეჭაროთ და გვერდიდან დავარტყათ, — ამისათვის პონიატოვსკის კორპუსს კავალერიის ორი პოლკი დავუმატოთ და იერიშს შევუდგეთ. თორემ ბაგრატიონის არმიასთან პირისპირ ბრძოლა ძვირად დაგვიჯდება.

ნაპოლეონი — შენი აზრი კარგია, იოახიმ, მაგრამ საფრთხილია, რომ ცბიერ კუტუზოვს რაიმე ზაფანგი არ ჰქონდეს მოწყობილი სოფელ უტიცასთან.

(სცენაზე მარესკო შემოვარდა. ნაპოლეონი სმენად ვადაიქცა).

მარესკო — ას მეექვსე სამწერივო პოლკი მოწინააღმდეგის დივიზიის ალყაში მოხვდა. გენერალი პლოვონი, პოლკის ოფიცრებთან ერთად დაი-
ლუპა, თქვენო უდიდებულესობავ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ახველებს) პლოვონი?... ჩემი პლოვონი... ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს რუსები დამარცხებას სიკვდილს არჩევენ. (გალიზიანებული) დიდი სიამოვნებით! დიდი სიამოვნებით დავეხმარები მე მათ, რომ დიხონონ. მე ტყვია და ფინდიხი მათთვის არ მენანება. პლოვონი... ესეც ოცდამეშვიდე დაღუპული გენერალი დღეს. (თავისთვის) მე ძველად ბრძოლის დროს არასოდეს არ დამითვლია, რამდენი გენერალი ახ ჯარისაკაცი დამღუპვია. დღეს რა მომდის?... რად შევუღევი მე ამ მკვდრების თვლას და აღრიცხვას!

(სცენაზე მესამე ადიუტანტი შემოიჭრა).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობაე! გენერალ კომპანის დივიზია, რუსთა ბატარეების საშინელ ცეცხლის ქვეშ მოყვა. გენერალი კომპანი მძიმედ დაჭრილია, დივიზიის ოფიცრების უმრავლესობა დაიღუპა. თვით მარშალი დავუ გაეშურა უსარდლო დივიზიის მისამყვლებლად და შეტევა წარმატებით მიმდინარეობს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ჰმ! წარმატებით... ოცდა რვა... გენერალი კომპანი... უკვე ოცდა რვა...

(ჩველება იფარდა).

ნ ა რ ბ ო ნ ი — (ფხვნილს აწვდის) თქვენო უდიდებულესობაე! წამალი მიირთვით.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ნარბონს არც კი შეხედა. მარესკოს) გასწით საჩქაროდ, გადაეცით მარშალ ნეის, რომ თუ კი მარშალ დავუს შეტევა შეფერხდეს. თავისი კორპუსით საჩქაროდ მას მიეშველოს და სემიონოვსკის სიმაგრეების შუაგულს შეუტოს.

მ ი უ რ ა ტ ი — თქვენო უდიდებულესობაე! ვესტფალელთა კორპუსი?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (მეორე ადიუტანტს). საჩქაროდ გადაეცით მარშალ ყიუნოს, როგორც კი ნეის კორპუსი დაიძრას, — მან ვესტფალელების კორპუსით ბაგრატიონის მარცხენა ფრთას შეუტოს.

(ადიუტანტები გარბიან. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი მწარედ ახველებს და ჩქარი ნაბიჯით კარავს შედის).

მ ი უ რ ა ტ ი — (იმპერატორს თვალი გააყოლა). რა მოსდის? დღეს მე ველარ ცენობ ჩვენს იმპერატორს.

ბ ე რ ტ ი ე — ავად არის, ბატონებო. ექიმმა სთქვა, მძიმე სურდო აქვსო და საერთოდ გაციებულიაო სთქვა, რომ იმპერატორს, წუხელი ერთი საათიც არ უძინია.

მ ი უ რ ა ტ ი — ძველად ბრძოლის დროს, — დღე-ღამეები არ ეძინა, მაგრამ ასეთი აღლევებული მე ის არასოდეს არ მინახავს.

ნ ა რ ბ ო ნ ი — ბატონებო, იმპერატორი ალბათ ისეთ რაიმეს ხედავს დღევანდელ ბრძოლებში, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ, — ეს არის საველადო და საფიქრებელი.

ბ ე რ ტ ი ე — რუსეთის. ჰავა, ბატონებო, ცუდად მოქმედობს იმპერატორზე.

(მოსმის ცხენის ფეხის ხმა, ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი კარავიდან გამოდგარდა და სმენად გადაიქცა. სცენაზე მეოთხე ადიუტანტი შემოიჭრა).

მ ე-4 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (გახარებული) ჩემო იმპერატორო! გენერალ მორანის დივიზიამ იერიშით აიღო რუსთა პოზიციის ბატარეები.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ძლივს... მადლობა ღმერთს. (ადიუტანტს) გადაეცით მარშალ ბოგარნეს, — საჩქაროდ იტალიელების კორპუსით მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთას შეუტეოს და რუსების პოზიციის გარღვევა გააძლიეროს.

მ ე - 4 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მესმის, ჩემო იმპერატორო!

(საჩქაროდ გადის).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გახალისდა) ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. აი, იწყება ჩვენი გამარჯვება. (ღურბინდით ფრონტისაკენ იყურება. იმეორებს) გამარჯვება... იწყება გამარჯვება. (გალიზიანებული) ჟიუნო რად აგვიანებს შეტევას თავისი ვესტფალელი ლორებით.

მ ი უ რ ა ტ ი — რა მოგახსენოთ.

(სცენაზე მესამე ადიუტანტი შემოიჭრა).

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობავ! რუსებმა, მიუხედავად, დიდი დანაკარგისა, ხელჩართულ ბოძოლით დაიბრუნეს ბატარეების ყურგანი და გენერალი მორანის დივიზიამ უკან დაიხია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — დანაკარგისა... სტყუით... ყველანი სტყუით... დღევანდელ ბოძოლაში რუსებს ალბათ ასიოდე ჯარისკაცის მეტი არ დაუკარგავთ... გამოდის, რომ ერთი ბაგრატიონი თავისი მუჭა ჯარით დღეს ჯობნის ყველა ჩემს სახელგანთქმულ მარშალსა და გენერალს? — ეს ზღაპარია... მშისწრების მიერ მოჩამახული ზღაპარი. (ადიუტანტს) გადაეცით გენერალ მორანს, რომ ჩემთან უბრალო ჯარისკაცის მუნღირით გამოცხადდეს.

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (ფეხზე ძლივს დგას. ქანაობს) ჩემო იმპერატორო! გენერალი მორანი თქვენს წინაშე არასოდეს პასუხს აღარ აგებს, იგი გმირულად დაეცა ბოძოლის ველზე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ადიუტანტს) თქვენ დაპირილი ხართ?

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — არა ჩემო იმპერატორო! მე უკვე მკვდარი ვარ. (ამ სიტყვებთან ერთად დაეცა და მოკვდა).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გალიზიანებული) კეტუშოვის ადიუტანტი უხმოდ მოკვდებოდა. მორანი — ეს ჩემი ოცდა მეცხრე გენერალი. (მხლებლებს გადახედა). რა ხდება? რა ხდება, მე თქვენ გეკითხებით? მე დღეს საფრანგეთის იმპერიის უძლეველ არმიას ვხელმძღვანელობ თუ მშისწრა აესტრიელების ბრბოს, ან და ქონით ჩასიებულ პრუსიელების ჯოგს? ეგებ სიზმარში ვარ? არა. ბონაპარტეს სიზმრები არასოდეს არ ყვარებია. (ბერტიეს). ჩქარა... ჩქარა რუსი ტყვეები მომგვარეთ! მე თვით დაკითხავ, გავიგებ, — რა ხერხებითა და ოინებით ანადგურებენ რუს ბარბაროსთა ბრბოები ჩემი მარშლების კორპუსებს და დივიზიებს.

ბ ე რ ტ ი ე — ჯერჯერობით არც ერთი ტყვე არ არის თქვენო უდიდებულესობავ! რუსები არ გენებდებიან. ადგილზე სიკვდილს არჩევენ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ბერტიეს) მარშალო, გაეცით ბრძანება, — შეაგროვონ ყველა ბატარეა და სემიონოვსკის სიმაგრეებს ოთხასი ქვემეხიდან ცეცხლი გაუჩინონ.

(სცენაზე მეორე ადიუტანტი შემოიჭრა).

მ ე - 2 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობავ! მარშალმა დაევმ რუსების ბატარეები ხელახლა აიღო, მაგრამ რუსი არტილერისტები ბატა-

რეებზე დაიხოცნენ და უკანასკნელ წუთამდე აყრიდნენ ჩვენს გმირებს ფინდიხსა და ყუმბარებს. მარშალ დავეს ყუმბარით ცხენი მოუკლეს, თვით მარშალი კონტუზიით დაშავებული უგონოდ მიწაზე დაეცა. უმჯობესი ტიონი გააფთრებულ შემოტევებს განაგრძობს.

მ ი უ რ ა ტ ი — (ნაწყენი) დავე?!!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (თითქოს მიურატს შეუყვება) დავე... დავე... დავე... დიაღ, დავე... დავე... (მიურატს) საჩქაროდ შესცვალეთ მარშალი დავე და მისი კორპუსი ხელახლა წაიყვანეთ რუსების წინააღმდეგ. თან გაიყოლიეთ მარშალ ნეის მესამე კორპუსი, მარშალ ვიუნოს მერვე კორპუსი, ნანსუტის, მონზრიუნის და ლატურ მობურას სამივე კავალერიის კორპუსებიც თან წაიყვანეთ. მარშალს მიურატო! დღეს თქვენ ან ბაგრატიონის ხაზი გაარღვიეთ და გამარჯვება მომიტანეთ, ან და გამოეთხოვეთ ნეოპოლის სამეფო ტახტს.

მ ი უ რ ა ტ ი — (ნაწყენი) ჩემს სისხლს სამეფო ტახტისათვის არ ვყიდი ჩემო იმპერატორო! მე ჩემს თავს ვწირავ საფრანგეთის გამარჯვებისათვის.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გაცხარებულად). მედღეწესავით ნუ მევაპრები, იოახიმ როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი. ჩემი სურვილია, — დღეს, ბოროდინოში რუსეთის არმია გაეანადგურო და რაც შეეხება გმირი მეომრის სიცოცხლეს, — იგი ბრძოლის ველზე უნდა დაიღუპოს და არა მისი ცოლის საწოლ ოთახში, თუგინდ იგი იმპერატორის სიძეც იყოს.

მ ი უ რ ა ტ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

(სცენიდან გადარდა).

მ ი უ რ ა ტ ი ს მ ქ ე ქ ა რ ე ხ მ ა — (სცენის გარეთ). გაუმარჯოს იმპერატორს!

ა რ მ ი ი ს ღ რ ი ა ლ ი — გაუმარჯოს იმპერატორს!

მ ი უ რ ა ტ ი ს ხ მ ა — წინ იმპერატორისათვის!

ა რ მ ი ი ს ღ რ ი ა ლ ი — გაუმარჯოს იმპერატორს.

(მოსმის კავალერიის ცხენთა თქარუნი, რომელიც არმიის დრიალთან ერთად: — „გაუმარჯოს იმპერატორს“, — თანდათან შორს მიდის და იკარგება. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი წინ და უკან დადის, ახველებს და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდს. ბრწყინვალე კოლონადან გამოდები ამოიღო და წუწნა დაუწყო სცენაზე მ ა რ ე ს კ ო შემოიპრას).

მ ა რ ე ს კ ო — თქვენო უდიდებულესობავ! თავად პონიატოვსკის კორპუსი ჩასაფრებულ რუს გენერლების დივიზიების ალყაში მოყვა და ნახევრად განადგურდა. პონიატოვსკი მანველ ჯარს ვთხოვთ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მარესკო! გადაეცი პონიატოვსკის, რომ თუ კი ის ალყიდან თავს ვერ დააღწევს და რუსების პოზიციას მარცხენა ფრთიდან არ დაარტყამს, — პოლონეთის ტახტის მაგიერ, — იმპერატორის პანტლუსს მიიღებს.

მ ა რ ე ს კ ო — მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

(სცენიდან გარბის).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — შშიშარა, გაიძვერა გენერალი. არაფერი მას არ აინტერესებს გარდა ორპირობასა და დალატისა. ნუთუ ცულლუტი პონიატოვსკი იმას ფიქრობს, რომ მე მას პოლონეთის ტახტს მივცემ და ვარშავაში მეფედ დავაჯენ?

ნ ა რ ბ ო ნ ი — (დურბინდით ფრონტისაკენ იყურება) სემიონოვსკის სიმაგრეებზე დიდი ბრძოლები გაჩაღდა.

(სცენაზე მესამე ადიუტანტი შემოიჭრა).

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობავ! თუმცა რუსები საშინელ შემოტევებს განაგრძობენ, მაგრამ მარშალი ნეი სამი დღეიწიით სემიონოვსკის სიმაგრეებზე შეიჭრა და სისხლისმღვრელ ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებს. გენერლების ვორონცოვისა და ტუჩკოვის დღეიწიები ნახევრად გაელეტილია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — გადაეცით მარშალ ნეის ჩემი მადლობა.

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

(მან სცენიდან გაქცევა ვერ მოასწრო, რომ მეორე ადიუტანტი შემოიჭრა).

მ ე - 2 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობავ! მარშალმა ბოგარნემ ორი გააფთრებული შეტევის შემდეგ დაიკავა რუსების ბატარეების ყურგანი, მაგრამ რუსებმა გიყეზივით შემოუტეეს და ბატარეები უკანვე დაიბრუნეს. ბრიგადის გენერალი ბონამი პუსარებმა ტყვედ წაიყვანეს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ვაშა!!! ვაშა რუსებს! ჩვენ ტყვედ ხელში ერთი ჯარისკაცი ვერ ჩავიდეთ, მაგათ კი ჩემი გენერლები მიჰყავთ. ვინ იცის საღამომდე ეგებ მარშლებიც წამართვან. (ბერტიეს შემოუბრუნდა). ოლონდ მიჩვენეთ... როგორმე აქ მომიყვანეთ ის რუსი ჯარისკაცი, რომელმაც ჩემს გენერალს ბონამის კისერში ხელი წააელო და დამხრჩვალნი ძაღლივით ტყვედ წაათრია, — მე მას ხვალვე ხელში საფრანგეთის მარშლის კვერთხს მიეცემ და სინდისს ვფიცავ მისთვის პოლონეთის ტახტიც არ დავიშურო. (ამის შემდეგ მან ისე შეათვლიერა თავისი მხლებლები, თითქოს შერცხვია, რომ მათთან ასე გულახდილად ლაპარაკობს. დაიწყო წინ და უკან სიარული. შეჩერდა და სხვების გასაგონად წარმოთქვა) დღეს ჭადრაკის დაფაზე ჯერ ჩემი გადამწყვეტი სვლა არ გამოიკეთებია. (ბრძოლის ველის გეგმას დააკერდა) ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. (გეგმაზე თითი დაადო და ბერტიეს შეეკითხა). მე მგონია კარგი იქნება რომ კავალერაის ერთი დივიზია სოფელ მიშინოს მიმართულებით გავგზავნოთ, რომ ის შემდეგ ტყით პსარეგოსაკენ გაემართოს და სემიონოვსკის სიმაგრეებს ზურგიდან დაარტყას.

ბ ე რ ტ ი ე — მიშინოდან პსარეგომდე, ტყეები მოწინააღმდეგის მწვერავ რაზმებითაა სავსე. მოგეხსენებათ, რომ კუტუზოვი ფრთხილი და კუქიანი სარდალია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — კუქიანი... (ბერტიეს გულმოსულმა გადახედა) დღეს თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოს საფრანგეთის მარშალი კი არა კუტუზოვის ადიუტანტი იყოთ.

(სცენაზე მ ა რ ე ს კ ო შემობრბის).

მ ა რ ე ს კ ო — თქვენო უდიდებულესობავ! თანახმად თქვენი ბრძანებისა, — მარშალი მიურატი შეერთებული ძალებით, მარშლების — დავუს, ნეის, ვიუნოს და გენერლების ნანსუტის, მონბრუენის და ლატურმობურას კორპუსებით, — სემიონოვსკის სიმაგრეებზე შეიჭრა და რუსები უკუ აქცია. ბაგრატიონის გააფთრებული კონტრშემოტევები უშედეგოდ რჩე-

ბა. ხევები და სიმაგრეები მტრების გვამებით აივსო. რუსები დაბრუნდნენ, ჩემო იმპერატორო!

ნ ა რ ბ ო ნ ი — (თავისთვის) მადლობა ღმერთს!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — გადაეციე მარშალ მიურატს, სემიონოვსკთან შეტევა არ შეაჩეროს. ადგილზე ბრძოლისათვის მარშლების ნებისა და დავუს კორპუსები დასტოვოს, თვითონ კი კავალერიის ნაწილებით ელვისებურად წინ გასწიოს და სოფელ ტატარინოვოსთან მოსკოვის გზა გადასტრას. ამით კუტუზოვის შტაბსა და ბარკლას პირველ არმიას ზურგში მოექცეს და ალყა შემოარტყას.

მ ა რ ე ს კ ო — მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

(სცენიდან გარბის).

ნ ა რ ბ ო ნ ი — (გახარებული) საქმე კარგად მიდის. დღეს იწყება დიდი არმიის გამარჯვების ჩვეულებრივი ფინალი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ყველა ამ ლამაზ სიტყვას მე ის მერჩია, ჩემო ნარბონ, ჩემთვის ერთი პატარა ცნობა მოეტანათ, გენერალი ბაგრატიონი დაიღუპაო. დღეის შემდეგ აღარ მინდოდა ჩემს სამხედრო გეგმებში მისი გვარი გამეგონა. (ბერტიეს) მარშალო! გაეცი ბრძანება ძველი გვარდია მოემზადოს!

ბ ე რ ტ ი ე — გვარდია მზად არის, თქვენო უდიდებულესობავ!

(სცენაზე მეოთხე აღიუტანტი შემოიჭრა).

მ ე-4 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობავ! სოფლების ლოგინოვოსა და ბეზუზხოვოს მიმართულებით, — ჩვენს არმიას ზურგიდან შემოუტია რუსების კავალერიამ და კაზაკებმა გენერალ უვაროვისა და ატამან პლატოვის მეთაურობით. ჩვენი ფეხოსანი დივიზია უკუქცეულ იქნა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გაკვირებული) ჩვენს ზურგში?

მ ე-4 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ! კაზაკები და კავალერია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (დინჯად შემოტრიალდა, თითქოს ყოველი მხრიდან ხიფათს მოელოდეს. ბერტიეს). ძველი გვარდია მოამზადე, მარშალო.

ბ ე რ ტ ი ე — გვარდია მზად არის, თქვენო უდიდებულესობავ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — ეშმაკმა დალაზეროს, ასეთი ბრძოლა ვის გაუგონია? — ეს ომის ყოველგვარ კანონებს ეწინააღმდეგება. ჩვენ აქ მარშლებით, ქვემეხებით და ომის უკანასკნელი ტექნიკით ვიბრძვი, — კუტუზოვს კი ჩემს წინააღმდეგ, ვილაც ატამანები და წვერებიანი ეშმაკები გამოყავს. უუპ, დაწყველილო ქვეყანავ!!! (სცენაზე შიშველი დაშნით მარშალი ნეი შემოიჭრა. გაკვირვებულმა ნაპოლეონმა შესძახა). ნეი?!

ნ ე ი — ჩემო იმპერატორო!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — რა მომიტანე, მარშალო?

ნ ე ი — დამხმარე ძალები გვჭირდება, თქვენო უდიდებულესობავ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (მოუთმენლად) სემიონოვსკის ფლუშები ხომ აიღეთ... მეორე არმია ხომ გაანადგურეთ??

ნ ე ი — (აღელვებული) თქვენო უდიდებულესობავ! რუსებმა უკანასკნელი ძალა იხმარეს და სემიონოვსკის ფლუშები უკანვე დაიბრუნეს. მათი გრენადერებისა და კირასირების გვამთა მთები დაეაყენეთ, მაგრამ პირა-

დად ბაგრატიონის მეთაურობით შეტევაზე გადმოსული რუსი ჯარისკაცები მხეცებივით იბრძოდნენ და მარშალი მიურატი ტყვედ კინაღამ წაიყვანეს.



ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გაოგნებული) დიდებულია...

ნ ე ი — სიტყვას გაძლევთ იმპერატორო, რომ ეს მათი უკანასკნელი შემოტევაა. დამხმარე ძალები მოგვეციოთ და დღეს რუსეთზე საბოლოო გამარჯვებას მოგიტანოთ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (ნების მივარდა, ხელით მკერდზე შეეხო, თითქოს მოსინჯავს მართლა ნეია თუ არა). ნუთუ შენ ნეი ხარ, ჩემო გულადო მარშალო... ნეი!! ეს რა მესმის — შენ მე დამხმარებას მთხოვ. განა შენთვის საკმარისი არ იყო ჩემი ერთი ბრძანება? რომ შენ ქალაქები, რესპუბლიკები და სახელმწიფოები აგელო და მიწასთან გაგესწორებინა?

(საშინელი ხელა აფვარდა. სცენაზე მიურატი შემოიჭრა. მას უკან მარეკო მოსდევს).

მ ი უ რ ა ტ ი — (შემოსვლისთანავე) ჩემო იმპერატორო! თუ დამხმარე ძალებს მოგვეცემო, დღეს რუსეთზე საბოლოო გამარჯვებას მოგართმევთ. ეს მათი უკანასკნელი შემოტევაა, მომაცდების უკანასკნელი ამოსუნთქვაა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მარშალო! მე რეზერვები აღარა მყავს.

ნ ე ი — ძველი გვარდია, იმპერატორო!

ბ ე რ ტ ი ე — გვარდია უნდა მივაშველოთ, თქვენო უდიდებულესობა!

მ ი უ რ ა ტ ი — ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, ჩემო იმპერატორო!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (გაცეცხლებული). გვარდიას ვერ მოგვეცემო, მარშლებო! ძველი გვარდია დღეს ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მე ვერ გავიმეტებ ჩემს უკანასკნელ რეზერვს. ნუ დაივიწყებთ, რომ პარიზიდან სამიათასი კილომეტრით ვართ დაშორებული. მე თქვენ გეკითხებით, — ხვალ რომ ბრძოლა მოგვიხდეს, მტერი რა ძალებით მოვიგერიოთ, თუ არა ძველი გვარდიით?

მ ი უ რ ა ტ ი — სიტყვას გაძლევთ, რომ დღევანდელ ბრძოლაში საბოლოოდ განადგურდება რუსეთის არმია, ჩემო იმპერატორო!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — თქვენ გავიწყდებათ, ჩემო მარშლებო, რომ დღეს დილიდან საღამომდე მთელი ჩვენი ძალებით მხოლოდ ბაგრატიონის არმიას ვებრძვიოთ. კუტუზოვს კი ბოროდინოსთან ბარკლას არმია ჯერ ხელუნლებელი ყავს და ამასთან ერთად რაღაც სახალხო ლაშქრობების დივიზიებიც.

ნ ე ი — სიტყვას გაძლევთ იმპერატორო, რომ კუტუზოვს ვაიძულებთ დღეს ბარკლას არმიაც ჩააბას ცეცხლში და ხვალ მას ბრძოლის საშუალება აღარ ექნება.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — თქვენი უბედურება იმაშია, ნეი, რომ არ იცით, რა გამოცდილი და დიდი სარდალია კუტუზოვი.

ბ ე რ ტ ი ე — გვარდიის გამოსვლა ბრძოლის ბედს ერთ საათში გადასწყვეტს, ჩემო იმპერატორო.

მ ი უ რ ა ტ ი — გვარდია მოგვეცი, იმპერატორო, ძველი გვარდია!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — გვარდიას ვერ მოგვეცემო! სად არიან თქვენი კორპუსები? (სცენაზე მარშალი ეიუნო შემოიჭრა. ნაპოლეონმა მას ხმის ამოღება არ აცალა, მიაყვირა) ეიუნო, შენც მიატოვე ფრონტი? (მარშლებს გადახე-

და) იმპერიის სახელგანთქმულო მარშლებო! მიუხრატ, ნეი, დეკუ, ბოგარნე, — სად დაიკარგა თქვენი ვაჟკაცობა და გამარჯვებანი? თქვენ არ იბრძოდით ეგვიპტეში პირამიდებთან? თქვენ არ გაფრინდით აფრიკის კრომთან ძლევაშისილი თურქთა არმიას? განა დაგაეიწყდათ ლოდი და რიეოლის გამარჯვებანი? დაგაეიწყდათ მარენგო და აუსტერლიცი? იენა და ფრიდლანდი, — ან და ვაგრამი, — სადაც თქვენი შეტევები წარლენასა და მეორედ მოსვლას გაედა?..

მ ი უ რ ა ტ ი — ჩვენ იგოენი ვართ, ჩემო იმპერატორო!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — მაშ აქ რა გემართებათ, ველური რუსეთის სოფელ ბოროდინოსთან? ეგებ რუსებს ზღაპარი ჰგონიათ და არ უნდათ დარწმუნდნენ იმაში, რომ ცხრაშეტ ბრიუმერს გულადმა მიუხრატმა, — უბრალო მიკიტანის შვილმა, — სენ-კლუს სასახლეში, პირადად გასწმინდა ხუთასთა საბჭოს დარბაზი და ამით დახურა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის წიგნი?

მ ი უ რ ა ტ ი — ჩემო იმპერატორო!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (შეაწყვეტინა) ეგებ რუსებს არც ის სჯერათ, რომ ლორენის ღალატი მოხელის შვილი, საფრანგეთის უგულადესი მარშალი ნეი, — ხვალ მოსკოვის თაეადად უნდა გამოვაცხადო. ეგებ არც ის სჯერათ, რომ მარშალი ჟიუნო...

(სცენაზე შესაე ადოტანტი შემოიჭრა).

მ ე - 3 ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენო უდიდებულესობაე! ჩვენი კავალერია რუსებმა უყუაქციეს. ბაგრატიონი შემოტევაზე გადმოვიდა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — (წელში გაიმართა, თითქოს დაწყნარდა. აღიმართა არა დამარცხებებით ანერეიულებული სარდალი, არამედ თითქოს უძლეველი იმპერატორა. ბერტაესაკენ შეტრიალდა). მარშალო, გვარდია მზად იყოლიეთ და ადგილიდან არ დაძრათ! (დანარჩენ მარშლებს) ჩემო მარშლებო! ბრძანება გაეცით, — ყველა მოქმედი კორპუსი შევარდინოს სიმაგრებთან შემოგროვონ. ბატარეები სემიონოვსკის ფლემების გასწერივ სიმაღლეებზე წინ წამოსწიონ. ბრძოლას რუსების წინააღმდეგ თვით იმპერატორი უხელმძღვანელებს.

(ჩქარი ნაბიჯით სცენიდან გადის, უცან მარშლები მიყვებიან).



მოკმედევა მხსუთი
სურათი პირველი

„ბაგრატიონი“.

ჩვენ გვინახავს ბაგრატიონი, — შრისხანე, ბრწყინვალე და ღიღებელი, მაგრამ იგი არასოდეს ასეთი არ ყოფილა. სააღლუმო ტანსაცმელში გამოწყობილი, აელვარებული ორდენებით, მარცხენა ხელში თეთრი ხელთათმანებით, მარჯვენაში შიშველი დამწით, — იგი თითქოს საყვდროს სიცოცხლო ბრძოლას კი არა, — ზამთრის სასახლის წინ საღვთსაწაულო აღლუმს ხელმძღვანელობდა. სემიონოვსკის სიმაგრეების სიმაღლეზე, — საიდანაც ბაგრატიონი ბრძოლას ხელმძღვანელობს, სჩანს მოწინააღმდეგის მრავალი ყუმბარა დაცემულა და აფეთქებულა. სიმაღლეებზე განლაგებულია ქვეშეხები, ტელესკოპები და სამფეხებზე მიმაგრებული დურბინდები. ბაგრატიონის გარშემო დგანან: სენ-პარი, კონოვნიცინი, კოხტა და ექიმი განჯარტი. ყველანი სააღლუმოდ გამოწყობილი არიან. დარბიან სანიტრები, რომლებსაც ბრძოლის ველიდან გამოყავთ დაჭრილი ოფიცრები და ჯარისკაცები.

მოსისი ქვეშეხების კანტაკუნტი გრთალი, იარაღთა ელარენი, რუსული „ურა“ და დაჭრილთა კენესა.

ბაგრატიონი — (გულნაწყენმა ხელი ხელზე შემოკრა და შესძახა) ევეჰ! კიდევ გამისხლტა ხელიდან მიურატი.

კონოვნიცინი — (დურბინდით ფლეშებისაკენ იყურება) ესეც შეეჭვსე შემოტევა უკუვაჭკეთ.

სენ-პარი — ხედავთ შევარდინოსთან, როგორ შავი ღრუბლებივით გროვდებიან მარშალთა ჯარები.

კონოვნიცინი — ჩანს, დამარცხებებით გაბრაზებული ნაპოლეონი უკანასკნელ ძალებს იკრებს.

სენ-პარი — (დურბინდით იყურება). ჩემის აზრით კორსიკელ მხეცს ორმოციათასამდე მეომარი გამოყავს.

ბაგრატიონი — (გალიზიანებული) თქვენას აზრით?

სენ-პარი — დიაღ, თავადო! ჩვენ კი ოციათასი ჯარისკაცი დაგვრჩა.

ბაგრატიონი — (სენ-პარის) ჩოთქზე ანგარიში დახლიდარების საქმეა და არა ომის ოსტატების, ემანუილ ფრანცევიჩ! ველარ გამიგია, თქვენ წვრილი ვაჭარი ბრძანდებით, თუ გენერალი. მე ერთი მუჭა რუსი ლომებით არა ერთხელ მომიგერებია და გამიქცევია ბრწყინვალე მარშლებითურთ ნაპოლეონის დიდი არმია. (მწარედ ამოიოხრა) დღეს კი მარშალი მიურატი არ უნდა გამქცეოდა.

კონოვნიცინი — მას ისე მიაქროლებდა თეთრი ბედაური, რომ გულადი მარშალი უნაგორზე აღარც კი ჩანდა... გაქცევა რა ეაყაკობა!

ბაგრატიონი — გაქცევა... გაქცეულ მტერს წაქცეული სჯობია, საყვარელო გენერალო! (მაგიდაზე დადებულ ბრძოლის გეგმას მივიარდა, ხარბად ათვალავიერებს, თითით ხაზავს და თავისთვის ბუტბუტებს) კიდევ ერთი ზაფანგი, რომ ნაპოლეონს ფეხები მივამტერიო... მაგრამ რითი? რა ძალებით?

(სცენაზე აღივტანტი ვასილ დავიდოვი შემოიჭრა).

დავიდოვი — ჩემო თავადო! მარცხენა ფრთაზე უტიცასთან, პონიატოვსკიმ შემოტევა განახლა. გენერალი ტუჩკოვი მესამე ხელჩართულ ბრძოლაში გამორულად დაიღუპა. ჩვენები გააფთრებულ წინააღმდეგობას განაგრძობენ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ამოიოხრა) ეგე, ტუჩკოვი... ჩემო ალექსეი (დავითაძეს) გაფრინდი... ფრთები შეისხი, ვასია! გენერალ ტუჩკოვ პირველს გადაეცი ჩემი ბრძანება, — თავისი დივიზიით დალუპული მძევლებს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, პონიატოვსკის შემოტევა მოიგერიოს. გადაეცი, რომ ჩემგან დამხმარე ძალებს ნუ მოელის...

(სცენაზე აღიუტანტი გ რ ა ბ ო ვ ს კ ი შემოვარდება).

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — თქვენო უგანათლებულესობავ! გენერალი ტუჩკოვი პირველი, მძიმედ დაჭრილი, ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს, — ფრანგების კავალერია მარცხენა ფრთის სიმაგრეებზე შემოიჭრა.

კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი — ეს რა ხდება.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კონოვნიცინს) გენერალ კონოვნიცინო, შენი არწივებით პოზიციის მარცხენა ფრთა გადავირჩინე!

კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი — მესმის, თავადო!

(სცენიდან გარბის).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კონოვნიცინს მიაძახა) პიოტრ პეტროვიჩ! მარჯვედ იყავი. შენზეა დღეს ბედი გამარჯვებისა. (უცხად აღიუტანტი გ რ ა ბ ო ვ ს კ ის შემოღობუნდა) გაფრინდი, ლეონიდი, ფრთები შეისხი! გენერალ პასკევიჩს გადაეცი — მხოლოდ ხუთი წუთი, — ათი წუთით გამაგრდეს. თხუთმეტი წუთით და დამხმარე დივიზიებს მივაშველებ. გადაეცი; რომ მასზეა დამოკიდებულებული დღეს ბედი გამარჯვებისა.

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — მესმის, თავადო!

(სცენიდან გარბის).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გრამბოვსკის თვალი გააყოლა. ხელები გაშალა). სადღა ვიშოვნო დამხმარე დივიზიები. თქვენც კარგად იცით, ჩემო გენერლებო, რომ ბაგრატიონს არ ენანება დღეს თავისი თავი. მაგრამ ერთზე ოცი მოდის, წყდებიან, მაგრამ ახლები ცვლიან, — მე კი შემცვლელი ძალაც არა მყავს. (სცენაზე ბრძოლით გარუჯული, საყვლოშემოხეული, დაჭრილი, თავშეხვეული გრაფი ვორონცოვი შემოიჭრა. ბაგრატიონი მწარედ იღიმება). ოჰ, მიხეილ სემიონოვიჩ! შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეს?

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — (ფლუშებისაკენ იყურება). იცოცხლე, თავადო მე ისინი ვკაფე. მაგრამ... (გაბრაზებულმა) ერთი დივიზია კიდევ, ერთი დივიზია მომეცით და...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გაისად, გრაფ! გაისად მოგცემ, თუ დღეს ცოცხალი გადავრჩი, — ჯერ გაუწვრთნელები არიან.

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — (ხელი ჩაიქნია) წყალი მაინც დამალევინეთ.

გ ა ნ გ ა რ ტ ი — (წყალს მიაწვდის) ჭრილობა მიჩვევით, ბატონო გენერალო!

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — საჭირო არ არის, ბატონო ექიმო. რა წამალი შეაბორცებს დღეს რუსი გენერლის ჭრილობას, გარდა გამარჯვებისა. (წყალი დალია. ბაგრატიონს შემოიუბრუნდა) რას მიბრძანებთ, სარდალო?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — თქვენს დასახმარებლად გენერალი ნევეროვსკი გადმოვისროლე თავისი დივიზიით.

ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი — გმადლობთ, თავადო! (დინჯი ნაბიჯით უკანვე წავიდა. სიმაღლეზე შეჩერდა. ხელი გაიშვირა) ხედავთ შევარდნოდან დაიძრნენ, ალბათ გადამწყვეტი შემოტევა განიზრახეს

(დ ო რ ო ნ ც ო ვ ი სცენიდან გარბის).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დავიდოვს) ვასია, გასწი შენებურად! რაფესკის გო-
დაეცი, — გენერალ ლვოვის დივიზია ჩემს განკარგულებაში გადმოგზავ-
ნოს, გენერალი ვასილიკოვი თავისი ჰუსარებით ნევეროვსკის დივიზიას
ფეხდაფეხ გაჰყვეს და ჩემს ბრძანებას დაელოდოს.

და ვ ი დ ო ვ ი — მესმის, თავადო!

(სცენიდან გარბის).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (სენ-პრის) ემანუელ ფრანცევიჩ! ახლავე პირადად გა-
სინჯეთ ქვეშეხები, გაალაგეთ სემიონოვსკის გასწვრივ და ბრძანება გაე-
ცით, საშინელი ფინდიხისა და ყუმბარების ცეცხლით შეეგებონ მარ-
შალთა კორპუსებს.

ს ე ნ - პ რ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო.

(სცენიდან გადის. სცენაზე აღუტანტი ვ ა გ ა რ ი ნ ი შემოიჭრა).

ვ ა გ ა რ ი ნ ი — თქვენო უგანათლებულესობავ! ფლეშების მარჯვენა ფრთაზე
გენერალმა მაკაროვმა სრულიად გაანადგურა გენერალ ნანსუტის სა-
მწკრივო პოლკი, მაგრამ ფრანგების კავალერიამ გაათრებული შემო-
ტევა განაახლა და ჩვენი დივიზია თოვლივით დნება, ჩემო თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ვაგარინს) გაფრინდი, ფეღია! ჩემი ბრძანება გადაეცი,
რომ ახტირისა და ნოვოროსისკის ჰუსარები შუა ფლეშებზე გადმოის-
როლონ.

(ამ დროს „უკას“ ძახილი შეწუდა და ქაოტური ხმაური ატყდა. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი
უცერად შემოტრიალდა).

რა ამბავია?

ვ ა გ ა რ ი ნ ი — (აღელვებული) ფრანგებმა პოზიცია გაარღვიეს.

კ ო ხ ტ ა — გრენადერების პოლკი უწესრიგოდ უკან იხვეს.

ვ ა გ ა რ ი ნ ი — (ბაგრატიონს) თავადო, აქ დარჩენა სახიფათოა, გემუდარე-
ბით საფარი მოქებნოთ!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — როგორ გაზედეს.

(სცენაზე ს ე ნ - პ რ ი შემოიჭრა).

ს ე ნ - პ რ ი — სარდალო! თავს უშველეთ. (ხელში ეცა ბაგრატიონს, რომელიც
გამოქცეული გრენადერების შეზედრას აპირებს). გემუდარებით აზრზე
მოხვიდეთ, მთავარსარდალო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (სენ-პრის) თავადი კუტუშოვის ბრძანება ხომ იცით, გე-
ნერალო? ფრანგებისათვის სემიონოვსკის ფლეშები დაკეტლია, ბრძო-
ლის მისაღებად მოემზადეთ! ბაგრატიონი ფრონტიდან არასოდეს არ
გაქცეულა და ვერც მოესწრება ამას ნაპოლეონი მისი მარშლებით.

ს ე ნ - პ რ ი — ფრანგებმა ფრონტი გაარღვიეს, გრენადერები გამორბიან.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — უკანვე დაბრუნდებიან! (სცენაზე რეეაზი შემოიჭრა.
განრისხებულმა ბაგრატიონმა ძმას მიაცვირა) შენ აქ რა გინდა?

რ ე ე ა ზ ი — (დაშნა იშმშელა). რაევსკიმ ჩემი პოლკით ფლეშებზე გადმო-
მაგზავნა!

(კ ო ხ ტ ა მ, ს ე ნ - პ რ ი მ, ვ ა გ ა რ ი ნ ი მ და ვ ა ნ გ ა რ ტ მ ა დაშნები იშმშელს.
ფლეშებიდან სცენაზე გრენადერები შემორბიან).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შეყვირა) ჰეი, გულადო გრენადერებო! სად გამოჩნ-
ხართ? (სცენაზე ბრძოლით გარუჯული და ჩამოფლეთილი გრენადერე-
ბის კაპიტანი შემოიჭრა. ბაგრატიონმა კაპიტანს დაშინთ ვაზა ვაძულობა)
სად გარბიხარ, კაპიტანო, პოზიციაზე ვინ დატოვე?

კ ა პ ი ტ ა ნ ი — (სასოწარკვეთილი). ჯოჯოხეთია, თავადო! ჯოჯოხეთია!
ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კაპიტანს) იქ თუ ჯოჯოხეთია, შენც ეშმაკად გადაიქციე.
(გრენადერებს შეყვირა) მე ხომ აქა ვარ. აქა ვარ ბაგრატიონი. დაჯექით,
ძმებო, დაისვენეთ.

(ჯდება მიწაზე, გავირევებული გრენადერებიც ჯდებაინ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი უცბად
ზეზე წამოიჭრა).

კ ა პ ი ტ ა ნ ი — (შეყვირა) დაწექით, მთავარსარდალო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ხმაშალა ბრძანებით) ზეზე ადექით! (გრენადერები
ზეზე წამოცვივდნენ) ჩვენს უკან დედა რუსეთია... წინ კი სახელი და გა-
მარჯება!

(„ურა“ შესძახეს გრენადერებმა და ფონტისაკენ შემოტრიალდნენ. ამ დრო სცენაზე
ფრანგების ფეხოსანი ნაწილის პირველი ჯარისკაცები გამოჩნდნენ, რომლებმაც ბ ა გ-
რ ა ტ ი ო ნ ს ხიშტებით შეუტყეს. კ ო ხ ტ ა, ს ე ნ - პ რ ი, გ ა ვ ა რ ი ნ ი და რ ე ვ ა ზ ი
წინ გაეარდნენ და ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა ნ ერთად მტრის ჯარისკაცებს ხოცავენ).

კ ო ხ ტ ა — (ფრანგ ოფიცერს, რომელმაც სენ-პრის დაშნა უხეიროდ მოუქნია)
აი მუსიო, დაშნის ხმარება ასე უნდა!

(და ოფიცერს დაშნა მკერდში გაუყარა. გრენადერებით შევიწროვებული ფრანგები უკან
შებრუნდნენ).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შესძახა) რუსეთისათვის, სამშობლოსათვის წინ, მეგობ-
რებო! ურაა!

(და ფრანგებს უკან გამოუდგა. „ურაა“ გრიოდებს სცენის გარეთ. ზელაზალ შეტევაზე
გადასულ გრენადერების მკეპარე ხმა სცენა დროებით დაკარგულა, მხოლოდ ბაგრა-
ტიონის მიერ შეტევაზე გადაყვანილი ნაწილის ბრძოლის ხმაური მოისმის. სცენაზე
კ ა რ ა ც ა პ ო ვ ს, მ ის შ ე ლ ს ნ ი კ ო ლ ა ი ს და ო რ ჯ ა რ ის კ ა ც ს დიდი ქვაბით ქაშის
შეშოკეთ).

კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — დავიგვიანეთ. დილიდან სარდალი და ჯარისკაცები მშო-
ერები არიან და ისე იბრძვიან.

I ჯ ა რ ის კ ა ც ი — ქამისათვის დღეს ვის სცალია, ივან ანდრეევიჩ. (ქვაბზე
რალაცამ გაირაწყუნა) ეს რა იყო?

II ჯ ა რ ის კ ა ც ი — რა იყო და ქვაბს ტყვია მოხვდა.

I ჯ ა რ ის კ ა ც ი — რა უბედურებაა.

II ჯ ა რ ის კ ა ც ი — არაფერია, ტყვია მატლი კი არ არის, ქაშს არ გააფუ-
ჭებს.

კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — (ფლეშებისაკენ იყურება) რა საშინელი ბრძოლაა. (ნიკო-
ლაის) აჭედან წადი, შეილო, უკან დაბრუნდი.

(სცენაზე აღდგებულ კ ო ხ ტ ა ი ს ო ვ ი შემოიჭრა, ფლეშებისაკენ იყურება).

კ უ ტ ა ი ს ო ვ ი — (კარაცაპოვს) ბაგრატიონი სად არის?

კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — აი, ბატონო გენერალო, ზედადით, თავადი გრენადერებით
ფლეშებზე შეიჭრა. ოჰო, რა საშინელი ჩეხვია და ბროძლაა.



ნიკოლაი — (გახარებული შეკვივლებს) გარბიან, გარბიან, ხედავ, მამა?
 კარაცაპოვი — (შესძახა) ვაიმე... ბაგრატიონი დაეცა!
 კუტაისოვი — (კარაცაპოვს). რა გულბ გიძლებს, რუსო ოფიცერი, რომ ხელჩართულ ბრძოლას შორიდან უყურებ.

(დაშნა იმიშვლა და ფლუმებისაკენ გაქანა).

კარაცაპოვი — (ნაკებნივით გამწარდა, კუტაისოვს ზიადხა). ბატონო გენერალო, ნუ გგონიათ, თქვენზე ნაკლები ვაქვაცური სიკვდილი შეგვეძლოს ან მე და ან ჩემს პატარა ბიჭუნას. (ძირს დაწვა, მკვდარი ფრანგი ოფიცრის დაშნა შვილს ხელში მიაჩეჩა). აიღე, შვილო, ერთხელ სიკვდილი გვიწერია, გამირულად მაინც დავიხოცოთ!

(ფლუმებისაკენ გაქანა, თან შვილი გამოუდგა. სცენაზე გენერლები პლატოვი და ერმოლოვი შემოიჭრნენ. ფლუმებისაკენ იყურებიან).

ერმოლოვი — ვინ არის, ეს დაჭრილი გენერალი რომ მიყავთ?
 პლატოვი — (სასოწარკვეთილი) მგონი ბაგრატიონია.
 ერმოლოვი — არა, ბაგრატიონი აგერ მიდის. ეს სენ-პრია.
 პლატოვი — (გაკვირვებული) სენ-პრია?
 ერმოლოვი — ჩვენებმა ფლუმები დაიბრუნეს. ეს რა ამბავია, ატამანო, ასეთი ბრძოლა ისტორიას არ ახსოვს. ხედავთ დაზოცილთა მთები დგას.
 პლატოვი — ჯერ კიდევ არ ჩანს, როდის იქნება ამ ბრძოლის დასასრული. (ქვაბს გადახედა) ქაში ცხელია, თუ უკვე გაიფიქრა.
 ერმოლოვი — ცხელია, ბატონო გენერალო.
 პლატოვი — აბა, კოვზი მომეცი. (კოვზი აიღო, ქაშის ქამა დაიწყო) გემრიელია.

(შემოდის ბაგრატიონი, დაშნის პირს თეთრი ხელთათმანებით წმენდს, მას თან კოხტა და გაგარინი შემოყვებიან).

ბაგრატიონი — (პლატოვს) ქაში გემრიელია, ატამანო?
 პლატოვი — დიდებულია, ჩემო თავადო.
 ბაგრატიონი — ჩვენს გრენადერებს მსოფლიოში ჯარისკაცი არ სჯობია. (ერმოლოვს) კუტაისოვი რა უყავით?
 ერმოლოვი — კიდევ გამოგვექცა, — ალბათ სადმე ხელჩართულ ბრძოლაშია. (ხელი გაიშვირა). ხედავ, თავადო! შევარდინოდან რამხელა ძალა დაიძრა.

ბაგრატიონი — ვხედავ, ბატონო გენერალო, არც მე დავხედები იშპერატორს ჯერჯერობით ხელცარიელი, მაგრამ უკვე მიჭირს... (გაგარინს) გაფრინდი, ფელია, თავად კუტუზოვს შეატყობინე, რომ სემიონოვსკის სიმაგრეები სასიკვდილო განსაცდელშია. გადაეცი, რომ ზუთმეტი გენერალი მომიკლეს, გადაეცი, რომ გვარდიის შეერთებული დივიზიები ფლუმებზე დაწუნენ. კონოვნიცინის დივიზია ნახევრად განადგურებულია, რაევსკის სემაგრეები ხელიდან ხელში გადადის. გადაეცი, რომ სემიონოვსკის ფლუმებზე ნაპოლეონის ჯარისკაცთა არანაკლებ ორმოციათასი გუამი აგდია და მისი ორმოცდაშვიდი გენერალი დაიღუპა. მოკლედ გადაეცი, რაც საჭიროა და რასაც აქ ხედავ. აბა, შენებურად ფრთები შე-

ისხი, გადაეცი მთავარსარდალს, რომ ნაპოლეონის კორპუსები გადა-
მწყვეტ შეტევაზე გადმოდიან. გადაეცი, რომ უარმიო ბაგრატიონს ჩივი-
დილაძე პოზიციას არ დასტოვებს.

გენერალთა

გ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მესმის თავადო!

(სცენიდან გარბის).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შეაწყვეტია) შენ ეს მიპასუხე, გენერალო, პირველი არ-
მია, — დამხმარე ძალებს რატომ არ მაწვდის?

ე რ მ ო ლ ო ვ ი — კუტუზოვისა და ბარკლაის ბრძანებით, თქვენს განკარგუ-
ლებაში გადმოგზავნილია: მეორე ფეხოსანი კორპუსი, იზმაილოვის,
ლიტვისა, ფინლანდიის და ეკატერინოპოლის პოლკები.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გმადლობთ. (პლატოვს). ატამანო, კაზაკები სად არიან?

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ქაშის ქაშას განაგრძობს) აი ჩემი კაზაკებიც. ყურგანის აღმო-
საველეთით, (ზელი გაიშვირა) თქვენს ბრძანებას მოველი.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ცოტა მაიკლე, ატამანო, და გეტყვი, სად უნდა დაარტყა.

(მოზიციისაკენ შერთალდა. ამ დროს სცენაზე სანიტარ ქალებს დაჭრილი სენაპრი შე-
მოყავთ, მას თან ეჭიმი განგარტი მოსდევს).

კ ო ხ ტ ა — (გაკვირვებულა) ღიზა!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კოხტას) რაო?

კ ო ხ ტ ა — არაფერი, ბატონიშვილო.

(პირველი სანიტარი, რომელიც სენაპრის მოყვება ღიზა. ღიზამ კოხტას შეხედა და
თავი ჩაღუნა. სანიტარებმა სენაპრი დაასვენეს).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (განგარტს) ჰრილობა საბიფათო ხომ არ არის ექიმო?

გ ა ნ გ ა რ ტ ი — არაუშავს თავადო! სასიკვდილო არ არის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (სენაპრის). ყოჩაღ. ემანუილ ფრანცევიჩი! კარგად
იბრძოლე!

ს ე ნ -პ რ ი — (მისუსტებული) თქვენგან შექება სიცოცხლეზე ძვირფასია
ჩემთვის, თავადო.

კ ო ხ ტ ა — (ღიზას მიუახლოვდა. აღელვებული ჩურჩულით) ღიზა?

ღ ი ზ ა — (კრემლიანი თვალებით კოხტას მიანიერდა. ჩურჩულით) თავს... თავს
უფრთხილდი ჩემო გიეო. ხომ ხედავ სიკვდილი ადამიანებს როგორ
ცელავს.

კ ო ხ ტ ა — შენ უფრთხილდი თავს, ჩემო გოგონა. მე კი შენი სიყვარული და-
მიფარავს.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (სენაპრის მიუახლოვდა) დიდად მოხარული ვარ. ბატონო გე-
ნერალო!

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (პლატოვს მუგლუგუნე კრა) რა გახარებს. ატამანო, ადა-
მიანი დაჭრილია, მთვრალი ხომ არა ხარ.

პ ლ ა ტ ო ვ ი — (ერმოლოვს) განა ის არ სჯობია გმირი იყო, თუგინდ სა-
სიკვდილოდ დაჭრილიც, ვიდრე მუდამ ჯანსაღი შტაბის ლაჩარი (სენ-
პრის). თქვენს წინაშე ქედს ვიხრი, ემანუილ ფრანცევიჩი.

ს ე ნ -პ რ ი — (პლატოვს) გმადლობთ, გრაფ!

პ ლ ა ტ ო ვ ი — მადლობელი ვარ კეთილი სიტყვისათვის, მაგრამ დღეის ბრძო-
ლაში გრაფობა მე ისე გამომადგება, როგორც ქაჩალს სავარცხელი.
(ღიზასა და სხვა სანიტარებს სენაპრი სცენიდან გაყავთ).

- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (პოზიციისაკენ იყურება, გაოგნებულ კონტრასტულ მოჰყიდა და უჩვენა). ვინ არის ის თავზე ხელაღებული ოფიცერი? დიღს რომ დაეძებს?
- კ ო ხ ტ ა — ალბათ ნაწილი დაეღუპა, ბატონიშვილო.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (შესძახა) ყოჩაღ! ყოჩაღ!
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — ეს ვიღაც ან გიგია, ან და ნამდვილი გმირი.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ხედავთ გარს შემოერთყენენ. (პაუზა) ბარაქა... ბარაქა... ვაჟკაცი! (კონტრას). კონტა, თუ ძმა ხარ ეს ოფიცერი გადაპირჩინე და აქ მომიყვანე.
- კ ო ხ ტ ა — ახლავე, ბატონიშვილო!
- (ფლუმებისაკენ გაქანა. სცენაზე ადიუტანტი დავიდოვი შემოიჭრა.)
- დ ა ვ ი დ ო ვ ი — თავადო, გენერალ ნევეროვსკის დივიზია უკვე ფლუმებზე შეიჭრა, ვასილიკოვი თავისი ჰუსარებით სიგნალს ელის, გენერალ პასკევიჩის გადარჩენილი პოლკები და დაღუპული ნაწილებიდან შენაერთი ბატალიონები, — შეტევის ბრძანებას მოელიან.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გმადლობთ, ფედი! (სცენაზე შემოდის კონტა, რომელსაც შემოყავს ბრძოლაში ჩამოფლეთილ ახალგაზრდა ოფიცერი. ბაგრატიონმა მიაძახა). ყოჩაღ, პორუჩიკო! თქვენი გვარი?
- ლ ვ ო ვ ი — (დარცხენილი) ლვოვი, თქვენო უგანათლებულესობავ!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ჩაფიქრდა) თქვენ სადღაც მინახავხართ.
- ლ ვ ო ვ ი — (თავი ჩაღუნა) დიად, ბატონო მთავარსარდალო! სმოლენსკში, თქვენს ბინაზე.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — აჰ, მახსოვს, თქვენ... (გაჩერდა, გენერლებს გადახედა. ლვოვმა მადლობის ნიშნად ბაგრატიონს თვალები მიაპყრო და იგრძნო, რომ სარდალი მის შერცხვენას მოერიდა). ვაჟკაცი ხარ, კაპიტანო!
- ლ ვ ო ვ ი — პორუჩიკი, თქვენო უგანათლებულესობავ.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ჯიბიდან წმიდა გიორგის ჯვარი ამოიღო, ლვოვს მკერდზე დააბნია და უთხრა). წმიდა გიორგის ორდენის კავალერს, ოფიცერ ლვოვს დღეიდან შეუძლია გრენადერების პოლკის კაპიტანის წოდება ატაროს.
- ლ ვ ო ვ ი — (დაბარბაცდა) ღირსი არა ვარ, თავადო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — შენი ნაწილი სად არის?
- ლ ვ ო ვ ი — ჩემი ასეული უკანასკნელ კაცამდე ფლუმებზე დაეცა, ბატონო მთავარსარდალო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გასწით ახლავე და პოლკოვნიკ ბაგრატიონს გადაეცით, რომ ბატალიონი ჩაგაბართ და ათ წუთში მოემზადეთ კონტრშეტევაზე გადასასვლელად.
- ლ ვ ო ვ ი — მესმის, თქვენო უგანათლებულესობავ!
- (სცენიდან გავარდა.)
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (პოზიციას გადასცქერის. ახლოდება მარშალთა კორპუსების დოღთა ზმაური. ამოიოხრა) ესეც მერვე და ალბათ უკანასკნელი შემოტევა. (ერმოლოვს) კლდეც კი ინგრევა, ჩემო ალექსეი, გრიგალის მრავალი დაჯახებებით.
- ე რ მ ო ლ ო ვ ი — შაგრამ გრიგალიც ამის შემდეგ უძღურ ნიავად გადაიქცევა

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (წელში გაიმართა, თვალები აენთო და თითქოს სანძინ-ლად გახალსდა). დროა, აბა, იმპერატორო, თავიდან დავეწყვიტო (დადეუ-ტანტებს). პეი, ბიჭებო! ცხენები დაამარქავეთ. გაფრინდეთ და დაეცეთ ყველა გენერალს, დივიზიის მეთაურებს, პოლკთა უფროსებს გადაეცეთ ჩემი ბრძანება, რომ კონტრ-შეტევაზე გადავიდნენ.

(სილუეტები სცენიდან გაბრუნდნენ. გაისმა ყუმბარების პირველი ბათქი. მთელი პოზიციის გასწვრივ იფეთქა „ურა“-მ და ბოლოს ყოველივე შთანთქა ბრძოლის სპაერის ქაოსში).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — უკვე დაიწყეს...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (პლატოვს) აბა, გრაფო ატამანო! შენი წვერებიანი აღქა-ჯებით, ერთხელ კიდევ დამანახვე, როგორ უნდა ჩეხვა და ელეტვა!

პ ლ ა ტ ო ვ ი — სად დეარტყა, მთავარსარდალო?

ბ ა გ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — შუა ფლეშებზე, პირდაპირ შუბლიდან შეუტეე.

პ ლ ა ტ ო ვ ი — მადლობელი ვარ. ჩემო თავადო!

(ადგილიდან მიწყდა და გაიქცა).

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ეპე, ჩვენი ძალებიც შეესიენ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — თვრამეტი ათასი რუსი ჯარისკაცი, გენერალო, სასიყვ-დილოდ გამზადებული, როგორ გგონიათ მოწინააღმდეგე რამდენი იქ-ნება? თვალი ხომ არ მატყუებს.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — (დურბინით იყურება) დიაღ! ორჯერ მეტი, თავადო პეტრე! ორჯერ მეტი... ხედავთ, დაეჯახენ ერთი მეორეს, თითქოს მთები დაშავდნენ. სამოცი ათასამდე კაცი ერთ ხელჩართულ ბრძოლაში, ეს ვის გაუგონია!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (აღფრთოვანებული, პოზიციისაკენ იყურება, ერმოლოვს მივარდა, ფლეშებისაკენ ხელი გაიშვირა და შეეყვრა) მიპასუხეთ, ვის უნა-ხავს მსოფლიო წარღვნის შემდეგ, ასეთი დიდებული და საძინელი სანა-ხაობა. აი რას ჩადიან რუსი ლომები, როდესაც ისინი ან სიკვდილს ან გა-მარჯვებას გადასწყვეტენ.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ნაპოლეონმა ახალი ძალები ჩააბა ბრძოლაში, ხედავთ შე-ვარდინოდან კავალერია დაიძრა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ალბათ ომის ხელმძღვანელობა ნაპოლეონმა თვითონ აიღო ხელში. ოო, კიდევ სამიოდე კორპუსი მომცა და უძლეველ იმპერატორს დღეს საღამომდე მის მარშლებიანად ტყვედ წავიყვანდი.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — ეპე! მარჯვენა ფრთაზე შემოუტეეს ახალმა ძალებმა.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ჩვენებიც ჯიქურ დაეჯახენ, მაგრამ ცოტანი არიან.

(სხვადასხვა მხრიდან სცენაზე შემოიჭრენ გაგარინი, კობტა, გრაბოვსკი და დავიდოვი).

გ ა გ ა რ ი ნ ი — ჩემო თავადო! კუტუზოვმა შემოგითვალათ. ათიოდე წუთი გაუძლოთ, დამხმარე ძალები აქეთ მოდიან.

ე რ მ ო ლ ო ვ ი — მე წაეალ შევხვდები და გამოვუძღვები.

(სცენიდან გადის).

კ ო ბ ტ ა — (ფლეშებისაკენ იყურება) მტერი ბევრია, ბატონიშვილო!

(თოფების ბათქი სულ ახლოს მოისმის. ჩანს, რომ ტყვიები ბაგრატიონის ვარ-შემო წივნიან).

- გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — როგორ აირია ყველაფერი, ხედავთ რაევსკის ყურგანზე რა ამბავია, — ვესტფალელები შემოიჭრენ.
- გ ა ნ გ ა რ ტ ი — თავადო, ადგილი შეინაცვლეთ, აქ ღვთისმშობელია.
- დ ა ვ ი დ ო ვ ი — ნევეროვსკის დივიზია ილუპება, თავადო, ჩეისა და დავის კორპუსების ალყაში მოხვდა.
- სცენაზე ფლუმბიდან შემოიჭრა კარაცაპოვი, რომელსაც მკლავებზე უწევს ვინეპიხილი, სასიყვედილოდ დაპირილი ნიკოლაი.
- კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — (იძახის) ექიმი, ექიმი მომაშველეთ!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კარაცაპოვს). ეგ რა მოგსვლია, საცოდავო!
- კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — შვილი მომიკლეს, თავადო! შვილი მომიკლეს, ჩემი ნიკოლაი.
- გ ა ნ გ ა რ ტ ი — (ჯარისკაცს საკაცზე უჩვენა) დააწვინეთ! აქ დააწვინეთ.
- (წუთით სიზმურ ჩამოვარდა. განგარტი ნიკოლაის სინჯავს. წამოდგა და ქუდი მოიხადა. ბაგრატონმა და დასწრებამაც მოიხაღეს ქუდი).
- კ ა რ ა ც ა პ ო ვ ი — ვაიმე შვილო! მე შენს მერე ღმერთმა ცოცხალიც ნულარ დამტოვოს! მე იმას ვიცნობ... მე მისი სახე მახსოვს... მე იმას მოვკლავ.
- (ფლუმბისაკენ შტრიალდა და ჯიქურ სცენიდან გავარდა).
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კარაცაპოვს მიამბა) სულ ერთია, რომელსაც მოკლავ, არ შეცდები, საცოდავო!
- (სანიტრებმა ნიკოლაის ცხედარი გაიტანეს).
- კ ო ხ ტ ა — (აღღვებული, პოზიციისაკენ იყურება) ფრანგებმა შუა ფლუმები გადმოლახეს, ბატონიშვილო.
- გ ა ნ გ ა რ ტ ი — (ბაგრატონს მივარდა) თავს უშველეთ, მთავარსარდალო! ადგილი გამოიყვალეთ. (ამ დროს განგარტს ტყვია მოხვდა და შესძახა). ვაიმე, ვკვდები, თავადო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (დასაცემად გამზადებული განგარტი მკლავზე გადაიწვინა და ადიუტანტებს მიამბა) განგარტს მოხედეთ, ძმებო!
- (დავიდოვმა და გრებოვსკიმ, მომავლადი განგარტი ასწიეს და სცენიდან გაიყვანეს).
- გ ა ნ გ ა რ ტ ი — (მომაკვდავის ხმით) თავს უშველეთ... საყვარელო თავადო... დაილუპებით.
- გ ა გ ა რ ი ნ ი — ბატონო მთავარსარდალო! სჯობს, აქედან წაბრძანდეთ, მტერმა ნიშანში ამოვიღოთ!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ფილით წყალს ზარბად სვამს, ამ დროს ფლუმებს თვალს არ აცილებს და ბუტბუტებს) ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.
- (სცენაზე დავიდოვი და გრებოვსკი შემოიჭრნენ).
- დ ა ვ ი დ ო ვ ი — (გაბარებული) კირასირების გუნდები ისევ ფლუმებზე შეიჭრნენ.
- გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — (აღფრთოვანებული) მარჯვენა ფრთას ერმოლოვმა შეუტია.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — დიდებულა!

კოხტა — ხედავთ, ფრანგების კავალერიის კორპუსები ფლეშებს მოაწყენენ. გაგარინი — ოჰო, რა ქლუტა... კვდებიან, მაგრამ მიინც მოდიან.

ბაგრატიონი — (აღფრთოვანებული მიძახა) ვაჟა, ფრანგებში რა კლუტა თქვენს ვაჟაკობას! ცოდვა არ არის, ასეთი გმირი ხალხი ვინაც კორსიკელი კუდაბზიკა აზნაურის სიგიყისათვის ქლიტო და ანადგურო. (უცხად კბილები გააკრაქუნა, თვალები აენთო, ადიუტანტებს ხელით უჩვენა და შეეკითხა). ის ვინ არის, თეთრ ცხენზე თეთრი დალაბით ფლეშებზე რომ პირველი შემოიჭრა?

დავიდოვი — ნეოპოლის მეფე, მარშალი მიურატი, — მთავარსარდალო.

ბაგრატიონი — (დაშნა იშიშვლა) ცხენი, კოხტა! მე დავაობლებ მასხარა ნეოპოლს, — უმეფოდ დაეტოვებ. (ფლეშებისაკენ გაიქცა, უკან კოხტა გამოუდგა. უეცრად საშინელი გრიალი მოისმა, თითქოს ცა ჩამოინგრა. გაქროლებული ბაგრატიონი წუთით შედგა, ჩაიკეცა და ყუშბარით ფეხგადამსხვრეული მიწაზე გაგორდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა).

კოხტა — ბატონიშვილო!

ბაგრატიონი — (ზეზე წამოიჭრა, ცალ ფეხზე შედგა, ჩუმად იკითხა) რა მოხდა? (ბოლოს იყვირა) ეს შეუძლებელია. (ფლეშებისაკენ ისევ სირბილით წასვლა განიზრახა, მაგრამ დაეცა, ზეზე წამოდგა, კიდევ დაეცა, კიდევ ზეზე წამოიჭრა. ისევ ჩაიკეცა, ფრთამოტეხილი არწივივით ფართხალებს და უგონოდ განაგრძობს) ეს შეუძლებელია.

გრაბოვსკი — (მივარდა) ჩემო თავადო!

დავიდოვი — მთავარსარდალო, დაწყნარდით!

გაგარინი — ღმერთი იწამეთ, ჩემო ბატონო!

ბაგრატიონი — ხელი გამიშვით, არ მომეკაროთ! ხელი გამიშვით-მეთქი! (ისევ ზეზე წამოიჭრა, ცალ ფეხზე დადგა, მარჯვენა ხელით დაშნა მიწაში ჩაარჭო. წელში გაიმართა და ამოიხროტინა) მშვიდობით, ბრძოლის ველებო! (ფლეშებისაკენ შეტრიალდა). მაბატიე, ბოროდინო, თუ დღეს ვერ ვიყავი შენი სიმაგრეების მარჯვე დამცველი. (დაბარბაცდა. შესძახა) ჰეი, ძმებო! მხრებში დამიდევით, არ დაინახონ ძირს დაცემული ბაგრატიონი.

(დავიდოვი და გრაბოვსკი მხრებში ამოუდგნენ. ბაგრატიონმა წუთით გონება დაკარგა, ადიუტანტებს მკლავებზე ჩამოეცა. ამ დროს სცენაზე ჯარისკაცები შემოცვივდნენ. გაყვირებული შესდგნენ).

I ჯარისკაცი — ბაგრატიონი დაუჭრიათ.

II ჯარისკაცი — დავილუბეთ! (ჯარისკაცები სცენიდან გარბიან, მოისმის მათი ყვირილი: „ბაგრატიონი დაიღუპა“... მთავარსარდალი მოგვიკლეს“. თითქოს სეტყვა ახლოვდება, ისე გადაეცა მთელს არმიას ბაგრატიონის დაჭრის ამბავი და ყვირილი: „ბაგრატიონი დაიღუპა“. ღრიანცელი თანდათან მატულობს და იზრდება).

გაგარინი — (შეშფოთებული) არმიამ მთელ ფრონტზე უკან დაიხია, მარშლები ახლოვდებიან. წავეყვანოთ მთავარსარდალი.

ბაგრატიონი — (წელში გაიმართა) არ გაბედოთ! კოხტა! ნაბადი. (კოხტამ ნაბადი მიაშველა. ბაგრატიონი ხელით თავის ფეხებზე უჩვენებს). ნაბადი

მომადარეთ, რომ ჯარისკაცებმა დამსხვრეული ფეხები არ დაინახონ.
(ადიუტანტები ნაბადს აფარებენ. ბაგრატიონი ადიუტანტებს) აბა პლატოვი, — ატამანი მომიძებნეთ და აქ მომგვარეთ!

დავიდოვი — ახლავე, ჩემო ბატონო!

კოხტა — აი პლატოვი აქეთ მოქრის.

ბაგრატიონი — (შეყვირა) ატამანო!

პლატოვი — (გაოფლიანებული, შიშველი დაშნით. სცენაზე შემოიჭრა და ყვარის) ჩემო თავადო! ნუთუ მართლა...

ბაგრატიონი — ხელი არ მაზლო, ატამანო!

პლატოვი — (თავი ჩამოკიდა) ვაი, რომ მართლაც დაველუპულვართ.

ბაგრატიონი — არა, მატვეი! ჩვენ არ დაველუპულვართ. შენ დაინახავ, ვინც დაიღუპა, მე კი მგონი ველარ მოვესწრო.

პლატოვი — (ამოიოხრა) ოჰ, რომ შემეძლოს, საკუთარი ცრემლების მორევში დაეხრჩობოდი.

ბაგრატიონი — შენ სხვა რაიმე შეგიძლია, ჩემო მატვეი. აბა, მიშველე! შენი მფრინავი არწივებით, გადაეღობე უკანდახეულ ჩვენს არმიას. წინ გაუძეხი, შენებურად გზა გაუკაფე. დაე ღრიალებდნენ დონის ლომები „ჩვენ მოედვიართო“. შენც კარგად იცი — პლატოვისა და კაზაკების თვით ბონაპარტეს ეშინია.

პლატოვი — შენ არ მოგვაკლო შენი ბრძანება და თავდადება ჩვენზე იყოს, ჩემო თავადო.

(სცენიდან გავარდა).

ბაგრატიონი — (მიმართა ჯარისკაცებს, რომლებიც სცენაზე შემოიჭრნენ). არ გაბედოთ უკან დახევა ბრძოლის ველიდან! ხომ მიყურებთ, მეც თქვენთანა ვარ წინა რიგებში! (ხელი ფრონტისაკენ გაიშვირა). იქ, — ან ვაეკატური სიკვდილია, ან გამარჯვება, — უკან კი სირცხვილი და სამშობლოს განადგურება. ამოიჩჩიეთ, ჯარისკაცებო! ვისაც თავი სძულს, მე დამტოვებს და ვისაც არა, ჩემთან ერთად შეუტევს ფლეშებს. ურააა!

(შეჰყვირა და წინ წაიწია. ადიუტანტებმა პატარა მანძილზე ხელი მიაცილეს, მაგრამ ბაგრატიონმა გონება დაკარგა და მათ მკლავებზე ჩამოეკიდა. „ურააა“ — შესძახეს ჯარისკაცებმა და უკანვე შებრუნდნენ. „ურას“ გრილი მოისმის მთელი ფრონტის გასწვრივ).

გრაბოვსკი — ფრონტი დატოვეთ, მთავარსარდალო! თორემ სისხლიდან დაიცილებით.

ბაგრატიონი — მომეშვით, ძმებო! ის მე ვიცი, რასაც ჩავდივარ. რა საჭიროა ჩემი სისხლი ბრძოლის გარეშე! (ამ დროს სცენაზე გაცოფებული, ბრძოლით გარუჯული რევაზი, გენერალი ვორონცოვი და სხვა ოფიცრები შემოიჭრენ. ბაგრატიონმა შიამახა) სად მოდიხართ? სიკვდილს მე უოქვენოდაც შევსძლებ. ბრძოლას მიხედეთ, ჯარს გაუძეხით!

(რევაზის გარდა ყველა სცენიდან გადაიან).

რევაზი — (ძმას მივარდა) პეტრე, რა მოგივიდა?

ბაგრატიონი — არაფერი, ძმაო. შენ ეს მითხარი, საქმე როგორ მიდის?

რევაზი — ჩვენი არმია თოვლივით დნება, ნაპოლეონის კორპუსები თითქოს მიწიდან იზადებიან.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ვაიმე დედა!

(ამ დროს სცენაზე უცნობი გენერალი შემოვიარდა, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს წინ შეჩერდა.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მთავარსარდალო! პირველა არმიის მეორე კორპუსის მეთაური გენერალი ვორობიოვი ბრძანებას ელის.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — აბა, თქვენ იცით, გენერალო, შუა ფლუშებზე შეუტრით ფრანგების კავალერიას.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო!

(სცენიდან გარბის. სცენაზე უცნობი პოლკოვნიკი შემოიჭრა.)

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ჩემო თავადო, ფინეთის პოლკი ელის ბრძანებას.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მარცხენა ფრთაზე გადაიყვანეთ თქვენი პოლკი და კონოვნიცის შეუერთეთ.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — მესმის, თავადო!

(სცენიდან გარბის.)

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (გონება დაკარგა, მაგრამ, როდესაც შემდეგი პოლკოვნიკი შემოიჭრა შიშველი დაშნით, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი მთავლები გაახილა და მიამახა) ბედნიერი ხარ, პოლკოვნიკო, რომ დაშნით ხელში ჯარისკაცებთან ერთად მიდიხარ. გასწი, გაფრინდი, ფრთები აისხი, რავესკის ყურგანი მტერს ხელიდან გამოაცალე.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — (ცრემლები მუჭით მოიწმინდა) ჩემი მარჯვენა თქვენ შემოგველოთ, ფრთამოტეხილო ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი! (სცენიდან შურდულივით მირბის, სიმაღლეზე შედგა და სცენის გარეთ პოლკს გადასძახა). ეკატერინობურგის გმირებო! ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ჯანსაღად არის. მისი ბრძანებით, — ჰა! ეს ყურგანი უნდა ავილოთ! („ურაა!“ შესძახა პოლკმა. სცენის გარეთ მოისმის პოლკის „ურაა“ ძახილი).

გ რ ა ბ ო ვ ს კ ი — (ფლუშებისაკენ იყურება). ჩვენმა ჯარისკაცებმა მარშალთა კორპუსები ხელახლა უკუაქციეს.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ნაბადზე დამაწვინეთ!

(ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს ნაბადზე აწვეწვენ. სცენაზე ბრძოლით ჩამოფლეთილი აღრიანოვი შემოიჭრა, რომელსაც ვიღაც გენერლის დაშნა, ორდენები და ეპოლეტები ხელით შემოაქვს, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი წამოიწია. აღრიანოვს მიამახა.)

ვისია, აღრიანოვ, დაშნა და ორდენები?

აღ რ ი ა ნ ო ვ ი — გენერალ კუტაისოვის, თქვენო უდიდებულესობავ.

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (ამოიოხრა) ოოჰ, ალიოშა, შენც დაიღუპე, (წამოიწია, ბრძოლის ველს გადახედა, ხელი გაიშვირა). ხედავთ, სად მიჰქრის უბატრონოდ, სისხლითნაბანი მისი ბედაური, ხედავთ?

აღ რ ი ა ნ ო ვ ი — სასიკვდილოდ დაჭრილი იყო, ორდენები, დაშნა და სამხედრო ნიშნები ჩამოიგლიჯა, მე გადმომცა და მომამახა: — ბრძოლიდან გაიტანე, ჯარისკაცო. დაე მტერს უბრალო მემომარი ვეგონო, რომ არ გაიხაროს რუსი გენერლის სიკვდილითაო, — ეს მითხრა და სული დალია, ჩემო თავადო!

რ ე ვ ა ზ ი — (თვალცრემლიანი ძმას მიუჯდა, კისერზე ხელი მოხვია) პეტრე, ძმაო!



ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (რევანს აკოცა) მშვიდობით, ძმავო! კოხტა, გრაბოვსკი, დავიდოვო, გაგარინო, მომიხლოვდით! ჩემო ბიჭებო! მთავარსარდალს თავად კუტუზოვს გადაეცით, რუსი ჯარისკაცი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი დაიღუპა-თქო.

რ ე ვ ა ზ ი — გაჩუმდი, პეტრე!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ბარკლას გადაეცით; რომ დღევანდელი გამარჯვების ბედი მის არმიასა და მოკიდებული მოსკოვის გზა მტერს არ დაუთმოთ! ჩემს გენერლებს გადაეცით, რომ ჩემი სახელი მათი გამირობის შედეგია.

კ ო ხ ტ ა — ბატონიშვილო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (მისუსტებული) ჩემს გადარჩენილ ჯარისკაცებს გადაეცით ჩემი მადლობა.

(სცენაზე გენერალი კონოვნიცინი შემოიჭრა).

კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი — მთავარსარდალო! ჩემო თავადო! ამას რას ვხედავ?

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — გენერალო კონოვნიცინო! პიოტრ პეტროვიჩ! მიიღე ჩემი უკანასკნელი ბრძანება, შენ ჩაიბარე მეორე არმიის მთავარსარდალობა. სასიკვდილოდ დაჭრილ ბაგრატიონის სახელი თანაშემწედ გამოიყენე.

კ ო ნ ო ვ ნ ი ც ი ნ ი — ჩემო თავადო!

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (საბოლოოდ მისუსტებული) მე ახლავე აქედან წამიყვანეთ, არმიას კი გადაეცით, ცოცხალი ბაგრატიონი ფლეშებზე იბრძვის-თქო (წამოიწია, ბრძოლის ველს გადახედა). არა! არასდროს დღევანდელი მზე, — ნაპოლეონისათვის აუსტერლიცის მზე არ იქნება. ეს რუსეთის მზეა. ბოროდინოს მზე.

(სანიტარი ჯარისკაცები ბაგრატიონს საკაცებე აწვენენ და სცენიდან გაყავთ. საკაცს თან კონოვნიცინი და რევაზი გაყვებიან).

კ ო ხ ტ ა — (თვალცრემლიანმა, ატირებულ გრაბოვსკის, დავიდოვსა და გაგარინს გადახედა). პეი, ბიჭებო! თავადი დაგველუპა! (კივერი მოიხადა, გადააგდო. დანარჩენმა ადიუტანტებმაც მოიხადეს კივერები. კოხტასთან ერთად საჩქაროდ მუნდირები მოიხადეს. თეთრი პერანგების სახელოები დაიკარწახეს. კოხტა ხმამაღლა ტირის, დაშნა მოსინჯა). რით არ სჯობს ბაგრატიონის ოთხი ვახელებული ადიუტანტი ვესტფალელთა ხარების ასეულს. აბა, ბიჭებო! ბაგრატიონის სახელისათვის! ჩვენი რუსეთის დიდებისათვის. ფრანციელებო, ჩამოდექით!!!

(ფლეშებისაკენ შოქსლა, უკან გრაბოვსკი, გაგარინი და დავიდოვი გამოუდგნენ).

ფ ა რ დ ა

სურათი მეორე

„გამარჯვება“

კარავი ბოროდინოზე, საიდანაც კუტუზოვი ბრძოლას ხელმძღვანელობს. კარავის წინ დგას საშინლად აღლავებული კუტუზოვი. მის გარშემო შტაბის ოფიცრები დგანან. მოსიძის შორეული ბრძოლას ხმაური.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ნაწყენი თავს აქნევს) ამაზე საშინელი ამბავი მე დიდხანია, არ გამიგია, ჩემო თავადო... ჩემო საყვარელო პეტრე, შვილივით საყვარელო. (შემოუბრუნდა ოფიცრებს) რას ამბობენ. კრილობა სასიკვდი-

ლოა თუ არა? (ოფიცერებმა დასტურად თავი დახარეს. კუტუზოვმა გაიარ-გამოიარა) აი... აი... აი... ჩემო ბაგრატიონო, რა დიდი საჩუქარია დაეკარგა დღეს რუსეთმა... რა დიდი შეგობარი დაეკარგე მე. (აღიფრებულად, შვილო! საჩქაროდ გადაეცი გენერალ დოხტუროვს ჩემი ბრძანება, მეოცე არმიის ხელმძღვანელობა ხელში აიღოს.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო!

(გაქცევა აპირებს).

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — მოითმინეთ! გადაეციტ მას, რომ მე ვთხოვ არამც და არამც უკან არ დაიხიოს, იბრძოლოს ისე, როგორც იბრძოდა პეტრე ბაგრატიონი.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო!

(გარბის).

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ჩემო პეტრე, ვინ ვნახო დღეს შენი შემცვლელი... (შეჩერდა ახალგაზრდა პორუჩიკის წინ) პორუჩიკო, გასწით საჩქაროდ და გენერალ დოხტუროვს გადაეციტ, რომ როგორმე დღეს საღამომდე არმიამ არ გაიგოს, რომ ბაგრატიონი დაჰკრილია. გესმის, პორუჩიკო?

პ ო რ უ ჩ ი კ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო!

(გარბის).

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — აა... აი... აი... ჩემო პეტრე! ჩემო ვაჟკაცო, ჩვენი არმიისათვის მარტო შენი სახელი უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე სხვა გენერლის მოქმედება.

(სცენაზე ახალგაზრდა ოფიცერი შემოიჭრა).

ო ფ ი ც ე რ ი — ნება მიბოძეთ, მოგმართოთ!

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — გისმენთ, პორუჩიკო.

ო ფ ი ც ე რ ი — ბატონო მთავარსარდალო! სარდალი გენერალი ბარკლაი დეტოლი ვთხოვთ წერილობით დაუდასტუროთ, რომ პირველ არმიას თქვენს მიერ ნაბრძანები აქვს, უკან არ დაიხიოს.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ირონიულად) წერილობით დასტურს მოითხოვს?

ო ფ ი ც ე რ ი — დიაღ, სარდალს ეშინია, რომ დღეს საღამოს პირველი არმია მტრის ალყაში მოხვდება და ამბობს, პასუხს ვერ ვაგებო.

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (გაბრაზდა. მუქები შეკრა. ერთადერთი თვალი ისე დაატრიალა, თითქოს უნდა ოფიცერი გალახოს, მაგრამ უცბად შეტრიალდა. დინჯად გაიარ-გამოიარა და ოფიცერს წყნარი ხმით მიმართა) გადაეციტ მიხეილ ბოგდანოვიჩს, რომ მე აქ კანცელარია არა მაქვს...

ო ფ ი ც ე რ ი — მესმის, ბატონო მთავარსარდალო!

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — გადაეციტ, რომ ამაღამ გაეაშაღებ წერილობით ბრძანებას... ხელს მოვაწერ, ბეჰედს დავასვამ და ხვალ დილით ან ხვალ საღამოს გამოვუგზავნი. გესმის, პორუჩიკო?

ო ფ ი ც ე რ ი — მესმის, თქვენო უდიდებულესობა!

(ჩქარა გადის).

კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ოფიცერს თვალი გააყოლა, ამოიხრა) ჩემო პეტრე... ჩემო თავადო. (ჯარისკაცებს საკაცით ბაგრატიონი შემოჰყავთ. კუტუზოვი მათკენ გაემართა) ეჰ, ჩემო ფრთამოტეხილო არწივო!

(ჯარისკაცებმა საკაცე დახვეწეს).

- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (კუტუზოვი დაინახა) მიხეილ ილარიონოვიჩ, ჩემო ძვირფასო მეგობარო... მითხარი, მოსკოვი გადაეპოვნინეთ თუ არა?
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (ბაგრატიონს დასჩერებია. ძირს დაინახა) დღეს საშობლოს გადაეპოვნინეთ ჩემო თავადო ჩემო საყვარელო შვილო!
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ჩვენი არმია უკან ხომ აღარ დაიხევს?
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — გეფიცები წარსული ბრძოლების დიდებას, დღევანდელი ბრძოლის დიდებას, ჩვენი რუსეთის მომავლის დიდებას გეფიცები, რომ შენ, ჩემო პეტრე, დღეს ჩვენ საშობლოს ნაპოლეონზე გამარჯვება მოუპოვე.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ამბობენ, ბარკლაი თავისი არმიით უკან დახევას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, თქვენ მას ამის ბრძანებას არ მისცემთ!
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — დაწყნარდი, შვილო! მგონი, კარგად იცნობ მოხუც კუტუზოვს და ენდობა მის გეგმებს. (თავი გააქნია) ბარკლაი... ბარკლაი...
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — ჩემი თვალთ დაინახე, რომ დღეს ბარკლაი პირადად ოთხჯერ შერტყეაზე გადავიდა. უკანასკნელად მას ცხენიც კი მოუკლეს და ბრძოლის ველიდან ცოცხალმა ძლივს გამოასწრო. მე მინდა, ამის შესახებ მთელმა რუსეთმა იცოდეს.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (თავი გააქნია) თავადო პეტრე! შენ ამ ამბით ბარკლაის ისტორიაში ადგილი, ჩემს გვერდით დაუთმე. შენთვის კი რას მოისურვებ, შვილო?
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — რუსეთის დიდებას, მიხეილ ილარიონოვიჩ! მაღალ ღმერთს ვფიცავ, რომ ჩვენი რუსეთის დიდება მინდა.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — რუსეთი დიდხანს ემზადება ხოლმე (მუჭი შეკრა), როდესაც საჭიროა მაგრად და მწარედ ურტყამს და არასოდეს არავის, არც კეთილსა და არც ბოროტს არაფერს არ უფიწყებს. შენი საგმირო საქმეები, ჩემო პეტრე, რუსეთის დიდების გვირგვინშია ჩაქსოვილი.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — დაე, ეგრე იყოს მიხეილ ილარიონოვიჩ. ასე დასრულდა ჩემი მრავალთათვის გაუგებარი და ძნელი გზა.
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — ჩემო პეტრე! ჩემო ძმაო, შვილო და მეგობარო! (დაწვდა ბაგრატიონსა და კოცნის).
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — მშვიდობით მამაე... (უცხად გაკვირვებულმა ძალა მოიკრიფა) ცრემლები? ვის უნახავს კუტუზოვის ცრემლები?
- კ უ ტ უ ზ ო ვ ი — (თვალი ამოიწმინდა) ორივე თვალი რომ მქონდეს, პეტრე, უფრო გემრიელად ვიტირებდი, რომ ჩემი დარდი ცრემლებში ჩამებზნო. (თავი ასწია, ბოროდინოსაკენ გაიხედა) დიადია ჩვენი ქვეყანა, ბაგრატიონო. დღეს ჩვენ ბოროდინოში მთელი ევროპა გადაეპოვნინეთ სასიკვდილო განსაცდელისაგან, (უცხად ჰაბუკვით წელში გაიმართა და შესძახა) დაე, ახსოდეს ყველა ქვეყანას და სახელმწიფოს, რომ აქ უძლეველი დიდი რუსეთია.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — (საკაცზე წამოიწია, ბოროდინოსაკენ იყურება და ბუტბუტებს) ბოროდინო... ეჰ! ბოროდინო...

გზაჰრის ღლიურები

★

პოლონეთის გზაზე

1

წუხელ ცრიდა წერილი წვიმა,
 მატარებლით წამყვა ქარი.
 წუთით წვიმა მომეწყინა,
 მერმე დაწვა თოვლი მშრალი,
 ბოლთას ვცემდი, არ მეძინა,
 წინ გზა მედო საფიქრალი.
 არ მიგრძენია წუთით დაღლა,
 წიგნს ვფურცლავდი თუ ცხოვრებას.
 ჭავდა დღის და ღამის გაყრა
 გზაზე და-ძმის განშორებას.
 ცას გაეკრა ცისკრის რკალი
 და სიმღერა მოწყდა ბაგეს.
 გაწაფული მთებში თვალი
 ეჩვეოდა უცნობ ვაგეს.
 საგზლის დარი ფიქრი მქონდა,
 გულს მთის წყაროს ვადარებდი.
 ფიქრი ქარით შინ მიქროდა,
 წინ მივქროდი მატარებლით.
 ერთი პირი ძილი მაკლდა,
 სიყრმის დროდან მაკლდა ალბათ.
 რადგან მთებში გზა მიყვარდა,
 მთის ნაკადულს ვსვამდი ხარბად.
 მასპინძელი ბევრი მყავდა,
 მთის ყვავილი თუ ნიბლია
 და სამშობლოს გზების გარდა
 მე სხვა გზებზე არ მივლია.

დღეს ახალი გზა გაიქრა,
 ბუჩქები ჩანს თუ შოლტები.
 თუნდ განველიო ცხრა მთის მიჯნა. —
 მამულს არსად დავშორდები.
 ზამთარია, რელსებს გაკრულს
 დასდებია თხელი თოვლი.
 აღრე მოვწყდით ბრესტის სადგურს

და არსად ჩანს მთების ზოლი.
 გზას ვუშვებ და გავილურსე.
 თვალწინ შრება ორთქლი მინდვრის.
 მე ვშორდები მოძმე რუსეთს,
 საბჭოთა მთის ერთი მკვიდრი.
 შინ დავტოვე მთა და ბორცვი,
 ხევი, კორდი, კლდე და ზვარი,
 კედმაღალი და თან შორცხვი
 და ურიცხვი ცისკრის ცვარი.
 მთაგრეხილი ვით ჩუქურთმა,
 მთით მქუხარი თეთრი წყლები.
 მთას გალობა როგორ ვუთხრა,
 შორს მივქრი და ვეღარ ვწვდები.

პოლონეთის გზაზე გაველ,
 თვალს სხვა მხარე ჩაელობა.
 ნამეხარ ველს წყალული მწვავე
 ატყვია და არც ეტყობა.
 რა გრძელი გზა გაუკაფავს
 საბჭოთა გმირს ვოლგის კიდით.
 კვამლს აცლიდა სახლს და აყვანს
 და გაჰკიდა ძმისთვის ხიდი.
 მეც იმ ხიდზე გზას მივეყვები,
 ძმაო, ძმაო, მაგონდები.
 ნისლში დარჩა ომის წლები,
 თვალწინ მიქრის ვაგონები.
 მიქრის, როგორც სიყმაწვილე,
 და არ მხვდება მთა-გორები.

მივეყრდნობი სარკმლის კიდეს,
 ჯერ შორს არის ხიდი ვისლის.
 მატარებლის სელა შენეღდა
 და საზღვრიდან სტეენა ისმის.
 ქუპეს აღებუ საზღვრის მცველი,
 გვთხოვს, ვაჩვენოთ პასპორტები,
 შეამოწმოს ზრახვა წრფელი.



გადაეცემ და გაესწორდები.
 გადაეცემ და ვაეკაცს ვუცქერ,
 როგორც თვალწინ შემდგარ მხედარს.
 გადახედავს პირველ ფურცელს
 და მერმე მე გადმომხედავს.
 შევაგებებ წმინდა ღმერთს,
 შორს გუმანით ვიხედები.
 ჩემს საბუთში ნათლად ღვივის
 გაღმელ მოძმის იმედები.
 ჩემს პასპორტში აღბეჭდილა
 ცისარტყელა თუ ტყის ზოლი.
 აფრენილი მთებზე დილა
 და ურიცხვი ქვეყნის ხომლი.
 თვალს გაუყური თვალში გუშავს,
 ფიქრი ფიქრში შეიჭრება,
 საბუთს შლის თუ ხალხის გუჯარს,
 და ჩემს ფიქრს არ ემიჯნება.
 თვალს გაშლის თუ ფართო ფაცერს,
 გულის ნადებს აღარ ფარავს
 და საბუთთა პასპორტს დასცქერს,
 როგორც მოძმე ხალხის ბარათს.
 ეს გზა არ ჰგავს გზას აღრინდელს,
 ეს წიგნაკი ნათელს მიფენს,
 გაღმა მოძმის თვალს ამდიდრებს
 და მე მივსებს გულის ჯიბეს.
 პოლონელ ვაგს გრძნობას უთბობს,
 ჰკერის სიხარულს თვალად ქაბუქს.
 იგი უმზერს და გზას უთმობს
 მოძმე ქვეყნით მოსულ საბუთს.
 მიბრუნებს და მაცნობს მხარეს,
 თავდაჭერას ღმერთს ურევს,
 ფართოდ აღებს ქვეყნის კარებს
 და მშვიდობის გზას მისურვებს.

მიექრით, მესმის „გზა მშვიდობის“,
 ეს ხმა მტრის ხმას ეკიდება.
 ხალხში, როგორც თესლი ხორბლის,
 ტანს იყრის და ჯეჯილდება.
 მშვიდობის ხმა ებრძვის დოლარს,
 ვერ შეაკრთობს ნაღმის ყეფა.
 ღხენიანში ჭერი ბოლავს
 და გზა ომის ამბავს ჰყეფა.
 საღ ღვივდება ხანძრის ღველფი,
 ფიფქი წყდება ცას ირაოდ.
 თეთრ სახლში ქრის ომის ფერფლი,
 როგორც ფიქრი უბინაო.

აქ კი ხელი არ ჩერდება,
 ფერფლი ბუდეს ვერ იშუფიცხ
 შენდება და დამშვენდება
 გზა შრომის და გზა მშვიდობის.
 თოვლს გავყურებ ფართო სარკმლით,
 ჩაუქროლეთ გაშლილ რიყეს,
 და მგონია, ყველა სახლი
 მიბრუნდა და კარებს მიღებს.

წამომდგარა გლეხი ადრე,
 თვალი თითქო ეხილება,
 გრძელ უღვაშზე თოვლის ფანტელს
 იშორებს და ელიმება.
 წყლულს იშუშებს მთელი კუთხე,
 ოფლით მორწყავს ყამირს—მსუყეს.
 გლეხი, მინდვრის მეჩუქურთმე,
 ხვალ ჯეჯილით გვიბასუხებს.
 თესავს ხორბალს და წვრილ შვრიას,
 ეს სიცოცხლე შრომად უღირს.
 შორით ვისმენ ყანის შრიალს
 და გუშინდელ ოფლის დუღილს.
 უკვე სახლში არ გრძნობს ტყვიელს.
 არ ესშობა ლანძღვით ყური.
 ორთქლმავალი გზას მიკვივის
 და მგზავრს მიმზერს მეკომური.
 მეგზურობას მუშა უწევს,
 თვალს შორდება თოვლის ფრთილა,
 და მშვიდობის გაშლილ ფურცელს
 სოფელში ჰგავს ზამთრის დილა.

არ მეგონა, თოვლის იფქლი
 რომ თვალს აგრე გაართობდა,
 მოფრიალე თხელი ფიფქი
 ამდენ გრძნობას დამათოვდა.
 ახალ გზაზე მიქრის ფიქრი,
 ფიქრის არე გაფართოვდა.
 გზას ვეცავ და კლანდაე ნაწილს
 სოფლის გზას თუ დაბალ ოლეს.
 არყისზე ჰგავს ქერა ყმაწვილს,
 ჩაურბენ და ჩაგიქროლებს.
 თოვლს დანათის თეთრი ქერქით,
 ჰგავს რუსეთის პირველ შიკრიკს.
 მე არყისხეს თოვლში ვეტრფი,
 რტოს მიჩხეკს და გზაზე მიქრის.
 არ ატყვია ნისლის ბადი,
 ნტერმა არყი ვერ დაბინდა.

მოსკოვიდან ვარშავამდე
ფიქრი ყველგან გადაფრინდა.
გადაშორდა საზღვრის მიჯნას
შორს მიყვება არყის ნათელს
და სამშობლოს მიღმაც ვხედავ
ჩემი ქვეყნის სიდიადეს.
გავათენე თეთრად წუხელ,
განვლე წყლები და მინდვრები,
ამომავალ ყანას ვუმღერ
და შორს მამულს ვეწინდრები.

II

სადგურს ვუმზერ მატარებლით,
მეგობარი რამდენია.
ვარდებს ჰყრიან პატარები,
ვარდი გულზე დამდენია.
დამდენია ფიქრი წმინდა,
გზაზე ღია კიშკარია.
ჩემს კუბეში შემოფრინდა
მეშახტე და მიხარია.
ბოდიშობს და თვალით მთოკავს.
ოფლს იწმენდს და ჩამოჯდება.
მუშის ქედზე ფრთები ტოკავს
და მზე სარკმლით გამოჩნდება.
მუშამ იცის ძმობის ფასი,
გულს მიხსნის თუ ვარდის ბუტკოს.
მეგობრობის წრფელი აზრიც,
როგორც ბარტყი გულში ბუდობს.
ვესიტყვები ქვეყნის გუშაგს,
ვბაასობთ და ვწვეთ თამბაქოს
და ვისლისკენ მგზავრობს მუშა,
რომ პრეზიდენტს უბატაკოს.

ჰყვება, როგორ იღებს ნახშირს,
შახტში ღამეს, როგორ ჰკაფავს,
როგორ ართობს ბავშვებს სახლში
და კითხულობს ვოლგის ამბავს.
მეც არ მინდა შეჩერება,
გულში გალობს ტალღა ვოლგის.
მოუუთხოვ და მეჩვენება
ცალი ტოტი ჩემსკენ მორბის.
ბეწვეა და მორბის გაღმა,
დაფაზე ვთვლი შრომის გმირებს.
მატარებელს მოსდევს ტალღა,
თუ მიეყვები ვოლგის პირებს.
ვოლგა, ვოლგა ყანის დედავ,
კალთას შლი თუ მსუბუქ ქვიშას.

შენს ნაპირზე ერთ სახლს ვხედავ,
როგორც ქვეყნის ახალ კიშკარს,
შენს სათავეს მასთან ვეშებ
სახლის კარი ნათელს გვაფენს.

მე ვიგონებ პირველ ფუძეს
და გაფრენილ ცისფერ აფრებს.
მომყევ, მომყევ, ვოლგის მხარეც,
ფიქრით ვისლას მიმაცილე.
ვოლგის სივრცე შევიყვარე,
ვოლგის სუნთქვა ვინაწილე,
მალე მრავალ კაშხალს ვნახავ,
არ შემხედვება შებინდება.
სტრიქონს არხის ჩქერზე ვჩარხავ
და ზედ მტრედი შეფრინდება.
შორს გავყურებ გმირულ რუსეთს,
შუქს მდინარე გულზე მაკმევს.
ვოლგის ტალღით ვასაბუთებთ
მშვიდობის და ძმობის საქმეს.
მომძის სულში თოვლი გალღვა,
თვალს არხიდან ვერვინ თიშავს,
მეფერება ტანზე ტალღა
და თმაში ვგრძნობ ვოლგის ქვიშას.
არ ვინსენებთ ძველ სატყეარს,
მხარე ფერფლით ნაფერია,
მე მთელი დღე გზას ვადგვივარ.
გზაც ვით სუფრა გამდენია.
შუა გატეხა მუშამ პური,
ჯამით ღვინო დამდენია.
რა კარგია სუფრა მშური,
გულში გრძნობა რამდენია!
მადღეგრძელა სავსე კიქით,
გული გახსნა მეზობელმა
და ჩემს გრძნობას მოძმის ფიქრი
კარს უღებს და ეზომება.

ნამდვილ მშრომელს შევეყვარე,
ყანა არსად ვგვაღვება,
გარჯაშია მთელი მხარე
და ჩემს მამულს ემგვანება.
გზა გრძელდება კვლავ ვაკეზე,
შუაღლე გახდა ამ შუა გზაზე.
უბის წიგნი გადაეკეცე,
წუთით კუბე გადავრახე.
მივჭრი, არ მაქვს გულში ბზარი,
ვხედავ სახლზე ასულ სუროს
და მეზობლად ერთი მგზავრი
მიცხვეიჩის ლექსს კითხულობს.



ლექსის ბწყარი გულში მივლის,
 ვუწყვილდები მგზავრის მღერას,
 ვუბრუნდები ფიქრით თბილისს
 და გაფრენილ ფუძის მერას.
 ჩემს მთაწმინდას თვალი ვკიდევ,
 ყვავილს მირხევს ტოტი ნუშის,
 მე ძველ უბნებს ვანვერდივ,
 ახალ თბილისს ვწვდები გულში.
 მთავრ ალვა ჩეროს აფენს,
 შორით, შორით ვტბებები მწერით.
 შენ აღმზრდე, შენ გამწაფე,
 შენი წყარო გულში მღერის.
 ქვისმთელი წერს ქვაზე გუჯარს,
 ქუჩა არ ჰგავს კინტოს კილოს.
 ვუმწერ ვაგზლის გაშლილ ქუჩას
 და მტკერის ახალ სანაპიროს.
 შორს ვავეყურებ ივრის კაშხალს,
 ზღვად აქციეს მლაშე ტბები
 და თბილისის ფრთების გაშლას
 შორი გზიდან ვეხოტბები.
 დილის ცეკრი იორს ვთხოვე,
 მხიბლავს მთების სისალუქე,
 იქ სტალინის ცეცხლი ვპოვე,
 სიბრძნის გზა და სიკაბუჯე.
 მთელს კავშირში ჩემი კუთხე
 ერთი რტოა თუ წიბური,
 ჩემი გულის შესაკუთრე
 მთებში მღერის მოწიფული.
 მსურს სამშობლოს გეგმებს გავწვდე,
 ვიშრომო და ოფლი ვღვარო,
 მთის ორწოხში არსად დავწვდე,
 არ ამოვმრე მთებში წყარო.
 მწვერვალს სხივი აკრავს გარსად,
 რძე შემასევა მთის ბალახმა

და შორს არ ვარ მისგან არსად,
 თუგინდ ვიყო ცხრა მთის გამოა.
 მატარებლით მივქრი აგრე,
 ფიქრი, მგონი, გზაზე მიქუხს.
 ენაცვლება ვაკეს ვაკე
 და ჯიხური ისევ ჯიხურს.
 გზამ ამივსო ხმებით მკერდი,
 ბუჩქები ჩანს თუ შოლტები,
 თუნდ განვლიო ცხრა მთის ქედი,
 მამულს არსად დავშორდები.
 მივქრი, ვგვევარ ღამის მთევარს,
 შეუხორცდა მხარეს წყლული,
 პოლონეთის გზაზე ვდგვევარ
 და გაეტეხე ძმობის პური.
 ესეც ჩემი საბუთია,
 გულით საბუთს ვინ ამოხვეს.
 გზა მშვიდობას გაუთბია,
 გუშინ სისხლით რომ გამოხვეს.
 მომძის მღერა ფიქრში ჩამყვა,
 გული ამ ხმას ეტანება.
 გულს ჩამოჰყვა ვოლგის ტალღა,
 როგორც შრომის ნეტარება.
 წინ გამოჩნდა ვისლის ხედი,
 არ აჩნია მტრის ქეჭაფი.
 სად ვიყავ და სად გავედი,
 და მდინარეს დას ვეძახი.
 მივქრი, მივქრი, გაქრა ბინდი,
 გაფანტულა ნისლი ვისლის.
 გაღვიქროლეთ გრძელი ხიდი
 და გაღმიდან სტეენა ისმის.
 წაღმა ბრუნავს ქვეყნის ჩარხი,
 შუქი აღგას გაშლილ რიყეს,
 და მგონია, ყველა სახლი
 მობრუნდა და კარებს გვიღებს.

პუშკინი და მიცკევიჩი



პუშკინმა რომ განვლო მღეთი,
 ბინდი აწვა ხეობაში ქალაკს.
 ძირს არაგვი დულდა თეთრი
 და უმღერა მომხიბლავ ხმით არაგვს.
 მთები წყლებით ნაკდევია,
 მაშინდელი წყლის ყიფინი მესმის.

სამხედრო გზას დამჩნევია
 მგზავრის ხმა თუ ანარეკლი ლექსის.
 მგზავრის მღერა როგორია,
 შევეჩვიე ვით მწვერვალზე ნათელს
 და პუშკინის ხმა, მგონია,
 მთებში ჩარჩა და ღამეებს ათევს.

მიცვევის ვერ შევეყარე,
თურმე აღრე გაპრილიყო ყირიმს.
ყურს უგდებდა ჩემი მხარე,
როგორც მთაში ცალი ირმის ყვირილს.

ხალხს შესწირა გული უხვი,
შორით ჩაწვდა ჩემს მგალობელ პაპას
და ურხევდა სიო მწუხრის
ლომის მხრებზე გადმოფენილ ფაფარს.

მე ვიგონებ ორ მეგობარს,
ნევის პირად შევხვედროვარ მგონი.
ნაბიჯს ვისმენ თუ საუბარს,
და მდინარის მღერა მესმის ორი.

თავზე მადგას ჩერო ფიქვის,
ნევას ვუმზერ თუ შევყურებ მყინვარს,
პუშკინის და მიცვევის
განვლილი გზის გახსენება მიყვარს.

პირველს დასცეს გულში ტყვია,
მეორე კი შინ წააწყდა ნაპარსს.

ხალხმა გულში ჩაიხვია,
არ დაუთმო მათი ხმებმაცაფლდებო
გმბლმომთქვა

დღეს ვისლასთან ქვაზე ვზივარ,
მდინარის ხმა ჩამიფესვდა გულშა.
მშვიდობის და შრომის გზაზე
ისევ ეპოვებ მიცვევის და პუშკინს.

ნევის პირად რეკავს პწკარი,
საქართველოს მთებს მოშორდა ბინდა.
მღეთის გზაზე მღერის მგზავრი
და არაგვით ვისლამდე ჩანს ხიდი.

მასპინძელი დგება ვისლით,
გულს აესებულს ხალხს თასივით აწვდის,
მზემ დაუდნო მხრებზე ნისლი
და შეჰყურებს მითი აფრენილ არწივს.

პოლონეთი დღეს ფრთებს ისხამს,
ხმა მჭუხარებს გლეხკაცის და მუშის.
უხარია და, ვით ცისკარს,
მიცვევიჩი შინ ეძახის პუშკინს.

შოპენის სოფლისაკენ



მე პოლონეთის შარაზე მივქრი,
ჩანგზე თქმულებას ვუამბობ შოფერს,
თოვლმა მინდორი დაფარა თითქმის
და თოვლში ვეძებთ შოპენის სოფელს.

მანქანის შემას აჩნია ბზარი,
გზაზე მაღალი ცაცხვია ბევრი.
შენ, შორეულო, დარევე ზარი
და გუშინდელი დააშვრე ცრემლი.

თოვლი დადნება, გაქრება ფიფქი,
მინდორად მთესველი მარცვლეულს
მოჰფენს.

ახლა მშვიდობის შარაზე მივქრი,
ვუახლოვდები შოპენის სოფელს.

რტოზე ყინული მაგონებს მტევანს,
პაერს ზარივით ჰკილია ჰანგი.

მე პოლონეთის დიდ გზაზე ვდგევარ
და გულში რეკავს ქართული ჩანგი.

ვწუხვარ, მე სმენა არა მაქვს წმიდა,
ვერ დავემგვანე მომღერალ მშობელს,
მე, ჩამოსული შორეულ მთიდან,
უუახლოვდები შოპენის სოფელს.

გული მიაგავს ადრინდელ საყვესს.
ეგებ აფრინდეს პატარა ლექსი.
მინდა სიმღერა ხალხის ხმას აჰყვეს
და შოპენივით გაიდგას ფესვი.

მაგრამ მე სმენა არა მაქვს კარგი,
როგორ დავუდგე შეგირდად შოპენს.
მოველ და თოვლზე დაფრინავს ჰანგი
და ვერ ვშორდები შოპენის სოფელს.



ურალელი ბრიგოლ კუნავენი პოლონეთში ერკონესული
ნიგელირთეჟა

ურალელმა რკინიგზელმა კუნავენმა პოლონეთში — სოფელ გერა-სამოვიჩში გაიმეორა მატროსოვის გმარობა. იგი დაასაფლავეს გერა-სიმოვიჩში და იქაურ სოფლის სკოლას მისი სახელი მიენიჭა.

პოლონეთში სოფელია ერთი,
ეწოდება სოფელს გერასიმოვიჩი.
კუნავენიმა იქ გაშალა მკერდი
და ვერაგ მტერს შეაჯახა მხედრის
ნიჭი.

გადელობა მტრის ტყვიამფრქვევს
დილით,
დაუმკვიდრა სისხლით სოფელს
ნეტარება.
შინ მეუღლე წლებს თითებზე ითვლია
და ურალში თვალი გზისკენ ეპარია.

არ ბრუნდები და მიქრიან წლები...
ძმაო, მტარვალს ეკვეთე და დაერკინე.
სოფლის გულში, ვით წყაროში, წვეები
და მომავალს ჩაეკარ თუ ჩაეკარე?

შენი გვარი სოფლის სკოლას ერგო,
შენი ცეცხლი ურალის ქვის ნაკვესია.
საბჭოთა მთით გადმორგული ნერგო,
როგორც სვია, ხმა სოფელში
ჩაგფესვია.

მეზმანება, ნაომარ ხელს მომხვევ,
შენს გარშემო თავთაგების ლაღანია.
რკინიგზელო, აქ ფეხდაფეხ მოხველ
და ურალში არ ყოფილხარ რა ხანია.

შხარე გაწვდის უცდავების სურას,
მეჩვენება, სოფელთან ხარ
ნამოყვრები.

შორს ოცნებით ვესტუმრები ურალს
და უკანვე შენს ნაკვალევს გამოვყვები.

აქ დამკვიდრდი, ვით პირველი კომლი,
მატარებელს გადაუსწარ დაბალ
მთებზე,
და ურალის ვარსკვლავების ხომლი
შენი ხელით პოლონეთში გადათესე.

ვინ ჩაგიქრობს შენ სიცოცხლის
ქურას?
სოფლის მდელო შენი სისხლით
ნაბანია.

პოლონეთის მიწა მკერდზე გხურავს,
მსუბუქია, ნისლია თუ საბანია.

შეუერთდი გაზაფხულზე დაბლობს,
ჩრდილში წვეხარ და ბუნებას ეგუები.
შენზე გლები ერთ სიმღერას ამბობს
და მეგობრად შუა სოფელში ეგულები.

დღეს სკოლაში ჭიკჭიკია მერცხლის,
მოსაუბრე ბუდე ფანჯრის რაფაზეა.
მიწერილი სიცოცხლით თუ ცეცხლით
მოწაფის წინ, შენი გვარი დაფაზეა.

უკვდავება ორ მხარეში გერგო,
წინ გაგვისწარ და მყობადში ირიცხები,
და, ურალის ფესვმაგარო ნერგო,
მშვიდობის და ძმობის გზაზე
მიმიძლეები.



ეროვნული
გინზლიერთეა

★
მეშახტის სიტყვა

სიტყვა ჰგავდა ფრთების გაშლას,
ვარდს თესაედა თუ მართაედა საქვს.
დიდ დარბაზში შევეყურებდი ვაჟაკს,
ვიგონებდი ჩემს ღონბასს და
ტყვარჩელს.

ტაშს სწყვეტდა თუ ვარდის კონებს,
გმირს უძღვნიდნენ ენძელას და იას.
ხმაში ვგრძნობდი მე მეშახტის ღონეს
და შახტიდან ქვანახშირის ჩხრიალს.

ვერ ვატყობდი ზუსტად ასაკს,
ბაჯალლო ქვა შეუღრია ლითონს.
მგონი ადრე არ შემყრია არსად,
მთას არღვევდა და კვებავდა მინდორს.

შინ კათავდა ჯაგს და ეკალს,
გიშერს ყრიდა თუ ზელეურს ლალის!
მეშახტის ხმა წყაროსავით რეკავს
და მადლობას შინ უგზავნის სტალინს.

მსურს გავტეხო მასთან პური,
უხვი გული სამშობლოსთვის უცემს.
გამეგება მუშის პოლონური
და ვკითხულობ ძმის ცხოვრების
ფურცელს.

გამრჯეა და გაშლილ პეშვით
ბოროტ თვალში მტერს მიაყრის
ნაცარს,

დაძჳენია გმირს ნახშირის ეშხი
და ღონბასის სტახანოველს ბაძავს.

მეშახტის ხმა რეკავს აგრე,
ნილაბს ომის გამჩაღებელს ახდის,
მეჩვენება, შემხვედრია ადრე
შორსმკვრეტელი და მემკვიდრე
შახტის.

ჰგავს ოქტომბრის მტკიცე მეზბოძოლს,
მომავლისთვის ფიჭრს მატყლივით
ართავს.
სურს სიცოცხლეს ყოველ ფესეთან
ემშოს,
მშენებლობის უბანზე შლის კალთას.

ვაჟაკია, გულუხვია,
გრძელ უღვაშზე თითქო რანდავს
თითებს.

მთელ სამშობლოს ხელი შემოხვია,
ვარსკვლავივით შახტში ღამეს ითევს.

ვგრძნობ მეშახტის ხელზე აბელს,
მუშის თვალი მეგობრის ხელს არჩევს.
ეისლის პირას შევეგრემან ქვას აფენს
და უსწორებს თვალს ღონბასს და
ტყვარჩელს.

ვროსლავში საბჭოთა ოფიც-
რების სასაფლაოზე

★

ვროსლავს საძმო საფლავია,
რიგში წევანან ჩემი ძმები.
თოვლი თოვს და ზამთარია,
ლოდზე ყრია ვარდის ძნები.

შეფუთნული ქალი ქურქში
ყოველ საფლავს ყვავილს აფენს.
წყვეილი თვალი ჩამრჩა გულში
და თვალს ვუმღერ მოკიაფეს.

დაო, ყვავილს გულით სწყვეტდი,
თოვლს უღნობდი მხედრის საფლავს.
ფუტკარს ჰგავდა გრძნობის წვეთი
და ვარდს ღობის სითბო თაფლავს.

მზიბლავს შენი გაელეება,
დაო, ჰკეჭხარ ჭირისუფალს.
შენი თვალი ვარს ევლეება
ვაჟაკების გმირულ უბანს.

სამარხის ქვეშ ლევის ცეცხლი,
ნახავ, თუ შენ ახდი ფიქალს.
ოკეანის მიღმა მხეცი
ისევ უხმობს ომის გრიგალს.

სურს დანერგოს ხალხში დარდი,
თითქო სისხლი ჯერ არ კმარა.
თუმც თოვლია, მაგრამ ვარდი
არც ერთ ქვაზე არ დამკვნარა.

ვარდი აღნობს თოვლის ნამქერს
დობილის ვარდს ვერვინ ჩაყლავს.
ყოველ საფლავს ფიქრით დასცქერს
და სამშობლოს ურწევს აკვანს.

ეს არ არის სასაფლაო,
ბუდეა თუ ბრძოლის ველი.

მშვიდობისთვის, ჩემო დაო,
დიდი გზა გვაქვს გასაელული.
მტერს წაერთვით ტალღა ვისლის,
მზე დავკიდეთ ქვეყნის ბეჭობს
და, რომ გავხდეთ გმირთა ღირსი,
მშვიდობის ხმა ხალხში ვქვიოთ.

საფლავის ქვა გამთბარია,
ვარდი დევს თუ ლველფი კერის.
თოვლი თოვს და ზამთარია
და აპრილი მყვრდში მღერის.

აქ სიცოცხლის სუნთქვა მესმის,
ეს არ არის სასაფლაო
და მშვიდობას გულის ფესვით
ჩავეჭიდოთ, ჩემო დაო.

ხმების შემპრები



ჩემს ძმებს უძღვევ ვარდის ტოტი,
ხარ მშვიდობის და სიცოცხლის ვარდი.
სანამდის აქ მოხვიდოდი,
ხალხში იმედს შენ ვარდივით რგავდი.

შორს გაპყურებ ახალ ვროსლავს,
დობილი ხარ თუ მეგობრის მდადე-
ყვაილი და ფიქრი გმოსაეს,
და მოფრინდი შენ აპრილზე ადრე.

ეზო-ეზო ჩაგივლია,
ხელმოწერას ამრავლებდი დღისით.
შენი ფიქრი ყვაილია,
შენ ხარ დაფნის თუ დაფდაფის ღირსი.

ჭგავს სიცოცხლის მფარველ დეკრეტს
ხუთი ქვეყნის შეთანხმების პაქტი.
დობილებს და დედებს შეპყრებ
და მოძმის გულს ნისლის სარქველს
ახდი.

ჩატრბინე მრავალ კიბეს,
შინ ესტუმრე კალატოზს თუ ხარატს.
ხელმოწერილ ფურცელს იღებ,
როგორც ხალხის და სამშობლოს
ზარათს.

შენ პატარა მეტროლი ხარ,
ყვაილი ხარ, ირემი ხარ რემის.
შენ ნაომარ თხემზე ზიხარ,
ტურფა ხარ და დობილი ხარ ჩემი.

ტანკენარი გზაზე ჩანდი,
ხელისგულით მოძმეს ფიქალს უთბობ.
რომ არ დაქენეს თოვლში ვარდი,
შენი ეშხი დააპყურე ბუტკოს.

ზიხარ, ითელი ხელმოწერას,
თუ ანგარიშს შენ აბარებ გმირებს.
ჭგავხარ ახალ მთის სიმღერას,
თუ მომავლის მთაზე შემდგარ ირემს?

მზით ავსებულ ბაღს ჩაივლი,
ეფერები უკვდავებას გმირის.
სისხლით საესე მთის ყვაილი
ძმის საფლავთან სიცოცხლეზე ყვირის.

ერთი ხარ და მრავალი ხარ,
შენი გული სამშობლოს გულს იტევს.
შენ გიპყრია ხმები, ტურფავ,
და ხმებით რწყავ შენ ხვალინდელ
მინდერებს.



ეროვნული
გზაობისთვის



ვროსლავის ვაზონშენებელ
ჭარხნის სტახანოველ ქალს

ერთხელ გიხილე დაზვასთან ახლოს,
არ მაგონდება შენი სახელი.
დაო, ღებავდი სამგზავრო ვაგონს
და მერმე გზაზე კოხტად გახველი.
ახლა მე მარწვეს ლურჯი ვაგონი,
არსად შემხვდება ღრე და ეწერი.
სითბო მოგვეყება შენი ნაჭონი
და მგზავრს ცხოვრების გზაზე ეწევი.
ვაგონში სხედან შახტის მუშები,
სოფლის ბავშვები, როგორც დიდები.
წინ სემაფორის ბრწყინავს შუშები
და მავთულებზე ჭრელი ჩიტები.
ომგადახდილი ქვეყნის იერი
მიჭრის და გვხვდება გზაზე ქალები.
გზისპირად წვანან ალბათ იები,
როგორც დები და შენი თვალები.
შხერა მიჰყვება ნაცნობ ვაგონებს,
როგორ შესცვლია მხარეს ნაკეთები.
სავსე ვაგონი ოჯახს მაგონებს
და შორს გარბიან მთების კალთები.

შენ აგინთია შრომით გულები,
როგორც სიმები რეკავს რელსები.
ჩვენ ვართ დროებით შენი მდგმურები
და ქვეყნის მაისს ეალერსები.
ქუბე პატარა ოჯახს მაგონებს,
ხშირად იცლება სავსე ჭიქები,
და ვროსლაიდან გასულ ვაგონებს
ზარათებივით მიიქვთ ფიჭრები.
ვარდმა შეცვალა ხალხის ვარამი,
ველს დაჰფენია ვარდის ვარაყი.
გლებმა ბერასთან გახსნა ალამი
და მის გარშემო ღელავს ბალახი.
მღელვარე ბალახს ძოვენ ძროხები,
ვერ დაესხმება მტერი უხეში.
ფიჭრით ქუბეში მუშებს მოჰყვები
და მღერით შეხვალ ყოველ კუთხეში.
მშვიდობის სიტყვას, გულით ვაგონილს
აწვდი ძნებივით სამშობლო მხარეს,
და მე მგონია, შენი, ვაგონი
უახლოვდება მოსკოვის კარებს.

კრაკოვში



შეჩვეული ვარ მამულზე მღერას
და სტუმრის თვალთ შევეყურებ
კრაკოვს.
დავცქერი ქვაზე ჩუქურთმის პერანგს,
ქველი ოსტატის ოცნების ნაყოფს
როგორ შევიძლებ შორეულს ჩაეწვდე,
როგორ შევიცნობ ორ დღეში ქალაქს.
მე შემიძლია მცირე ხნით გავცდე
არაგვის პირს და მეზობელ არაქსს.
კუმღერო წითელ მოედნის ნაძვებს,
კრემლის ვარსკვლავით გადაეწვდე
ურალს.
მე კოჯრის გრილი ნიავე მარწვეს
და შინ მთაწმინდის ლავარდი მხურავს.
კიევის ბორცვზე შრიალებს წაბლი,
შინ მეძახიან ჰადრების რტონი.

გულში ერთი ხმა ჩქერივით ჩარბის:
სად არის ჩემი სამშობლოს ტოლი!
სად არის ჩემი სამშობლოს ტოლი,
მაინც კრაკოვში წილი მაქვს მგონი,
რადგან ვპოულობ ლენინის ბინას,
სადაც მოისმის ნაბიჯი სწორი
და ქარი არხვეს იმ დროის ჩინარს.
მესმის ლენინის ნაბიჯი მტკიცე,
როგორც ესმოდა მაშინდელ რუსეთს.
მინდა სიმღერას სიმაღლე მივცე
და წინ ჩავუვლი არწივის ბუდეს.
მე ყველგან მხვდება სამშობლოს
წვლილი
მეზობლის ეზოს ამაგით ამკობს.
თავს მადგას დიდი ლენინის ჩრდილი
და, ვით შინაურს, შევეყურებ კრაკოვს.



მოსავლის ღმსასწაული
კრაკოვში



ღლით მწყემსმა მითი ნახირი
ჩამოდენა.
ღღეს კრაკოვში მხარგაშლილი
გლეხებია.
პრეზიდენტმა ჩაიარა გამოფენა
და მზრუნველი ხელი ხორბალს
შეჰხებია.

შორს უკრავენ გარანდული საკრავები,
მიხარია, მეზობლობას გეფიცები.
შევეყვი და ფიქრით ზეიმს გადავები
და კასრებთან საღამოს მზეს
ვეფიცები.

პური, ხილი და სიმინდის ღეროები...
მეჩვენება მოსავალი უღვევია,
ცის ტატნობზე წრეს ბაწრავენ
წეროები
და გლეხებში ღამის მეხრეც ურეგია.

ღამის მეხრეს კოპერნიკთან გაუღლია,
ვისლის პირას მეცნიერის ეკვებია.
კრაკოვის ცა კოპერნიკის მამულია
და თვალები ირმის ნახტომს შეჩვევია.

სღავერ კოგრით შეაგროვა
ვარსკვლავები,
როგორც ძნები და მომკილი
თავთავები.
ღამდება და ფიქრით ზეიმს გადავები
და ვისღაზე ამოცურდა ვარსკვლავები.

საცეკვაო წრეს აკეთებს ოცეული,
სკრიპკის ღარებს გურღლი ვერ
შეღვევია.
ღღესასწაულს, ვით გამსკღარი
ბროწეული,
მამხალიღან ნაპერწკლები შერეგია.

ღღეს კრაკოვში გლეხებია შეკრებლი,
მომავლისთვის არტელის წვერს
უშრომნია
და ვარსკვლავებს რომ არკვევღა
კოპერნიკი.
პოლონელ გლეხს კრემლის კოშკზე
უპოვნია.

მამხალეებით კრაკოვის ცა დაფერიღა,
ღარწეულა მტვენები და თავთავები,
და ვისლიღან რუსეთისკენ გაფენიღა
კოპერნიკის შერჩეული ვარსკვლავები.

ღენინის სახლი სოფელ პორონინოში



ტატრის გზაზე სახლი ვპოვე მცირე,
ქელური და მიმზიდველი ეგზომ.
ქიმკრის კიღით ნაბიჯს მოვუხშირე,
შინ შემიხმო მითის მოსაზღვრე ეზომ.

ქელურ სახლში უცხოვრია ღენინს,
უშრომია ღიდ ბელადს და ოსტატს.
აქ ეღოღა რუსეთიღან წერიღს
და არჩევღა შინ მიღებულ ფოსტას.

ჩქარობღა და თვღს ავღებღა გაზეთს,
მოვერცხლიღი მთები ჩანღა ტატრის.

მგზავრს შევღოღა ისტორიის გზაზე
და აწყობღა შინ პარტიულ თათბირს.

გაყურებღა ტატრის მთას თუ ვაკეს,
ყურს უგღებღა წყლით მომღერალ
წისქვიღს.
თვღლი, მგონი, ღამჩნეღა სარკმელს
და ხმის ეხო ტატრის მთებში ისმის.

ეზო თითქო გრძნობის აუზია,
კარს ვეხები თუ საშობღოს ნაწიღს

ბრძენს შენობა ფიქრით აუესია
და იმ ფიქრის ნაპერწყლები მათწივს.

მომავლისთვის კარი ჰქონდა ღია,
კუნძულს ჰგავდა კარ-მიდამო მცირე.
მთის არწივის ზომ მთები ჰყვარებია
და შეჭრილა მთებში მონადირე.

გლესს ბაასით შეჰყოლია ბევრგზის,
ნაპერწყალი უთესია მთაში.
ამ პატარა და უსაზღვრო ტერქვეშ
აუნთია ლენინს გარიყრაყი.

შორს მთებიდან ეშვებოდა მწუხრი,
ჩაუვლია ფიქვანარი თუ ხევი.
ტატრის მთებში შეჰხაროდა ქუხილს
და ბილიჯზე დარჩა ნაკვალევი.

ადრინად მზეს ხედებოდა ზღურბლზე,
მგზნებარე კოლხს მთაში მოელოდა,
და ლენინის თვალუწვდენელ შუბლზე
შუქს ხედავდა ხალხის ვოევოდა.

ჰქონდა სითბო და ფხრზელი ძილი,
ვოლგას ჰგავდა, დიდ გვალვაში
ეროვნულ მწვერულს,
და ლენინის აზრი ჰმზისაღმდეგ
დღეს აპურებს პოლონეთის ჯუჯილს.

მშვიდობის გზა ამ ეზოზეც გადის,
ვარსკვლავები ამ ბუდიდან მიფრენს.
ეუშურ ეზოს, ვით სახალხო აღვილს,
და ეზოში ვმკვი მომავლის ფიქრებს.

ბრძენის ეზო არწივის ფრთას ისხამს,
მშვიდობის მგზავრს მეგზურობას
უწიეს.
კარ-მიდამო ჰგავს ანთებულ ცისკარს
და პარტიის მატთანის ფურცელს.

დამკვიდრდა და ფრთა გაშალა
მთებში,
ჩანს სიციცხლის და მშვიდობის
მცველი
და ამ სახლმა ახალ პოლონეთში
მომავლისთვის ჩადგა საძირკველი.

ბორის სახლი კორონიონოში

★

პორონიონოში, ლენინის მუზეუმის პირველ ოთახში, დგას
გორის სახლის პატარა მაკეტო.

როგორც ბუდე გარანდული მთაში,
როგორც აზრის საგანძურში აზრი,
დგას ლენინის დაფიქრებულ სახლში
გორის სახლის ფრთაშესხმული ასლი.

ტატრის ახლო მომეჩვენა მტკვარი,
კლდეზე ციხე და გაშლილი ხედი.
გორის სახლმა გამოაღო კარი
და კარებში გამოფრინდა მტრედი

ბუდეს მოჰგავს თუ დაყურსულ
მტევანს,
ჩეროს დარი სახლს დაჰყურებს ჰერი.
ტატრის მთასთან სამშობლოს წინ
ვდგევარ
და გარშემო ჩანს ჰადრების ჯერი.

შენგან წაველ და შენამდე მოველ,
საქართველოს მთები მხედება, მგონი.
გორის წყარო პოლონეთშიც ეპოვე,
ტატრის გზაზე გვეგებება გორი.

ეპოვე ბრძენის პირვანდელი ფუძე,
მთას ჩამოჰყვა თუ მდინარის პირებს.
გზაზე ფურცლავს გაზაფხულის
ფურცელს
და ნამეხარ მთას უბრუნებს ჩრდილებს.

გაუმართე შენ პოლონეთს მხრები,
რომელი ვთქვა, როგორ ჩამოვთვალო.
სადაც წავალ, მჯერა, შემეყრები,
როგორც ფიქრი და სიციცხლის
წყარო.



აივანზე მიყრდნობილი კიბე
მიმალლებს და გონების თვალს
მიხელს.

შეედექი და ფიქრი მოვიკრიბე,
და შევეურებ კლდეზე შემდგარ ციხეს.

დასტრიალებს სახლს მთიელი ბავშვი,
გორს გურალი უგალობს და ლაღობს,
და, მგონია, ამ შორეულ მთაში
ვწყვეტ მამულში დამწიფებულ
ნაყოფს.

სახლი მაწვდის საგზალივით იმედს,
შეეჩვია მწვერვალებში კაშკაშს,
მიუძღვება გამარჯვებულ ჩინელს
და კორეელ შეუღრეველ ვაჟკაცს.

აზრს აღვიძებს, როგორც რტოზე
ფოთოლს,
კვებავს მართვეს და ხვედრადღელთა
ბოკვერს,

საბერძნეთში ელანდება ობოლს
და მარსელში თავდადებულ დოკერს.

გორის სახლი ნაწილია კრემლის,
მზე უპყრია თუ სიცოცხლის თასი,
და კაცს ყოველ გზატკეცილზე ელის
გორის სახლის ეს პატარა ასლი

წილი სითბო ტატრის მთაშიც უდევს,
ხეავს უშატებს მალაროს თუ კალოს.
ჰგავს მომავლის გამომჩეკავ ბუდეს
და სამშობლოს დაუშრეტელ წყაროს.

გზაზე თქმული



მგზავრს გზაში ბევრი რამ აგონდება,
გაგონილი თუ განცდილი აღრე.
მთაში მღერა თუ ქვის დაგორება,
თუ მდინარეში ნასროლი ბადე.

პირველი ფუძის ჩაყრა კაშხალში,
არხში ელვარე თეთრი წვივები.
ბინდში პატარძლის თვალის კაშკაში
და გადაბმული მთაში წვიმები.

მეც წესს საერთოს ვემორჩილები,
რას არ ვიხსენებ, როგორც წესია.
თოვლზე წვებიან გრძელი ჩრდილები
და თოვლს მთის კიდე მოუთესია.

მთები შორიდან ერთი ბეწვია,
უფრო დიდი ჩანს სოფლის ბუხრები.
მე მოგონება გზაზე მეწვია
და ვით თანამგზავრს ვესაუბრები.

როგორ განვლიე ოთხი ხუთწლელი,
მინდა განვლიო კიდევ ხუთამდე.
ვიცი შრომაში არ მოეხუცდები
თუნდ მეორმოცე გაზაფხულამდე.

ეგებ მამულში ერთი ბეწვი ვარ,
მიანც დიდმა გზამ მომცა ნუგეში,
და მე ხუთწლედში ისე შევდივარ,
როგორც შედიან სიკიბუეში,

გვალვაში მგონი არ გავხურდები,
სიმბირსკს ჩავეწვდები გრძნობის
დაფებით.

მერმე გორის გზით შინ დავბრუნდები
და მე ორ წყაროს დავეწაფები.

წლების ეანგს ვატან ჟუჟუნა წვიმებს,
გულში გვალვისთვის ივრის ღვარია.
მე უცხო გზაზე რა დამაძინებს,
თუმცა გზაზე ვარ დიდი ხანია.

მცირე ხნით ძილი შინ შემიძლია,
ძილი ტკბილი და ძილი ფხიზელი.
შრომის ქუხილი ჩემი ღვიძლია
და ქედა ხარის შემრჩა კისერი.

გზას ჩემი კვალი არ დააჩნდება,
მე კი ჩამრჩება ამ გზის წნორები.
ძმის წარმატებით სული კაედება
და კაეს მაწვდიან ჩემი სწორები.

მე არ დავტირი დედას — ქეთევანს,
წინ მიფენია ველი ტრიალი.

პატარა პეშვში გული მეტევა
და გულში დიდი ქვეყნის ტრფიალი

სადაც არ უნდა ვიყო დროებით,
ყველგან სამშობლოს ზეიმს ვესწრები.
თავზე დამნათის არყის რტოები
და მე მკვებავენ მისი ფესვები.



გურალები¹

თოვლია და ფიქვებია დახრილები,
ტატრის მთები გარინდულან, გულადები.
ზამთარია, წკრიალებენ მარხილები
და გალობენ მთის კილოზე გურალები.

მთებს მოუსხამთ ნაბდები და ქულაჯები.
გზა ზამთარმა ფანტელებით გადაპენტა.
მთაზე იხედრებს გადუგრიახავთ უღვაშები.
არ მეგონა,—ციგა მთაზე ამაფრენდა.

თხილამურებს შერვევია ხელოსნები.
მოჭრიან და სუფრებს შლიან პურადები.
სად გაფრინდნენ ციგები და ცხენოსნები,—
და მეზობლებს მაგონებენ გურალები.

ნაძვები ჩანს თოვლში მწვანედ ანანთები,
მთაზე მიფურენ, თუ ცაზე ვარ გაბაწრული!
ბაკურიანს მომაგონებს ტატრის მთები
და „ზღვის თვალთან“ თვალწინ მიდგას ტაბაწყური.

მთაში მთქმელი და მოლექსე მრავალია,
მთებია თუ ხალათებში მკურნალები.
ბუნებისთან მთაში ბრძოლა მთავარია,—
და ხეცურებს მაგონებენ გურალები.

ტატრის მთებში ხალხი მღერის დაღბინებით,
მტერი ბილიქს მაღალ მთაში ვერ იშოვნის.
ზარებს რე ეს და ფრთას შლიან მარხილები,
ტატრის მთაზე გზა გადადის, გზა მშვიდობის.

მთები გვიხმოზს თუ მწყემსების საყვირები?
ტატრის მთები გარინდულან, გულადები.
ზარებს რეკენ, თვალს იტაცებს მარხილები,—
და სტალინზე ლექსებს თხზავენ გურალები.

¹ გურალები—პოლონელი მთიელები.



ზღვის თვალი

ტბას „ზღვის თვალი“ დარქმევია,
ვერსად ვპოვებ ტბის ნაპირზე
კალაქა.
ტბა არის თუ ნაჭდევია,
თუ ბუნება მეორე თვალს მალავს.

სად ვიყავ და სად მოვფრინდი,
მეჩვენება ნაკვალევი ნუკრის.
დილაა თუ მთაში ბინდი!
ტბა გალობს და მთებში ყოფნა
უვირს.

მთა მშვენივრება ამგვარ ტბებით,
მთის ბუნება თითქო ალალია.
ამგვარი ტბა, მე რომ ვტყებთ,
საქართველოს მთაშიც მრავალია.

თვალწინ მიდგას ტბა ხრამქვისს,
ბუნებაში გაღებული თვალი,
ტბა ვრცელი და უმაღლესი,
თბილისის ზღვის მშობილი და ცალი.

ხრამქვისს ტბის შხერა მიყვარს,
ღვრის სინათლეს თუ ოქროსფერ
თევზებს.
ჰგავს მწვერვალზე შემდგარ ცისკარს,
აფრენილი თრიალეთის მთებზე.

ტბები მთებში მოვათავსეთ,
ხალხმა შეძლო მთებთან გამკლავება.
და, მგონია, ტატრის მთაზე
ჩამიჭროლეს ხრამის ვარსკვლავებმა.

ბურაღის სიმღერა



მთის მელექსე აღუღუნდა,
გაღვიძა ჭიანურის ლარები.
ნეტავ გურაღს რის თქმა უნდა,
სად მიფრინავს მისი ხმა და თვალები?

რას მეტყველებს მცირე ყუთი,
ლალია და აღარ ადგას უღელი,
შეაერთა გრძნობა ხუთი
და გაფანტა მთაზე თეთრი ღრუბელი.

ხელი თითქო ნახმლევია,
მთაში გუშინ ქარიშხალში გადარჩა.
ტურფა საკრავს ჩახვევია
და ხმებს წველის ლარებიდან ქამანჩა.
საგულედან ლარზე აჰყავს
მთის მოლექსეს თვისი გრძნობა
მართალი.

ჰგავს ქალარა მთების მაყარს
და საკრავით შორს გაფანტა ზამთარი.

ეს მელექსე გურაღია,
სად გარბიან, ვის უხმობენ სიმები?
წყაროს პირად მწყურვალაია,
ლარს მოსწყვიტა მოწყრიალე წვიმები.

მთას გზასავით ხმა აჩნია,
ბავშვებს გზაზე აღუბეჭდავთ ტერფები.
გზებია თუ მთის არშია!
და ჩანჩქერით აფრენილან შხეფები.

მთის მოლექსე ვარდებს გვიფენს,
ლარს მიანდო გულისხმა და უნარი.
მთის არწივი მთაზე მიფრენს
და მე ვხვდები, ვის უმღერის გურაღი.

შორს გეონტი მოჩანს სალი,
ხმა წრფელია და არ არის მაცდური.
გულს გურაღი უძღვნის სტალინს
და მთებიდან ეხოდ ესმის დასტური.



საქართველოს
წიგნწერის კავშირი

★

ბავშვები მთაზე

სოფლის ბავშვები ტატრში დარბიან,
ტატრში ზამთარი გაქრება მალე.
ფიჭვის საკმელი მთაში ჭარბია,
მოველ და თოვლზე ტერფები ვთვალე.

ბავშვები თოვლის ფანტელს ეტრფიან,
არ აშორებენ თვალებს დედები.
თოვლზე მრავალი ტურფა ტერფია
და ჩანს ციგები, როგორც გედები.

თოვლის ფიჭვებით მთა იბურება,
ცელქები ზტიან, როგორც თიყნები.
ბავშვებს იხუტებს გულში ბუნება
და გარს ეხვევით სოფლის ფიჭვები.

თეთრი სახლი კი აჩაღებს ღამეს,
შორეულ მთებში ყვავილებს შხამავს.

ჯამუშს უგზავნის ტატრებში მამებს
და სურს დააცხრეს ბავშვების თამაშს.

მაგრამ ბავშვები ფხიზლად მიდიან
მთები იფარავთ, მხნე და გულადი,
და ბავშვს თვითიულს გულთან ჰკიდია
ბავშვთა მფარველი ბრძენის სურათი.

ბელადს სურათზე ბავშვი ჩაკვრია,
თავზე დაპნათის კრემლის არილი,
და ყველა ქვეყნის ბავშვს უნატრია,
რომ აგრე ახლოს ნახოს სტალინი.

ნატვრა ურალის ვარსკვლავს შერთვია,
რარიგ თეთრია თოვლის ფიჭვები!
თოვლზე ურიცხვი ბავშვის ტერფია
და ამ გზით მიქრის კრემლში ფიჭვები

ტატრებში ბავშვებთან საუბარი

★

მალა მხედებიან ცქვიტი ბავშვები,
დაბლა აბოლდა სოფლის ბუხრები.
ბავშვებს ფიჭვნარში ვეთამაშები
და გორის სახლზე ამბავს ვუყვები.

არწივის ბუდე რარიგ თბილია,
როგორ ახლოა მისთვის ტატრები,
და ბავშვის თვალში აღბეჭდილია
გორის სახლი და ჭრელი ჭადრები.

ვესაუბრები ფიჭვთან პატარებს,
ფიჭვი მაღალი ანძის ტოლია.
ტატრებს სამშობლოს ქედებს ვადარებ.
ლა გორის ბუდე ახლო მგონია.

დაწითლებიათ ბავშვებს ლოყები,
თოვლზე წვებიან მოკლე ლანდები.
ქართლიდან ბრძოლის გრძელ გზას
მოვყვები
და კრემლის კართან შეეგვიანდები.

ამ გზამ გაწაფა ფრთები არწივის,
ფრთებმა გაფანტა მთებზე ღრუბლები.
გორია ყველა ქვეყნის ნაწილი
და გორის ამბებს ბავშვებს ვუყვები

ტატრიდან ბრძენის სახლი ავლანდი,
დაუცქვევტიათ ბაღებს ყურები,
და, მე მგონია, გორის კარამდე
მოჩანს ბავშვების ნაფეხურები



★

ხალხური ცეკვა

მთაზე ბინდია და ლარი რეკავს,
მოწყდა ტურფა და ჰაბუკთან ცეკვავს.

ტრიალებს წყვილი, ეხვევა ალი,
დაკარგულ ვარსკვლავს დაეძებს
თვალი.

ვაგი მიქრის და ქარივით ღელავს,
ტურფა ჰგავს რტოზე ახვეულ ვენახს.

ორივე ცეკვით გვიყვება ზღაპარს,
თუ ჭიანური ტყეში გზას კაფავს.

ტურფაც ღელავს და ვარდივით
მორცხვობს,
ცეკვაში მთების სილალე ცოცხლობს.

მგონია, მთაში უკრავენ საყვირს,
ცეკვით წყდებიან ნაპრალის ნაპირს.

ტალღის დარი თუ ქარიშხლიანი,
მე მესმის ქალის კახის შრიალი.

შრიალით უხმობს ასწლოვან იფნებს
და წყვილი მთიდან მყობადში მიფრენს.

ბარათი ტატრიდან

★

ტატრებში შენი ხმა მაგონდება,
მგონი მომყვება შენი ფიქრები.
ჩემი ტრფიალი არ გაორდება
და მთაზე ჩემი ჩერო იქნები.

მთების გადაღმა თხელი ბინდია,
თხელი ნისლია მთების მფარავი.
შენთვის გუმანი მე მომინდება
და შენს გულშია ჩემი კარავი.

ჩამავალი მზე ტატრებში დათრთის,
ღრუბელი თითქოს თეთრი ბეწვია.
შენი მყუდრო ხმა სიმღერისათვის
მთაში, ვით წვიმა, წამომეწვია.

როგორ გზიბლავდა მთაზე კრავები,
როგორ გიყვარდა მთაში წრიალი.

ღღეს შენზე ფიქრით ნისლში გაეები
და ვერ შევნიშნე ხევი წყლიანი.

ხევით მოისმის წყლების ჯახირი,
წყლები სიცოცხლის საბუთებია.
ჩემი ქვეყნის და შენი ძახილი
წყვილად ამ გულში ჩამბუდებია.

წინათ გვიყვარდა მთაში სირბილი,
ახლა მე მარტო ვნახე ტატრები.
დაბლა ფუსფუსებს ღარის წისქვილი
და შენ წისქვილთან მომენატრები.

გულში სამშობლოს ნაწილს ვატარებ,
არ ირხევია მთაზე ქარები.
შენს თმას აპრილის ჯეჯილს ვადარებ
და შინ თქორივით მოვეჩქარები.

მეორე ბარათი

★

მთები უშენოდ მკრთალი ყოფილა,
მაინც მიყვები მალღობს ხეივანს,
შენი თვალებით მთა აღობილა
და გულს არშიად შემოხვევია.

მტკიცე ნაბიჯით განველე სერები,
ვიხმობ და თითქოს შენ მემალები.
მე ცისარტყელას მიყვარს ფერები
და შენი ღრმა და ღია თვალები.

მე მაგონდება მთაზე ხახმატი,
მეავე წყარო და სოფლის ბანები.
ახლაც დავძლიე ორი აღმართი
და ტატრში ხევსურს დავემგვანები.

მახსოვს მეგობრის ჩანთა საერთო,
ჯორზე აკრული ფუთა რამდენი.
შემდეგ რამდენი დილა აენთო
და შორს რამდენი ჩაქრა სანთელი.

ცხოვრების გზაზე განვევლეთ ქედები,
მოვსპეთ მტერი და ყორნის ჩხავილი,

მე ვიცი, გზაზე არ დავებრდები
და პრავალ აღმართს კიდევ ავივლი.

ცვლის სიყვარული ქვეყნის მშენებელს,
მთაში იწრთუნება გულის კუნთები.
შენ ცისარტყელა თვლით ამინთე
და მე მეორედ გავქაბუკდები.

ჩემს მოგონებას კვებავს ტრფიალი,
ჩამავალი მზის მხედება ისრები.
მე წინ გზა მიდევს შენი ზიარი
და არ შემხედება მთებზე ნისლედი.

მშვიდობის ესტაფეტა

მეჩვენება, ავუგუნდნენ სკები,
ხიდზე ვდგევარ და ხმაური მიკვირს:
თურმე შეკრბენ გზაზე ქაბუკები
და მშვიდობის ესტაფეტა მიჭირს.

გზას მიჰყვება ოდერამდე გაჭირლს,
მღერიან თუ მალღლებიან ყვაილები.
მე შევყურებ წინ მეომრის აჩრდილს,
გავყვები და არსად დავილღები.

გზაზე, მგონი, მოძმის ნაბიჯია,
დამჩნევია ომის დღიდან შარას.
დღეს მშვიდობამ ეს გზა აირჩია
და მეომრის ჩრდილი მგზავრებს
ფარავს.

იმ გზით მივლენ ახლა ყმაწვილები,
გზაზე თვალი გახელია რამდენს,
მშვიდობა და შრომა ნაწყვილები
ესტაფეტა მიფრენს ოდერამდე.

★

ჩაუარეს გზაში ვოვეოდებს,
მინდვრის ვარდებს, ნაღძით ნაიარებს.
გზა-ბორძალზე ძმები მოელოდნენ
და მეომრის კვალზე გაიარეს.

დედის თვლიც ცისკრის ოდენია,
გაუშუქა გმირს მშვიდობის გზები.
წინ გაშლილი მშვიდი ოდერია
და წყლის გაღმა — მეგობრული ხმები.

ამ ადგილას სისხლი დაუღვრია,
საბჭოთა გმირს, მამულისთვის
მებრძოლს.
დაღვრილ სისხლზე ამოსულა ღვია
და ნაპირი ჰგავს მეგობრის ეზოს.

სიჭაბუკის მოძახილი ისმის,
შლის მდინარე სამეზობლოდ ტოტებს.
მშვიდობის ძნა წამოიღეს ვისლით
და გადასცეს ქაბუკებმა ოდერს.

კვისტრინზე გადაყრენა

★

...ღვით გურამიშვილი კვისტრინას ომში ცხენითურთ
ლიაში ჩაეფლა.

ვერ ვიფიქრებდი ათი წლით ადრე,
რომ გადაუფრენდი კვისტრინის ლიას.
დაბლა ირხევა ოდერის ბადე
და ყურს ვერ ვუგდებ მდინარის
შრიალს.

დავით გურამიშვილი

რატომ დავფიქრდი კვისტრინთან,
რისთვის?
მალლა მივფრენ და დავყურებ ოდერს.
ჩემი აღმზრდელი ებრძოდა კვისტრინს
და ქუსლი დაჰკრა ლამიან კბოღეს.

გურამიშვილის ულაცის ნალი
ლიას შერჩა და მდინარის რიყეს.
ციდან ამაოდ დაქებებს თვალი
ჩაფლულ ულაცს თუ გაყუმულ ციხეს.

ალბათ დაყრუვდა ფრიდრიხის სახლა,
დაბლა ირხევა ჰაერი ცხელი.
არ ყფეს ნაპირზე მესაზღვრის ძალი
და არც ჰიხინებს დავითის ცხენი.

გუშინ ისმენდა ოდერის ტალღა
საბჭოთა ლაშქრის საომარ ყიფინს.
მოსაზღვრე ცაზე მიფფრინავ ახლა
და გადაფრენას ვერავენ მიშლის.

ჩინარის ზედი მშვიდია თითქმის,
შუქი დაუკრავს საბჭოთა ვარსკვლავს.
წყნარი ოდერი ჩაუდის კვისტრინს,
გერმანიას და პოლონეთს საზღვრავს.

ორი მხრით სუნთქვა მიჰყვება
მინდვრის,

გამქრალა ნისლი შორეულ ზღაპრისა,
რისთვის დაეფიქრდი კვისტრინთან,
რატომ დავეყრებ ოდერის ნაპირს?

ფრთების მზული მომყვება შორით,
ღრუბელში თითქოს აწყდება ქვიშას
და ჰგავს დაბლობში ოდერის ზოლი
ხელით გავლებულ მშვიდობის ნიშანს.

რას ვიფიქრებდი ათი წლით ადრე,
რომ გადვუფრენდი კვისტრინის ლიას.
ცა გაიხსნა თუ ვეება ბადე!
და ციდან ვისმენ მდინარის შრიალს.

ვუხმობ მეომარ მომღერლის აჩრდილს,
გაჩნდეს, დახედოს მდინარის კბოდეც.
მშვიდობის ზოლი კვისტრინთან
გადის,
მე დავეყრებ და ვშორდები ოდერს.

დავით გურამიშვილი კვისტრინში

★

შვიდ წლიან ომში იბრძოდი, დავით,
კვისტრინის კართან მოხვედი როდის?
გეტებ ოდერთან დღისით და ღამით
და, მგონი, შენი აჩრდილი მოდის.

მირგოროდინდან ოდერის, გზამდე
ფიქრი გეხვია ხომლის ოდენი,
კვისტრინის კართან გამოჩნდი ადრე
და წინ მრისხანე დაგხვდა ოდერი.

ფიქრში გეფინა ჩერო ჩინარის,
ბორცვით გეძახდა მცირე ძახველი,
მხედრულად გასკერ ტალღა მდინარის
და მთის ქარივით გაღმა გახველი.

შენი ულაცი ბრძოლაში ქროდა,
როგორ დაეცი, რომელ ყურეში?
შენ მაშინ ორი სამშობლო გქონდა
და დნეპრის ტალღა გყავდა უბეში.

მოწყდი მხედარი სამშობლოს წიაღს,
შენი ხმლის ჩრდილი დაეცა რიყეს.
თვალი მოავლე მქუხარე ლიახეს
და გორში — ომში გაკვამულ ციხეს.

ეგებ დაკრილმა სახლი ინატრე,
ზელი შეუშვი ცხენის სადავეს,
და საქართველოს მთების სინათლე
შენ ჩრდილოეთის ტრამალს გადაეცე.

შემდეგ გავიდა ორასი წელი,
ორასგზის მწვავედა შენი ფიქრები.
გულში ჩამიწნე სიმღერა მწველი
და მხარზე ვიგრძენ შენი თითები.

შენ ქარიშხალში მღეროდი, გმირო,
ზელს დღევანდელი თაობა გიწვდის.
შენმა ცხოვრებამ ოდერთან მიხმო,
სადაც უტევდი ოდესღაც კვისტრინს.

ოდერის პირას გეძახი ვაეკაცს,
მტერი დაიფშვნა, როგორც მარხილი.
გუშინ მოვეყევით სტალინის ლაშქარს
და აქ სიცოცხლეს თესავს სტალინი.

ბრძენმა არგუნა მხარეს სიმშვიდე,
მდინარის პირას არავინ გოდებს.

ისევ კვისტრინთან უნდა მიხვიდე
და გადახედო დაოკილ ოდერსსაჲს
გინგლირთქვეს

აწ ქედებს ვერვინ დაადგამს უღელს,
არ ამოშრება ჩხრიალა წყალიც,
შენს ხმას საშობლო ალაყაფს უღებს
და მადლიერი უგალობს სტალინს.

საბჭოთა მიომარი ბერლინში



ბერლინში მდგარი საბჭოთა მეომრის ქანდაკება განმნთავისუფლებული მებრძოლის სპეს გამოხატავს. ერთ ხელში ბავშვი უჭერია, მეორეში — მახვილი. ქანდაკების ორგველი ომში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავებია.

მარცხენა ხელში ბავშვი უჭერია,
მახვილის ვადას მარჯვენა ბლუჯავს,
გმირის ხელი და გული უხვია
და წერს სახალხოდ მშვიდობის
გუჯარს.

ბორცვზე შემდგარა, როგორც
სიმართლე,
დედის ფიქრია ბორცვზე მიჯრილი,
ეს ძეგლია თუ ქვეყნის სინათლე.
თუ გამარჯვების მტკიცე ყიფინი

ხელში მახვილით სიბნელეს კაფავს,
სისხლი მოუშრო დანამულ მდელოს.
ბორცვში საფლავი მიჯრია საფლავს
და ომის კვამლი აჩნია ჩეროს.

გმირებმა ძვლებით ფუძე შეკონეს,
თვალი შეასწრეს ბედნიერ მერმისს.
გმირო, სამარის ძეგლი მეგონე,
შენ კი საყვირით აღვიძებ ბერლინს.

ვაკვეთე ბევრგზის მავთული ეკლის,
გუმანით ცნობდი დანაღმულ ალაგს,
შენ ხარ მაისი და არა ძეგლი
და ცეცხლის შემდეგ აცოცხლებ
ბალახს.

კვალი დატოვე ყოველ კუთხეში,
რტოზე მოძერწე აპრილის კვირტი.

ხარ გუშინდელი დედის ნუგეში,
ნაომარ მიწის პირველი მკვიდრო

ბორცვზე გაშლილი შენი ჩრდილია,
შენ ბრანდენბურგის მოხველ კარამდი,
შენი ფეხის ხმა აღბეჭდილია,
როგორც სიცოცხლის მღერა მარადი.

ხარ მომკელი და ყანის მთესველი,
მხსნელად მოხველ და არ ხარ
სტუმარი.
სიცოცხლეს კვებავს შენი ფესვები
და შენ გეძახის ყველა უბანი.

ვოლგის წყლით საესე მოგვევა მათარა,
წყურვილს გიკლავდა გვალვაში
ვაეკაცს.

გულთან მიგიკრავს ბავშვი პატარა
და ბავშვს უშენებ ვოლგაზე კამხალს.

მკერდზე მიგიკრავს ბალლი პატარა,
ვოლგის ტალღა თუ მყინვარის
ჩრდილი.

ხელმა სათუთად გზაზე ატარა
ომის შემდგომი საშობლოს შვილი.

შენს თვალში ყანა ლაღანებს მწიფე,
ალებ მშვიდობის გზაზე ალაყაფს.
შენი ხელია მომავლის კიბე
და ხელს მერმისში ბავშვი გადაჰყავს.

როგორც მაისის ვარდი გიპყრია,
 ეს ყველა კუთხის ბუდის ბაეშვია.
 თვალი ბრძოლაში არ დაგიხრია
 და გარს გარტყია ვოლგის არშია.

სამშობლოს შუქი გარშემო გაკრავს,
 მახვილის ვადას მარჯვენა ბლუჯავს.
 არწევ მომავლის უთვალავ კვერთხს
 და წერ სახალხოდ მშვიდობის გუჯარს.

ბელადის დეპეშა გერმანიაში



ბერლინში ვარ და მგზავრს ვატყობ
 იმედს.

მეჩვენება, თანამგზავრი მელის
 და ბელადის დეპეშის ხმას ვისმენთ
 ორმოცდაცხრას რომ მოფრინდა
 ბერლინს.

ეს დეპეშა მოფრინდა თუ მოფრენს,
 წინ აღუდგა ნგრევის გზას და სიკვდილს.
 ჩაწვდა ქალაქს და ჩაეკრა სოფელს
 და სამშობლოს რაინდულ ვალს იხდის.

არწივის ფრთა გამოესხა სიტყვებს,
 წყლულზე სისხლი ჩამორეცხა
 დაკრილს.

დეპეშის ხმა მომავლის ხმას იტყვს
 და ჩაწვდება შინ ტელმანის აჩრდილს.

ხელთ უპყრია მაქს-ხიუტეს ოსტატს,
 ეფინება შპრეეს გაშლილ პირებს,

როგორც ფიქრი ეპკურება პოტსდამს
 და მიუძღვის ფესტივალზე გმარებს.

მოგვალულ რტოს ისევ ფოთლით
 მოსაივს,
 მომკელს შევლის და მშვიდობის
 გუნდებს.

სიმღერაში ჩახვევია მგოსანს
 და პრეზიდენტს საგულეში უდევს.

ეჯახება შორს დალესს და ჩერჩილს,
 ებრძვის ბოროტს და დოლარის
 უღელს,

ესხურება ამწვანებულ ჯეჯილს
 და აპურებს ქარხანაში ლუმელს.

ეკირება ქვეყნის ახალ ფუძეს,
 ნერგავს იმედს, მშვიდობას და ხალისს.
 ეს დეპეშა ხალხებს მობას უწევს
 და ხალხები მიპყვებიან სტალინს.

ფიქრი ბელადზე პოტსდამში



ტბის ნაპირზე ვფიქრობდი და
 ვღელავდი,

ვბოვე პარკი და სასახლე ლურჯი,
 სადაც თურმე ბინადრობდა ბელადი,
 როს შელეწა მტრის სანგარი ურჩი.

სად ყოფილა სამეულის თათბირი,
 ზეივანში რტოს ეკიდა ჩრდილი.
 მზეკაცმა ტბის გადასერა ნაპირი
 და ხშირ თმაზე დაჰფენოდა რთვილი.

თავს გადახდა საოცარი ამბები,
 მერმე ყანა აღმოცენდა ველად.

გზაზე არსად შეუხრია წარბები
 და ცისკარი მხრებზე აწვა ბელადს.

შინ მისულს თუ მგზავრს წვდებოდა
 პოტსდამით
 მისი ხმა და მაისის ხმა ტყუპი.
 სეირნობდა მწუხრზე დიდი ოსტატი,
 ხალხზე ფიქრით აღბეჭდოდა შუბლი.

ბელადის ხმა იყო ქვეყნის ნაწილი,
 ნაბიჯები მსუბუქი და მტკიცე,
 გაიარა ტბასთან მცირე მანძილი
 და ქვეყნისთვის თვალუწვდენი სივრცე.

როგორც მომკელს ხვაი ჰქონდა
ხელეზში,
როგორ ნათლად უყურებდა მერმისს
სამშობლოსკენ მიფრინავდა დებეში
და მშვიდობას უმკვიდრებდა ბერლინს.

ფიქრით განელო მინდვრები და ქედები,
მისცა სხდომას მშვიდობისკენ გეზი,
დაამწიდა აკენების წინ დედები
და ხალხებში ღრმად გაიდგა ფესვი.

თვალს ართობდა დარხეული ვერხვები,
არ მოხრია წუთით მხრები სარდალს.

ბრძენის ნაბიჯს ყურს უგდებდნენ
ეროვნულ მწვერულებში
და მთესველი ნებზე უმჯინდნენ
მოუშუშა მრავალ მხარეს იარა,
გადასერა ტბის ნაპირი თეთრი.
მთა და ბარი ფიქრით გადაიარა
და აფრინდა ნაფხეურზე მტრადი.

ჩიბუხს სწევდა, ვაზს ხედავდა კიგოზე.
ულიმოდა ბავშვს—სამშობლოს

ყვავილს,
ნამეზარზე ფეხს იდგამდა სიცოცხლე
და მხარდამხარ მოჰყვებოდა სტალინს.

ბერლინის ფესტივალზე საბჭოთა ახალბაზრდობას



მე არ ვიყავ ფესტივალის მონაწილე,
ხელს მიშლავდა წლოვანების საბუთები.
მაინც გულში ჩამრჩენია სიყმაწვილე
და მშვიდობის დიდ კრებაზე ეჭაბუკდები.

ჩრველივ კიდევ შერუჯული ლოდებია,
არსად ჩანან გაპრეხილი ტევტონები,
მშვიდობის ხმა ყოველ მხარეს მოსდებია,
შეეხარი და აპრილის რტოს ვეტოლები.

სიჭაბუკე, შენ ქარცეცხლში დაიბადე,
ფუფუნა ხმა მწვეანე ჯეჯილს მიაწვიმე
ჩემმა მოძმემ სისხლი ღვარა ბერლინამდე
და ამ გზაზე გაიყვანა სიყმაწვილე.

სიყმაწვილევ, ყელს სამღერლად იღერებდი,
შენ შრომა და მშვიდობის ხმა გეჯერებია.
ღღის სიცოცხლის ყიჟინი თუ სიმღერები
მოძმის სისხლით მოყვანილი ყანებია.

მეჩვენება, ისევ ჰყავთ ალუჩები,
ყლორტებს ჰგანან ამართული საყვირები.
ყოველ კოლით ჩამოგიონინ კაბუკები
და ლამაზებს თავს ესხმიან ყვავილები.

საო გარანდოს მოწირილევ საკრავები,
ჩმება თითქო მოშრილევ დაფნები.



სიჭაბუკე, შენ ურალის ვარსკვლავები
და ბელადის გაღმება გაფენია.

განელილი თუ მომავალი ხუთწლეულები,
ჩემი ქვეყნის გამარჯვების თარიღია.
სიჭაბუკე, მთის გადაღმა ვიხედები
და მომავლის ალაყაფი გაგვიღია.

მე შევალ თუ შენ შემასწრებ — სულერთია,
შევმტყიდეთ და გადავლახოთ ჯებირები.
სიჭაბუკე, შენი ძალა უღევია
და მე შენთან შეწყვილებას ვეპირები.

გოეთეს საფლავთან



გოეთეს საფლავთან მრავალი ცაცხვია,
ცოცხალი ვარდები საფლავზე აყვია.
მგონია, ირხევა წითელი მოცხარი,
ცაცხვია მღერალი, ვარდია ცოცხალი.
შეუკრავთ საფლავი ქვისფერი სუდარით
და ცაცხვის ყვავილზე ზუზუნებს ფუტკარი.
შორიდან შენობის ნანგრევი გვიცქერის —
ყოფილი ბუნაგი სისხლან კიტლერის,
და ცაცხვებს რტოებზე გადაჰკრავთ სირცხვილი.
ტრიალებს წყაროზე პატარა წისქვილი,
არ უნდა ვაიმარს სიმღერა ჩაუქროს.
გოეთეს საფლავთან წისქვილი საუბრობს.
მომღერალს სახეზე შორდება ნაოჭი,
არხი სურს გადასჭრას და დააშროს ჭაობი.
შეებას ხოდანუნს ფოლადის გუთანს
და ცაცხვთან შრომობდეს თაფლისთვის ფუტკარი.

გოეთეს საფლავთან მრავალი ცაცხვია,
სამარეს ყვავილის ჯავშანი აცვია.
ჩემმა ძმამ ჩაახშო ყორნების ჩხავილი
და დარგო საფლავთან სიციცხლის ყვავილი —
გოლასთან აღზრდილი და ფუტკრის მთაფლ ვი,
დაახსნა ცაცხვი და გოეთეს საფლავი.
ჩანთიოთნ ოათისა მომავლის მარჯვლები
და ყანას ნამავენ გოეთეს ცაცხვები.
ღღის მთები მაღალი შორიდან დანათის
და მომკელს უბყრია ნამგალი მკათათვი.



გოეთეს საფლავზე მრავალი ცაცხვია,
საფლავზე ქართული ვარდებიც აწყვია.
პრილობას აშუშებს ყვავილის მალამო,
ხეივნის ბილიკზე მოგყვება სალამო.
მგონისთვის ბუნება სიმღერის თასია,
ურიცხვი მცენარე ოცნების ასლია.
ჩაფესვდა გარშემო ჩაყრილი მარცვლები,
სიცოცხლეს უხმობენ, სიცოცხლეს ცაცხვები,
და ჰყვავის საფლავთან, ვით ვოლგის არილი,
საბჭოთა მეომრის დარგული ყვავილი.

მშვიდობის კარნავალი ვაიმარში



ვაიმარში მე ვისმენდი ფაუსტს
და დარბაზში შორით ჩაშწვდა ქუხილი.
გარეთ გაველ, დავაყურე ხმაურს,
ვპოვე ღელვა და სიცოცხლის დუდილი.

ვპოვე გუნდი თუ მქუხარე რაზმი,
ლამე იყო და არ ჩანდა მარხი,
მიუძლოდა გუნდს მშვიდობის აზრი
და გოეთეს დაბადების თარიღი.

გზას გავყევ და მეგობარი ვიხმე,
ირგვლივ ერთო ჩამოქნილი სანთლები.
მატულობდა წინ ხეივნის სიღრმე
და სანთლებზე პრელი ჩანდა ქადრები.

ყმაწვილები, გაბაწრული გზებზე,
მოგიზგიზე ჩირაღდანი მრავალი!
ნაპერწყალი იბნეოდა მხრებზე
და ხომღს ჰგავდა ხეივნის გზა მთავარი.

ხმები ებყრათ თუ მშვიდობის ძნები,
ცას წყდებოდა მოკაშკაშე ქაცვები.
თვალს მოშორდა მოშხამული წლები
და იმ დროის დარცხვენილი ცაცხვები.

ყმაწვილებო, სწორ გზაზე ხართ-მეთქი,
გადავძახე, განველე მცირე უბანი.

შემხვდა ცაცხვი და ქადარი თეთრი,
ვით გოეთეს წყვილი პირისუფალი.

გავიარეთ იმ პატარა ქუჩით,
სადაც ლოტტას აეფურცლა ღაწვები.
გზას კაფავდა ჩირაღდანი ლურჯი
და მღეროდნენ თავისუფლად ცაცხვები.

ვინ დაუხშო მომღერლის სახლს კარი,
მოგონება კარს აღებს და გვაცილებს.
ხეივანში მღერის ვაიმარი
და მშვიდობის ძნები შიქით
ყმაწვილებს.

ფიცი მისცეს დღეს მომღერლის
საფლავს,
ქაბუკების ფიცი არსად ხუნდება.
კარნავალი ჰგავს უთვალავ აფრას
და აფრებით შინ გოეთე ბრუნდება.

მეც ქაბუკებს ცაცხვებამდე გავყევ,
თუმცა თმაში მაქვს მყინვარის ვარაყი.
გადავძახე შორს მუხებს და არყებს
და სამშობლოს სიმართლით ვარ ამაყი.

მეპკურება ცაცხვის რტოდან ცვარი,
ყოველ უბნით მოფრინავენ გუნდები.
ვარსკვლავებს ყრის გზებზე ვაიმარი
და ხომღს გზით მე მამულში
ვბრუნდები.

ფიქრი მომკელზე



გლეხი პურს მკიდა იენის ახლო,
თვალს ვერ ვასწრებდი ალესილ
ნამგალს.

გზასთან ელავდა მხურვალე ახო
და მე ვუშხერდი სამკალის კანკალს.

ფეიქრობდი, გლეხი გამრჯეა, ვიცი,
მომკელს შევეყურებ თავთავით ყაბულს.
ნუთუ ეს არის ვერაგი ფრიცი,
გუშინ რომ ურცხვად მართმევდა
მამულს.

მოწმენდილ ცაზე ისროლა მეხი,
ნალმით დაესხა სამშობლო მხარეს.
დღეს ბლუჯავს ხელში ხელეურს გლეხი
და კარგად არჩევს ჩეროს და მშვარეს.

ნუთუ ეს თხრიდა ბავშვისთვის ორმოს,
მხედრულ იერით მიღებდა საფლავს,
ახლა გოეთეს მეზობლად ცხოვრობს
და ფუტკარს, ეზოს ყვავილით
თაფლავს.

გლეხს ნუთუ გულში არ ჩარჩა ხინჯი,
არ ქენჯნის გზებზე ნათესი ძელები —
მკის გერმანელი გამრჯე და დინჯი
და, ვით ფიქრები, წყებთან ძნები.

თვალს ეჩვენება კვამლის არშია,
მინდა შევიცნო კარგის მყოფელი.
ეს გერმანელი პურის მკაშია,
პურის მკაშია მთელი სოფელი.

როგორ შეცვლილა შრომით გლეხობა,
ვერ დაეუფლა ღრუბელი კალოს,
გრძნობის საწინდრად ეს მკა მეყოფა
და გულში წმინდა ნამგალი გალობს.

მომკელის თმები ფერია ლუდის,
ეს არ დასხმია შორეულ ჩეგემს,
ჯერ ხანძრის სუნი ნაპურალს უდის
და ძნის შრიალით ამშვიდებს ბეღელს.

ვიწრო ჩეროში გადუღამს ჯირკი,
ნამგალს უსწორებს დარწეულ სამკალს,
პური დათესა და პურს მოიმკის
და მკაში პოეებს ცხოვრების
ვარსკვლავს.

ოფლს ნაპურალზე ფიქრივით აკმევს,
ოფლით სურს მამულს შორეცხოს
ჩირქი.

ძნას მიუმატებს მშვიდობის საქმეს,
რომ გამიქარვოს საეკვო ფიქრი.

არშის ხეები



იენის გზაზე გაექანდი დილით,
რუსი ძმობილი მართავდა საჭეს.
გზისპირს ეფინა ჭადრების ჩრდილი
და ჰგავდა ღრუბლის დარბეულ ნაჭერს.

ბურუსი იდგა შორეულ მთებში,
უცხო ბუნებას თვალთ შევები
და უცებ ვპოვე მახლობელ ტყეში
თეთრად ელვარე არყის ხეები.

შოფერს შეეძახე, შეხედე, ძმაო,
აქაც ყოფილა თურმე არყები,
მამლერებს მათი ქერქი და ხაო
და შინ არყების ჩრდილებს გავყევობ.

თვალი მოავლო შოფერმა ჭალებს,
მერმე შეხედა ხეებს კორფლიანს,
მიპასუხა და მიმართა მხარეს:
რუსული არყი ბევრად სჯობია. —

მართლა კარგია რუსეთში არყი
ვერ ჩაერკობა მერქანში ფითრი.
თვალს თეთრი არყის არტყია ალყა
და შინ მიგვაფრენს არყებზე ფიქრი.

ძმის დარგულია მდინარის პირას,
ჩეროს აფრებს ელვარე რიყეს.
ტირიფს არა ჰგავს ნაპირზე მტირალს
და სპეტაკ რტოზე ალიონს იხვევს.

არყის ხეების შეილი არა ვარ,
მე შეზრდილი ვარ ბიჭვინთის ბზაზე,
შინც არყები ქმნიან მტრად ჩვენს
და მპრუნებენ სამშობლოს გზაზე.

გარს ეხვევიან ველობს თუ ახოს,
გულს დაამხეფეს ბუნების ეშხი.
მე მეჩვენება ისხამენ ნაყოფს
და შინ მელთან მწიფობის თვეში.

მეგობრები



ბარათს რად არ იწერები,
მეგობრის ხმა მომწვედა, როგორც
ფუტკარი.

შევარხიე გზაზე მხრები
და საყვედურს პასუხი ვერ ვუთხარი.

როგორც სკაში ფუტკრის ეოლი,
გულს ეხვევა მეგობრებზე ფიქრები.
გზას მიკაფავს მთაში ტოლი
და, მგონია, ძმის გულში არ მივქრები.

მეგობარი შემრჩა ბევრი,
შრომის გმირი თუ მებრძოლი ყოჩაღი.
მომკელი და ქვაზე მთლელი
და ცხოვრების გზაზე ჩემი ოჯახი.

წარსულშიც მყავს მოძმე მგონი,
ყველას მივწვდებ, არ იქნება იოლი.
მოძმემ გასკრა ვოლგა-დონი
და თბილისთან მოაქროლა იორი.

ძმას ხელს მიწვდის დნებრის არხით,
შეზრდილია თუ კაშხალთან ვეყრები.
მეგობრებო, თქვენ გეძახით,
არყები ხართ თუ ნაპირზე ვერხვები.

ვით ვერხვები, მეგობრები
გზებზე ღვანან და მიხმობენ რტოებით.

ქარს მათი წრით ველობები
და ვერ მპოვებს მტერი განმარტოებით.

მე დიდ გულზე ვერ ვიქნები,
თქვენს გარეშე არ მისვრია ანკესიც.
თქვენ ასწიეთ ქვეყნის მხრები
და მარგუნეთ მთის უნისლო აღერსი.

შინც გზიდან საღ გაეწვდები,
ამდენს როგორ აუთავდეს ბარათი,
სავსე გულით არ დაეწვდები
და მივალწვე, მწამს, თვითველ კარამდი.

მოგონებებს ვეფერები,
მომეჯერა გულზე, როგორც ქვირითი
სიცოცხლეო გეგებები,
შენთან მინდა ჯახანი და ჯირითი.

გულის წყარო გზაზე მრჩება,
საცალფეხო ბილიკს არსად მივყვები.
მეგობრებო, გამარჯვებათ,
მწყემსები ხართ, თუ ქედებზე ჯიხვები!

შევაჯერე მთა და ბარი,
დავდივარ და ყანეთ ვარ ყაბული.
ჩემი სულის მეგობარი,
გზას მინათებს, ჩემი დიდი მამული.

*

შინ მიწაწერი

შინ ვბრუნდები და თუ მკითხავეთ,
სად მაქვს კერა ან სახლ-კარი,
გეტყვით, ფუძე მთებთან ვნახე
და ხელ ქვევით ღელავს მტკვარი.

გეტყვით, სახლი ჭადრის ჩრდილში
დავდგი და შინ წყვილი შრომობს
და ყურს ვუგდებ ჩემს თბილისში
ვოლგის ჩქერს თუ დნებრის ჭორომს.

მთები მთები მათენს კალთას,
სოჯის ხმაურს ხრამზე ვისმენ,
ერთი სახლი გალობს მტკვართან
და ის ბევრგან ვიგულისხმე.

თვალს არ უნდა წრის შეღობვა,
ძმური გრძნობა გულმა თესოს.
მცირე ეზო რას მეყოფა,
მე მეზობელს ვუღებ ეზოს.

არ ვიზომავ მიწას მტკაველს,
ალარ ვხმარობ პაპის საკვესს,
თერგის დაბად ხევით გაველ
და თვალს ვაჩქევ ფართო ვაკეს.

შორით ვუმზერ მაღალ მყინვარს,
მთაში რომ ჰქმნის მრავალ სეირს,
მაინც რამდენს გავწედე, მითხარ,
მტკვარს გავწედე თუ ენისეის.

თვალი აპყვა მთაში არწივს,
მიეუღობე ფიქრი არეზს.
და საბჭოთა ქვეყნის ნაწილს
უსაზღვროდ ვთვლი მშობელ მხარეს.

ბრძენის აზრის განტოტება
მრავალ სახლში მარგო წილი,
შინ დნებრის ხმა მაგონდება
და შორს გზაზე უშბის ჩრდილი.

მე მუღმივად მტკვართან ვსახლობ,
ჭალი მადგას თუ მთის ჭერი,
თექვსმეტი ძმა ცხოვრობს ახლო
და შინ ქართულ ხმაზე ვმღერი.

წმინდა ნიავს მთები მახლის,
არ ვიკარებ გულზე ღრუბელს
და მტკერის პირას ჩემი სახლი
მოსკოვის ზღვას კარებს უღებს.

ბ ს ე ნ ი



თანამედროვე პოლონელი მწერალი იდოლფ რედნიცი დაიბადა 1909 წელს. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 30-იან წლებში. მისი პირველი მოთხრობები იბეჭდებოდა დემოკრატიული პრესის ფურცლებზე. სახელი ვითქვა მოთხრობით „ჯარისკაცები“ (1933 წ.), რომელშიც მხილებულია პილსუდსკის დიქტატურის დროინდელი პოლონური სახელდრო ზრთვის ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. ეს მოთხრობა ითარგმნა რუსულ ენაზე და ცნობილია საბჭოთა მკითხველისათვის.

რედნიცი ვერტონდა ლიტერატურულ ჯგუფს „გარეუბანი“, რომელშიც თავს იყრიდნენ 30-იანი წლების პოლონეთის ყველაზე უფრო მოწინავე მწერლები, და თვითონაც ერთ-ერთი წამყვანი ძალა იყო ამ ჯგუფისა. 1937 წლის პოლონეთ-გერმანიის ომის მასალებზე ა. რედნიციმ დაწერა ნოველების ციკლი „სექტემბერი“. ამჟამად რედნიცი აქტიურად მუშაობს პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ შექმნილ პოლონელ მწერალთა კავშირში და ხშირად იბეჭდება მუშათა პრესის ფურცლებზე, როგორც პუბლიცისტი.



მკერავმა იაკუბ კაგანმა ფუთა ზღურბლთან დადო, კარი ბოქლომით დაკეტა და თავის მეზობელ მეწაღე პფენიგისაკენ გაემართა.

— გამარჯობა, — წარმოთქვა მან პატარა ოთახში შესვლისთანავე, ოთახი ერთსა და იმავე დროს სახელოსნოც იყო, სამზარეულოც და საწოლიც.

— გამარჯობა, ეხედავ გზას გასდგომიხართ. — მეწაღემ თავი ანება ჩაქუჩის კაკუნს, რომ ლაპარაკის ხმა არ დაეხმო.

— მივდივარ, — დაემოწმა მკერავი. ჩემს ასაკში შვიდი წელიწადი ცხოვრების, პატარა, მონაკვეთი როდია. სიკვდილის წინ მინდა მისი ნახვა.

მეწაღე პფენიგმა იცოდა, თუ ვის შესახებ იყო ლაპარაკი.

— მირაამ, — მიმართა მკერავმა ლუმელთან მდგომ გოგონას, — მივდივარ და გასაღებს შენ გაბარებ. გიტოვებ რამდენიმე გროშს კატისათვის რძის საყიდლად. ხანდახან შედი მასთან,

თორემ მოწყინდება. მის წაყვანას არ გთხოვ, მეშინია, თავებებმა თავი არ აიშვან.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — უპასუხა გოგონამ. — სახლზე ნუ იწუხებთ, ყველაფერი გააკეთეთ, რაც საქიროა და მშვიდობით დაბრუნდით. — ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — თან მოიყვანეთ თქვენი ვაჟი ზახარიუში. საინტერესოა, ვიცნობ თუ არა? ის ხომ ხელით მატარებდა. უთხარით, რომ ჩვენ ყველანი ველოდებით მას.

— მშვიდობით, — თქვა იაკუბ კაგანმა და მეწაღეს ხელი გაუწოდა.

— მშვიდობით, — უპასუხა მეწაღემ. მას არ უყვარდა და იქნებ არც ეხერხებოდა ლაპარაკი. ქალაქში მას ჩუმჩუმეულა შეარქვეს.

— ყოველივე კარგს გისურვებთ, — დაუმატა გოგონამ. გოგონა ფერმკრთალი იყო და დიდი, მწვანე თვალები ჰქონდა. მისი თვალები ყვალას აციფრებდა: დიდი მწვანე თვალები მართლაც

რომ იშვიათია.

სალამოს ექესი საათი იქნებოდა. სიცხე ნელდებოდა. მკერავმა კაგანმა სახლს გვერდით ჩაუარა და ნავთის კასრებით სავსე, დანაგვიანებულ ეზოში გავიდა. სახლი, ეზო და კასრები მარტო-ხელა და ძლიერ მდიდარ ქალს, პანი კოტოვსკაიას ეკუთვნოდა. სახლი ისე იყო დაძველებული, რომ ნავთის კასრების საწყობად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე საცხოვრებლად, მაგრამ მკერავი კაგანი და მეწაღე პფენიგი თავმდაბალი ადამიანები იყვნენ. კოტოვსკაიას კუზინაში ნოქარმა ერთი წუთით მუშაობა შეწყვიტა და გაკვირვებით შეხედა ბებერ მკერავს, რომელმაც სწრაფად ჩაიარა მის წინ და ყრუ და უკაცრიელი შესახვევებით სადგურისაკენ გაემართა.

იაკუბ კაგანს დღეს საზეიმო გამომეტყველება ჰქონდა, თითქმის მეტისმეტად საზეიმოდ, რაც მის ნაცრისფერ, მოქანცულ სახეს და წამახვილებულ, უკვე გაქალაქებულ წვერს როგორღაც არ შეეფერებოდა. მას შავი ლაპსერდაკი¹ ეცვა, ზავერდის მრგვალი ქუდი ეხურა, ხოლო ფეხებს ღილებზე შესაკრავი გეტრები უმშვივნებდა. ეს იყო მთელი მისი სადღესასწაულო მორთულობა.

იმ ადგილებში, სადაც ებრაელები არ ცხოვრობენ, იგი შეიძლება ქსენძად² მიეჩნიათ. მან ჯობი გაუყარა ფუთას, რომელშიც ერთი ცვლა თეთრეული, პური და ცოტა მარილი ჰქონდა გამოყარული და მხარზე გადაიდო, როგორც ეს გლეხებმა იციან.

ის თავის ვაჟიშვილთან მიდიოდა. უკანასკნელ წლებში ის ხშირ-ხშირად ამუხრუჭებდა თავის საკერაჟ მინქანას, ხელით აჩერებდა მის ბორბალს და მძიმე დიქრებს იძლეოდა: „მე მარტო კაცი ვარ, — ამბობდა იგი თავისთვის, —

ქვასავით მარტო მივდებულნი, იმდენად მარტო, რომ არც სიცოცხლე, სახალისებს და არც მუშაობა“.

იაკუბს ცოლის სიკვდილის შემდეგ მეორედ დაქორწინებას ურჩევდნენ:

— სად გაგონილა უცოლო ებრაელი და უქალო ებრაული ოჯახი? უცოლო ებრაელი იგივეა, რაც უხელო ადამიანი, უქალო ებრაული ოჯახი კი უბორბლო ურემს მიაგავს.

მაგრამ იაკუბ კაგანს მეტისმეტად ნაზი გრძნობები აკავშირებდა ვაჟიშვილ ზახარიუშთან. ზახარიუშს თავისი უშველებელი ტანის გამო ცხენი შეარქვეს. მამა პატარა ტანის იყო, განუვითარებელი ბავშვივით უძლური, ვაჟიშვილი კი პირიქით, უზარმაზარი. მას მხრები ატლეტისა ჰქონდა, ხელები — მტირთავისა, თმები — თითქოს ქალიშვილისა, თვალები — ჩილი ბავშვისა, საერთოდ კი იმ გოლიათივით გამოიყურებოდა, რომელზედაც ამბობენ, რომ დიდ ბავშვს მიაგავსო. მშვიდი ღიმილი არ სცილდებოდა მის სახეს. იაკუბს უყვარდა თავისი ვაჟიშვილი და გამუდმებით იმეორებდა: „პრა, მას არ ეყოლება დედინაცვალი“.

მაქანკალი ხშირად მოინახულებდა ჯიუტსა და სულელ ებრაელს, რომელსაც დაეიწყებოდა, რომ კანონის თანახმადაც მისი უცოლოდ ცხოვრება არ შეიძლებოდა. მაშ როგორ! მაშ ქალები რალა საპირთა? მაგრამ ყველაფერი ამით იყო.

მამა და შვილი დასხდებოდნენ ხოლმე ერთმანეთის პირდაპირ. ვაჟიშვილი მღეროდა, მამა ფიქრობდა: „ჩემი ცხენი ჩიტვივით მღერის“. ვაჟიშვილი თავის ნებაზე მხოლოდ მაშინ მიუშვა, როცა სხვა გამოსავალი არ იყო, როცა მისთვის სადავის ამოცემა შეუძლებელი გახდა.

სალამო ხანს იაკუბ კაგანი, ჩვეულებრივ, მოშაობას წყვეტდა და სხვა მკერავებთან ერთად სალოცავად მიდიოდა.

— მამა. — უთხრა ერთხელ ზახარიუშმა, — შენ სულ ღმერთისაკენ მივი-

¹ გრძელკალთებიანი ზოდა ტანისამოსი, განსაკუთრებით თარგის სურთოდ, რომელსაც პოლონელი და გალიციელი ებრაელები ატარებენ.

² მღვდელი.

წეეს გული, ჰკვიანმა ხალხმა კი დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ღმერთი არ არის.

ამაზე მოხუცს პასუხი არ გაუცია, მთელი დღე დუმდა. დედის სიკვდილის შემდეგ ზახარიუში მის ლოგინში წვებოდა. იაკუბ კავანი იწვა და ხმას არ იღებდა, ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდებოდა, ხანდახან ღრმად ამოიოხრებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. ბოლოს და ბოლოს, ევლარ მოითმინა და ყრულ ჩაილაპარაკა:

— მაშასადამე, შენ ეგ აზრი უკვე ძვალ-რბილში გაგჯდომია.

— განა შენ ისურვებ, რომ მოგატყუო? დიახ, მე შეგნებული კაცი ვარ.

— შეგნებული კაცი თერამეტი წლის ასაკში... იმ კრებებმა ხომ არ გაგხადა შეგნებული, გონსიროვსკის ფურანეში რომ იწვევენ, ზახარიუმ? — აიმაღლა მან ხმა, — ეტყობა, შენ ასეთ საქმეში ჩაები?

ზახარიუმმა ლოგინზე წამოიწია.

— მამა, — მშვიდად უბასუხა მან, — ეს ყოველი მშრომელი და გონიერი ადამიანის მოვალეობაა. ახლა, როცა მსოფლიოს გარდაქმნა არის საჭირო, ყოველი ადამიანის ხელი გამოსადეგია.

— ჩანს, შენ გინდა მსოფლიო გარდაქმნა? ზახარიუმ, ვილტრო ცხენო! შენი ხელობი შარვლების შესაკერად არის შექმნილი და არა მსოფლიოს გარდასაქმნელად. ნუ ჩაიბმები მაგ საქმეში, გისმის, ნუ ჩაებმები! ხალხს ეს არ უყვარს!

— მე მგონია, მამა, ამაზე ლაპარაკი უკვე გვიან არის. დღეს დავითი დააპატიმრეს.

იაკუბ კავანი სერიოზულად შეშინდა:

— დავითი, შენი ამხანაგი? — იაკუბი ლოგინიდან წამოხტა, რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში და უცებ გადაწყვიტა:

— გამიგონე, შენ ვარშავაში უნდა წახვიდე. მე იქ ნაცნობი მყაის ნოვოლოცის ჰუნაზე, ზელმანოვიჩი, ისიც ჩვენსავით მკერავია. მივწერ მას და

ზრუნეას არ მოგაკლებს. ბოლოს და ბოლოს შენ ბავშვი აღარა ხარ, თვითონაც იშოვი პურის ფულს! რამდენ უმჯობესი დაწყენარდება, დაბრუნდები!

ზახარიუში წავიდა. იაკუბ კავანმა იგზმნო, რომ მისი გადაწყვეტილება არასწორი და უგუნური იყო. არა, ეს მაინც რა გამოსავალი ნახა! ვაი ვარშავაში გაგზავნა, იქ, სადაც ყველა მკერავი წითელია. მაგრამ როცა ამას მიხვდა, გვიან-ლა იყო.

შვილი ზელმანოვიჩებთან დასახლდა, მათთან ერთად მუშაობდა და რუბინ ზელმანოვიჩს დაუმეგობრდა. რუბინი ზახარიუმზე უფროსი იყო. იაკუბ კავანი წერილებით ხვდებოდა, რომ ცხენმა არათუ თავი მიანება სახიფათო აზრებს „მსოფლიოს გარდაქმნაზე“, არამედ უფრო ღრმად ჩაეფლო მასში. რაში მდგომარეობდა ეს „ჩაფლობა“? ეს იაკუბ კავანს მთლად კარგად არ ესმოდა, მაგრამ თავისთვის კი ამბობდა: „იგი წითელი გახდა, კომუნისტი“. ეს უცხო სიტყვა ფრუანტელს ჰგვრიდა მკერავს და, მიუხედავად იმისა, რომ სწორად გამოთქვამდა, იგი მაინც უჩვეულოდ ეღერდა მისთვის.

როგორც შეეძლო, ლანძლავდა შვილს: „ზახარიუმ, — წერდა მას, — ცხენო, ბრმა ქნებით თავს დაიღუპავ და მეც დამღუპავ. საიდან გაგიჩნდა ასეთი აზრები? ჰკვიან ხალხს უთქვამს — ნუ მისცემ ბავშვს ლამაზ სათამაშოებს, ნუ გაანებებებო, ნუ მიჩვევთ უზრუნველ ცხოვრებას, რადგან ამაშია ყველა უბედურებათა სათავეო. თუ ბავშვს უზრუნველ ცხოვრებას შეაჩვევთ, იგი დაღუპვას ვერ ასცილობა. მაგრამ შენ ხომ ქსოვილების ჩამონაჭრებით, ლილეებითა და ბალთებით თამაშობდი, შენ ხომ შავი პურით იკვებებოდი. მამ საიდან-ლა მოგივიდა ასეთი აზრები? ლაპარაკობ ვარშავაზე, ოსტროვსკის და ვოლინსკის ქუჩებზე, რომ ისინი ქალა-

¹ ვარშავის ქუჩებია, სადაც წინათ ღარიბი ებრაელობა იყო თავმოყრილი.

ქის ყველაზე უფრო ბნელი და ბინძური ქუჩებია, მაგრამ, აბა რამდენი ხალხი ცხოვრობს იქ და, თანაც, რა ბედნიერები არიან. გაუმადლოება და შური — აი თქვენი მთავარი უბედურება. არ გინდათ მცირედით დაკმაყოფილდეთ და ამიტომ ვერ ხედავთ ცხოვრებაში სიხარულს. ბევრი წიგნის კითხვის ნებას გაძლევდი. სინდისს ვფიცავ, ვამჯობინებდი ექიმობა შეგესწავლა. შენი სიტყვები მოსვენებას არ მაძლევენ. პატიოსნებას ვფიცავ, მერჩია, ექიმი გამხდარიყავი... კერე შარვლები და ალვირი მოიხსენი. ბოლომდე ჭენებით ვერ მიხვალ, ცხენო, ვერ მიხვალ. დაე ხალხმა თავისი გზით იაროს, შენ კი შენ გზას გაჰყევი“.

„ცხენო, დავითი კიდევ ხედავს. რამდენიმე დღის წინათ დააბატიმრეს კლანი, ვოლფი... ჩემთანაც იყვნენ, შენ შესახებ მკითხეს, გეძებენ. ტირიან დედები დომბროვსკის ქუჩაზე, მამებში თავჩაქინდრული დადიან და ხმას არ იღებენ. რა უბედურებამდე აპირებ ჩვენს მიყვანას, ცხენო? ვანა იმისთვის შეიცვალე მისამართი, რომ შორიდან მომიგზავნო დალუბა? შენ რატომ უნდა ჩაერიო სხვის საქმეებში! დაე სხვებმა მოიტეხონ კისერი, შენ კი ნუ ჩაერივი“.

ზახარიუშმა პასუხად ეს მისწერა:

„მამა, მარტო დომბროვსკის ქუჩაზე როდი ტირიან დედები. ტირიან ათასობით სხვა ქუჩებზედაც. ყველაზე ტირიან დედები და ხმას არ იღებენ დამწუხრებული მამები. მერე აქედან რა გამოვა? რაც უფრო ძლიერია ტირილი, მით უფრო ნათელი იქნება შემდეგში სიხარული“.

მიწერა-მოწერა თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა. იაკობ კავანს კარგად ახსოვდა ის დღე: პარასკევი იყო, ქარბუქი ტრიალებდა. ქუჩაში მიმავალი ადამიანები თოვლის მოძრავ ბორცვებს ჰგავდნენ. იაკობმა მუშაობა შეწყვიტა, ჯერ დუქანში უნდა წასულიყო

შაქრის და სანთლების საყიდლად, მერე საკუქნაოდან ნახშირი უნდა გამოეტანა. ილანძებოდა, არა, ასეთი სიტუაცია მართლაც არ არის სახარბიელო... ყიდვა, ხარშვა, კურკლის გარეცხვა, ღუმელის დანთება, ნაცრის გამოხვეტა, იატაკის მოსუფთავება. მართლაც, უცოლო ებრაელი იგივე ყოფილა, რაც უხელო ადამიანი... ეპ, ზახარიუში რომ დაბრუნებულყო, — იმეორებდა იგი თავისთვის. — ცოლს შეირთავდა და, იქნებ, ერთადაც გვეცხოვრა... ენახოთ, რა იქნება, — ყოველშემთხვევაში საქმლის კეთება აღარ მომიწევს, — სადილი დაადგა და კვლავ მუშაობას შეუდგა. თოვლი სულ მოდიოდა და მოდიოდა. არა, დღეს მასთან აღარავინ არ მოვა. უცებ კარი ხმაურით გაიღო და წერილების დამტარებელი შემოვიდა. რაღაც უცნობი წერილია. თავიდანვე არ მოეწონა მას ეს წერილი. რუბინ ზელმანოვიჩი შეილის დაპატიმრებას ატყობინებდა.

ცხრაკლიტული?

მან არა მარტო ზახარიუში განაცალკევა ამ ქვეყნიდან. მერავ კავანს ახლა შეეძლო ეთქვა, რომ ეს ცხრაკლიტული მის ცხოვრებასაც შეეზარდა. ის ახლა აღარ გრძნობდა ძველებურ კავშირს სინალოლასთან და იქ მოსიარულეებთან. ახლმა მოვლენებმა აიძულეს — თვალი გაესწორებინა ისეთი საქმეებისათვის, რომელთაც წინათ განზრახ შეუშინებულად ტოვებდა. ეს საქმეები აღარ იყო მისთვის შორეული, ცხრა მთას იქით მდებარე საგნები, რომელთაც იაკობ კავანთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ. პირიქით, ის ამ საქმეებში მონაწილეობას იღებდა, ასე გასინჯეთ, ყველაზე აქტიურ მონაწილეობასაც კი, თუ პირადად არა, მისი სისხლითა და ზორციით, მისი საკუთარი ვაეიშვილით მაინც. მაგრამ რაც უფრო მწვავედებოდა მისი მარტობა, მით უფრო ძლიერ აინტერესებდა სულ მცირე ხნის წინათ მის-

ვის ასე შორეული სამყარო, შორეული ხალხი, ცხრამთასიქითა ამბები.

იტანჯებოდა, როგორც მამა, ისე, როგორც შეუძლია დაიტანჯოს ადამიანი სხვისთვის, რომელთანაც ყველაზე მეტად არის ნათესაურად დაკავშირებული. გაეგონა, რომ ციხეში სცემენ, — და ის მხურვალედ ლოცულობდა, რომ მისი შვილი შეებრალეხნათ. როგორც ყოველ მამას, რომელსაც თავისი შვილის ჩვილობის დროინდელი სუსტი სხეული ჩარჩენია მესხიერებაში, კაგანსაც ვერ წერმოედგინა ზახარიუში ჯანმრთელ და ღონიერ ადამიანად. ვაჟიშვილზე ისე ფიქრობდა, როგორც „თიხის სუსტ ქურჭელზე“. რამდენჯერ მოუშორებია პირთან მიტანილი პურის ლუქმა, მარტო იმის გაფიქრების შედეგად, რომ იქნებ მისი ერთადერთი შვილი ამ წუთში შიმშილით იტანჯება. ამბავი მოუვიდა, რომ ზახარიუში სამი თვე კარცერში ზის, რადგან ციხის ტანსაცმელს არ იცემსო. ამის შემდეგ მთელი კვირა შიშველ იატაკზე ეძინა მოხუც მეკრავს. მხოლოდ კატა, რომელიც მის სხეულზე ისე გადაიდგმოდოდა, როგორც უსულო საგანზე, იყო მისი ცხარე ცრემლების მოწმე.

მოხუცს ეშინოდა ზევით ახედვისა, როცა პირველად, შვილის ნახვის უფლება მისცეს. ზედამხედველი იქვე იჯდა. იაკუბ კაგანი ვერც ზედამხედველს ხედავდა, ვერც თავის ვაჟს. იგი ერთ-ერთ ღილს მისჩერებოდა შვილის ტანსაცმელზე.

— ზახარელე. — ბავშვობის საალურსო სახელით მიმართა მან ვაჟიშვილს, — ზახარელე...

ცრემლები სუნთქვას უკრავდა, მაგრამ თავს იკავებდა.

— გამარჯობა, მამა, ძალიან გამახარე შენი მოსვლით, — უბასუბა შვილმა ისეთი ხმით, თითქოს განათვისუფლებული, შინ დაბრუნებული ესაუბრებოდა.

ასე თქვა მან. მაგრამ მამა ძველი კაცი იყო და სიტყვების სულს სწვდებოდა.

— ჩემო ბავშვო, რა გაკლია აქ? — ჰკითხა მან.

— რაც მე მაკლია, ^{შარკინესული} მწუფიერად გამოსცემა არ შეიძლება, მაგრამ თამბაქო არ დაგავიწყდეს.

— კიდევ რა, ჩემო ბალო, კიდევ რა? — მან თვალბეზვით შეხედა შვილს.

— დამშვიდდი, მამა.

— განა ვერ ხედავ, რომ მე უკვე სავსებით დამშვიდებული ვარ, — თქვა მან და სწორედ ამ დროს აქვითინდა.

მერე აღარ უტირია. დრო და დრო აკითხავდა ციხეში. შვილთან შეხვედრისათვის ისე ემზადებოდა, როგორც ლოცვისთვის. მიდიოდა თავისი დიდი ბიჭის სანახავად. ეუბნებოდა:

— უკვე ერთი თვით ნაკლები დარჩა.

— აი, თვითონაც ხედავ, მამა, — უბასუბა ვაჟი: — ხუთი წელი ხომ მთელი სიცოცხლე არ არის.

განთავისუფლებისთანავე ზახარიუში ვარშავიდან წერილი მოიწერა. მეკრავის პირველი ფიქრი იყო, მიეღწია იმისათვის, რომ შვილი დაუყოვნებლივ დაბრუნებოდა სახლს. მაგრამ კაგანისათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ შვილის დაბრუნება არც ისე უბრალო საქმე იყო. ვაჟი ისეთ გზას დაადგა, რომ გადახვევას აღარ მოისურვებდა. კოტორისკის ფარდული მას სახლად აღარ გამოადგებოდა. საჭირო იყო ახალი სახლი.

სახლი! იაკუბ კაგანი სულ უფრო გარკვევით ხედებოდა, რომ ადამიანებს იმ დრომდე შეუძლიათ მშვიდად ცხოვრება, სანამ მათი სახლი — იგივე ნაცაყუდელია, წყნარი თავშესაფარია. თვითონ ის — იაკუბ კაგანი — თანდათან უფრო უარესად გრძნობდა თავს თავის სახლში, მისი ფიქრები აქ აღარ ეტეოდა, შორს მიისწრაფოდა. მას უკვე აღარ შეეძლო თავის თავისთვის ეთქვა: აქ ვცხოვრობ, აქ მოგვადები. პირიქით, არ უნდოდა აქ ცხოვრება. არც აქ სიკვდილი უნდოდა. როცა მან მოხუცი ზელმანოვიჩის გარდაცვალების ამბავი შე-

იტყო, ისეთი კავშირი შემოაწვა, რომ გადაწყვიტა ყველაფერი მიეტოვებინა და ვარშავაში წასულიყო.

— მას ვნახავ და დავბრუნდები, — ამბობდა თავისთვის, გულში კი იმედის ნაპერწკალი უღვიადა — რომ შესაძლოა, შვილთან ერთად მოწყობილიყო.

ივლისში ღამე მოკლეა, მაგრამ მგზავრობა დაუსრულებელი შეიქნა. კუბეში სივიწროვე იყო, შემდეგ იგი დაცარიელდა, მერე კვლავ აივსო ხალხით. მოხუცი კავანი დრო და დრო თვლემდა, მაგრამ როცა იღვიძებდა, წუთები საათებად ეჩვენებოდა. თვლემის წუთებში საშინელი მაგლავუნა ახრჩობდა, მაგლავუნა, რომელსაც მხოლოდ კეთილ და ნათელ თვალებიან ვეება ვაეიშვილზე ოცნების შუქით იგერიებდა.

მატარებელი შვიდ საათზე მივიდა დანიშნულ ადგილას. დილა დიდი ხანია მოჰქნებოდა მინდვრებს, მაგრამ ვარშავაში ის ჯერ კიდევ ისეთი სიახლით სუნთქავდა, თითქოს რამდენიმე წუთის წინ შესულიყო თავის უფლებებში. ქალაქის ცენტრი გავდა ბინას, რომელიც სტუმრების წასვლის შემდეგ წესრიგში მოჰყავდათ. აქა-იქ კიდევ დაინახავდით ღამის დარაჯებს, რომლებსაც გულზე ელექტრონის ფანრები ჰქონდათ ჩამოკიდებული და ისე გულდაგულ შემოეხვიათ ლაბადები. თითქოს ღამის სიცივეს ჯერაც არ დაეკარგა ძალა. მეეზოვეები ქვაფენილს რწყავდნენ.

— ვარშავა... — წაიჩურჩულა კავანმა. — მაშასადამე, ეს ვარშავა ყოფილა. სად უნდა იყოს აქ რკინის ქუჩა? — ეკითხებოდა იგი თანამგზავრებს და თავს აბეზრებდა მათ.

2

ნებით, რომელსაც ღარიბები იჩენენ, როცა მათ საქმე რამდენადმე გამოუკეთდებათ. ბევრს რასმე უნდა ეჩვენებოდა მოიკლებენ და შეიძენენ იაფფასიან, მაგრამ კობტა ავეჯს: უშველებელ კარადას, ორ საწოლს, ორ პატარა ღამის მაგიდას, კიდევ მაგიდას. სწორედ ნაძვის ხის ასეთი ავეჯით გაჰვიდა ოთახში იყო ამჟამად იაკუბ კავანი. მოეღვარე. მაგრამ საშინელების გამომხატველი თვალებით, უცქეროდა ის რუბინ ზელმანოვიჩს და განუწყვეტლივ იმეორებდა:

— განა აღამიანი ნემსია? განა ის ნემსივით პატარაა. რომ დაიკარგოს და არ იცოდე, სად და როგორ? თვალებს რატომ არ მისწორებთ?

რუბინმა, გამზდარი, მოგრძო სახის მქონე ოცდაათი წლის მამაკაცმა, თანაგრძნობით სავსე, ხასხასა თვალები მხოლოდ ერთხელ შეაელო კავანს, როდესაც ის ოთახში შემოდიოდა. რუბინს გული გაეყინა. მას თავი შეხვეული ჰქონდა, ეს გარემოებაც ძლიერ აშფოთებდა კავანს. რამდენიმეჯერ მოინდომა შეჰკითხებოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ არ ეკითხებოდა, ხოლო რატომ — თვითონაც არ იცოდა.

— ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია, — კავანმა თითი საფეთქელზე მიიღო. — კაცი ნემსივით იკარგება. სახლიდან გამოდის. ყველაფერს ისე სტოვებს, თითქოს ხუთ წუთში უკანვე უნდა დაბრუნდეს, უღიმის დიასახლისს, სთხოვს — პური და შაქარი უყიდოს, მაგიდაზე გადაშლილ წიგნსა და დაუმთავრებელ წერილს ტოვებს. ახლა კი არავინ არ იცის, სად არის, რა შეემთხვა? ეს პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია. თორმეტი დღეა, არაფერი არ ისმის მის შესახებ. სად ვეძებო? იქნებ, წავიდა? მაგრამ, ჩვეულებრივ, წასვლას ყოველთვის მატყობინებდა. იქნებ სხვასთან გადავიდა? რატომ განუშვებულხართ? მე რატომ მაღაპარაკებთ, ნაცვლად იმისა, რომ თქვენ თვითონ ილაპარაკით. რა

ზელმანოვიჩების ბინა ნოვოლიპკის ქუჩაზე მეხუთე სართულზე იყო მოთავსებული: ორი პატარა ოთახი და სამზარეულო მორთული იყო იმ გულმოდგი-

ვიცი თქვენზე?.. ჩემი ვაჟი, ვიცნობ კი მას?.. მე ხომ არაფერი არ ვიცი...

— არ ვიცი, — ჩიხში მოქცეულივით უპასუხა რუბინმა. ფანჯარასთან მივიდა და სახლის სახურავებს მიაშტერდა. ეშინოდა, მოხუცი მამისთვის თვალში თვალი არ გაეყარა. — არ ვიცი... ჯერ კიდევ არაფერი ვიცი.

— ჰყავდა აქ ზახარაიუს მეგობრები? ქალი?

— არა, ზახარაიუს ქალი არა ჰყოლია. სიჩუმე ჩამოვარდა. მკერავი კაგანი პატარა ნაბოჯებით ზომავდა ოთახს. რამდენიმეჯერ ასწია თავი, თითქოს რაღაც ძლიერ მნიშვნელოვანი უნდა ეკითხა.

— თქვენ ხომ ძველი მეგობრები ხართ?

— დიახ.

— რაკი ასეა, მაშ მითხარით, მირჩიეთ, რა გვაკეთო? სად ვეძებო ამ ქაიანში? მიწაზე, მიწის ქვეშ. თუ სად?.. სულ ფანჯარაში ნუ იყურებით.

რუბინი მობრუნდა, ოთახს მოავლო თვალი, მაგრამ ახლა ვერც ოთახს ხედავდა და ვერც ადამიანს. მხოლოდ ესა თქვა:

— ჩვენც მას ვეძებთ ყველგან, სადაც კი ოდნავ მაინც არის იმედი.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. კაგანი მაგიდასთან დაჯდა და ფეხებს მიეცა. რუბინმა ახლა ყურადღებით შეათვალიერა კაგანი: ისეთი სუსტი, როგორიც ეს არის, განა აიტანს?

— თუ მომხდარა ოდესმე, — წამოიწყო კაგანმა და თან რუბინის შეხვეულ თავს უქაჩროდა, — თუ მომხდარა, რომ ის რამდენიმე ხნით მიმალულიყო? რუბინმა თანხმობის ნიშნად დააქნია თავი, მაგრამ მაშინვე უარყო ეს:

— არა, არ მომხდარა... არ მახსოვს...

— იქნებ კვლავ დააპატიმრეს? მას, ვინც ერთხელ მჯდარა. პოლიცია თავის კლანჭებიდან არ გაუშვებს, მე ასე გამიგონია...

— არა, ის არა ზის, — ხმაღბლა ჩაილაპარაკა რუბინმა. *ერკენულში*

— არც მიმალულნი ვართ, — მამ როგორ?

რუბინმა თავი ჩაქინდრა.

კაგანი მასთან მიიჭრა:

— თქვენ ხომ ყველაფერი იცით... რატომ ჯიუტობთ და არაფერს მეუბნებით? მამას ყველაფერი უნდა უამბოთ!.. მამამ ყველაფერი უნდა იცოდეს.

— მე... მე არ ვიცი, — პატარა-ბავშვივით უპასუხა რუბინმა. — ჩვენ არაფერი ვიცი... უნდა მოვიცადოთ.

— ცოცხალი კაცი გამოგიგზავნეთ, ერთადერთი ვაჟი, რა უქენით მას?

— ჩვენ არაფერი... უნდა მოვიცადოთ... ახლა უკვე ჩქარა...

— ვინ არის ეს სტეფანე? — იკითხა უცებ კაგანმა.

— სტეფანე?! — რუბინი შეერთა. — ვინ გელაპარაკათ სტეფანეს შესახებ?

— დისახლისმა, რკინის ქუჩაზე... მითხრა, იგი მისი ახლო მეგობარია.

— დიახ, მეგობარია, — რუბინი ახლა მკერავს პირდაპირ თვალბში უკაჩროდა. — მის შესახებ... ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ.. მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ...

კაგანმა თავისი ვაჟის მეგობრის გაფითრებულ სახეს შეხედა და თქვა:

— ვხედავ, რომ თქვენგან აღარაფერს არ უნდა მოვილოდე... თქვენ ქანცი გამოუღიეთ ჩემს საწყალ ცხენს...

3

ცხილოდა, ქალაქი ღუმელივით გაიარალებულიყო. ხალხი ოფოში იწურებოდა, მშობიან ჩრდილში გადარბოდნენ, ოცნიობდნენ ბალახზე, წყალზე და... სახლზე, როგორც თებერვალში, საშინელი აინეების დროს. სახლი ისევ საოცნებო გამხდარიყო. დიახ, ყოველს უნდოდა მშის თამაზობა. მხოლოდ რუბინს ამარწუნებდა სახლში დაბრუნებაზე ფეხი. იგი ამა-

მად არ მუშაობდა. ივნისი მკერავები-სათვის ცული თევა. დედა უმცროსი ძმითურთ ვარშაეის მახლობელ ერთ-ერთ აგარაკზე გაისტუმრა, სახლში კი კაგანი ელოდებოდა. კაგანის ჩამოსვლის შემდეგ სამი დღე გავიდა. არა, კაგანს მისი აღარ სჯეროდა. უნდობლად უცქეროდა და იმეორებდა: „თქვენ ყველაფერი იცით“. კიდევ კარგი, თავისას არ იჩემებდა. მაგრამ ერთხელ მიუახლოვდა რუბინს და პირდაპირ მიახალა: „მიამბეთ ყველაფერი, ყველაფერი! მეტს აღარ მოვიციდი..“ მაგრამ მაშინვე შეწყვეტა ლაპარაკი და თითქოს დამშვიდდა.

იგი რუბინს აღარ აწუხებდა, თვითონ დარბოდა ქალაქში, ხალხს ეკითხებოდა. ბრუნდებოდა აქოშინებული, გაყვითლებული, განაწამები ათასნაირი გეგმებით; „გაზეთში უნდა გამოვაცხადოთ, კინოშიც... პოლიციასაც უნდა გავუცხადოთ.“ გათანგულივით დარბოდა სიცხისაგან შეხუთულ ქალაქში, ტრიალებდა უცნობ ქუჩებში, უკან ბრუნდებოდა საკუთარი გეგმებით, მაგრამ თვითონვე უარყოფდა მათ: საკმარისი იყო შეეხედა რუბინისათვის, ამკარად ზედავდა რომ ყოველივე ეს უსარგებლო იყო. დღეები ისე გადიოდა, რომ კაგანი თითქმის არაფერს არა ჭამდა. დაეხეტებოდა, ამტერდებოდა სახლებსა და ქვაფენილს. გულის ტკივილით ადევნებდა თვალყურს რუბინი უბედურა მამის ბორჯვას. დიან, რუბინმა ბეგრად უფრო მეტი იცოდა. კაგანი ბინაში შემოვიდა. სამი დღეა, იაკუბ კაგანის თვალები ერთსა და იმავეს გამოხატავდნენ. რუბინს აშინებდა ეს გამოხედვა. საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, ვიდრე გადაწყვეტდა ეთქვა.

ლაპარაკობდა ნელა და მშვიდად:

— თქვენ სტიქიანის შინაბიბ მკითხაბოოთ... სტიქიანი ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაობრობანი იყო. მას ყველა მონაცემი ჰქონდა იმისათვის,

რომ ხელმძღვანელი გამხდარიყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ზახარიუში მხოლოდ მცირე დროს მხოლოდ რუნდა მანქანას, შემდეგ იგი სტეფანეს შეხედა. სტეფანემ ზახარიუში თავისთან წაიყვანა და მნიშვნელოვან დავალებებს აძლევდა. წაიყვანა და მოაჯადოვა. ზახარიუში დაუბლოვდა ადამიანს, რომელიც იღვის განსახიერებას წარმოადგენდა. წმინდა გულისათვის არ არსებობს იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იხილოს თავისი რწმენა — ზორცქესხმული. პატარა გულის მქონე ადამიანებს არ შეუძლიათ დაიჯერონ იმ ადამიანის უპირატესობა, რომელსაც თვალებიც და ცხვირიც ისეთივე აქვს, როგორიც სხვებს. ხანდახან კაცს მიზანშეუწონელიც კი ეჩვენება ბუნების ამაღლებული მოვლენების ამგვარი შენიღბულობა ჩვეულებრივ საგნებში გათქვეფით. ზახარიუს წმინდა გული ქმონდა...

იაკუბ კაგანი ფართოდ გახელილი თვალებით უსმენდა.

— ზახარიუს სტეფანე ისე უყვარდა, როგორც ადამიანი, რომელიც ბევრს იძლევა და ბევრ რამეს გვასწავლის. უყვარდა მისი ღიმილი, საუბრის მანერა, მიხერა-მოხერა; მასში ყოველთვის სინაზე იღვიძებდა, როცა სტიქიანეს სიტყვებს იმეორებდა. თუ ქუჩაზე გადადიოდნენ, ხელს წააელებდა ხოლმე, როგორც დედა თავის პატარა ბავშვს. იგი მზად იყო მისი გულისათვის ქუჩის მოძრაობა შეეჩერებინა — პარივისციემისა და სიყვარულის გამო. უნდა გითხრათ, რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება, ზახარიუში მაინც ბელნიერი იყო...

— იყო? — იაკუბ კაგანი მთლილ სხეულით აცახცახდა. მოსაობრის ხლი ჩააილო და თავისი განაწამები სახე მის სახეს მოაბლოვა.

— თქვენ ზახარიუს კაგანის, ჩივნი საოყეთესო, უორგეთ ამხანაის მამა ხართ. არაფერს არ დავიმალავთ. ათი

დღის წინათ სტეფანე და ზახარიუში ერთად გავიდნენ სახლიდან. ჯაშუშებმა ორივე მოკლეს. მათი სხეულები მდინარეში გადააგდეს. ერთი კვირის წინათ წყალმა გამოაგდო სტეფანეს გვამი. ჩვენ ის შესაფერისი პატივით დავასაფლავეთ. პოლიციამ სასაფლაოზე სისხლიანი აბანო გაგვიმართა. — ჩემს თავს დღემდე შემორჩა ამის კვალი... დღეს შემატყობინეს, რომ ვ. ქუჩაზე ასეენია ზახარიუშის სხეული... წინ ბევრი სიძნელე მოგველის... მოიკრიბეთ ძალ-ღონე, თქვენი დასწრება...

რუბინმა ვერ მოასწრო წინადადების დამთავრება... კავანს სახე საშინლად გაუფითრდა, მისი მომცრო ტანი შებარბაცდა.

რუბინმა ის პატარა, მაგრამ მძიმე კუნძივით აიტაცა, საწოლზე დააწვინა და წყლის მოსატანად გაიქცა. როცა დაბრუნდა, წყალი აღარ დასკირვებია. მკერავ კავანს თვალები გაეხილა და იატაკზე ერთ წერტილს მისჩერებოდა. თავის გაქნევით უარი თქვა წყალზე. ცოტა ხნის შემდეგ წყალში ხელი დაისველა და საფეთქლები დაიზილა. საწოლიდან წამოდგა და უკანასკნელი თბუთმეტი წუთის განმავლობაში პირველად შეხედა რუბინს.

— წავიდეთ, — თქვა მან.

ქუჩაში სიცხე არ კლებულობდა. გამვლელები მსუბუქად იყვნენ ჩაცმული, იშვიათად თუ ეცვა ვინმეს პიჯაკი.

კავანი თავისი შავი ლაპსერდაკით და ხვევრდის ფართო ქუდით ქალაქის განაპირა ქუჩებში მოსიარულე ხალხს მრისხანე, იღუმალ არსებად ეჩვენებოდა. ის ხელჩაკიდებული უხმოდ მიჰყავდა რუბინს. ტრამეაში ჩასხდნენ, და ვ. ქუჩისკენ გასწიეს. მეგზოვემ იკითხა მათი მისვლის მიზეზი. რუბინმა უპასუხა. მათ გზა უჩვენეს დარბაზისაკენ. რომელიც სარდაფში იმყოფებოდა. ამ დარბაზში, ისევე როგორც ეკლესიაში, რბილი და სასიამოვნო სინათლე იყო:

თვალებს მსუბუქი ნისლი ეფარებოდა და სუნი პირდაპირ ცხვირში სცემდა ადამიანს.

გენგლინოთევა

4.

ნაშუადღევი იყო. მზე მაინც საშინლად აცხუნებდა, იაკუბ კავანი თეშში შევიდა ვაყის დასაფლავებასთან დაკავშირებული ფორმალობის დასამთავრებლად.

მოხელე, რომელიც შეკითხვებს აღევდა მას, დაბალი, კასრივით მოყვანილი ტანისა იყო, ხოლო მის მსუქან, უსიცოცხლო სახეზე ძლივს შეამჩნევდით უძრავ პაწაწინა თვალებს. თავზე სირსიტი ეხურა, პერანგზე კი ჟილეტი ეცვა. ჩანს, აქ ასეთი მოღვაწე იყო, რადგან მეზობელ მაგიდასთან, კავანის ხელმარცხნივ, ზუსტად ასევე ჩაცმული მეორე მოხელე იჯდა. ეს იყო ჩასუქებული, დაეღაფა სახის მქონე ებრაელი. რომლის წითელი ლოყები მეჩხერ შავ წვერში მწიფე ვაშლებივით გამოკრთოდა. ამ ებრაელს ხაიმ ლაიზერს ეძახოდნენ, და ის იყო მთავარი პიროვნება დაკრძალვის ყველა საქმეში. პიროვნულად ხაიმი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა შემოსულს, მაგრამ, როდესაც საქმესთან დაკავშირებულ წვრილმანებს მოჰყრა ყური, მერტ გულისყურით დაიწყო მოსმენა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— ორმოში რომ იპოვეს?.. და ქუჩა ვ-ზე რომ ასეენია? იგი თავისმკვლელად ირიცხება...

კავანმა ხაიმ ლაიზერსისაკენ მიაბრუნა თავი:

— რა თქვით?

— დიახ, ასე ირიცხება, — განაგრძობდა მოხელე. — რამდენიმე დღის წინათ ჩვენთან მოიტანეს ერთი კაცი იქიდანვე. დაუდევრობის გამო ჩვენება დავართეთ, რომ იგი ისეთ აღგას დაესაფლავებინათ, რომელიც მხოლოდ ღვთის მორწმუნეს ეკუთვნის და არა

ღვის მგომბელს, რომელიც მარტო-ოდენ საკუთარი სურვილებით ხელმძღვანელობს, როგორც სიცოცხლეში ისე სიკვდილის დროსაც ის თვითმკვლეელი...

— თქვენ ამბობთ, თვითმკვლეელი? — წარმოთქვა გაყინული ხმით კავანმა.

— იცით თუ არა, ჩემო ძვირფასო, რომ ისიც და თქვენი ვაჟიც კომუნისტები იყვნენ. ამგვარ ადამიანებს ყოველგვარი საბაბის გამო შეუძლიათ მოიკლან თავი. ღმერთი მათ არა სწამთ, მაშ რაღა შეაჩერებს მათ? თქვენ დაბიდან ხართ და არ იცნობთ ამ მგლებს. ეს მაინც თუ იცოდით, რომ იგი კომუნისტი იყო?

— კომუნისტი... — კავანის ხმა კვლავ მშვიდი იყო. — კომუნისტიო, ამბობთ თქვენ — კავანი ხომ ლაიზერის მაგიდას მიუახლოვდა. — თქვენთვის იქნებ კომუნისტი იყო. იქნებ გსურთ მოისმინოთ, თუ როგორი ცხოვრება ჰქონდა მას? ყოველდღე თორმეტი საათი იჯდა მანქანასთან ზაფხულსა და ზამთარში. ჭამდა, რასაც საცოდავი მკურავის ძუნწი ხელი მიაწვდიდა, ერთადერთი შარვალი ჰქონდა, — ის, რომელიც ახლა აცვია, და არასოდეს არ წუწუნებდა. ყოველ თავისუფალ წუთს წიგნის კითხვაში ატარებდა. ერთხელ, პარასკევს, საღამო ხანს დავბრუნდი სახლში, სანთელი კარგახნის დამწვარი იყო. ის კი იწვა და მბეუტავ ლამპასთან წიგნს კითხულობდა. პური და წყალი, მუშაობა და წიგნები. და ასე, კვირას კვირა მისდევდა, თვეს-თვე, წელიწადს-წელიწადი, სანამ ჩემთან ცხოვრობდა. არასოდეს საჩივარი არ წამოსცდენია. გულმხიარული იყო და ზღეროდა, როგორც ფრინველი ხეზე. შემდეგ ის უბედურება შეემთხვა ვარშავაში. შემდეგ ხუთი წელი სხვადასხვა ციხეებში გაატარა, სამი თვე — კარცერში, ჭვის სველ იატაკზე. თავისთვის არასოდეს არაფერი არ მოუწოდო-

მებია... არც ერთი ქალი... ცხენო რამელმაც არ ინება ეტლიდან გაქოცესნად, სანამ თავისი ტვირთი ბოლომდე არ მოკვთრია... ასეთი იყო მისი ცხოვრება. სიკვდილი კი? იქნებ ავიწეროთ, როგორ გამოიყურება ახლა? თევზების მიერ ამოკმული თვალები, თავის ქალაზე აღლექილი თმები, ფეხებსა და ხელებზე ვირთაგვების ნაკვალევი... მხრებზე ნატყვიარი... კომუნისტი...

— სულ ერთია. ადამიანი საკუთარ თავს არ უნდა უმადლოდეს თავის გაჩენას — ხომ ლაიზერის სიტყვებში უკვე აღარ ისმოდა ადრინდელი რწმენა. — და მას არც იმის უფლება აქვს ისე მოუღოს ბოლო თავის სიცოცხლეს, როგორც მოეპრიანება... თვით მკვლეელი...

— კი, მაგრამ, ეს ხომ სიცრუეა! — წამოიყვირა უცებ იაკობ კავანმა. — მტკნარი სიცრუეა! თქვენ თვითონაც იცით რომ ეს სიცრუეა... იცით, რომ ის მოკლეს... უნამუსოდ, არაადამიანურად... თქვენც მოსყიდული ხართ. შეგატყობინეს. გამოგთათხეს, გაგალიზიანეს. და ახლა გსურთ ჯავრი ყველაზე უმწეო, უბედურ ადამიანებზე იყაროთ; თქვენ მგლების მეგობრები ხართ და ადამიანების მტრები! გეშინიათ, სასაფლაოზე აღრზაური არ ატყდეს. მაგრამ მე არ მოგცემთ უფლებას ამ ახალგაზრდის სული გააბიპრუოთ. განა შესაძლებელია უფრო მეტი შერცხვენა, ვიდრე ის, რომელსაც თქვენ მე და ჩემს ვაჟიშვილს გვიმზადებთ? და* მერე რისთვის?..

უსიცოცხლო მოხელე თევზისფერი თვალებით შესცქეროდა მოთმინებიდან გამოსულ მოხუცს და მიზეზით თუ უმიზეზოდ იმეორებდა:

— შა, შა, შა...

5

კავანი გაბევებული სახის მქონე, კარგად ჩაცმული ჭალარა კაცის წინ იჯდა. ეს სახე, დაცული ჰამანება სიცი-

ხისა თუ სიცივისაგან, ზედმეტი მღელვარებისა და დარდისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც საკმაოდ ეგემა კაგანს, კმაყოფილებას გამოხატავდა. კაგანი თემის თავმჯდომარის წინ იჯდა. ოთახი დიდი იყო, მთლად, ჩრდილში ჩაფლული ფანჯრებს იქით ხეები მოჩანდა.

ახლა იაკუბ კაგანის ხმაში აღარ იყო წინანდელი სიმშვიდე.

— მე შეილის გარდა არავინ გამოჩნდა, — შიში და შწვავე ტკივილი გამოსიქვივოდა ამ სიტყვებში. — არაფერი მიმიცია მისთვის, სანამ ცოცხალი იყო. ახლა, როცა ის მოკვდა, განა შემიძლია უფლება მიეცე ვინმეს ილაპარაკოს მასზე, როგორც თვითმკვლელზე? ეს ხომ სიცრუეა! მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ეს სიცრუეა! თქვენ რატომ იძლევეთ ისეთ განკარგულებას, რომ ის ლამით ძალღივით ჩააგდონ მიწაში?

თავმჯდომარე ჩუმი ხმით პასუხობდა, იმდენად ჩუმი ხმით, რომ კაგანი წინ წაიხარა.

— ხაიმ ლაიზერმა უკვე გითხრათ თქვენ, რისი გაკეთებაც შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს.

— მერე და თქვენ? თქვენც სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ მე ჩემი შეილი უპარტიკემლოდ ხალხის დაუსწრებლად დაემარხო?! თქვენ ხომ თემის თავი ხართ, სამასი ათასი ებრაელის მამა. ვის-ლა გავუზიარო ის შეურაცხყოფა, რაც ჩემს შეილს მიაყენეს? ვისთან მივიღე ნატყენი გულით? ებრაელთა თემის მამავ... ებრაელები, ებრაელები! — თქვენ ხომ ისევ და ისევ იმეორებთ ამ სიტყვას... მე აქა ვარ, თქვენი ძმა, და აბა ერთი მაჩვენეთ თქვენი ძმობა!

თავმჯდომარე კვლავ ჩუმი ხმით განაგრძობდა პასუხის გაცემას: — ხაიმ ლაიზერმა გადმომცა, რომ თქვენ მას გული დაუფლითეთ... მეტს ნუ მკითხავთ, ასე უნდა მოხდეს... ასე სურთ მათ, ვისაც ჩვენ ვემორჩილებით... კატაღალკი ლამით მოვა. ყველაფერი მომზადებული იქნება. ხაიმ ლაიზერი

იზრუნებს, რათა ყველაფერი რიგზე იყოს... სტუდენტი — ენდგეები მოითხოვენ, რომ ებრაელთა გენგამუში მათ გადასცენ... ამას გარდა, შე-თქვენი ებრაელების ვერ გეტყვით. უნდა დაეასაფლავოთ, და რაც შეიძლება მალე.

იაკუბ კაგანი თემის შენობიდან გამოვიდა. ყოველ წუთს ჩერდებოდა, რომ სული მოეთქვა. აქამდე არასოდეს არ უგრძნვია ასე ძლიერად თავისი მარტობა. ამ ქალაქში სასვებით ობლად გრძნობდა თავს. განა მზად არ იყო ფეხებში ჩაეარდნოდა, რომ გამოეთხოვა... რა? კაცის დამარხვა. მაგრამ მის წინაშე არ იყო ცოცხალი ადამიანი, მის წინ კედელი იდგა.

ცხრაკლიტული? ახლა ეს კაგანმა ისე მძლავრად შეიგრძნო, როგორც ამდენხანს, არასოდეს არ შეუგრძნვია.

— ცხრაკლიტული, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანცალკევებდა. გრძნობდა და ხედავდა მას, გრძნობდა და ხედავდა ენით გამოუთქმელ თავის უსუსურობას. ის თითქოს ბოძზე იყო გაკრული, რომლის გარშემოც კოცონი დაენთოთ. იაკუბ კაგანი, ღარიბი მკურავი, გრძნობდა ამ ცხრაკლიტულს. მაგრამ არ იცოდა მისი სახელი, და იმ კაცს მიაგავდა, რომელიც მის მიერ ახლად აღმოჩენილ მატერიკზე უცნობი სენით შეპყრობილი ბორგვას იწყებს.

იგი ნელა მიიწედა წინ ნოვოლიპკისაკენ. დროდადრო იჭერდა ვილაცის შემოხედვას, ხედავდა სახეებს, მაგრამ ეს სახეები ეკუთვნოდათ არა ადამიანებს, არამედ ისეთ ქმნილებებს, რომლებთანაც იაკუბ კაგანს არაფერი ჰქონდა საერთო. რომელიღაც პატარა დუქანის კარებს მიეყრდნო. გამხდარმა გამოიღველა ქალმა ჰიქით წყალი მიაწოდა.

— დალიეთ, დალიეთ. ღმერთო ჩემო, რა მწუხარებას არ ნახავს ახლა კაცი...

1 „სახალხო“ დემოკრატები — რეაქციული პარტია იმ პერიოდის პოლონეთში.

რუბინი სახლში მივიდა. შესასვლელის მახლობლად, კარისაკენ მიქცეული სახით, სკამის კიდეზე იჯდა ზახარიუმის მამა, მას თითქოს ეძინა. მძიმედ სუნთქავდა ეს სუსტი, ერთთავად დაძაბული ადამიანი. სახე გაყვითლებოდა. ღრმად ჩაყვნილი თვალები, გამოზნექილი ყვრიმალეები, ჩამოგრძელებული გამხდარი ლოყები; სიცოცხლის ერთადერთი ნაპერწკალი ჯერ კიდევ ფეთქავდა ამ სახეზე, მაგრამ გეგონებოდათ, ისიც ძალე ჩაქრებოთ. რუბინი ფეხის ცერებზე მიუახლოვდა საწრლს და ჩამოჯდა. არ უნდოდა მოხუცისათვის ძილი დაეფრთხო, მაგრამ კავანს არ ეძინა.

მან თვალები გაახილა და თქვა:

— ნაბრძანებია — ღამით დაეასაფლაოთ...

6.

არა, ხაიმ ლაიზერი არ იყო უგულო კაცი. მან მანქანაც კი გამოგზავნა, რომელსაც ვარშაულ ფარგონზე „ავტოკატაფალკას“ ეძახიან. გამოგზავნა ნაშუალამევს, წყნარ ქუჩა ვ-ზე, სადაც მკერავეი კავანი იცდიდა. მანქანიდან გადმოვიდა შოფერი და კიდევ ერთი კაცი. მას გამხდარი პირისაზე ჰქონდა და წითური წვერი, სასაფლაოს სუნი ასდიოდა.

— ვის ესაქიროება აქ უკანასკნელი ვალის მოხდა? — იკითხა მან ხმამალა. მერე წაიდა და ცოტა ხნის შემდეგ შოფერთან ერთად დაბრუნდა.

მკერავე კავანს სურდა ვაეის კუბოს სასაფლაომდე ფეხით გაჰყოლოდა — ისე, როგორც წესი იყო, მაგრამ წითურწვერიანმა კაცმა საყვედურის გამომხატველი თვალები მიაპყრო.

— ავტოკატაფალი, — თქვა მან, — საათში სამოც კილომეტრს აკეთებს. ახლა ღამეა, ქუჩები დაცილია და ჩვენ სრული სისწრაფით ვივლით. დაჯექით ჩვენთან ერთად.

შუაში ჩაისევს, შეაქვს, რომ ბავშვივით პატარა ტანისა და დიდ ადგილს არ იჭკრს. ჩართეს მობტორი. ვარშაეის ქუ-

ჩებს სიბნელე და სიჩუმე დაუფლდებოდა. ცხელი დღის შემდეგ დამე ვარსკვლავებში ჩაფლულიყო. ცოცხეები სურნელს აფრქვევდა.

მათ ორი მესაფლავე ელოდა. ფარნის შუქზე საფლავეი ამოთხარეს. ამოთხარეს და ამოაესეს. ბარზე დაყრდნობილმა ერთ-ერთმა მესაფლავემ, რომლის სახე წყვიდადს ერთვოდა, ხელი გაიშვირა გასამრჯელოს მისაღებად. უფრო მალაღი ტანის ამხანაგმა ხელი ძირს დააშვებინა მას:

— ასეთებს არ ართმევენ.

თქვა და გზას გაუდგა. მეორე მესაფლავე უკან გაჰყვა.

— რატომ, იკითხა მან, — რატომ არ ართმევენ? ის მდიდარ რაბინს ჩამოჰკავს.

— გალიციაში ყველა ებრაელი რაბინს ჩამოჰკავს, — უბასუბა მალაღმა.

მკერავეი კავანი მარტო დარჩა ვაეის საფლავეთან. სანთლის შუქზე დაინახა, როგორ მიაყარეს სხეულს ნესტიანი მიწის გორბები, როგორ ამოივსო საფლავეი, როგორ გაუსწორდა ზედაპირს. თვალებში დაეშრიტა, პირი ისე გაუშრა, თითქოს კუბრი ჩაასხესო. უკვე აღარაფერს ხედავდა და აღარაფერი ესმოდა მოხუცს. ირგვლივ, ქვებსა და ხეებს შორის დუმილი სუფევდა. დუმილი სუფევდა ცაზეც, რომელიც გულქვა იყო თავისი მედიდურობით, დამკინაეი თავისი სილამაზით და ცივი, როგორც ყინულის სამფლობელო. დუმილს მოეცვა ღრმა ძილში გარინდებული ქალაქიც. სასაფლაომდე იშვიათად აღწევდა ავტომანქანის საყვირი და ტრამვაის ვაგონების შორეული რახრახი, როგორც სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი. დუმილი სუფევდა აქაც, სიკვდილის მიწაზე. გაქვავებული, უგრძობი კავანი ახლა თითქოს არყოფნას განიცდიდა. სიცოცხლე ხანდახან იღვიძებდა — მოკლი, ნაწყვიტნაწყვიტ, ყრუ და თავშეკავებულ კენესაში. ამ კენესაში იყო მთელი გზა მისი ვაეის — ცხენისა, რომელ-

მაც არ ისურვა, რომ ეტლიდან გამო-
ხსნილიყო. ამ კვენესაში ისმოდა ნაზი
სიტყვებიც, რომლებიც არასოდეს ხმა-
მალა არ გამოუთქვამს, ისმოდა აქამდე
გამოუხატავი ალერსიც, — ღარიბ ხალხს
ხომ სამარცხენოდ შიამნია გულთბილი
სიტყვები და ნაზი ალერსი, ისმოდა წუ-
ხილი და ჩივილი უსამართლობაზე. ეს
უსამართლობა ბუგავდა სუსტ სხეულს,
რომელიც ძონძივით დაკიდებულყო
ერთადერთის საფლავეზე. აღმოსავლეთ
ცისკიდურზე ვარსკვლავებმა გაფერ-
მკრთალება იწყეს.

როცა ვარსკვლავები გაქრა და გან-
თიადის თვალისმომკრელი ნათელი აცი-
აფდა ცაზე, ახალ საფლავთან ახალ-
გაზრდების ჯგუფი მივიდა და მჭიდრო
სალტედ შემოერთყა ტანჯვით მოქან-
ცულ მამას. ოცდაათი კაცი იქნებოდა,
მათ ხელში ყვავილები ეჭირათ, ბევრი
ყვავილები. მძლავრმა ხელებმა ააგლი-
ჯეს მამა ნესტიან საფლავს; შრუნვე-
ლობითა და სინაზით უზილავდნენ გა-
თოშილ სხეულს.

ჭაბუკური გზნებით საესე ხალხი
შემოეხვია მოხუც მამას, და მას კვლავ
დაუბრუნდა მხედველობა, ხოლო მის
ყურებს ისევე შემოესმა ცხოვრების
ხმა. ირგვლივ ლაპარაკობდნენ. ლაპა-
რაკობდნენ შეურაცხყოფაზე, უსამარ-
თლობაზე, ადამიანზე, — ხალხმა თით-
ქოს აქ კვლავ მოიპოვა ადამიანური ენა.
და ამ შესანიშნავ, საუცხოო სიტყვებში
დროდადრო გაისმოდა ზახარეუსის სა-
ხელიც. შემდეგ ხეებსა და საფლავებს
შორის, დაფიონის ცეცხლით მოგიზგი-
ზე ცის ქვეშ იგრილა სიმღერამ. მკერავ
კაგანს იგი არ გაეგონა, მაგრამ ამ უც-
ნობმა სიმღერამ დაუბრუნა მას გრძნო-
ბისა და მღელვარების უნარი. და მხო-
ლოდ ახლა, ამ სიმღერის ტაქტზე, ჯერ
მარტო ერთ ადგილას განათებული ცის
ქვეშ, ატირდა ზახარეუსის მამა, მოხუ-
ცი მკერავი.

მაგრამ ამ ტირილში ცოცხლობდა
იმედი, — იმედი, რომელსაც ადამიანუ-
რი სიყვარული აღვიძებს.

თარგმანი **მაცხვალა ახალაძისა**

თავისუფალი ალამიანი იაშკა



გვიანი შემოდგომაა. უკანასკნელი ჭარბიანი მხოლოდ 8 სექტემბერს გამოსცა და „ქვეებს“. მდინარე ჩუსოვიაზე ბურღაკები მთებს „ქვეებს“ უწოდებენ. მთების შემდეგ მდინარე ჩუსოვია უკვე ვაკეზე მოედინება. კლდეები და წიწვიანი ტყე უცბად იცვლება სოფლის ყველაზე მშვიდი სურათით: ნაპირებზე იშლება აკრელებული ხელები, მინდვრები და გამეჩხრებული ჭალა. აქა-იქ გამოჩნდება მიყრუებული სოფელი, გაიღვებებს სოფლის განმარტოებული საყდარი... და ათეული და ასეული კილომეტრის მანძილზე ისევ ყრუ სივრცე გადაიშლება.

როგორც კი ჭარბიანი მთებიდან გამოვიდა, დაისვენა. ბურღაკებს მძიმე შრომა უკან დარჩათ, იქ, სადაც ქვის ფლატეებით შევიწროებული მდინარე გააფთრებული ნადირივით ბრღვენივდა და ხტოდა. შემოდგომის წვიმები, რაც მდინარის დონეს რამდენიმე საათში ორ არშინამდე ამაღლებდა ხოლმე, ნაოსნობას სახიფათოს ხდიდა. უმთავრესად მთის უსახელო შენაკადები მოშუოდნენ, ისინი გამალებით მოაქანებდნენ ჩუსოვიაში წვიმის წყალს, რომელიც მთებიდან მოჩქეფდა. ასე მხოლოდ შემოდგომით იცის, როდესაც მიწა სინოტივრით იგლინთება.

— ახლა კი მდინარის ერთი მუხლიდან მეორეზე ისე გადავსრიალდებით, როგორც ერბოში ბლინი, — ამბობს იაშკა ბურღაკი და სასაცილოდ იღრიკება.

— სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის ერბო გიტრიალებს თავში, — წაიბუზღუნა ლოცმანმა ლუბანმა. მას გაახსენდა უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც იაშკა მაგრად გამოთვრა. — სულ იმას ეძებს, სად რას გამოჩინოს... ქარაფშუტა აღამიანმა ლაპარაკიც ფუქსავატი იცის...

ორჩხოველზე თექვსმეტი ბურღაკი იყო, მათ შორის სამი დედაცაი. ამთ სხვადასხვა მხრიდან მოეყარათ თავი. აქ იყვნენ მუშაობას მოწყვეტილი ქარხნის ხელოსნები, ორი ყაზანელი თათარი, დანარჩენები შინაურები — ჩუსოვიას ნაპირის მცხოვრებნი, ხეტყის დაცურებაში გამოზრდილები.

ამ ჭრელ ხალხში იაშკას უცბად გამოარჩევდი. ის იყო საშუალო ტანის, როგორღაც მთლად აბურჭვინილი, ცალი თვალით ელაში, ერთი სიტყვით, არა ნამდვილი გლეხი. ის ისე გამოიჩინოდა სხეულისაგან, როგორც ხორბალში ბზე. იაშკას ჭრელი ხალხისა და ასეთივე შარვლის მეტი არაფერი გააჩნდა და ეს ხდებოდა სექტემბერში, როდესაც ციოდა კიდეც, ქარიც ჭროდა და შემოდგომის ცივი წვიმაც მოდიოდა.

— ეს როგორ დაგემართა, რომ ტანსაცმელი არ შემოგარჩენია? — ტუქსავდა მეწყულური.

— აი, მუშაობისას გავხურდები... რომელი ღმერთიც დამასველებს, იგივე გამაშრობს.

— ტანსაცმელი ღვინისათვის გაყიდე?

იაშკა მხოლოდ თავს უქნევდა და ილიმებოდა.

— რას იზამ, ასე დამემართა!.. ვინ იფიქრებდა, რომ მდინარეზე ლამაზობით ასე ეცეებოდა... ჰმ, ტანსაცმელს იშოვის კაცი. ტანსაცმელთან ხომ არ უნდა იცხოვრო ადამიანმა, კეთილ ხალხთან უნდა იყო...

ასეთი ვაჟკაცი ორჩხოველზე კიდევ სამი იყო და სამივე თავზეხელაღებული ლოთი. იაშკა მათგან მხოლოდ განსაკუთრებული გლეხური ოხუნჯობით განსხვავდებოდა. მისი ოხუნჯობა ხანდახან ლაზღანდარობაში გადადიოდა. ლაზღანდარობას არ უთმენდნენ. შეიძლება იყო ლოთი, და მოქიფიფეც, ყველაფერი, რაც გნებავს, ოღონდ მასხარა არ უნდა იყო. იაშკას კი არ შეეძლო თავისი შეკავება, მოულოდნელად ისეთ ოინს ჩაიდენდა, რომ ყველა სიცილით კვდებოდა.

— ოჰ, იაშკა, ჯანდაბას შენი თავი! აბა შენა ხარ, აი:

მესამე დღეს, როდესაც ორჩხოველი ჯერ კიდევ ქვებში მოცურავდა, იაშკამ კინალამ იჩხუბა.

საქმე ასე იყო:

გარიყრატზე ორჩხოველი ტყიანი ნაპირის მახლობლად მიცურავდა. ბურაკები გათოშლინი, გაბრაზებული და მოღუშულები იყვნენ. მდინარე შემოდგომის ცივ ნისლს დაებურა. იაშკა სხვებთან ერთად საჭესთან იდგა და ცოდვიანივით იშმუშნებოდა. უცებ საღი თვალი მოხუჭა და სინანულით ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ერთი ახლა თოფი მომცა!

— რას იზამდი, იაშკა?

— რასა და, გესმის, ეგ მოსახარაკი როგორ „ელურტულებს?!“

ტყეში მართლაც კაკანებდნენ ტყის ქათმები.

— მერე-და რა გემრიელია შემოდგომის ტყის ქათამი, — განმარტავდა იაშკა, — ზედავ როგორ რაკრაკებს ეგ

არამზადა! რრახ და უკვე შემწვარია. შემოდგომის ქათამზე უკეთესი არაფერია... ხიდან მოკლული რომ ჩამოვადება, სიმსუქნისაგან კანი ზედ ასკდება.

— შენ რა, მონადირე ხარ თუ?

— ვნადირობდი... ოც წელზე მეტხანს ვნადირობდი.

— მაშ რა უყავი თოფი?

იაშკას უნდოდა ეპასუხა, მაგრამ რომელიღაც ხუმარამ დაასწრო:

— ღვინოში ჩაღუჭა.

— მე? ღვინოში?

იაშკას უცებ გული მოუვიდა, ამან ორჩხოველზე ყველა გააციინა. ასე მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანი მოიქცეოდა. ნამდვილი გლეხი არც კი შეიმჩნევდა რომ გულში მოახვედროს, იაშკამ კი გასცა თავისი თავი.

— ოჰ, იაშა, იაშა, რამ გაგამეტებინა თოფი? — თვალთმაქცურად ეუბნებოდნენ, ვითომ ძალიან ეცოდებოდათ. — აი, ახლა იდექი საჭესთან... თოფი რომ გქონოდა ხომ მოხრატულ ქათმებს შექამდი, ოჰ, იაშა, იაშა!..

— არაფერი გეყურებათ, ქაჯებო! — ილანძლებოდა იაშკა, — ეს ქათმები მე საკმაოდ ბევრი მიჭამია, როგორც მიჭამია, გარეული იხვიც, ქრუნიც, რამდენიც მსურდა!

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და საქმე ჩხუბით დამთავრდა. იაშკა ძლივს მოაცილეს ბრგე, ზორბა ტანის ბურლაკს, რომელსაც კატასავით ჩაფრენოდა.

2

მესმის მთელი ეს ლანძლეა და ჩხუბი. იაშკას სახეზე ვაკვირდები. უცბად ვიგონებ ავდრიან შემოდგომის დღეს მთებში, ღამის გასათევად რომ მოვხვდი მონადირეთა ფარდულში. გამახსენდა ყრუ ღამეში მეწარმე მონადირის მოულოდნელი გამოჩენა. ეს იყო იაშკა! როგორ მოხდა, მაშინვე რომ ვერ ვიცანი?.. იაშკას სახე ხომ იმ სახეების

რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა დავიწყებაც ძნელია.

ერთი სიტყვით, ჩვენი შეხვედრა ღამით მოხდა, შემოდგომის ადრიან დილით კი იაშკა უკვე სანადიროდ გაეშურა.

ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ასეთი შეხვედრა ასობით ხდება და ყველაზე შესამჩნევი სახეც კი შეიძლება დაგავიწყდეს. დიახ, იაშკა ძალიან დაბერებულა, მთლად შეცვლილა. ხელიდან წასულ იმ ადამიანებს ჰგავდა, რომელთაგანაც ბურლაკების ბრბო შედგება. გაუგებარი იყო ერთი რამ: როგორ მოხდა, რომ იაშკა თავისუფალი ადამიანი — მონადირე ბურლაკების ტყვეობაში ჩავარდა?

— ვერ მიცანი? — მიემართე იაშკას. იგი თბებოდა ცეცხლთან, რომელიც ორჩხომელის შუაში განსაკუთრებულ კერაზე ენთო. იაშკამ თავისი ერთადერთი თვალთ გულგრილად შემომხედა, კეფა მოიჭექა და წაილაპარაკა:

— არ მაგონდება მე ეს ბატონი!

— როგორღაც ერთხელ, თეთრ მთაზე, ასევე შემოდგომით, ფარდულში ერთად გავათიეთ ღამე, მაშინ შენ ტყის ქათმებზე ნადირობდი.

იაშკას სახე გაუბრწყინდა.

— როგორ არა, მართალია... — აღაპარაკდა რაღაც განსაკუთრებული სიჩქარით. — ჩემო ძმაო!.. მაშინ თქვენ წითურა ძაღლიც გყავდათ, წინა ფეხით კოკლობდა? მეც მყავდა ძაღლი, კუფთას ვეძახდი. მშვენიერი ძაღლი იყო. მერე და როგორ ყუფდა და აფრთხოდა ქათმებს შემოდგომობით. ფოთლოვანში მსუქან ციყვს ეძებდა!.. დათუზდაც მიიწევდა!..

ეს მოგონება ახალმა ამბავმა შეგვაწყვეტინა:

— აი, ღმერთმა ბურლაკობა დამაწყებინა, ბატონო!.. ესენი ყველაზე ფუქსავატი ხალხია! მეუბნებიან „თოფი

ღვინოში გაყიდეთ“. არ ესმით ამ გამოთავებულებს, რა არის ფუფუნება? შეიძლება კაცმა ის ღვინოში გაყვილოს? სწორედ რომ გაიძვერები არიან, ბატონო, აი ეს ბურლაკები. ჰმ, გაყიდეთ. კატორღელები!

იაშკამ ირგვლივ მიმოიხედა და ხმა დაბლა დაუმატა:

— თოფი გამიფუქდა. დიახ... პირველი თოფი რომ მოვიდა, ირმებზე სანადიროდ წავედი. ერთ ირემს ჩაუესაფრდი, მივეპარე და ბახ!.. ქანკიკი კი მოსძვრა. მერჩია, ხელი წამწყვეტოდა. რაღა კაცი ვარ უთოფოდ? ჩემზე უბედური არავინაა. შესაკეთებლადაც მივეცი. ფული თვალსა და ხელს შუა გამიჭრა, ცუდი ხელოსნება არიან, გამაწამეს. ჰოდა, აი გადაწყვიტე, ქარაენით პერმამდე მივიდე. რვა მანეთს ვიშოვი და ახალ თოფს ვიყიდი.

უქანასკნელი სიტყვები განსაკუთრებული სიამით ჩაილაპარაკა. სიამოვნებისაგან თვალებიც კი მინება.

თოფი მისთვის ყველაფერი იყო და ალბათ მთელი ზამთარი მის შექენაზე ოცნებობდა. ახალი თოფის შოვნა მისთვის დიდ ამოცანას წარმოადგენდა; იცოდა, როგორც კი თოფს იშოვნიდა, მიატრევებდა ბურლაკობას და ისევ თავისუფალი ადამიანი გახდებოდა.

ამ შეხვედრამ დიდი სიამოვნება მომგვარა. მეწყლური, რომლის ფარდულშიც სიცოცხის გამო ღამე გავათიე, იაშკას უბღვეროდა, რაკი შენიშნა, რომ მან მონადირის უბრალოებით გული გადაიხსნა.

— განა ამათ რამე ეყურებათ? — მიხსნიდა იაშკა. — ბნელი ხალხია... რა თქმა უნდა, მე ორჩხომელზე „მეცამეტე გოჭივით ვარ“, მაგრამ აბა ერთი ტყეში გენახეთ. შენ ათჯერ ჩაუვლი გვერდზე, იაშკა კი უცბათ მიაგნებს. ტყეში ბატონივით დაედივარ. თუ მინდა ცეცხლს მივუჯღებ, თუ მინდა დაეწვიები და დავიძინებ. განა ესენი

ამას მიზეზებიან? — იაშკა ფრინველივით თავისუფალია. ოღონდ აი, ღვთის წყალობით, თოფი მელისოს.

ძალიან მინდოდა იაშკა ჩემთან დამეტოვებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, თავშესაფარში მესამე ადგილა არ გვქონდა.

სალამოს ვწუვებოდი და იმაზე ფიქრი მაწუხებდა, რომ მე მშრალად და თბილად ვიყავი, იაშკა კი ცეცხლის პირას იბუხებოდა...

— აქ მარტო მე ხომ არ ვიყინები? — ამიხსნა იაშკამ. — თუმცა მათ, ამ კატორღელებს, არაფერი გაეგებათ, მაგრამ მაინც ადამიანები არიან!..

3

ეს იყო საშინელი ღამე. რაღაც გამჭვალავმა სიცივემ გამაღვიძა. საათი სამს უჩვენებდა. ნიჩბების ჭრიალისაგან, წყალში რომ ისეთი მძიმე ხმაურით ტყაპუნობდნენ, თითქოს მას რაღაცის უზარმაზარი თათი ბღღვნიდაო, დავასკენი, რომ ორჩხოველი მთებს შორის მიცურავდა. ღამღამობით ორჩხოველს აჩერებდნენ, ახლა კი იჯა იმიტომ მიცურავდა, რომ მეჩენის გარდა გზაში არავითარი საშინროება არ მოელოდა. სამუშაო ნაკლები იყო და ბურღაკები ორ ცვლად გაიყვნენ, დღისა და ღამის შორიგეებად.

როდესაც ფარდულიდან გამოვედი, ჩემს წინ გადაშლილმა სურათმა გამაოცა. ჰაერში თოვლის ფანტელები ტრიალებდნენ... ორჩხოველი ერთი გოჯის სისქე თოვლით იყო დაფარული. აქაიქ მკრთალად გამოკრთოდა ნიჩბებით მომუშავე ბურღაკების ჩრდილები. ყოველივე ეს გულშემშარავ სურათს წარმოადგენდა. ზოგი სველ ნექაში იფუთნებოდა, უმრავლესობა კი ყოველგვარი საფარის გარეშე იდგა.

სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. სწორედ ცივ სიცილილს წააგავდა.

ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენი ორჩხოველი რაღაც მკვდარულ სასუფეველში მიცურავდა. მადლიანად ფართო-წვერიანი მოხუცი მებრძვე ლუპანი უკანა ბაქანზე დიდი ამბით იჯდა თავის სკამზე. ხელის მოძრაობით უსიტყვოდ იძლეოდა ბრძანებებს, თითქოს მასაც ემინოდა, ეს მდუმარება არ დაერღვია.

— იაშკა საღდა? — ვკითხე მეწყულურს, რომელიც ორჩხოველიდან წყალს ასხამდა.

მინ ხმაამოუღებლად გაიქნია თავი ერთმანეთზე დალაგებული სპილენძის ჭოგრებისაკენ — „ხიშტებისაკენ“, რომლებიც შეშის ზეინივით იყო განლაგებული ორჩხოველის ფსკერზე ცხვირიდან კიჩომდე. მე მივხვდი, რომ მეწყულურს მორიდებოდა ფარდულში შესვლა და სხვებთან ერთად ისიც თოვლის ქვეშ სველდებოდა. ლუპანიც იმიტომ დარჩენილიყო თავის სკამზე. უსიტყვოდ გამოიხატა ის საერთო გრძნობა, რომელიც ბურღაკებს, სხვადასხვა ჯურის ხალხს, მეგობრულ ოჯახად აქცევს.

იაშკას თოვლით დაფარული სველი ნექის ქვეშ ეძინა.

ნექას ორთქლი ასდიოდა. იაშკა მოკალათებულყო სპილენძის ხიშტებზე, რომლებიც ექვს-ექვს ცალად იყო გადაბმული, ნექის ქვეშ ყოველ ნექს უნდა ეგრძნო სპილენძის ხიშტი და მაგარი თოკის თითოეული კვანძი. დანარჩენი ბურღაკები ერდოს ქვეშ შემძვრალიყვნენ. ამ ადგილს, ყოველშემთხვევაში, თოვლი მაინც არ აყრიდა. ღალი ადამიანი იაშკა შეჩვეული იყო მთელი კვირაობით სუფთა ჰაერზე ყოფნას, ზამთარში კი პირდაპირ თოვლზე ძილსაც კი.

მე ყური დაუგდე. ნექის ქვეშიდან ისმოდა მძინარე ადამიანის მშვიდი სუნთქვა.

ცეცხლს მიუჯექი და კარგა ზანს ვიცქირებოდი ირგვლივ. არასოდეს ალი

ასეთი ღამეში არ მჩვენებია, როგორც ახლა, როდესაც ამ ნოტიო და მძიმე წყვდიადს ებრძოდა. ასეთ ღამეებში შეიძლება გაიგო ცეცხლის ის განუზომელი მნიშვნელობა, რომელსაც რატომღაც ივიწყებ თბილ ოთახში ყოფნის დროს. რა საშინელი წყვდიადი მოიცავდა კაცობრიობას, ცეცხლი რომ არ ყოფილიყო. ტყუილად კი არ მიაჩნია იაშვამს ცოდვად ცეცხლში ჩაფრთხება. აი, ახლაც ხიშტებზე მოწყობილ ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ცეცხლთან ახლოს იყოს.

— ფარდულში წასულიყავით, ბატონო, — მირჩია მეწყულურმა და ცეცხლს რამდენიმე ღერი სველი შეშა შეუკეთა. — შეუჩვეველი ხართ, ციებ-ცხელება აგიტანთ, შეიძლება დამბლაც დაგეცეთ!

სიმართლე გითხრათ, მრცხვენოდა ჩემს ფარდულში დაბრუნება, როდესაც სხეები ბაქანზე სველდებოდნენ. მაგრამ მათთან დარჩენა მე არ შემეძლო. ფიცრების, ნეჭისა და ნაძვის ხის ქერქისაგან ძლივსძლივობით შეკოწიწებულ ფარდულს მივაშურე. მიეწეჭი ჩემს უხეშ საწოლზე, რომელსაც ნაპირზე მოპარული ჩალა ეფინა და დიდხანს ყურს ვუგდებდი სამარისებურ სიჩუმეს, სანამ ძილი არ შემომეპარა.

4

გვიან გამეღვიძა. ორჩხოველზე ატეხილმა საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა, პირველად გამიელვა აზრმა, რომ ორჩხოველი იძირებოდა. ფარდულიდან გამოვეარდი და საოცრებისაგან გავეშეშდი:

რალაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა...

ორჩხოველის ქვეშ გარეული ბატები ყიყინებდნენ, მძიმედ წრიალებდნენ. ეს უძლური ფრინველები, რომლებსაც

ადრეულმა თოვლმა მოუხწრო, მდინარეში ცვივოდნენ. ათიოდე ბატები თავგამოდებით პირდაპირ ფრინველზე შემოჯდა. ყველაზე მეტად ეს იმიტომ იყო გასაოცარი, რომ გარეული ბატი მეტისმეტად ფრთხილი ფრინველია და მონადირეს სათოფედაც არ ეკარება.

— დაიჭი, დაიჭი, დასცხე! — ყაყინებდნენ ბურღაკები და არაქათგამოცილ ფრინველებს დასდევდნენ.

სამუშაო მიეტოვებინათ, ორჩხოველზე დიდი ალიაქოთი ამტყდარიყო. იაშვამს თავგანწირულმა ღრიალმა გამოაცა, იგი ორჩხოველზე გიცივით დარბოდა.

— ძმებო, ჩემო ძვირფასებო! რას აკეთებთ, ოჰ, თქვე კატორღელებო... თქვე გაიძვერებო! ძმებო, ჩემო კარგებო, ნუ შეეხებით ღეთის ქმნილებას!.. განა ამ დროს შეიძლება მისი დაჭერა? გაგიყდით, გამოთავყანდით! ურჯულეობები ხართ!.. ოჰ, ძმებო, საცოდაობაა, ოჰ რა ცოდვას იღებთ!

ყველაზე ყოჩალი ერთი დედაკაცოვანი აღმოჩნდა. მას უკვე ორი ბატი დაეჭირა და ზედ გართხმოდა. იაშვამ ეძგერა ქალს და გამოგლიჯა დაჩეჩკვილი, საშინელებისაგან გაოგნებული ფრინველი.

— რას შვრები, შე ბრიყვო?... მე შენ გიჩვენებ... ნამდვილად თავზეხელაღებული კატორღელები ხართ! ძმებო! ჯანდაბას თქვენი თავი...

იაშვამ გამწარებით ილანძლებოდა და თან დედაკაცისაგან წართმეულ ბატებს ხელს უსვამდა. ბურღაკები შეცდნენ, ზოგმა მათგანმა ხელიც კი შეუშვირა დაჭერილ ფრინველს.

— შენ კი, თითქოს ყოველგვარ ფრინველს არ ესერი, შენმა შვემ. — ლანძლვა-გინებით უპასუხა გულმოსულმა ქალმა. — რამ გაგაცოფა, გახევებულო ეშმაკო!..

— დიახ, ვკლავ, სულელო დედაკაცო! — გაჰკიოდა იაშვამ, და უფრო მე-

ტად ერეოდა ბრაზი. — ოღონდ არა გადაფრენის დროს... მე ჰაერში მონავარდე თავისუფალ ფრინველს ვესვრი, რომელსაც ძაღლონე ერჩის. ეს კი გათოშილია. აი, შენ რაღაცას ბუზღუნებ, სულელო დედაკაცო, ის კი არ იცი, რომ კაცის მოკვლა ცოდვია, მაგრამ მოგზაურის მოკვლისათვის კი ათჯერ მეტი გადაგზდება. ასეა გადამფრენ ფრინველებზედაც... ჩახეთქავდი ამ ბატს და ფეხებსაც გასკიმავედი... ერთი სიტყვით სულელი ხარ!.. ფრინველი ჩვენთან შემოფრინდა, აქ ცოტას დამასვენებენ, იქნებ მაჭამონ კიდევო, — შენ კი წისქვილის ქვასავით დააცხრი, სხვა დროს, სულელს, განა მიგიშვებდა თავისთან?

— მართლაც ძმებო, არ შეეხოთ ღვთის ფრინველს! — კვერი დაუკრა ყვირილისაგან ხმაჩახლეჩილ იაშკას მოხუცმა ლუპანმა. — არ ვარგას.. დაე, სული მოითქვას და მერე თვითონ გაფრინდება საითაც ნებაეს, იაშკა მართალს ამბობს...

— მაგრამ ეს ხომ საქმელია? — გულბედავად წამოიძახა ერთმა ბურლაკმა, — ისეთ კერძს მოეხარშავდით, ლუპან სტეპანიჩი..

— შენ კიდევ, ტუტუცო, სიტყვას ბანზე ნუ აგდებ!.. იაშკა ყველაზე შიშვენი გამოდგა. დიახ, მან ეს საქმე იცას!

— ოჰ, ღმერთო ჩემო, დიდი ცოდვაა! — მუდარით გაიძახოდა იაშკა და იქ მყოფთ მიმართავდა: — აი, რა თვინიერი ფრინველია... პირდაპირ ზელებში გივარდება. ის ლა აკლია თქვას რომ: «დავიღალე, გადავიქანცე, გავიროშეო»... თქვენ კი მათი ამოყლეტა გინდათ!..

ქანცგამოლეული ბატების გუნდი ახლა ისე მოეფინა ჩუსოვაიას, როგორც ცოცხალი თოვლი. ბატები აღარ უფრთხოდნენ თავიანთ მტერს — ადამიანს. მათ, რომლებიც ორჩხომელზე მოხედნენ, უკვე მოესწროთ დასვენება და

მოყიყინე ამხანაგების ძახილზე დიდის ამბით ეშვებოდნენ წყალში. იაშკა ზეიმობდა და პირჯვარც კი გადაიწერა, როცა უკანასკნელი ბატი ჩაეშვა წყალში.

— მგონი ერთი კიდევ უხდა იყოს! — ამბობდა ხმამალა და უნდობლად ათვალეირებდა ბურლაკებს.

— ყველა აქ არის, იაშკა...

— მადლობა ღმერთს! გმადლობო, ძმებო!

თოვლი შეუჩერებლად ბარდნიდა. გადათეთრებულ ნაპირთან წყალი შედარებით ჩაშუქებული მოჩანდა. საღლატ, შორს, ბუნდად გამოჩნდა სოფლის ნაგებობანი.

— ეჭვი, გეყოფათ უსაქმოდ ყილი! — გასცა ბრძანება მეტივემ. — საჭე მარჯვენით!..

ნიჩბები ზანტად ჩაბუყბუყდა წყალში. გაიშალა ბატების გუნდი, ბატური თავმოწონებით გაცურა მოწინააღმდეგე ნაპირისაკენ და ორჩხომელი ყიყინით გააცილა.

— გონიერი ფრინველია, — შენიშნა იაშკამ და გააყოლა თვალი ბატების გუნდს. — მაგაზე ჭკვიანი ფრინველი არც არსებობს... წყვილწყვილადაც რომ ცხოვრობენ, ღვთისნიერებივით. ისე კი არა, როგორც, მაგალითად, როკო...

იაშკამ კეფა მოიქეჭა და სულ სხვა ხმით დასძინა:

— ეჰ, — ერთი ათიოდ რომ მომცა ასეთი ბატი. თოფი მექნებოდა და ძაღლივით აღარ ვიწინწალებდი! პერძში თითოს მანეთად გაეყიდდი.

საღამოს ფარდულში ჩაის ერთად ვსვამდით მჭ, მეწყლური და იაშკა. იაშკას სველ ხალათს ორთქლი ასდიოდა. ის როგორღაც გამალებით სვამდა ჩაის

ერთიმეორის მიყოლებით, ფინჯანს ფინჯანზე. უფრო სწორად რომ ითქვას, კი არა სვამდა, ყლაპავდა. ეს ისევ ის საბრალო იაშკა იყო...

— ხომ არ გაგაცია? — შევეკითხე.

— არა, რად უნდა მაციებდეს?.. აი სველი რომ ცეცხლთან გავმთბარიყავი, დავიღებებოდი.

ჩაით გული რომ მოიჯერა, მადლობა გადამიხადა და წამოდგა.

— ახლა კი ჩემს ბუმბულს მივაშუტებ, ბატონო...

იაშკამ სასთუმალს გადახედა, რომელზეც მეწყლური ისვენებდა და საყვედურით გაიჭნია თავი.

— ეჰ, პაველ ევსტრატჩი... ჰა? ეჰ!..

— რა იყო? — შევეკითხა მეწყლური და თვალეში ქურდულად გააცეცა.

— ეჰ, პაველ ევსტრატჩი!.. განა არა, წედან ერთი ბატი თვალში დამავლდა... ნამუსი არა გაქვს?

— აბა, აბა, ენას კბილები დააქირე.

— შე კი დაეაქერ, მაგრამ ეს ბატი ყელზე დაგადგება.

სასთუმალთან ბატის ბოლო მოჩანდა.

— შე ხომ არ დამიქერია! — თავს იმართლებდა მეწყლური, — თვითონ შემოვარდა ფარდულში, ჰოდა, შემეცოდა და მოვახრჩე.

— მგელს ძალად ჩაუვარდა ხახაში არა?! ეჰ, პაველ ევსტრატჩი, არ ვარგასე, არა!

თარგმანი ელენე გოგოლაშვილისა

პოქის შემხველი ნაწარმოები

ი. სტალინი, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები
სსრ კავშირში“

★

ი. სტალინის ახალი შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდესი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მოვლელი მსოფლიოს რევოლუციურ და მუშათა მოძრაობის იდეურ ცხოვრებაში. იგი მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური აზრის მწვერვალია და გვერდში უდგას ისეთ საკაცობრიო გენიალურ ქმნილებებს, როგორცაა კ. მარქსის „კაპიტალი“ და ვ. ლენინის „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

თავის მოხსენებაში პარტიის მე-19 ყრილობაზე ამხანაგმა გ. მალენკოვმა აღნიშნა: „ლენინი და სტალინი ყოველთვის, ისტორიის თვითველი ახალი მობრუნების დროს მარქსიზმს უკავშირებდნენ ეპოქის გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანებს, და მარქს-ენგელის მოძღვრებისადმი თავიანთი შემოქმედებითი მიდგომით გვიჩვენებდნენ, რომ მარქსიზმი მკვდარი დოგმა კი არ არის, არამედ ცოცხალი სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის“ (გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-19 ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 122).

ი. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი შემოქმედებითი მიდგომის შესანიშნავი მაგალითია. იგი კომუნისტებისათვის ბრძოლის მძლავრი იდეური იარაღია, თეორიისა და

პრაქტიკის განუყოფელი ერთიანობის ბრწყინვალე დადასტურებაა.

კ. მარქსმა თავის „კაპიტალში“ მოგვცა კაპიტალიზმის აღმოცენების, განვითარებისა და დაღუპვის კანონების ღრვა ანალიზი. მეცნიერულად ახსნა კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსი და მუშათა კლასი შეაიარაღა კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნისტური გამარჯვების დიადი თეორიით.

ვ. ლენინმა, დაემყარა რა კ. მარქსის ეკონომიკურ მოძღვრებას, შემდგომ განვითარა მარქსის რევოლუციური თეორია და თავის გენიალურ შრომაში „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ ყოველმხრივ და ღრმად გამოიკვლია მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების კანონები, აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი და გააკეთა დიდმნიშვნელოვანი დასკვნა ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ი. სტალინმა რევოლუციური მოძრაობის ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შემდგომ განვითარა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, შექმნა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თეორია; სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის განზოგადების გზით ი. სტალინმა მოგვცა დასრუ-

ლებული მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ.

ი. სტალინის ახალი შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დაიწერა ჩვენს დიად ეპოქაში — კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმის გამარჯვების ეპოქაში. ეს შრომა მეცნიერული კომუნიზმის კლასიკური ნაწარმოებია, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარება და გაღრმავებაა. იგი წარმოადგენს ახალს ეტაპს მარქსიზმის განვითარებაში.

ი. სტალინის ახალი შრომის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ხაზგასმით იქნა აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის მიერ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გ. მალენკოვმა აღნიშნა: „მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. ამ შრომაში ყოველმხრივ გამოვლენილია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, გარკვეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზები. ეკონომიკური თეორიის საკითხთა დამუშავებით ამხანაგმა სტალინმა დიდად წასწია წინ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია“ (გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-19 ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 122 — 123).

შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

ი. სტალინის მიერ ყოველმხრივ გამოვლენილია სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები. გორიკაა: სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ხასიათი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, საბალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი, სასაქონლო წარმოება და ღირებულების კანონი სოციალიზმის დროს, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობის საკითხი, აგრეთვე მათ შორის განსხვავებათა ლიკვიდაციის საკითხი, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზები და სხვ.

ამ შრომაში ი. სტალინმა მოგვცა ახალი დასკვნები და განზოგადებანი კაპიტალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, ახსნა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავების მიზეზები, ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლა, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა თანაფარდობა თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერულად დაასაბუთა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობა და სხვ.

ყველა ამ საკითხის დამუშავებით და გადაწყვეტით ი. სტალინმა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება.



შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. სტალინმა მოგვცა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის პროგრამა. თეორიულად დაამუშავა რა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საკითხები, ი. სტალინმა წამოაყენა საპროგრამო დებულებანი კომუნიზმში გადასვლის

მომზადების ძირითადი წინაპირობების შესახებ. ი. სტალინის ამ გენიალურ ქმნილებაში კლასიკურად განზოგადებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილება.

საბჭოთა კავშირში აშენებულია სოციალიზმი. ჩვენი ქვეყანა შესულია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ხანაში.

ლ. პ. ბერია პარტიის მე-19 ყრილობაზე აღნიშნავდა: „ამ პირობებში ჩვენი პარტიის წინაშე წამოიჭრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ახალი საკითხები. რა წინასწარი პირობების შექმნაა საჭირო, რომ განვახორციელოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა? რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? როგორია ამ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდის ძირითადი კანონზომიერებანი? და ჩვენ ვხედავთ, რომ ამხანაგმა სტალინმა ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ყველა ამ საარსებო, სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მოგვცა მკაფიო და ნათელი პასუხი, რომელმაც პარტიას და საბჭოთა ხალხს გაუნათა მომავალი გზა“. (ლ. ბერია, სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) მე-19 ყრილობაზე, გვ. 29).

ი. სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის საჭიროა განვახორციელოთ სამი ძირითადი წინაპირობა მაინც.

1. ჯერ ერთი, აუცილებელია მტკიცედ უზრუნველყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული რეპროდუქცია.

კომუნისტური პარტია და დიდი სტალინი სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და დღესაც აქცევენ საზოგადოებრივი წარმოების

მთავარი დარგის — მძნე მრეწველობის და მისი გულის — მანქანათმშენებლობის განვითარებას. მანქანათმშენებლობა გახდა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითადი ბერკეტი. მას წამყვანი ადგილი უჭირავს სოციალისტურ მრეწველობაში.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ეკონომიკური წინამძღვარია საწარმოო ძალების, სოციალისტური წარმოების მძლავრი განვითარება. საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც უდიდეს ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს, ემყარება რა წარმოების განვითარების კანონების ცოდნას, შეგნებულად წარმართავს საბჭოთა ადამიანების მოქმედებას პირველ რიგში წარმოების იარაღების შეცვლისა და გაუმჯობესების მიმართულებით, რათა მიღწეულიყნეს კომუნიზმის შესაბამისი წარმოების დონე.

სოციალისტური წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარების უფრო დაჩქარებული ტემპები, მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით, უზრუნველყოფენ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუხრელ აღმავლობას და თვით მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას. ყველა სტალინურ ხუთწლედში წარმოების საშუალებათა წარმოება გაცილებით მაღალი ტემპებით ვითარდებოდა, ვიდრე მოხმარების საშუალებათა წარმოება. ამ საფუძველზე შეიძლება სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, წამყვანი ადგილი დაიჭიროს მძიმე მრეწველობის დარგებმა.

მძიმე მრეწველობაში განსაკუთრებული როლი მანქანათმშენებლობას მიენიჭება. ამიტომ მისი განვითარება ლენინ-სტალინის პარტიის ყურადღების ცენტრში იდგა და დგას. თუ 1913

წელს მანქანათმშენებლობის პროდუქცია შეადგენდა მთელი მძიმე მრეწველობის პროდუქციის 6, 8 პროცენტს, 1940 წელს მან შეადგინა 31 პროცენტი. მანქანათმშენებლობის ზვედრითი წონის მიხედვით საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

მეტად დაჩქარებული ტემპებით ვითარდება წარმოების საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობა, რომელმაც 1951 წელს წარმოების საერთო მოცულობის მხრივ 2,4-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო 1952 წელს ამ დონეს დაახლოებით 2,7-ჯერ გადააჭარბებს.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა ობიექტური აუცილებლობაა, რაც ასახულია 1951 — 55 წლების მეხუთე ხუთწლიან გეგმაში.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნისმისაკენ განვითარების გზაზე, ითვალისწინებს მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ ზრდას, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას. პარტიის მე-19 ყრილობის დირექტივები ადგენს სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას ხუთწლედის მანძილზე, დაახლოებით 70 პროცენტით, ამასთან, მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიურ ტემპს, დაახლოებით, 12 პროცენტით. წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპი განსაზღვრულია 13 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებისა — 11 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების ზრდა 1955 წელს, 1950 წელთან შედარებით, გათვალისწინებულია: თუჯისა — 75 პროცენტით, ფოლადისა — 62 პროცენტით, ნაგლინისა — 64 პროცენტით, ქვანახშირისა — 43 პროცენტით, ნავთობისა — 85 პროცენტით, ელექ-

ტროენერჯისა — 80 პროცენტით. გეგმა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის, როგორც სახალხო მრეწველობის ყველა დარგში ახალი მშენებლობის კური პროგრესის საფუძვლის განვითარების მაღალ ტემპს.

ი. სტალინი თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღნიშნავს, რომ კომუნისმის ლენინური ფორმულა: „კომუნისმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“ ერთადერთი სწორი ფორმულაა. ამის ნათელი დადასტურებაა უდიდესი ელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგაზე, დნებარზე, ამუ-დარიაზე და ჩეენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

2. ი. სტალინი აღნიშნავს, რომ კომუნისმში ნამდვილი გადასვლისათვის საჭიროა კოლმეურნეობებისა და, მამასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონელმომოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით.

დღეს საბჭოთა კავშირში არსებობს ორი საწარმოო სექტორი: სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო სექტორები, რაც ეფუძნება სოციალისტური საკუთრების ორ ფორმას. სახელმწიფო საწარმოებში წარმოების საშუალებანი და წარმოების პროდუქცია შეადგენს საერთო-სახალხო საკუთრებას, ამიტომ მას განაგებს საბჭოთა სახელმწიფო. საკოლმეურნეო საწარმოებში თუმცა წარმოების საშუალებები (მიწა, მანქანები) სახელმწიფოს ეკუთვნის, წარმოების პროდუქცია ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრებაა. ამ პროდუქციის განმკარგულებელი კოლმეურნეობაა და არა სახელმწიფო.

სოციალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრივ და საკოლმეურნეო სექტორს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქს და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირი და ურთიერთობა ხორციელდება საქონლის გაცვლის, ყიდვა-გაყიდვის გზით.

სანამ ჩვენში რჩება ორი ძირითადი საწარმოო სექტორი, — აღნიშნავს ი. სტალინი, — ძალაში რჩება სასაქონლო წარმოება, საქონელმიმოქცევა, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემის აუცილებელი და მეტად სასარგებლო ელემენტი. ამიტომ ჩვენში მოქმედებს ღირებულების კანონი, როგორც ობიექტური ეკონომიკური კანონი, რაც გამოიყენება სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისა და პროდუქციის სიუხვის შექმნისათვის.

როცა ორი საწარმოო სექტორის: სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო სექტორის ნაცვლად გაჩნდება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, რომელსაც უფლება ექნება განაგოს ქვეყნის მთელი პროდუქცია, მაშინ სასაქონლო წარმოება, საქონელმიმოქცევა გაქრება და ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე ძალას დაკარგავს ეკონომიკური კანონის — ღირებულების კანონის მოქმედება.

როგორც ი. სტალინი გვასწავლის, საქონელმიმოქცევა შეუთავსებელია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივასთან. დღეს საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი ბაზარზე იყიდება, ამრიგად, ექცევა საქონელმიმოქცევის სისტემაში. სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს საკოლმეურნეო საკუთრების ამოღებას საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე.

ი. სტალინი წერს: „იმისათვის, რომ საკოლმეურნეო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ავამაღლოთ, საჭიროა საკოლმეურნეო წარმო-

ების ნამეტი ამოვართოთ საქონელმიმოქცევის სისტემიდან და მივაქციოთ ის სახელმწიფო მრეწველობა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტ-გაცვლის სისტემაში. ამაშია დედაარსი“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 101).

ი. სტალინი მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს პროდუქტ-გაცვლის ჩანასახები სოფლის მეურნეობის პროდუქტთა „დასაქონლების“ სახით, რომელიც უნდა განვავითაროთ პროდუქტგაცვლის განვითარებულ სისტემად.

როგორ ხორციელდება „დასაქონლება?“ ტექნიკური ევლტურების კონტრაქტაციის დროს კოლმეურნეობები თავისი პროდუქციის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან იღებენ არა მარტო ფულს, არამედ უმთავრესად მრეწველობის ნაწარმს გაცილებით დაბალ ფასებში, ვიდრე ჩვეულებრივ საცალო ვაჭრობაშია დაწესებული. ეს ღონისძიება ხელს უწყობს კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას. ასეთი სისტემა სასარგებლოა კოლმეურნე გლეხობისათვის. ამ საფუძველზე ჩვენ თანდათანობით შევკვცავთ საქონელმიმოქცევის სფეროს და გავაფართოებთ პროდუქტგაცვლის სფეროს, რაც აუცილებელი პირობაა საკოლმეურნეო საკუთრების ასამაღლებლად საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე.

3. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის აუცილებელია მივალწიოთ საზოგადოების ისეთ ევლტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაოდ განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების

აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის აუცილებელია ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ საბინაო პირობები და ავამაღლოთ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, სულ ცოტა, ერთიორად, თუ მეტად არა, როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდების გზით, ისე, განსაკუთრებით, მასობრივი მოხმარების საგანთა ფასების შემდგომი სისტემატური დაკლების გზით.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის, საზოგადოების წევრების სერიოზული კულტურული ზრდისათვის აუცილებელია შევამციროთ სამუშაო დღე ყოველ შემთხვევაში 6 საათამდე, შემდეგ კი, 5 საათამდე, რათა საზოგადოების წევრებმა მიიღონ საკმარისი თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია ყოველმხრივი განათლების მისაღებად.

ამისათვის აუცილებელია შემოღებულ იქნეს საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე..

კომუნიზმი მოითხოვს მასების მაღალ შეგნებულობას, რადგან კომუნიზმი მშრომელი მასების შეგნებული შემოქმედების ნაყოფია.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას და კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრას კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში.

საბჭოთა პირობებში აღიზარდა ახალი ადამიანი, რომელსაც მხსნის შეგნების მაღალი დონე, მუშაობის საქმისადმი ერთგულება. მაგრამ სოციალიზმის დროს კაპიტალიზმის ნაშთები მთლიანად აღმოფხვრილი არ არის. მათი აღმოფხვრა მოხდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ეპოქაში.

კომუნისტური აღზრდის მიზანია ზვენი ქვეყნის ყველა მშრომელი გახადოს უაღრესად კულტურული და განათლებული, მხე და მტკიცე, აღზარდოს ისინი შრომისა და საზოგადოებრივი საქუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულსკვეთებით, მგზნებარე საბჭოთა პარტიოტინზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულსკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულსკვეთებით.



უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის მიერ ეკონომიკური კანონების, სოციალიზმის განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედების ხასიათის საკითხების დამუშავებას.

ცნობილია, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონები გამოხატავენ მოვლენათა შინაგან, არსებით დამოკიდებულებას, მოვლენათა კავშირის ობიექტურ მიზეზებს. შეიცნობს რა ამ დამოკიდებულებას და კავშირს, მეცნიერება ამით ხსნის განვითარების ობიექტურ კანონებს.

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ მეცნიერების კანონები, პოლიტიკური ეკონომიის კანონები, ობიექტური ხასიათისაა და ასახავენ იმ პროცესების კანონზომიერებას, რომლებიც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება; ადამიანებს არ შეუძლიათ ობიექტური კანონების არც შექმნა, არც მოსპობა და არც გარდაქმნა.

ბ. სტალინი იძლევა მეცნიერების კანონების, პოლიტიკური ეკონომიის კანონების კლასიკურ განსაზღვრას.

ბ. სტალინი წერს: „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“ (ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 4).

ბ. სტალინი აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონი, სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმავით განვითარების ეკონომიკური კანონი.

ბ. სტალინი აღმოაჩინა საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონები, რომლებიც ყველა ფორმაციისათვის საერთოა. ამავე დროს მიუთითა ისეთი ეკონომიკური კანონების შესახებ, რომლებიც მხოლოდ მოცემულ საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს.

ბ. სტალინი წერს: „სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციები თავიანთ ეკონომიკურ განვითარებაში ემორჩილებიან არა მარტო თავიანთ სპეციფიკურ ეკონომიკურ კანონებს, არამედ იმ ეკონომიკურ კანონებსაც, რომლებიც ყოველი ფორმაციისათვის საერთოა, მაგალითად, ისეთ კანონებს, როგორცაა

ერთიან საზოგადოებრივ წარმოებაში საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი“ (ბ. სტალინი, წინააღმდეგობა საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების პროცესში საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ურთიერთობის კანონი. გამოდის, რომ საზოგადოებრივი ფორმაციები არა მარტო გამოყოფილია ერთმეორისაგან თავიანთი სპეციფიკური კანონებით, არამედ დავაწილებულიც არიან ერთმანეთთან ყველა ფორმაციისათვის საერთო ეკონომიკური კანონებით“ (იქვე, გვ. 77).

ბ. სტალინი, დაასაბუთა რა ბუნებისმეცნიერებისა და ეკონომიკური განვითარების კანონების ობიექტური ხასიათი, ამავე დროს აღნიშნა, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს შორის მანძილ არსებობს განსხვავება.

ჯერ ერთი, პოლიტიკური ეკონომიის კანონები, ბუნებისმეცნიერების კანონებისაგან განსხვავებით, არახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მანძილ, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ და ეკონომიკური პირობების შეცვლასთან ერთად ძალას ჰკარგავენ, რათა ადგილი დაუთმონ ახალ კანონებს, რომლებიც ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშებიან.

მეორე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოჩენა და გამოყენება ახალი კანონისა, რომელიც ლახავს საზოგადოების მომავლად, რეაქციული კლასების ინტერესებს, აწყდება უძლიერეს წინააღმდეგობას ამ კლასების მხრივ. იმისათვის, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში ახალმა ეკონომიკურმა კანონმა გზა გაიკაფოს, საჭიროა საზოგადოებრივი პროგრესული ძალა, რათა დაძლიოს ეს წინააღმდეგობა.

ბ. სტალინი წერს: — „კლასობრივ საზოგადოების დროს ეკონომიკური კანონების გამოყენებას ყოველთვის და

ყველგან კლასობრივი სარჩული აქვს, ამასთან საზოგადოების ინტერესებისათვის ეკონომიკური კანონების გამოყენების მედროშეს ყოველთვის და ყველგან წარმოადგენს მოწინავე კლასი, მაშინ როდესაც მომავლადეი კლასები ეწინააღმდეგებიან ამ საქმეს“ (იქვე, გვ. 53-54).

საზოგადოება უძლურია როდია ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების წინაშე. შეიმეცნებენ რა ამ კანონებს, აღამიანებს შეუძლიათ შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, სხვა მიმართულება მისცენ მათ, შეგნებულად გამოიყენონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. იგივე ითქმის პოლიტიკური ეკონომიის კანონებზეც.

ი. სტალინი აღმოაჩინა და ყოველმხრივ დაასაბუთა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები.

ძირითადი ეკონომიკური კანონი განსაზღვრავს მოცემული წარმოების წესის არსს, მისი განვითარების ყველა მთავარ მხარეს და ყველა მთავარ პროცესს.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი არ არის ღირებულების კანონი, რადგან იგი მოქმედებდა კაპიტალიზმამდეც, მოქმედებს კაპიტალიზმის შემდეგაც. კანონი, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ ფორმაციაში მოქმედებს არ შეიძლება ერთი, მოცემული ფორმაციის ძირითადი ეკონომიკური კანონი იყოს.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი არ არის მოგების საშუალო ნორმის კანონი.

თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ შეიძლება დააკმაყოფილოს მოგების საშუალო ნორმამ, იგი მოითხოვს არა საშუალო მოგებას, არამედ მოგების მაქსიმუმს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა მეტად

თუ ნაკლებად რეგულარულად განახორციელოს გაფართოებულმა პროდუქციამ.

ი. სტალინი იძლევა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის გენიალურ განსაზღვრას.

ი. სტალინი წერს: „თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გალატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს რამებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველყოფად“ (იქვე, გვ. 42).

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება ხსნის კაპიტალიზმის აღმამფოთებელ წინააღმდეგობებს, კაპიტალისტური სახელმწიფოს მძარცველური პოლიტიკის მიზეზებსა და საფუძველს.

ამ ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება იწვევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას, საწარმოო აპარატის ქრონიკულ დაუტეირთაობას და ქრონიკულ უმუშევრობას, კაპიტალიზმის ეკონომიკის ლაბობას, ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელებას, მატერიალური დოვლათის პირდაპირ განადგურებას. პარაზიტული მოხმარების ზრდას, მშრომელი მასების აბსოლუტური და შეფარდებითი გალატაკების გაძლიერებას.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი ნათლად უჩვენებს კაპიტალისტური წარმოების მიზანს. კაპიტალისტური წარმოების მიზანია მოგების ამოქაჩვა და არაადამი-

ანთა მოთხოვნები დააკმაყოფილება.

უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის მიერ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენას.

ი. სტალინი წერს: „არსებობს თუ არა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი? დიახ, არსებობს, რაში მდგომარეობს ამ კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები? სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნებთან მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ (იქვე, გვ. 43-44).

სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამ კანონის მოქმედება იწვევს საზოგადოების საწარმოო ძალების აღმავლობას, მის აყვავებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელ ზრდას. ამაშია ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გადაწყვეტი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით.

საბჭოთა კავშირში სისტემატურად უმჯობესდება ხალხის ცხოვრების პირობები, მრავლდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, იზრდება ნაციონალური შემოსავალი, რომელიც არა მარტო იქმნება მშრომელი ხალხის მიერ, არამედ მთლიანად მშრომელთა კუთვნილებაა, უმჯობესდება საბინაო პირობები, მალდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის

დონე და კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი და ტ. შ. მ. მეხუთე ხუთწლიან გეგმვაში მუშაობის ნაციონალური შემოსავლის ზრდას სულ ცოტა 60 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის გადიდებას სახალხო მეურნეობაში 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 15 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდას, საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, სულ ცოტა 35 პროცენტით, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდას სულ ცოტა 40 პროცენტით.

ი. სტალინი თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახალ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ.

უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის მიერ მოცემულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ანალიზს და დასკვნებს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავების შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ.

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა სოციალიზმისა და კაპიტალიზმს შორის. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები განმტკიცდნენ, გაძლიერდნენ, ისინი გაცილებით სწრაფობენ ანტიდემოკრატიული იმპერიალისტური ბანაკის ძალებს.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება იწვევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ გაღრმავებას.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის

საერთო კრიზისი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, განსაკუთრებით კაპიტალისტური სისტემისაგან საბჭოთა კავშირის ჩამოშორების შედეგად. ეს იყო საერთო კრიზისის პირველი ეტაპი.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაიშალა საერთო კრიზისის მეორე ეტაპი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კაპიტალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნები ევროპასა და აზიაში.

კაპიტალისტური ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა მაღალი კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციით მთელი ისტორიული ეპოქაა, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაა, რომელიც ზასიათდება მსოფლიოს გათიშვით ორ სისტემად: კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემად.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განუკურნებელი სენიაა.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ნიშნავს წარმოების კაპიტალისტური წესის, მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის, კაპიტალიზმის ეკონომიკის, პოლიტიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვ. მუდმივ კრიზისის.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი მოიცავს როგორც კაპიტალისტური ეკონომიკური ბაზისის, ისე მისი ზედნაშენის მუდმივ კრიზისს და წარმოადგენს კაპიტალიზმის დაღუპვის მთელ ისტორიულ პერიოდს.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი არის კაპიტალიზმის ყველა ანტიგონისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებისა და ზრდის გამოხატულება.

ი. სტალინი, ახასიათებს რა კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, წერს: „არის თუ არა მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისი მხოლოდ პოლიტიკური ან მხოლოდ ეკონომიკური კრიზისი? არც

ერთი, არც მეორე. იგი არის კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის ყველაფერი, ე. ი. ყველმხრივი კრთობა: როგორც მოიცავს როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას. ამასთან გასაგებია, რომ მას საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დაშლის სულ უფრო და უფრო გაძლიერება, ერთი მხრივ, და კაპიტალიზმისაგან ჩამოშორებული ქვეყნების—სსრ კავშირის, ჩინეთის და სხვა სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ძლიერება, მეორე მხრივ.“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 62).

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ნიშნავს აღმავალი კომუნისმისა და დაღმავალი კაპიტალიზმის თანაარსებობას და ბრძოლას. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი უკვე გადაქცეულია კაცობრიობის პროგრესული განვითარების შემათერებელ მოვლენად, და რომ მისი შეცვლა სოციალიზმით ობიექტური აუცილებლობაა, ისტორიული განვითარების კანონზომიერებაა.

ი. სტალინი მეორე მსოფლიო ომისა და მისი სამეურნეო შედეგების ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეზულტატად მიიჩნევს ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზრის დაშლას, რამაც განსაზღვრა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად გერმანია და იაპონია გამოყვანილ იქნენ მწყობრიდან, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის კონკურენტები, მაგრამ ამასთან ერთად კაპიტალისტურ სისტემას ჩამოცილდნენ ჩინეთი და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები ევროპაში და მათ შექმნეს საბჭოთა კავშირთან ერთად ერთიანი და მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელიც

უპირისპირდება კაპიტალისტურ ბანაკს. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი პარალელური მსოფლიო ბანაკი, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთიანი და მძლავრი დემოკრატიული ბანაკის შექმნასთან დაკავშირებით წარმოიშვა და წარმატებით ვითარდება თავისუფალ ხალხთა ეკონომიკური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ეს ეკონომიკური ურთიერთობა ემყარება მეგობრობას, ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემას. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სახელმწიფოთა ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა ემყარება ინტერნაციონალიზმის ლენინურ-სტალინურ პრინციპებს, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის დიად იდეოლოგიას.

მაშინ როცა მეორე მსოფლიო ომში ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნები უფრო მეტად დაზარალდნენ, საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების შედეგად ამ ქვეყნების სამრეწველო წარმოება ახლა ორჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერაც კი სჭარბობს ომამდელ დონეს. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, რომლებიც მარწუხში ჰყავს მომწყვდეული კაბალურ ამერიკის „დახმარებას“, სამრეწველო წარმოება არსებითად გაყინულია ერთ ადგილას. წარმოება სისტემატურად ეცემა.

ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა ხელს უწყობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებას.

ი. სტალინი წერს: „ამ თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ისეთ ნამდვილ და ტექნიკურად კვალიფიციურ დახმარებას ვერ გაუწევდა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს. როგორც მათ უწევს საბჭოთა კავშირი, საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს

დახმარება მაქსიმალურად რთვილ და ტექნიკურად პირველხარისხისაა, საქმე უწინარეს ყოველთაში იმისაა, რომ ამ თანამშრომლობას საფუძველად უდევს გულწრფელი სურვილი — დავეხმაროთ ერთმანეთს და მივალწიოთ საერთო ეკონომიკურ აღმავლობას. ამის შედეგია ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 34).

ახსიათებს რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, ი. სტალინი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომი გარდუვალია. ცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ორი ბანაკის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ბანაკს შორის არსებული წინააღმდეგობანი თითქოს გამორიცხავს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ისინი ვერ ხედავენ სიღრმისეულ ძალებს, რომლებიც, თუმცა ჯერჯერობით შეუმჩნეველად მოქმედებენ, მაგრამ მაინც განსაზღვრავენ მოვლენათა მსვლელობას.

გარეგნულად გვეჩვენება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობაში, ამერიკის შეერთებულ შტატების დასავლეთ გერმანიის და იაპონიის ურთიერთობაში ყველაფერი „რიგზეა“. ნამდვილად მათ შორის ადგილი აქვს ღრმა წინააღმდეგობებს. ეს ქვეყნები უსასრულოდ არ მოითმენენ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობასა და უღელს, ისინი აუცილებლად შეეცდებიან თავი დააღწიონ ამერიკის ტყვეობას და დაადგინონ თავისთავადი განვითარების გზას, რასაკვირველია, მაღალი მოგების მისაღებად.

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლა ბაზრებისათვის და თავიანთი კონკურენტების

ჩახრიობის სურვილი პრაქტიკულად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკსა და სოციალიზმის ბანაკს შორის, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყო.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ამზადებენ ახალ ომს. იმპერიალისტურ ბანაკს მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის იმპერიალიზმი ყველაზე უფრო მტაცებლური და მხეცური იმპერიალიზმია. მას სურს ომის გაჩაღების გზით დაიმონოს მთელი მსოფლიო.

იმპერიალისტები აწყდებიან ხალხთა მასების მზარდ წინააღმდეგობას. დღეს მსოფლიოში არსებობს მშვიდობის დაცვის ორგანიზებული ფრონტი, რომლის ამოცანა ის არის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ახალი ომის საშინელებანი.

ი. სტალინი წერს: „მშვიდობისათვის

გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობას მიზნად აქვს ამოძრავოს ხალხის მასები მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 39).



ი. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ თანამედროვე ეპოქის გენიალური ქმნილებაა, ეპოქის შემქმნელი ნაწარმოებია; იგი წარმოადგენს უდიდეს შენაძენს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. ეს ნაშრომი გზას უნათებს კომუნიზმის შენებას ჩვენს ქვეყანაში, სახავს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ბრძოლის ფართო პერსპექტივებს.

ლენინი და სვალინი რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობების შესახებ

★

ი. ბ. სვალინმა თავისი კლასიკური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემდგომ განავითარა, დიდად წასწია წინ მარქსისტულ-ლენინური თეორია. ამ შრომაში ამხანაგ სვალინისათვის ჩვეული დამაჯერებლობით, სიღრმითა და გენიალური სიცხადით გამოკვლეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები. ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კონკრეტული გზები.

უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სვალინის მიერ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების ობიექტური ხასიათის დასაბუთებას, ადამიანების მიერ ამ კანონების შესწავლასა და საზოგადოების ინტერესებისათვის მათს გამოყენებას. დიდი სვალინი გვასწავლის:

„მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიციონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოა-

ვალიზონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“¹.

ამხანაგმა სვალინმა ლაზვარი ჩასცა იდეალისტებს, რომლებიც უარყოფდნენ ეკონომიკური განვითარების კანონების ობიექტურ ხასიათს.

„დავუშვათ, — წერს ი. ბ. სვალინი, — რომ ჩვენ ერთი წუთით დავდექით იმ არასწორი თეორიის თვალსაზრისზე, რომელიც უარყოფს სოციალიზმის დროს ეკონომიკურ ცხოვრებაში ობიექტურ კანონზომიერებათა არსებობას და აცხადებს ეკონომიკური კანონების „შექმნის“, ეკონომიკური კანონების „გარდაქმნის“ შესაძლებლობას. რას გამოიწვევდა ეს? ეს იმას გამოიწვევდა, რომ ჩვენ ჩავვარდებოდით ქაოსისა და შემთხვევითობათა სამეფოში, ჩვენ აღმოვჩნდებოდით ამ შემთხვევითობათაგან მონურ დამოკიდებულებაში, ჩვენ შესაძლებლობას დავკარგავდით არა თუ გავგეგო, არამედ თუნდაც გავრკეველიყავით შემთხვევითობათა ამ ქაოსში.

ეს იმას გამოიწვევდა, რომ ჩვენ პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების ლიკვიდაციას მოვახდენდით, რადგან მეცნიერებას არ შეუძლია ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს ისე, თუ არ ცნო ობიექტური კანონზომიერებანი, თუ არ შეისწავლა ეს კანონზომიერებანი. ხოლო რაკი მეცნიერების ლიკვიდაციას მოვახდენდით, ჩვენ დავკარგავდით ქვეყნის ეკონომიკური ცხოვ-

¹ სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952 წ. გვ. 4.

რების მოვლენათა მსვლელობის განკერძოების შესაძლებლობას, ესე იგი ჩვენ დავკარგავდით შესაძლებლობას მოგვეგვარებინა თუნდაც სულ ელემენტარული ეკონომიკური ხელმძღვანელობა“¹.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკური, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების შესწავლის, რევოლუციის გამარჯვების ობიექტური და სუბიექტური პირობების მარქსისტულ-ლენინური გაგებისა და სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობა — ობიექტური და სუბიექტური პირობები. ამათგან არც ერთის გამოტოვება არ შეიძლება. ვინც უარყოფს რევოლუციის ობიექტური პირობების მნიშვნელობას, ის სუბიექტივისტი, იდეალისტი და ავანტიურისტია. სუბიექტური პირობების შეუფასებლობა კი ნიშნავს მუშათა კლასის პარტიის როლის უარყოფას, რევოლუციურ მოძრაობაში მასების შეგნებულობის მნიშვნელობის უარყოფას, „მაჩანჩალობის“ იდეოლოგიის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, ბურჟუაზიული ობიექტივიზმის ტყვეობაში ჩაყვარებას. უაღრესად საგულისხმოა ამხანაგ სტალინის მითითება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტებისა და პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

„პოლიტიკურ სტრატეგიას ისევე, როგორც ტაქტიკას, — წერდა ი. ბ. სტალინი 1923 წელს. — მუშათა მოძრაობასთან აქვს საქმე. მაგრამ თვით მუშათა მოძრაობა ორი ელემენტისაგან შესთავაზა: ობიექტური ანუ სტიქიური ელემენტისაგან და სუბიექტური ანუ

შეგნებული ელემენტისაგან. ობიექტური, სტიქიური ელემენტი — ეს იმ პროცესების ჯგუფია, რომლებსაც პროლეტარიატის შეგნებული და მარჯვულირებელი ნების დამოუკიდებლად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კაპიტალიზმის განვითარება, ძველი ხელისუფლების რღვევა, პროლეტარიატისა და მისი გარემომცველი კლასების სტიქიური მოძრაობა, კლასების შეტაკებანი და სხვ. — ყოველივე ეს ისეთი მოვლენებია, რომელთა განვითარება პროლეტარიატის ნებაზე არ არის დამოკიდებული, ეს მოძრაობის ობიექტური მხარეა. სტრატეგიას არაფერი ესაქმება ამ პროცესებთან, ვინაიდან მას არ შეუძლია არც გააუქმოს ისინი, არც შეცვალოს, მას შეუძლია მხოლოდ ანგარიში გააუწიოს და დაემყაროს მათ...

მაგრამ მოძრაობას სუბიექტური, შეგნებული მხარეც აქვს. მოძრაობის სუბიექტური მხარე — ეს არის მუშების შეგნებაში მოძრაობის სტიქიური პროცესების ასახვა, ეს არის პროლეტარიატის შეგნებული და გეგმაშეზომილი მოძრაობა გარკვეული მიზნისაკენ. მოძრაობის ეს მხარე, სწორედ რომ ვთქვათ, იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ იგი, მოძრაობის ობიექტური მხარისაგან განსხვავებით, საეცებით ექვემდებარება სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმართველ შემოქმედებას“¹.

რას წარმოადგენს სტრატეგია და ტაქტიკა?

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ მარქსისტულ-ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა წარმოადგენს მეცნიერებას პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ. პროლეტარული სტრატეგია ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პროგრამის მონაცემებს. იგი ეყრდნობა კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების გარდუვალობის

¹ იქვე, გვ. 92.

დასკვნას, შინაგანი და საერთაშორისო მებრძოლი ძალების ობიექტურ აღრიცხვას. სტრატეგია მოიცავს პერიოდს ერთი შემობრუნებიდან მეორემდე, იგი იცვლება რევოლუციის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით და ძირითადად უცვლელი რჩება ერთი ეტაპის მთელ პერიოდში.

ტაქტიკა არის სტრატეგიის ნაწილი. იგი ხელმძღვანელობს სტრატეგიის მითითებებით და რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით. „ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, — წერს ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს ბრძოლის იმ გზებისა და საშუალებების, იმ ფორმებისა და ზერხების განსაზღვრა, რომლებიც ყველაზე უფრო შესაბამებია კონკრეტულ ვითარებას მოცემულ მომენტში და ყველაზე უფრო უტყუარაო ამზადებენ სტრატეგიულ წარმატებას“¹.

ტაქტიკა იცვლება რევოლუციის აზვირთებისა და რევოლუციის უწყვეტების მიხედვით. შეუძლებელია ტაქტიკა ერთნაირი იყოს რევოლუციური სიტუაციის არსებობის დროს და მაშინ, როცა რევოლუციური სიტუაცია არ არსებობს. ტაქტიკა რევოლუციური სიტუაციის შესაბამისად უნდა მოეწყოს.

რა არის რევოლუციური სიტუაცია? რევოლუციური სიტუაცია მოიცავს რევოლუციური მოძრაობის ობიექტური მხარის იმ განსაკუთრებულ ცვლილებებს, როგორცაა გაბატონებული კლასის პოლიტიკური კრიზისი. მშრომელთა მდგომარეობის ჩვეულებრივზე მეტად გაუარესება, პროლეტარიატისა და ხალხის მასების რევოლუციური მოძრაობის მკვეთრი გაძლიერება, კლასთა აშკარა შეტაკებანი, ოპორტუნისტული პარტიების კრიზისი და ა. შ. რომლებსაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს რევოლუციის აზვირთების პერიოდში.

რევოლუციური სიტუაცია წარმო-

ადგენს საერთო ნაციონალურ კრიზისს, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ყველაზე უფრო სრულტყვეობაზე, რევოლუციისათვის მომწიფებულ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას.

თავის ისტორიულ ნაშრომში — „11 ინტერნაციონალის კრახი“ — ლენინმა მთელი სისრულით და მეცნიერული სიღრმით გვიჩვენა რევოლუციური სიტუაციის არსი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„მარქსისტისათვის უეჭველია, რომ რევოლუცია შეუძლებელია, თუ არ არის რევოლუციური სიტუაცია, ამასთან ყოველი რევოლუციური სიტუაცია როდი იწვევს რევოლუციას. როგორია, საერთოდ რომ ითქვას, რევოლუციური სიტუაციის ნიშნები? ჩვენ უეჭველად არ შევცდებით, თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენებს“ ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედაფენებს არ უნდოდეთ“ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი „მშვიდობიან“ ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები“ იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას.

¹ იქვე, გვ. 182 — 183.

თუ არაა ეს ობიექტური ცვლილებები, რომლებიც დამოკიდებული არ არის არა მარტო ცალკეული ჯგუფებისა და პარტიების, არამედ აგრეთვე ცალკეული კლასების ნებაზე, ისე რევოლუცია — საერთო წესის მიხედვით — შეუძლებელია. სწორედ ამ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას ეწოდება რევოლუციური სიტუაცია¹.

რა მოვლენები აჩქარებენ რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას?

1) ეკონომიკური კრიზისი, რომელიც თავისი შედეგებით — უმუშევრობის, ხალხის შიმშილობის, უკმაყოფილებისა და აღშფოთების ზრდით — არევოლუციურებს მუშათა კლასს და აჩქარებს რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ეკონომიკური კრიზისიდან ყოველთვის შეიძლება დასკენის გამოტანა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის მოახლოებაზე, რევოლუციური სიტუაციის მომწიფებაზე. ეკონომიკური კრიზისის ყველაზე უფრო მწვავე და მძიმე ფორმაც კი არ იძლევა ასეთი დასკენის საშუალებას, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მთელი ერთობლიობა, ამა თუ იმ ქვეყნის კლასობრივ ძალთა თანაფარდობა და მთელი საშინაო და საგარეო ვითარება.

აი, რას წერდა ლენინი ამის შესახებ: „უპიკველია, სამრეწველო კრიზისის დაწვრილებით შესწავლას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უპიკველია აგრეთვე, რომ ვერაერთადი მონაცემები კრიზისის შესახებ, იდეალურად ზუსტნიც კი, არსებითად ვერ გადაწყვეტენ საკითხს მოახლოებული რევოლუციური აღმავლობის სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ, რადგან ეს აღმავლობა დამოკიდებულია კიდევ ათას ფაქტორზე.

რომელთა წინასწარ გათვალისწინებში შეუძლებელია“¹.

2) ომი, რომელიც იმპერიალიზმის გარდუვალი თანამგზავრია, განუწყვეტელივ აძლიერებს ხალხთა გაჯირვებას, ერთ კვანძში უყრის თავს და უკიდურეს წერტილამდე ამწვავებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, აღრმავებს კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, სასწორზე სდებს მთელი კაპიტალისტური სისტემის ბედს და მასებს შიკვანებს პროლეტარული რევოლუციისაკენ, როგორც ერთადერთი ხსნისაკენ. ამიტომ ამბობს ამხანაგი სტალინი: „მწიფდება და უფრო მომწიფდება რევოლუციური კრიზისი. და რევოლუციური კრიზისი მით უფრო მალე გაძლიერდება, რაც უფრო აიზნევა ბურჟუაზია თავის საომარ კომბინაციებში, რაც უფრო ხშირად მიმართავს იგი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებს“².

თუ როგორ აჩქარებს ომი რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას, ამას ცხადად გვიჩვენებს ყირიმის ომი და რევოლუციური სიტუაცია რუსეთში 1859 — 1861 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომი და რევოლუციური სიტუაცია 1905 წელს, პირველი და მეორე მსოფლიო ომები და რევოლუციური სიტუაციის მომწიფება მთელ რიგ ქვეყნებში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა წარმოგედგინა, რომ რევოლუციური სიტუაციის მომწიფება, თითქოს, განპირობებული იყოს მხოლოდ ომებით. ლენინმა ცხადყო, რომ ნამდვილი მარქსისტებიდან „არაფინ, არასოდეს და არსად ქვეყნად არ უკავშირებდა რევოლუციური სიტუაციის მოლოდინს მხოლოდ და მხოლოდ ომის „დასაწყისის“ მომენტს“³.

1 ოზ., ტ. 15, გვ. 335 — 336.

2 „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც. 83. 550.

3 ოზ., ტ. 21, გვ. 250.

რევოლუციური სიტუაციის წარმოშეების საფუძვლები თვით კაპიტალიზმის სისტემაში არსებობს. მისი მიზეზი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ ანტაგონიზმშია, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის წინააღმდეგობაშია. ამიტომ რევოლუციური სიტუაციის წარმოშობა და მომწიფება სავსებით შესაძლებელია ეკონომიკური კრიზისებისა და ომების გარეშეც. ომები და ეკონომიკური კრიზისები რევოლუციური სიტუაციის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი გამომწივენი ფაქტორებია.

რევოლუციური სიტუაციის გამომწვევად რომ სხვა მოვლენებიც შეიძლება აღმოჩნდეს, ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„მაგალითი: ინგლისია. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, — არც არაის შეუძლია წინააღმდეგ განსაზღვროს, — რამდენად მალე აენთება იქ ნამდვილი პროლეტარული რევოლუცია და ყველაზე უფრო რა საბაბი გამოაფხიზლებს, აანთებს და აღძრავს საბრძოლველად ჯერ კიდევ მძინარე, ძლიერ ფართო მასებს...“ შესაძლებელია „ყინული“ პარლამენტურმა კრიზისმა „გაგლიჯოს“ და „გაარღვიოს“, შესაძლებელია. ეს მოახდინოს იმ კრიზისმა, რომელიც მეტად დახლართულ, თანდათან უფრო მტკივნეულ და გამწვავებულ კოლონიურ და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათაგან გამომდინარეობს; შესაძლებელია სხვა მესამე რამ და სხენე დავივიწყებთ, რომ, მაგალითად, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, იმ ვითარებაში, რომელიც შინაური თვალსაზრისითაც და საერთაშორისო თვალსაზრისითაც ათასჯერ უფრო ნაკლებ რევოლუციური იყო, ვიდრე დღეს არის, ხალხის სამოქალაქო ომამდე მისაყვანად საკმაო გახდა ისეთი „მოულოდნელი“ და „წერილობანი“ საბაბი. როგორცაა რეაქციული სამხედრო

წრეების ერთ-ერთი მრავალი უსინდისო თაღლითობათაგანი (დრეიტუსის საქმე)!“ 1.

ასეთია მოკლედ რევოლუციური სიტუაციის რაობა და მისი მომწიფების ძირითადი პირობები.

მაგრამ რევოლუციური სიტუაცია არ არის რევოლუციის ერთადერთი პირობა. იგი რევოლუციის მხოლოდ ობიექტური შესაძლებლობაა. ამ შესაძლებლობიდან რომ უზრუნველყოფილ იქნას რევოლუციის გამარჯვება, აუცილებელია სუბიექტური პირობები, პროლეტარიატის პარტიის მიერ რევოლუციური სიტუაციის გამოყენების უნარი რევოლუციის გამარჯვებისათვის.

• „სახელმწიფოთა ისტორიაში, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — ქვეყნების ისტორიაში, არმიების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა წარმატებისათვის, გამარჯვებისათვის ყველა შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ ისინი, ეს შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რჩებოდა, რადგან ხელმძღვანელები ვერ ამჩნევდნენ ამ შესაძლებლობებს, ვერ იყენებდნენ მათ, და არმიები მარცხდებოდნენ“ 2.

სავსებით იგივე უნდა ითქვას პროლეტარიატისა და მისი პარტიის მიერ რევოლუციური სიტუაციის გამოყენების შესახებ, რადგან „რევოლუცია ყოველი რევოლუციური სიტუაციიდან კი არ წარმოიშეება, არამედ მხოლოდ ისეთი სიტუაციიდან, როდესაც ზემოთხამოთვლილ ობიექტურ ცვლილებებს ემატება სუბიექტური ცვლილება, სახელდობრ: ემატება რევოლუციური კლასის რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი, ამასთან ეს მოქმედება საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ გასტეხოს (ან შეარყიოს) ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს, კრი-

1 რჩული ნაწ. ორ ტომად, ტ. II, გვ. 517.

2 „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც. 33. 417.

ზისების ეპოქაშიც კი, არ „წაიქცევა“, თუ არ „წააქცეოს“¹.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის შემოქმედებითი რევოლუციის მომხრენი იყვნენ და გადაჭრით გამოდნენ სტიქიურობის თეორიას, რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატისა და მისი პარტიის შეგნებული, ხელმძღვანელი როლის შეუფასებლობას.

ი. ბ. სტალინი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში აღნიშნავს, რომ „ყოველი სახალხო რევოლუცია, თუ იგი მართლაც სახალხო რევოლუციას წარმოადგენს, არის შემოქმედებითი რევოლუცია, ვინაიდან იგი ამსხვრევს ძველ წყობას და ქმნის, აშენებს ახალ წყობას... ასეთი რევოლუცია კი არ შეიძლება შემოქმედებითი არ იყოს. მარქსი და ლენინი სწორედ ასეთი რევოლუციის მომხრენი იყვნენ, — და მხოლოდ ასეთისა. ამასთან გასაგებია, რომ ასეთი რევოლუცია არ შეიძლება წარმოიშვას ყოველგვარ პირობებში, რომ იგი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის განსაზღვრულ ხელსაყრელ პირობებში“².

ობიექტური პირობების მომწიფების დროს რევოლუციის ბედი საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია რევოლუციის სუბიექტურ ფაქტორებზე: რევოლუციური კლასისა და მისი პარტიის შიდაყოფნის ხარისხზე, პროლეტარიატის კავშირზე რევოლუციურ გლეხობასთან, მებრძოლი პროლეტარიატის პარტიის მართებულ სტრატეგიულ და ტაქტიკურ ხელმძღვანელობაზე, შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და მის ორგანიზებაზე, აჯანყების დაწყების მომენტისა და მთავარი დარტყმის ადგილის შერჩევაზე, ობიექტური შენაძლებლობის მარქსისტულ-ლენინური

გამოყენების უნარზე, კონტრრევოლუციის განადგურებისა და ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის უნარზე.

ამრიგად, სუბიექტურ ფაქტორებს რევოლუციური სიტუაციის დროს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. მაშასადამე, რევოლუციისათვის მომწიფებულ ობიექტურ პირობათა ერთობლიობა, რომელიც რევოლუციურ სიტუაციას წარმოადგენს, შეერთებული რევოლუციის სუბიექტურ ფაქტორებთან, ყოველი სახალხო რევოლუციის გამარჯვების გარდუვალი კანონია.

„რევოლუციის ძირითადი კანონი, — გვასწავლის ლენინი, — დადასტურებული ყველა რევოლუციით და კერძოდ რუსეთის XX საუკუნის სამივე რევოლუციით, შემდეგში მდგომარეობს: რევოლუციისათვის არ კმარა, რომ ექსპლოატირებულ და დაჩაგრულ მასას ესმოდეს ძველებურად ცხოვრების შეუძლებლობა და მოითხოვდეს ცვლილებებს: რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად ცხოვრება და მართუა-გამგეობა... მაშასადამე, რევოლუციისათვის საჭიროა, პირველი, რომ მუშათა უმრავლესობამ (ან, ყოველ შემთხვევაში, მუშათა შეგნებულმა, მთავროვნე, პოლიტიკურად აქტიურმა უმრავლესობამ) საესეებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს მისი გულისათვის თავგასაწირავად; მეორე, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რომელიც პოლიტიკაში ითრევს სულ ჩამორჩენილ მასასაც“¹.

ამიტომ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი გადაჭრით გამოხსნის როგორც რევოლუციური სიტუაციის უგულვებელყოფ სუბიექტივიზმს, ისე სუბიექტური ფაქ-

¹ ობზ., ტ. 21, გვ. 249.

² ობზ., ტ. 10, გვ. 106 — 107.

ტორის როლის ყოველგვარ შეუფასებლობას.

მარქსმა და ენგელსმა რევოლუციის ალქიმეოსები უწოდეს მე-18 საუკუნის ორმოციანი წლების ფრანგ „პროფესიულ შეთქმულთ“, რომლებიც ლაყბობდნენ, რომ შეთქმულთა ვიწრო წრის მეშვეობით შესაძლოა რევოლუციის მოხდენა ყოველგვარი წინამძღვრების გარეშეო.

მარქსმა და ენგელსმა დაგმეს ბლანკიზმი, რომელიც უგულუბელყოფდა რევოლუციურ სიტუაციას.

მარქსმა და ენგელსმა უდიდესი ბრძოლა ჩაატარეს ანარქისტ ბაკუნინისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. ბაკუნინის ავანტიურისტული ტაქტიკის შესახებ კ. მარქსი თავის ნაშრომში — „კონსპექტი ბაკუნინის წიგნისა“ — „სახელმწიფოებრივობა და ანარქია“ — წერდა, რომ ბაკუნინი აბსოლუტურად არაფერს არ ფიქრობს სოციალურ რევოლუციაზე, იცის მასზე მხოლოდ პოლიტიკური ფრაზები; რევოლუციის ეკონომიკური პირობები მისთვის არ არსებობს; ნებისყოფა და არა ეკონომიკური პირობები წარმოადგენენ ბაკუნინისათვის სოციალური რევოლუციის საფუძველსო.

ნაროდნიკების ერთი ნაწილი რევოლუციის გამარჯვების ყოველგვარი პირობების გარეშე, ინდივიდუალური ტერორის ვხით ფიქრობდა ცარიზმის დამხობას. ეს ტაქტიკა გამომდინარეობდა აქტიური „გმირებისა“ და პასიური „ბრზოს“ შემცდარი ნაროდნიკული თეორიიდან. ამ ყალბი თეორიის მიხედვით, მხოლოდ გამოჩენილ პირთა ვიწრო ჯგუფი ქმნის ისტორიას, ხოლო კლასი, მასა, ხალხი, რომელსაც ნაროდნიკები „ბრზოს“ უწოდებდნენ, თითქოს, მოწოდებულია მხოლოდ ბრმად მისდლოს „გმირებს“. ამიტომ ისინი უარყოფდნენ რევოლუციური სიტუაციის მნიშვნელობას.

სტალინის რეაქციის პერიოდში ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ განადგურა ყველა ჯურის იდეალისტები და ლიკვიდატორები, რომლებიც უკან იხევდნენ პანიკით მოცულნი და არ სწამდათ რევოლუციური სიტუაციის კვლავ წარმოშობის შესაძლებლობა. ბოლშევიკურმა პარტიამ განადგურა აგრეთვე ე. წ. „ოტზოვისტები“, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ შექმნილ ობიექტურ პირობებს და უარს ამბობდნენ მასობრივ რევოლუციურ მუშაობაზე, რევოლუციური მოძრაობის მომავალი აღმავლობისათვის პარტიისა და მუშათა კლასის მომზადებაზე.

წინააღმდეგ ანარქისტებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა, სტალინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ცხადყო, რომ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს არ შეეფერება მითვისების კერძო ხასიათი და საზოგადოებრივ შრომას უნდა მოჰყვეს საზოგადოებრივი საკუთრება, „რომ სოციალისტური წყობილება ისევე აუცილებლად მოჰყვება კაპიტალიზმს, როგორც ღამეს დღე“¹.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „სოციალისტური წყობილება ყოველთვის შეიძლება განეხორციელოს, როცა კი ამას მოვინდომებთ. ასე მხოლოდ ანარქისტები და სხვა წერილობურეუზიული იდეოლოგები ფიქრობენ... სოციალიზმის დასამყარებლად, გარდა ყოველივე ამისა, საჭიროა კიდევ კლასობრივი შეგნება, პროლეტარიატის დაარსება და უნარი საკუთარი საქმეების გაძლიერება“².

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმი იზრწნება, ლეება, მაგრამ, თუ ის ჯერ კიდევ არ დანგრეულა და „ჯერ კიდევ მაგრად დგას პროლეტა-

¹ ოზ, ტ. 1, გვ. 319.

² ბ. ბ. სტალინი, ოზ, ტ. 1, გვ. 321.

რული იერიშების წინააღმდეგ, — ეს, უწინააღრეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მას მფარველად ადგია კაპიტალისტური სახელმწიფო, კაპიტალისტური მთავრობა¹.

სტალინის ამ ბრძნული სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება ლობობადი კაპიტალიზმის შედარება ხესთან, რომელიც იმდენად დაღბა, რომ თავისთავად უნდა დაეცეს მიწაზე. კაპიტალიზმი არასოდეს არ დაეცემა თავისთავად, ვინაიდან მას იცავს ბურჟუაზიული სახელმწიფო მთელი თავისი სწამებდრო ორგანიზაციით და დამსჯელი ორგანოებით.

აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალით დამსხვრევისა და პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. აქედანვე დასტურდება ისიც, რომ ყოველი სოციალური რევოლუციის ძირითადი საკითხი — სახელმწიფო ხელისუფლების საკითხია; ხოლო ხელისუფლების მოპოვება პროლეტარიატს შეუძლია გმირული ბრძოლის შედეგად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლუციური სიტუაციის პირობებში.

ლენინმა და სტალინმა სასტიკად დაგმეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტები, რომლებიც კედს იხრიდნენ ობიექტური პროცესების წინაშე, უარყოფდნენ პროლეტარიატის პარტიისა და საერთოდ სუბიექტური ფაქტორების როლს მუშათა მოძრაობაში, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს არა სწამთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თა ისინი არ ფიქრობენ წაიყვანონ პროლეტარიატი ძალაუფლებისაკენ, ხოლო ვინაც რევოლუცია არა სწამს და ვინც პროლეტარიატის გამარჯვებაზე არ ფიქრობს, მას არც შეიძლება ანტერესობდეს რევოლუციური სიტუაციისა და პარტიის მიერ მისი გამოყენების საკითხი. ამიტომ II ინტერ-

ნაციონალის პარტიები გამოუსადეგარი არიან პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის. იმის ფიქრი, რომ სოციალისტური რევოლუციის გამოყენების გადაწყვეტა შესაძლებელია ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალებით, რომლებიც აღზრდილი არიან პარლამენტარიზმის მშვიდობიან პირობებში, — ნიშნავს განიშნადო უიმედო სასოწარკვეთილებაში ჩაყარვას, აუცილებელი დამარცხება. ასეთი ამოცანები გაწვეს კისერზე და სათავეში კი გედვას ძველი პარტიები — იმას ნიშნავს, რომ სრულიად განიარაღებული დარჩე. არა გვეგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას.

აქედან — აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაოდ გამბედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვეებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ასეთი პარტიის ვარეშე ფიქრიც კი ზედმეტია იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე.

ეს ახალი პარტია არის ლენინიზმის პარტია¹.

რა როლს ასრულებს პროლეტარიატის პარტია რევოლუციური სიტუაციის ამოწმებისა და მისი გამოყენების საქმეში?

1) პროლეტარიატის რევოლუციური პარტია პასიურად როდი ელოდება რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას. პარტია რევოლუციური სიტუაციის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე ამზა-

დებს პროლეტარიატს, მის რეზერვებსა და მოკავშირეებს, რათა მომზადებული შეხედეს რევოლუციურ სიტუაციას და წარმატებით გამოიყენოს იგი რევოლუციის გასამარჯვებლად. აი რას გვასწავლის ამხანაგი სტალინი ამის შესახებ:

„არ შეიძლება გავუვლი ზღვარი გავალოთ „რევოლუციურ აღმავლობას“ და „უშუალო რევოლუციურ სიტუაციას“ შორის. არ შეიძლება ვთქვათ: „ამ ზღვარამდე ჩვენ გვაქვს რევოლუციური აღმავლობა, ამ ზღვარს იქით — ნახტომი უშუალო რევოლუციურ სიტუაციაში“. საკითხის ასე დაყენება მხოლოდ სქოლასტიკოსებს შეუძლიათ. პირველი ჩვეულებრივ „შეუმჩნევლად“ გადადის მეორეში. ამოცანა ის არის, რომ ახლავე ვამზადოთ პროლეტარიატი გამარჯვებტი რევოლუციური ბრძოლებისათვის, არ დაველოთ ეგრეთწოდებული უშუალო რევოლუციური სიტუაციის „დადგომის“ მომენტს“¹.

2) პროლეტარიატის პარტია თავისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით, სწორი სტრატეგიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობით აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მუშათა მოძრაობის ობიექტურ პროცესებზე. აჩქარებს რევოლუციური აღმავლობის რევოლუციურ სიტუაციაში გადაზრდას, ყოველმხრივ აღრმავებს რევოლუციურ სიტუაციას. პარტია ააშკარავებს ექსპლოატატორული კლასების ანტიხალხურ ბუნებას და დანაშაულებრივ პოლიტიკას, სწორად უთითებს ექსპლოატირებულ კლასებს გამწვავებული მდგომარეობიდან ნამდვილ გამოსავალზე და შეგნებულ, ორგანიზებულ ხასიათს აძლევს მასების სტიქიურ მოძრაობას, რაზმავს და წარმართავს რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დასამხო-

ბად. პარტია მთელი თავისი რევოლუციური მოღვაწეობით ხელს უწყობს რევოლუციური სიტუაციის ყოველმხრივ მომწიფებას და გამარჯვებტი როლს ასრულებს რევოლუციური სიტუაციის რევოლუციაში გადაზრდის საქმეში. რევოლუციური პარტიის მართებული საბრძოლო ხელმძღვანელობის გარეშე, რა ხელსაყრელიც არ უნდა იყოს რევოლუციური სიტუაცია შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვება. ამიტომ ამბობს ი. ბ. სტალინი:

„რევოლუციის გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავისთავად, საჭიროა მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება. ხოლო მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება შეუძლია მხოლოდ მძლავრ პროლეტარულ რევოლუციურ პარტიას. არის ხოლმე მომენტები, როდესაც მდგომარეობა რევოლუციურია, ბურჟუაზიის ძალაუფლება ირყევა თვით საფუძვლებამდე, რევოლუციის გამარჯვება კი მაინც არ მოდის, რადგან არ არსებობს პროლეტარიატის რევოლუციური პარტია, საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტუანი იმისათვის, რომ გაიყოლიოს მასები და აიღოს ხელში ძალაუფლება“¹.

ამრიგად, რევოლუციური სიტუაცია რევოლუციის წარმომშობის მხოლოდ მომწიფებული ობიექტური შესაძლებლობაა. ამ შესაძლებლობიდან რომ წარმოიშვას რევოლუცია, აუცილებელია მებრძოლი პროლეტარიატის პარტიის მიერ რევოლუციური სიტუაციის შეცნობა და მისი გამოყენება რევოლუციის გასამარჯვებლად.

რევოლუციური სიტუაციის დროს კომუნისტური პარტიის წინაშე, როგორც ლენინი და სტალინი გვასწავლიან, ისმება ამოცანა: გამოააშკაროს მასების წინაშე რევოლუციური სიტუაციის არსებობა. განუმარტოს მათ მის-

¹ „ლენინიზმის საკითხები“ II გამოცემა. გვ. 550.



მასშტაბი და სიღრმე, აამაღლოს პრო-
ლეტარიატის რევოლუციური შეგნება
და რევოლუციური გამბედაობა, დაეხმაროს
მას რევოლუციურ მოქმედებაზე
გადასვლაში, შექმნას რევოლუციური
სიტუაციის შესაფერისი ორგანიზაციე-
ბი, ღარაზმოს მასები კაპიტალიზმის
ციხე-სიმაგრეებზე იერიშის მისატანად,
ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მან-
ქანის დასაშსვრევად. ამრავად, დღის
წესრიგში ისმება შეიარაღებული აჯან-
ყების—როგორც ხელოვნების — გულ-
დასმით მომზადება და სწორი გზით მი-
სი წარმართვა.

რევოლუციის გამარჯვებისათვის
უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის
შიერ რევოლუციური სიტუაციის მო-
მწიფების დროულად შეცნობას და
აჯანყების დაწყების მომენტის, დარტყ-
მის მომენტის სწორად შერჩევას. აი
რას გვასწავლის ი. ბ. სტალინი ამის შე-
საწება:

„როდის შეიძლება ითქვას, რომ „ნა-
ყოფი მომწიფდა“, მოსამზადებელი პე-
რიოდი დამთავრდა და შეიძლება მოქ-
მედების დაწყება?

— ა) როცა მასების რევოლუციური
განწყობილება ჩქეფს და გადმოჩქეფს...

— ბ) როცა დაურწმუნებლობამ და
დაბნეულობამ, დაშლამ და არღვევამ
მოწინააღმდეგის ბანაკში უმაღლეს
წერტილს მიადწიეს, როცა მოწინა-
აღმდეგის ბანაკიდან გამოქცეულთა და
განდგომილთა რაოდენობა დღეობით ვი
არა, საათობით იზრდება, როცა ეგრეთ-
წოდებული ნეიტრალური ელემენტები,
ქალაქისა და სოფლის მთელი ეს წვრილ-
ბურჟუაზიული მრავალმილიონიანი მასა
გარკვეულად იწყებს მოწინააღმდეგის
მიმართ (თვითმპყრობელობისა თუ ბურ-
ჟუაზიის მიმართ) ზურგის შექცევას და
ეძებს პროლეტარიატთან კავშირს, როცა
ყოველივე ამის მეოხებით მტრის
მმართველობის აპარატები დათრგუნვის
აპარატებთან ერთად მოქმედებას წყვე-
ტენ, მოიშლებიან. უვარგისი ხდებიან

და სხვ., რითაც გზას უხსნის პროლე-
ტარიატის დაპყრობითს უფლებას;

— გ) ორივე ეს მომენტები (ა და ბ)
დროის მხრივ ერთმანეთს
დაემთხვევა, რაც ჩვეულებრივ ხდება
კიდევაც სინამდვილეში.

ზოგი ფიქრობს, საკმარისია დაადგინოს
ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის
კვდომის ობიექტური პროცესი,
რომ იერიში დაიწყოს, მაგრამ ეს მარ-
თალი არ არის. საჭიროა, გარდა ამისა,
რათა მომზადებული იყოს იერიშების
წარმატებისათვის საჭირო სუბიექტური
პირობებიც. სტრატეგიისა და
ტაქტიკის ამოცანა სწორედ იმაში მდგო-
მარეობს, რომ მოხერხებულად და დაუ-
გვიანებლივ შეუფარდოს იერიშების
სუბიექტური პირობების მოსამზადებელი
მუშაობა გაბატონებული კლასის
ხელისუფლების კვდომის ობიექტურ
პროცესებს¹.

დარტყმის მომენტის შერჩევა, განა-
გრძობს ი. ბ. სტალინი, ორ პირობას
გულისხმობს: ა) „ნაყოფის სიმწიფეს“
და ბ) რაიმე თვალსაჩინო მოვლენას,
მთავრობის აქტს ან ადგილობრივ სტი-
ქიურ გამოსვლას, როგორც ფართო მას-
ებისათვის გასაგებ საბაბს იერიშის
დასაწყებად. „ამ ორი პირობის დაუც-
ველობას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს,
რომ დარტყმა არა თუ არ იქნეს მოწინა-
აღმდეგეზე თანდათან მზარდი და თან-
დათან გაძლიერებული საერთო იერიშე-
ბის გამოსავალი პუნქტი, არა თუ არ გა-
იშალოს თავზარდამცემ შემმუსვრელ
დარტყმად (და, ნამდვილი რომ ითქვას,
სწორედ ამაში მდგომარეობს მომენტის
მარჯვედ შერჩევის აზრი და დანიშნუ-
ლება), არამედ პირიქით, შეიძლება გა-
დაგვარდეს სასაცილო პუტჩად“².

რევოლუციური სიტუაცია არ წარმო-
ადგენს რევოლუციის წინა სტადიას.
იგი რევოლუციისათვის მომწიფებულ
ობიექტურ პირობათა ერთობლიობაა.

¹ ობზ., ტ. 5, გვ. 80 — 81.

² იქვე, გვ. 81 — 82.

რომელიც მხოლოდ მაშინ გადაიზრდება რევოლუციად, როცა სუბიექტური პირობები ამისათვის სათანადოდ მომზადებული აღმოჩნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციურ სიტუაციას ცვლის რევოლუციის უკუქცევა. ხოლო შემდეგ, მომწიფებული ამოცანების გადაუჭრელობის გამო, კანონზომიერად ხდება რევოლუციური სიტუაციის კვლავ მომწიფება, რომელსაც შესაძლებელია, სათანადო სუბიექტურ პირობებთან შეერთებით, მოჰყვეს რევოლუციის გამარჯვება.

რევოლუციისათვის მომწიფებული ობიექტური და სუბიექტური პირობების მართებულად შეერთების ყველაზე კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ლენინ-სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო ზეგავლენით პირველი მსოფლიო ომის დასასრულსა და მის მიმდევრო წლებში უაღრესად გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა და მთელ რიგ ქვეყნებში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული ეს სიტუაცია და დროებით დამარცხდა პროლეტარიატი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეს იყო სისუსტე და გამოუცდელობა მოქმედი კომუნისტური პარტიებისა, რომლებიც ვერ კიდევ არ იყვნენ მასობრივ პროლეტარულ პარტიებად გადაქცეული და რომლებმაც ვერ შესძლეს ლენინ-სტალინის პარტიის უმდიდრესი რევოლუციური გამოცდილების გამოყენება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამამწყვეტი ბრძოლის მოწყობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა. მაგრამ ეს წარსული ამბავია. მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში კომუნის-

ტურმა პარტიებმა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში (დრედი, ნახჭივანი, კავშირის უანგარო დამპყრობის წინააღმდეგ) გამამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, წარმატებით გამოიყენეს შექმნილი პირობები და უზრუნველყვეს რევოლუციების გამარჯვება, სახალხო-დემოკრატიული წყობილების შექმნა და განმტკიცება.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნა: „ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდა ახალი „დამკრეული ბრიგადები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა“¹.

ი. ბ. სტალინმა ამ ისტორიულ სიტუაციაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რა იმ კომუნისტურ, დემოკრატიულ და მუშურ-გლეხურ პარტიებს, რომლებსაც ვერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში, მიუთითა, რომ მოქმედი პარტიებისათვის იმდენად ძნელი აღარაა მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო რუსეთის კომუნისტებისათვის ცარიზმის პერიოდში.

„მინც რატომ იმდენად არ გაუძნელებათ მუშაობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ამ პარტიებს მეფის პერიოდის რუსეთის კომუნისტებთან შედარებით?“

ვერ-ერთი, იმიტომ, რომ მათ თვალწინ აჩეთ ბრძოლისა და წარმატებათა ისეთი მაგალითები, როგორც საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებშია. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ისწავონ ამ ქვეყნების შეტეომებსა და წარმატებებზე და ამით გაიადვილონ თავიანთი მუშაობა.

¹ სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე, სახელგამი, 1952 წ. გვ. 9 — 10.

მეორე, იმიტომ, რომ თვით ბურჟუაზია, — განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი, — სხვა გახდა, სერიოზულად შეიცვალა, უფრო რეაქციული გახდა, დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დაისუსტა თავი¹.

ბურჟუაზიამ დემოკრატიულ და ეროვნულ თავისუფლებათა დროშა, რომლითაც იგი პოპულარობას იქმნიდა ხალხში, გადააგდო და დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეჭვგარეშეა, რომ დემოკრატიული თავისუფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დროშა უნდა აღმართონ და წინ წაიღონ მოძვე პარტიებმა.

„განსაგებია, — დაასკვნის ვ. ბ. სტალინი, — რომ ყველა დემოკრატიული მოღვაწე უნდა გაუადვილოს ცომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება.

მამასაღამე, ყველა საფუძველი არსებობს გეჭონდეს იმედი მოძვე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში“².

ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები ალაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის კომუნისტებს, მშრომელებსა და მთელ პროგრესულ კაცობრიობას, უნერგავენ მათ მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნისზმის გარდუვალი გამარჯვების ურყევ რწმენას.

¹ სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე, სახელგამო, 1952 წ. გვ. 11.

² იქვე, გვ. 13 — 14.

შენიშვნები ერთი კრიტიკული სვავიის გეგმ



ამ რამდენიმე თავის წინათ შეერალთა კავშირში გაიშართა დისკუსია, სადაც 1951 წლის ქართული პროზის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დ. ბენაშვილი. ყურნალ „მნათობის“ №8-ში გამოქვეყნებული წერილი წარმოადგენს ამ მოხსენების შემოკლებულსა და შესწორებულ ვარიანტს.

სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს მთლიანად გაეაზროთ კრიტიკოსის ეს წერილი და იძულებული ვართ დავეყვაროთ მხოლოდ იმ ნაწილს განხილვით, რომელიც კერძოდ ჩვენ შეგვხვება.

„როგორც სათაურიდან ჩანს, რომანს სათავედასავალი ხასიათი აქვს, — წერს ჩემს „ბესიკის თავგადასავალზე“ ბენაშვილი, — და იმ დარგის ბელეტრისტულ ნაწარმოებთ მიეკუთვნება, რომლებშიც გმირის თავგადასავალი დგას ყურადღების ცენტრში და არა მისი სულიერი ბიოგრაფია“.

თავი რომ დავანებოთ ამ მსჯელობის ერთგვარ ორიგინალობას, ეს უკვე პირველი საბუთია იმისა, რომ კრიტიკოსი თავს არ იჩულებს ნაწარმოების ღრმა ანალიზზე და მხოლოდ სათაურის მიხედვით მსჯელობს ზეგულედ, არათუ სპეციალისტი კრიტიკოსი, უბრალო რიგითი მკითხველიც კი დამეთანხმება იმაში, რომ ჩემს რომანს არაერთგვაროვანი არა აქვს სათავედასავლო ელემენტის რომანებთან. ვანა გმირის თავგადასავალი რომ აწერო, ამიტომ ნაწარმოებში მინდამინდ სათავედასავლო უნდა იყოს? ან ვანა ჩემი რომანის გმირები ისე შევსაწერო, რომ მიეჩვენებოდა მათი სულიერი ცხოვრება? რომანი ხომ მიუწვდომელი რამ არ არის, ის დაბალეობით ასე ათასობით ტირაჟითაა გამოცემული და მას უამრავი მკითხველი კითხულობს. ჩვენც მკითხველისათვის მიგვიჩვენია იმის გარკვევა, თუ რამდენად შეეძლებოდა ჩვენ ვეჩვენებინა რომანის გმირების სულიერი ცხოვრება.

ა.კ. ბელიაშვილის მხატვრული თვალთხედვის ისარი ზოგჯერ ისეა შემართული, რომ ის ადამიანების მხოლოდ ცუდ მხარეებს უმჩინებს და ივიწყებს საერთოდ ადამიანების კარგ მხარეებს.“

ვინაშაობს ბენაშვილი. როგორ შეიძლება ჩემი რომანის წამოთხვეულ ადამიანს, ფეხი ის მიუდგროშელი და ობიექტურია, თქვას, რომ მე ვივიწყებ ადამიანების კარგ მხარეებს და მხოლოდ ცუდ მხარეებს აწერ. აბა, ერთ წუთს წარმოვიდგინოთ, როგორა მყავს აწერილი არა მარტო ერეკლე, ანა, ბესიკი, დავით ორბელიანი და თუნდაც ყველაზე უარყოფითი ტიპი ჭაბუკი — თვით ეს ჭაბუკი კი ბოლოსდაბოლოს კეთილშობილ ადამიანად გამოიყვანს, და ნუთუ ჩემს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მე ადამიანების კარგ მხარეებს ვივიწყებ.

თავის ამ „ბრალდებას“ კრიტიკოსი ეძებს დე ბულებად აყალიბებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, თავში სტატიის ავტორი აცხადებს, რომ მის მიერ განხილვის საგანი მხოლოდ „ოქროს ჩარდახი“ იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ის ერთმანეთში ურევს ორ რომანს. იგივერ ამხნევს, რომ „ოქროს ჩარდახთან“ არაერთი კავშირი არა აქვს ერეკლეს დას ანას და სხვა.

დავიწყებოთ პირველი დებულებიდან.

„პირველი — ბელიაშვილმა ბელოვურად, ყოველგვარი ისტორიული წყაროების დამოწმების გარეშე მკითხველს შეაქმნა შთაბეჭდილება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ — ეს უდიდესი ძეგლი ქართული ხალხის გენიისა — დაიწვა ერეკლე მეორის ბრძანებით და დასტურით“.

შემდეგ კრიტიკოსს მოყავს ამონაწერები რომანიდან „თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა“ და თავისი დებულების დასამტკიცებლად დაასკვნის: „იმის, რომ ერეკლე მეორის ბრძანებით დაიწვა „ვეფხისტყაოსანი“; არ გაანინა ისტორიული წყაროები და წარმოადგენს ცილისწამებას“.

ამრიგად, კრიტიკოსი ერეკლე მეფის მონღოლის დამცველად გვევლინება. და ვისგან იცავს მას? ჩემი თავდასხმებისაგან! დღემდე მე როგორც ქართველი, ისე რუსული კრიტიკისაგან მესმოდა საყვედური იმის გამო, რომ თითქოს ერეკლე იდეალიზებული მყავდა რომანში, აქ კი ბენაშვილი ბრალს მდებს, რომ მე ვითომ ერეკლეს ცილ დაიწამე.

განვიხილოთ ეს საკითხი, ნუთუ შარტლა ასეა საქმე.

ჯერ ანტონ კათალიკოსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების საკითხს შევხებით, ეს ხომ უკვე უდავო ფაქტია. შარტლა ამ ბოლო დროს ანტონ კათალიკოსს დამცველნი გამოუჩნდნენ, რომელნიც ცდილობენ ეს ბრალდება მოხსნან მას იმ საბაბით, რომ კათალიკოსი დიდად განათლებული კაცი იყო, მან დაწერა მრავალი საყურადღებო შრომა, მათ შორის შეადგინა პირველი ქართული გრამატიკა, და რა საქმეა რომ მას ჩირქი მოეცებოთ.

ჩვენ გვესმის ამ გულშემატკვართა კეთილშობილი სურვილი, მაგრამ ის მტრად გულუბრყვილოდ და დაესაბუთებლად მიგვიჩნიაა. ჯერ ერთი, რა საბაბია ის, რომ კათალიკოსი განათლებული კაცი იყო და ამის გულისთვის დეიწყებას მოეცეთ ის, რაც მან ჩაიდინა. განა განათლებული კაცი არ შეიძლება რეპეციონერი იყოს თავისი მსოფლმხედველობით? განა თვით კათალიკოსი არ წერდა რუსთაველის შესახებ, რომ:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე
ფრიად
თუ სამ მსწადოდა ლეთის მეტყველიცა
შალაღ
უცხო საკვირველ ჰიტიკოს-მესტიზე
შაგრამ ამოღ დაშვრა, საწყებ არს ესე.“

ეკლესია რომ ებრძოდა რუსთაველის პოემას, ეს ხომ უდავო შემართებაა. მაგრამ ეკლესია განა შარტო „ვეფხისტყაოსანს“ ებრძოდა. ის დგენიდა საერთოდ საერო ლიტერატურას.

აი, რას წერდა ანტიმისიკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი რუსთაველის შესახებ: „ეს იყო მოქმედი ლექსითა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება, და განპრყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოთა თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი აღწერა ქალისა ვისთვისმე თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა და ამის გამო ღედანი საქართველოსანი ხატად ლეთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წმალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბეჭენ საფრთხეთ სულთა“.

პლატონ იოსელიანი წერს, რომ ტიმოთე გაბაშვილის „მაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონი პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი შეფის ვახტანგისა დროისა 1710 წელსა, ვეფხისტყაოსანნი დასწერნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუქრძალა კიბზეა წიგნისა ამისა ქართულთ“.

მეორე ადგილას პლატონ იოსელიანი წერს: „დღესა ერთსა კათალიკოსმა ანტონმა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებე-

ლი მკითხველთათვის და მომწმენველსა ქრისტიანეთა გონებისა და გრძობისა“.

შესაძლებელია, როგორც მარტინოვი წვედევარი ფიქრობს, ეკვი შეიქმნა უკიდურესი პოსილიანის ამ ცნობაში და დაეაბრალოთ მას ერთგვარი ტენდენციურობა ანტონის მიმართ, თუმცა სამისოდ არავითარი საბუთი არ გვაქანია, მაგრამ, რა ეუფოთ მეორე საბუთს, რომელიც პლატონ იოსელიანის ცნობაზე დაასლოებით ორმოცდაათი წლით ადრეა დაწერილი და პეტერბურგში დაბეჭდილი. ამ საბუთის ავტორია მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი, რომელიც ქართული საქმეების კარგი მცოდნე ყოფილა. ეს მიტროპოლიტი 1902 წელს პეტროგრადში გამოცემულ წიგნში წერს ვეფხისტყაოსნის შესახებ რომ «Поэма сия при царе Вахтанге VI была в Тифлисе напечатана, однако вскоре изтреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры».

დაწერილებით ამის შესახებ იხ. პროფ. ალ. ბარამიძის შრომა: „ბრძოლა რუსთაველის ვარშემო“.

ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან აშკარაა და უდავო, რომ ერთგულ მეორას ვეფხისტყაოსნის თბილისში ადგილი ჰქონდა ვეფხისტყაოსნის განადგურებას იკლესიის მსახურთა მიერ.

საკითხავია, იცოდა თუ არა ერთგულნი ამის შესახებ? რასაკვირველია იცოდა. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისა, წინააღმდეგა თუ არა ერთგულნი ამ ამბავს, ან მიიღო თუ არა ამ ბოროტების თვალდასაცილებლად რაიმე ზომები, მაგრამ ის აქ აშკარაა, რომ ეს მოხდა მის თვალწინ, მის სატახტო ქალაქში, რომელიც მაშინ არცთუ ისე დიდი იყო, რომ ასეთი საქმე შეუმჩნეველად გაკეთებულყო. მით უმეტეს მეფისთვის.

ახლა ენახოთ, როგორ გააშუქა ავტორმა ეს საკითხი რომანში.

ცნობილია, რომ ერთგულს ეპოქა მეფერამეტე საუკუნეში, მათხალია, წარმოადგენდა აბსოლუტურ მონარქიას, მაგრამ ეს იყო ვერჯოთოდებულნი წოდებრივი აბსოლუტიზმი, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება ორ ხელისუფალს შორის იყო განაწილებული: საერო ხელისუფლება ეკუთვნოდა მეფეს, რომელიც ფეოდალურ, თავადაზნაურულნი წოდების უფლებებს იცავდა, სასულიერო — კათალიკოსს, რომელიც იცავდა თავისი წოდების უფლებებსა და ინტერესებს. მეფეს არ შეეძლო კათალიკოსის საქმეებში ჩარეულიყო. კათალიკოსი სრულიად დამოუკიდებელი მმართველი იყო თავისი საეკლესიო საქმეებისა.

როდესაც კახეთის ბატონმა ერთგულნი ქართლის ტახტად დაიბრია, მას სამკედრო-სამ-

ცოცხლო ბრძოლა მოუხდა თავის ბიძაშვილებთან, ქართლის ბაგრატიონებთან. ერეკლემ მათ ასალავმავად ერთგვარი ეშმაკობა იხმარა, რუსეთიდან მოიწვია ქართლის ბაგრატიონების ოჯახის წარმომადგენელი იესე მედის ძე ანტონი და მას ქართლ-კახეთის სასულიერო ტახტი ჩააბარა. ამით მან ძალაუფლება ფორმალურად ვაჟყო ქართლის ბაგრატიონებს. ამიტომ იყო, რომ ერეკლე პოლიტიკური მოსაზრებით არ ერეოდა ანტონ კათალიკოსის საეკლესიო საქმეებში და ხშირად ძმულეული იყო თვალი დახუჭვა ისეთ რამეებზე, რასაც თვითონ არ იზიარებდა.

როგორაა აწერილი ეს ვითარება რომანში? ანტონ კათალიკოსი იწვევს თბილისში ეკლესიის მსახურთა ყრილობას. ამ კრებაზე (იხ. რომანის გვ. 677—682.) ანტონი უსაფუძვლებს ეკლესიის მსახურთ, რომ ისინი სათანადო ყურადღებით არ ეპურებიან საეკლესიო წიგნების გავრცელებას და ამევე დროს ხელი მიუყვით საერო წიგნების გადამწერისათვის. ამით აიხსნება აღნაშთ ის გარემოება, რომ ამ დროს სტამბას, რომელიც მარტო საეკლესიო წიგნებს ბეჭდავდა, მივიღ ტირაჟები ჩაუწვა და ხარკები მძიმე ტვირთად დააწვა საეკლესიო საღაროს. ამისათვის ანტონი მოითხოვს ერთგვარ საცენზურო ღონისძიებებს და გადაწყვეტს ჩაატაროს ეს თავისებური პროფილაქტიკა — მოავარდოს და მოსპოს ისეთი წიგნები, რომელნიც, მისი აზრით გამაყენებლად ვაგლენას ახდენენ მკითხველზე. ამ წიგნებში იგულისხმება თეიმურაზის (ერეკლეს მამის) „თემსარიანიც“, ბესიკის ლექსებიც და „ვეფხისტყაოსანიც“.

ერეკლე (რომელიც შემთხვევით შევიდა ამ კრებაზე) ოდნავ გაოცებით შესცქეროდა ანტონს, რადგან ვერ გაეგო, რის შესახებ ლაპარაკობდა ან რას გულისხმობდა კათალიკოსი. ბოლოს, როგორც იქნა, ამ მიკითხულ-მოკითხულ ლაპარაკში მიხვდა, რომ ანტონი საერო წიგნების წინააღმდეგ ილაშქრებდა და მოითხოვდა მათ განადგურებას, მათ შორის „ვეფხისტყაოსანსაც“.

მეფემ კვლავ შეხედა ანტონს და მარცხენა მხარი აუთამაშდა.

— პირველად მესმის, რომ რუსთველის ამ დიდებულ წიგნს ყოველგვარი უშმაგავსი ცოდვების გამოწვევად რაუბდენ. მაშ ჩვენი დიდებული წინაპრები ბრძანი ყოფილან:

— არ ყოფილან ბრძანი მეფე... დიდებული თამარის დროს წიგნი ესე განდევნილ იყო და სრულიად მოსპობილ. სახელი რუსთველისა აღმოხილდი ყოველთა მატიანეთაგან. შიხოდ ვილდ ვანდომილს შეიწინავეს პირი ამ წიგნსა და ოდეს ჩვენი ქვეყანას თათართა ურდოვნი დაუპატრონენ და უსჯულომ დაისადგურა სპარტოვლის სამეფო სახლსა შინა. ეს წიგნი

კვლავ აღმოცენდა, ვინაიდან წახა იგი წაღვეს მსუყე ფრიად... ხოლო ამ ეშმაკ სიბრწყინს ამა წიგნისას კვლავ შეურაცხინა მწიქანდრე ქმანსტკანელი. ქალნი უსირცხვილებდნენ მწიქანსტკანს ქახეს საღებავებით, ხოლო ვაენი ყოველად უგვანო სატრფიალო ლექსებს უსირცხვილოდ უმღერებდნენ შორიხლოდან თავიანთ მიჯნურებს. თუთ თქვენი კარის მგოსანი ქვერეებს სამიჯნურთა ლექსებს მიძღვნიან“....

ეს ცნობა ერეკლეში ერთგვარ აფექტს იწვევს, რადგან მის ეგონა, რომ კათალიკოსი ქვერეში ერეკლეს დას ანას გულისხმობდა ამიტომ:

— „ერეკლეს ტყუილსავეთ ვეა გულზე ეს ამბავი, ჯერ თუთი კათალიკოსზე ვაბრაზდა, რომელმაც მისი აზრით, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ გაყრიოთ მაინც შეურაცხო მისი ქვერეო და ანა და მერე ბესიკის თავებდობამ აღაშფოთო.

— იყოს ნება თქვენი, თქვენო უწმინდესობავ, — უთხრა ერეკლემ ანტონს და თან შეეცადა მარცხენა მხარის თამაში შეეჩერებია, სახის დამაბეზებელ ეტყობოდა, რომ თავს ძალას ატანდა, მაგრამ ვერ შეძლო, — წიგნი საერო უნდა გაუქვინებულ იქნას სასულიერო საბჭოს მიერ და უგვანნი უნდა დაიწვას. ამ ქვეყნად ყოველივე ლეთის ნებაა, ხოლო აღმასრულებლად ნებისა ღვთისა თქვენ გვეყვლინებით.

ერეკლემ მძიმედ დაუტრა თავი ყველას, სწრაფად გამოვიდა აივანზე და ქეშიკი იხმო:

— წადი მანდატურთა უბუცესს მოახსენე ჩვენი ბრძანება; ახლავე შეიპყროს ბესიკი და დიდუგში შეაღებ...“ (გვ. 682—683)

ამ ამონაწერებიდან აშკარაა, რომ ერეკლე სრულიად არ იზიარებს ანტონის შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის შესახებ, მაგრამ ის თავს არიდებს ამ საქმეს და პასუხისმგებლობას კათალიკოსს აკისრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს პოზიცია ამ შემთხვევაში სრულიად ნათელია, ავტორი მაინც არ დაემაყოფილა ამით და აი, რას ვცოტბლობთ რომანის 698 გვერდზე, როდესაც უბუნა ორბელიანი მიმართავს ერეკლეს თხოვნით, გაათავისუფლოს ბესიკი და ანტონის ვანზრახული ღონისძიებების წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

— „გაყვანიერდები და კიდევ გავიმოურებ ჩემს მუდარას, ანტონს უბრძანებია საერო წიგნები ცეცხლს უნდა მივცეთო...“

— ვიცი, რაც ვინდა ბრძანო, თქვენო ბრწყინავლავავ, — სწრაფად შეაწყვეტინა ერეკლემ, — ვიცი და გეუბნებები, რომ ყოველად უგვანო, ქვეყნად არ ნახული ბრძანებაა, არა მსმენია ანკონიტიკოთ მერე გამართლო აღუტრადათა ვარდა, რომ რომელიც ქვეყანაში საერო წიგნები ცეცხლში დაეწვით, მაგრამ ერთი მოთხარა.



ჩემს აშლილ და დარღვეულ ქვეყანაში ის და მჭიდრებდა რომ ერთი ორიოდ დაბეჭდილი წიგნისათვის ეკლესიაც მტრად მოვიკიდო და ავიბეჭდრო? კათალიკოსის საწყობში ორიათასი თუმნის, თუ არ ვცდები, დაბეჭდილი საეკლესიო წიგნები დაუბრავდა. კაცო ხელს არ ჰკიდებს, ხოლო „ეფესისტკაოსანს“, ხელიდან სტაკებენ ერთმანეთს. „ეფესისტკაოსანი“ რა საკვირველია, როდესაც შამაჩების ნაწერებსაც კი ისე პირებენ. რა გენა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის იძულებული ვარ ნება დავართო კათალიკოსს— ასეთი უგვანი საქმე ჩაიდინოს-მით უმეტეს, რომ ერთი რამ იყოლე, ჰბანე, ზოგიერთი წიგნი უყდავია. რამდენიც არ უნდა დასწვა, წყალში გადაჰყარო, დავლიყო, თუნდაც მოეღო ლაშქარი მივსიო, მის ვერ მოსობო და ვერ გაანადგურებ. რუსთაველის ნაწერს კათალიკოსი ვერას დააკლებს და მან თუნდაც შეაგროვოს ჩემი პაპის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი „ეფესისტკაოსანი“, შეაგროვოს და დასწვას, ამით რას დააკლებს იგი რუსთაველს. მხოლოდ თავს შეიკრებენ ისე, ვით პეროსტრატე, რომელმაც აფროდიტეს ტამარი დასწვა იმისათვის, რომ სახელი გაეთქვა. რუსთაველმა ათას ასეთი დაწვა განიცადა, მაგრამ საუკუნოებს ვაუბრო და ჩვენამდე მოვიდა. შე კი, ჩემო ჰბანო, უნდა შამატო, თუ ხანდახან ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზოგიერთ ბოროტებაზე თვალს დაეხევა აღმდგენინეთ ეს ქვეყნა და პარსისის მთას თავის აპოლონიოთურთ საბერძნეთიდან იქ გადმოვიტან“.

მკითხველი აშკარად დანახავს, რომ თვითონ ვერცაღა უძღური ზოგიერთი საკითხის გადაჭრაში და მსხვერპლია იმ პოლიტიკური მდგომარეობისა, რომელიც მაშინ არსებობდა. ვრჯელე იძულებულია წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით ზოგჯერ დათმობაზე წაიღებს, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს. ბენაშვილი კი ამ კერძო შემთხვევიდან ზოგად დასკვნას აკეთებს, რომ თურმე ჩემი თვისება ყოფილა აღამიანებში მხოლოდ უპაროფიით დავიწახო და ამიტომ ვერცაღე ვითომდა „ეფესისტკაოსანს“ დამწველად გამოჰყავს.

გასათკარია, როგორ გამოჩნა ბენაშვილს მხედველობიდან ვრჯელეს ის მონუმენტური პორტრეტი, როგორც მეფის, როგორც აღამიანის, როგორც სარდლის, რომელიც მე რომანში მაქვს მოცემული.

განა შეიძლება რომანის ერთი ამოღველილი ფრაზიდან ზოგადი დასკვნის გამოტანა?

განვიხილოთ ახლა ბენაშვილის მეორე „ბრალდება“: ბესიკი, ეს ერთი უნახესი პოეტი, რომელიც სამართლიანად უყვარს ქართველ ხალხს

„ოქროს ჩარდაში“ წარმოდგენილია როგორც მოსყიდული მსტოვარი, ჯამუშა“.

ამის დასამტკიცებლად კარტოქისის მსმქებს ის ადგილი რომინიდან, სადაც უცნაურად აღნიშნულია წერილში ემტკება ბესიკს „შენ ნე გგონია, რომ სამშვიდობოს ვახვეს. წერილები მომწერე, თორემ სოლომონთან ვიტყვი ბესიკი ჩემი მსტოვარი არის მეტეი და შენი თავი რომინში მოადგენს ტყაანს“.

ჯერ ერთი, მსტოვარი, ჯამუშეი არის ისეთი აღმანი, რომელიც ანგარებს მიზნით თავისი საკუთარი ქვეყნის საზიაროდ ცნობებს აწუდის მტერს. შამსაღამე, ბესიკი მე რომანში თუკი ასე გამოჰყავს, ის აუცილებლად უნდა სწადიდეს ასეთ საქმეს, ან ასეთი საქმეების ჩადენა განზრახული მაინც უნდა ჰქონდეს.

არის თუ არა ასე რომანში? ცხადია, არა. მოვიგონოთ ის ადგილი „თავდადასავალი ბესიკი გაბაშვილიდან“, როდესაც ლეონი საკანში ეწვია ბესიკს და განუცხადა, რომ ის პოეტს ციხიდან გააპარებდა:

„...იმერტოს უნდა წახვიდე, უთხრა მან ბესიკს, — და იქ დამელოდო. შენ ხომ ოცნებობდი ამერ-იმერეთის გაერთიანებაზე. სოლომონს აქამდე მოუღებდა შამაჩეში ბოლოს, მაგრამ თურქეთის ვადამტრება აღარ უნდა. საქმე ისე უნდა ვგავართო, რომ არც თურქეთი ვადაიმტრეთოთ და არც რუსეთი. იმერეთის ტახტზე შენი საყვარელი ლეონი დაჯდება და ეს ხომ მართლაც გაერთიანება იქნება ამერ-იმერისა. ხომ ხედავ ბედს როგორ მიყვებით. ჯერ ქართლი და კახეთი გაერთიანდა, შამაჩეშისა და შამაჩეშის დეაწლით, თუმცა ვითომ ცალკაღე სამეფონი იყვნენ, ახლა ამერ-იმერი ერთიანდება.“

ბესიკმა უცხად ძალონის მოზღვავება იკრანო და ახლა ის აღფრთოვანებული უცქეროდა ბატონიშვილს...“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ბესიკი და ლეონი ერთი აზრით, დაქსაქსული საქართველოს გაერთიანების აზრით ყოფილან შეპყრობილი და ლეონიც სწორედ ამ მიზნით აგზანის ბესიკს იმერეთში თავის ემისკად. ახლა მკითხველმა თვითონ დასკვნას, სიდან არის ბესიკი მოსყიდული ჯამუშეი, როგორც ამას ბენაშვილი აცხადებს.

ბესიკმა უცხად ძალონის მოზღვავება იკრანო სოლომონი და მისი საქმიანობა, თავიდანვე დარწმუნდა, რომ ლეონის განზრახვა უღღვერი იყო და მათ ამ ბრძოლაზე ხელი უნდა აეღოთ. ამიტომ მას აღარც კი უფჭარია ლეონისთვის მიწერა რამე. ამის გამო ვაგაერებულმა ბატონიშვილმა მოქართო აღსავსე წერილი მიწერა ბესიკს და სწორედ ამ წერილის დასაწყისის მიხედვით ასკვნის ბენაშვილი, ბესიკი მოსყიდული ჯამუშეიყო. წერილის შემდეგ ნაწილში ლეონი

შუქარის კილონ ხომ ცელის და სიყვარულით აღსავსე სიტყვებით მიმართავს პოეტს?

ამგვარად, კრიტიკოსს ზესიყის და ლეონის განზრახვა საქართველოს გავრთიანებისა მოსიყვრულ ჯაშუშთა საქმიანობად მიიჩნია და ამავე დროს ავტორს აბრალებს, თითქოს მის შიერ „დასავლეთ საქართველო რომანში“ წარმოდგენილი არა მთლიან საქართველოს ნაწილად, არამედ სრულიად უცხო ქვეყანად, რომლის მსხვილებით არც ზნე აქვთ ქართული, არც ადამი, არც ტრადიცია“. ამის დასადასტურებლად კრიტიკოსს მოყვანს ერთი ადგილი რომანიდან, როცა ზესიკი ფიქრობს, რომ: „ის იყო იმ მხარეში, სადაც უნდა დაეწყო ცხოვრება სრულიად ახალ ხალხში, ახალი, თავისებური ზნეცხვეულების და ხასიათის აღმინანეს შორის და ვინ იცის შეძლებდა თუ არა მათ შეგვინახა“.

ჯერ ერთი, ამას ავტორი აფიქრებინებს გვირს, რომელიც ეს-ეს არის ვადვიდა დასავლეთ საქართველოში და პირველად ხედავს ამ მხარეს, ცხადია, აქ ყველაფერი ახალია მისთვის, ხალხიც, მათი ზნე-ჩვეულებებიც, და ნუთუ არ შეიძლება, რომ რომანის გმირი, რომელიც აქ სამუდამოდ უნდა დასახლდეს, განიცდიდეს ჩვეულებრივ ადუღებებს, და შერე რატომ ააგვიყვანს კრიტიკოსი „ახალს“ — სრულიად „უცხოებას“. საქართველოს ყოველ კუთხეს ეთნოგრაფიული თავისებურებანი ახლაც ხომ ახასიათებს, და მითუმეტეს მაშინ ზვესურებით ბევრი რამით განსხვავდებოდა სამურზაყანოსაგან, კახეთი აფხაზეთისაგან, სვანეთი გურიასაგან; ამ კუთხეებს — მთლიანი საქართველოს ნაწილებს — არათუ თავისებური ზნე-ჩვეულება, არამედ ენაც კი განსხვავებული ჰქონდათ, ზოგან დიალექტები და ზოგან ცალკე, განსხვავებული საკუთარი ენაც გააჩნდათ (სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი). ეს განსხვავებანი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოში, როდესაც ქართველი ხალხი, როგორც ერთი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო. ამიტომ, ცხადია, თუკი, მავალითად სვანი ვადაობ-ვეწებობა ზვესურებში ან კახელი იმერეთში, ის სრულიად ახალ ვარემოცვაში ზედებოდა. იგივე შეძლო ვანეცადა ზესიკსაც, ბოლოსდაბოლოს „ახალი“ ვანა „სხვას“ ნიშნავს? ზესიკისათვის დასავლეთ საქართველო რომელსაც ის პირველად ხედავდა, ვანა ახალი არ იყო? მაშ როგორ უნდა დამეწერა? ძველი ბინიდან რომ კაცს ახალ ბინაში გადავიდეს, ეს მაინცდამაინც იმას ნიშნავს, რომ ის საზღვარგარეთ გაემგზავრა?

მეოთხე დებულება ბენაშვილისა: „სოლომონ ჰევის დროინდელი დასავლეთ საქართველო რომანში მოიანს როგორც ველურების ქვეყანა.

სადაც წერა-კითხვა არც ერთმა კაცმა არ იცის, თეთი მღვიან-მწიგნობარმა კი“.

თუ ბენაშვილმა ეს რომანი წაკითხა, მაშინ საოცარია, ტყუილად რომანის ის მოქმედი პირნი, რომელთაც წერა-კითხვა კარგად იციან.

ვანა სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა, ან ეზოს მოძღვარმა, რომელსაც სოლომონი სიველის დაწერის უბრძანებს, ან კიდევ სამეფო კანცელარიის მოხელეებმა დავით ლაშხვილმა, ლევონტი ნივარძემ, ივანე ამირანაშვილმა და ბერძნულ სხვამ წერა-კითხვა არ იციან? დავით კვინიხიძემ, იმ დროისათვის უმაღლესად განათლებულმა კაცმა, არათუ ქართული, არამედ რუსულიც კარგად იცის, მაშ, საიდან გამოიგონა კრიტიკოსმა, რომ მე ისე გამოიყვანს რომანში, თითქოს იმ დროს დასავლეთ საქართველოში წერა-კითხვა არავინ იცოდა?

რაც შეეხება იმას, რომ მღვიან-მწიგნობარმა წერა-კითხვა არ იცოდა მოვიყვანო ამის დამადასტურებელ საბუთებს:

თავის მოხსენებით ბართში რუსეთის საგანგებო რწმუნებული კაპიტანი იახიკოვი იმ ნაწილში, რომელიც იმერეთს შეეხება წერს:

«Читать и писать редкия князья знают, да и царь с нуждой иишет, а патриарх писать не умеет, знатных жо девиц читать и писать учат» (грамоты, т. I, стр. 192).

ან კიდევ: «Сказывал мне Грузинский патриарх Антоний, что он Имеретинскому патриарху говорил, что для чего они пишут не учатся, и что не уметь весьма стыдно. На оное он ему отвечал: на что мне знать писать, разве для того чтобы к девкам письма писать? Когда брат родной царя Солмона да он же патриарх так рассуждает, то легко можно о нижних людях заключение сделать, что они ни о науках, ни о просвещении никаких мыслей не имеют». (грамоты, т. I, стр. XXXVII).

კიდევ შეიძლებოდა მრავალი ასეთი საბუთის მოყვანა რუსეთის რწმუნებულთა და მოგზაურთა მიმოწერიდან, მაგრამ ახლა ქართული საბუთიც მოვიყვანოთ.

იმერეთის მეფე, რომელსაც თან ახლავს ბერსთან ზელაშვილი, „მიბრძანდა სახლთა მღვიანთუხუცესისასა... მღვიანი წინ მიეგება და მიიპატოვო თავისთან ყოველნივე... მაშინ მეფესა მოერთო წიგნი ოდიშით, და წარიკითხა რა მეფემან, ბრძანა: „ამისი პასუხი ახლავე უნდა მიწეროს; დია სპჳიროს საქმე არისო, მწერალი ში შოვეთ ვინმეოჲ და იმეამად მუნ არეინ შეხელეო მწერალი და ბერისა მოახსენეს; ამას დავაწერინათ“ რა ბერს უთხარეს პასუხის მიწერა.

ბერძან თქვა: წატონი მდივანთუხუცესს უბრძანებთ, მან დაწეროსო.

მეფე: როდის იცის წერა, არც კიბხვია იოანე: უი, ზემს თავს! და ვინ მისცა მდივანთუხუცესობა?

მეფე: ამის შმაპაპას ჰქონიათ სახელოთ და ამისათვის ამას ვერ ვინდა მოუშლის ამ სახელოს სარგებლობისათვის.

იოანე: ჩემო ხელმწიფე, უნდა ეზრუნვათ მგა მდივანის დღემამას, რადგან მდივანობას მოვლდნენ მავიასს, ესწავლებინათ წერაცა და კითხვაცა, მგარამ ამისთვის არა დაუდევნიათ რა, რომელ სამდივნოს ათისთვის და სხვას საშოვარს ზომ მიიღებოს, გინდ ისწავლოს რამე და გინდ არაო.

მეფე: მართლად ამბობთ. და მიიხარ მწერალი ვითარი უნდა იყოს ან რა უნდ იცოდეს! (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. 2, გვ. 36).

ამრიგად, იოანე ბატონიშვილი ამ ასარჩოცი წლის წინათ კარგად ამჩნევდა გვიანდლოდღური სამეფოს ნაკლოვანებებს. ბუნაშვილი კი მიკვირებს, როგორ გამებდა საბჭოთა მწერალმა და მეფის მდივანმწიგნობარი წერა-კითხვის უცოდინარი გამოიყენაო.

მგარამ რაღა შორს მივდივართ? არამცთუ ერეკლეს დროს, ვანა მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძე არ ქმნის თავადის სატირულ ტრის ლუარსაბ თათქარიძეს, რომელიც კიდეც იყვებნის, რომ წერა-კითხვა არ იცის? რაც შეეხება მის მეფულეს, დარეჯანს, მას ხომ შესანიშნავად ამისთვის თავის ქინძისთავით დანჯარაზე მიწის ნაცვლად გაკრულ ჭალაღზე: „დათვი ზეზე როგორ ავა, ბუნანინაო“. ესეც ხომ შესანიშნავი დადასტურებია კაბიტან იაზიკოვის ცნობისა.

ვანა შეიძლება ილია ჭავჭავაძეს ვესაყვედუროთ, რომ თითქოს ის თავისი „კიცია-ადამიანი“ იმას ამბობს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში წერა-კითხვა არავინ იცოდა, რადგან მან ლუარსაბში ქართველი მცონარე თავადის განზოგადებული სახე მოგვცა? რასაკვირველია, არა.

ან ვანა შეიძლება იმას თქმა, რომ, რაკი მე რომანში მეფის ერთი მოხელეთავანი წერა-კითხვის უცოდინარი გამოიყენებ, იმით იმას ვამბობ, რომ სოლომონ პირველის დროს იმერეთში წერა-კითხვა არავინ არ იცოდა-მეთქი!

რა მიწოდდა მეტქვა ამ ფაქტის აწერიით? მე მსურდა იმდროინდელი ფეოდალური სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება — თანამდებობის მემკვიდრეობითი გადაცემის უღლება განსაკუთრებით აღმნიშნა.

დაუფრებით ერთით წუთით, რომ ისტორიული საბუთი იმის შესახებ, რომ მეფის მწიგნობართუხუცესი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, არ არსებობდა. ვანა მე არ შემეძლო ასეთი ამბავი

შემთხზა? იქნებოდა თუ არა ეს სწორი? რასაკვირველია, საცხებით სწორი და სამართლიანი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ რადვეცა... გზაზე დამდგარი გვიანდლოდღური სამეფოსათვის, უკეთ რომ ვთქვათ, სამთავროსათვის, ეს საცხებით დამახასიათებელი, მოვლენა იყო. ეს იმ დროს ზღებოდა, როდესაც ქართველები „...არსებობდა ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინადან დანაწილებული იყვნენ მიელ რაც ერთმანეთისაგან მოწყვეტულ სამთავროებად, არ წყდლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ ერთმანეთს, ერთი მეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იბღლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ აღმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრობის კინიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიურად დაქვემდებების პირობებში...“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 318).

ასეთ დროს გვიანდლოდღური სახელმწიფოს ერთ-ერთ დამღუპველ და უპაკუფით მოვლენას წარმოადგენდა ის, რომ მემკვიდრეობითი უფლებები დამწესებული იყო არა მარტო სამეფო ტახტის მფლობელობაზე, არამედ ყოველ თანამდებობაზე, რაც კი მაშინ არსებობდა. ამ წესის თანახმად, ყოველ სახელმწიფო თანამდებობას იჭერდა არა ისეთი პირი, რომელიც ღირსი იყო ამ თანამდებობისა და შეეძლო ღირსეულად გააძლიერა საქმეს, არამედ შეილი იმ პიროვნებისა, რომელსაც ეს თანამდებობა ეჭირა. ამის დამიხედვით, მაგალითად, ჯარების სარდლად ხშირად ინიშნებოდა ისეთი ადამიანი, რომელსაც წარმოდგენაც კი არა ჰქონდა სარდლობაზე, ან შაჯულად ისეთი, რომელსაც განაჩენის დაწერაც კი არ შეეძლო.

თავის ცხოვრების დღიურში ერეკლე მეფის შაჯული და მდივანებაც იყენ ისენ ძე შეილებს უსაუყვედურებს, არც ერთ თქვენთაგან კაცი არ ვამოვა, არც წოვნი ისწავლეთ, არც ხელობა და ჩემი ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ყოველ თქვენთაგანს კარგად ეტოვებ, ზოგს სამკვიდრო სახელო (თანამდებობა) გიშოვეთ, ზოგს მამულები მოგვეცითო. ამგვარად, თანამდებობა ერთგვარ კერძო საყუთრებას წარმოადგენდა და მას მემკვიდრეობითი ფლობდა შეილი მამის შედეგად.

თი ასეთი წესები არსებობდა მაშინ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი საქართველოს სახელმწიფოს დაქვეითებისა, და მეც ეს მომენტი აგსახე რომანში.

კრიტიკოსს ისე „გულდასმით“ წაუკითხავს რომანი, რომ ავტორის დაუკითხავად ერეკლეს და ანა „ოქროს ჩარდახში“ გადმოყავს და წერს:

„ავტორმა ერეკლე მეორის და — ანა, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით იყო სათნო, თავდაბალი და წესიერი, გამოიყვანა როგორც ავსორცი დიაცი“.

ხომ არ ინებებს კრიტიკოსი და მიგვიითხებს, თუ რომელი ისტორიული წყაროები უნახავს მას, სადაც ანა აწერილია როგორც სათნო, თავდაბალი და წესიერი. თუ ის ასეთზე მიგვიითხებს, მას უდაღეს მადლობას მოვხსენებთ. მაგრამ, საუბედუროდ, მას ასეთი საბუთი არა აქვს. ერთადერთი წყარო ისევე ჩემი რომანია, სადაც ანა დაბატულია როგორც სათნო, თავდაბალი და წესიერი.

თუ ეს ასე არ არის, მაშინ კეთილი ინებოს და გვიჩვენოს, სად გამოიყვანა ანა, როგორც „შპონსკელი მეძაი“, როგორც ამას კრიტიკოსი ამბობს.

ამ საუვედუროდ, როგორც ვიტყობ, კრიტიკოსს ის უნდა გაეფიქროს, თითქმის მე არ მქონდა უფლება ბავრატონთა დინასტიისათვის შეურაცხყოფა მიმუყენებინა იმით, რომ მათი ოჯახის წარმომადგენელ ხნიერ ქალს შეეყვარებინე ახალგაზრდა კაცი.

ვითომ ბავრატონთა გვარის წარმომადგენლები წმინდანები იყვნენ?

ბენაშვილი უკრძნობა ამ დაალოცს რომანში, სადაც ერთდღე ტექსტს თავის დას ახალგაზრდა კაცის შევერაცხებათვის და მას მამამის თეიტერახივით აფხორცს უწოდებს. მაგრამ განა შეიძლება ამ დაალოცის მიხედვით ანას მეძაი ვუწოდოთ? როგორ შეიძლება, რომ კრიტიკოსმა ამ ერთი თუ ორი უძრმოურელი აბზაცის მიხედვით გმირის შესახებ (რომლის სახე მთელი ამ დღის რომანის მანძილზეა გამოტოვებული) ზოგადი დასკვნა გამოიტანოს და ისიც უარყოფილი. მაშინ ანა კარგინაც მეძაი უფილა, რაკი ის ურონისისთან მივიდა და მას დანებდა, თუმცა ამის შესახებ არაფერი არ მოიპოვება მთელ ჩემს რომანში.

დასასრულ უნდა შევჩერდე ერთ კერიოზულ შენიშვნაზე. რომელიც ამბ. ბენაშვილმა გააკეთა თავის მოხსენებაში დისკუსიაზე მწერალთა კავშირში.

შენიშვნა შეეხება ბესიკის სახობო სიტყვას. რომანში მე ვწერ: „აღდგომის წირვისა და გარდამოხსნის ჩატარების შემდეგ ბესიკს უნდა მიემართა ზოტბით მეფისათვის და შეუდგა ამ მიმართვის წერას... ბესიკმა იცოდა, რომ შთაბეჭდილების მოსახდენათ ისეთი სიტყვა უნდა ეთქვა, რომელსაც უმრავლესობა ვერ გაგებდა. მისი მიმართულებით უფრო აღსაყვამ იქნე-

ბოდა ბუნდოვანი სიტყვებით და გამოიყენებო, მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა და გააკვირვებდა არა მარტო მდებრივ ხალხს, და წერილ მოხელებს, თვით მეფესაც და დიდებულებსაც“.

„ეს განზრახვა, — ამბობს ბენაშვილი, — მან სისრულეში მოიყვანა და ცისკრის ვამს წაიკითხა ისეთი მიმართვა, რომელიც ბოლშევიკურ პრედა, ელერ ადამიანის სიტყვას, ისმება კითხვა, განა ეს შესაძლებელია? ავკო ბენაშვილს ბესიკი მეოცე საუკუნის ფურტურისტი ხომ არ ჰგონია, რომელიც ოცდაათიან წლების მიჯნაზე გულს გვიწყვალებდა თავისი ზაუმიერული სიტყვებით“.

მე უფლებას მაიყვამ ჩემს თავს დავიმოწმო აქ ბესიკის ის სიტყვა რომელიც რომანში მოყვანილია:

„დღეს იხარებს დავითს სულიერსა ჩანსა თანა სულითა მლაღებელი მეფე და იტყვის: აჲ აღმოსრულნა აღმოქმედლან კეთილობან ერთარამედ ერთგვას ვეფუცეოა წმინდანსა ჩემსა დავითს რომლისა შემდგომი, შავკასად სიტყვისა მის, მიეცემოდა მეფობაი შენი!“

„და რამეთუ ძეცა მისა, ბრძენი იგი, სახელ — სახე სიბრძნისა და თანამდევანელი შენთის დღეს ხელყოფს შენსავე შესხმისა აფთრათისა წერად, კალამიმხებელი თუმბურეთისა თანად მელისა!“.

მე საესებოთ ვეთანხმები კრიტიკოსს, რომ ეს სიტყვა მართლაც გაგვიხარია, მაგრამ ეს ხომ თვით ბესიკის მიერ არის დაწერილი (იხ. ბესიკის ლექსები, გვ. 44. გამოცე. „საბჭოთა მწერალი“), და მე მხოლოდ ვაღმოვიფიქრე რომანში. ბენაშვილს ის ჩემ მიერ შეთხზული გგონა და აღმოჩნდა, რომ პატრიკეველი კრიტიკოსი თვითონ ბესიკს, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ამ უნახეს პოეტს, ედავება.

აქ უკვე როგორც იტყვიან, კომენტარიები სრულიად ზედმეტია.

კრიტიკოსი იქმდეც კი მიღის, რომ აღარც კი ცდილობს თავისი მოსაზრების დასაბუთებას და ზეპირად აცხადებს, რომ თითქმის რომანში სოლომონი დევგენარტად გამოიყვანეს. კრიტიკოსს ალბათ მხედველობაში აქვს ის აშავი, რომ რომანში მე ლაპარაკი მაქვს სოლომონის ეპილეპსიით დაავადებაზე. ესეც ხომ ისტორიული ფაქტია და სოლომონი სწორედ ამ ეპილეპსიის შეტევებს ღრის გარდაიცვალა. მაგრამ უცნაურია, რატომ აიგივეებს პატრიკეველი კრიტიკოსი ეპილეპსიას და დევგენარტობას. მართალია, ეპილეპსია ზოგ შემთხვევაში მემკვიდრეობითია ავადმყოფობა, მაგრამ ვის გავუგია, რომ ავადმყოფ ადამიანს დევგენარტი ვუწოდოთ. რამდენი ისტორიული პიროვნება იყო

ეპილუპსიით დაავადებული, მაგრამ ეს იმას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე. ან განა შეიძლება იმის თქმა, რომ სოლომონი რომანში დეგენერატად მყავს დაბატული დეგენერატი ხომ სესტი გონების, დაკარგული ზნეობრივი გრძნობებისა და ბოროტმოქმედებისაკენ მიდრეკილების მქონე ადამიანია. რა აქვს საერთო ასეთ თვისებებთან სოლომონს? სად ამოიკითხა ეს კრიტიკოსმა?

თუ ბენაშვილის ამ თავისებურ კრიტიკულ მეთოდს გამოვყენებთ, მაშინ ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ გმირები — ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვები კაცის მკვლელები და მრუშები არიან. ნესტანი, — ეს უნაზესი არსება, ხომ პირდაპირ უბრძანებს ტარიელს, ზეარაზშშას უფლისწული მოკალიო, და ისიც გადაკარბებით ასრულებს ამ ბრძანებას, კლავს არა მარტო უფლისწულს. არამედ მრავალ

კარისკაცს. ან ავთანდილი, დატმინთან რომ მრეშობას ეწევა, ხომ კლავს ჩაჩნაგორს მძავე ფატმანის დაელებით. იგივე შეგვიძინაქმევით ლევ ტოლსტოის გმირებზეც. „შესხეცხეკემ ლევ ტოლსტოისა, რომელსაც ქრისტიანული ზნეობის თავშეკავების და სათნოების მთელი მოძღვრება შექმნა, თითქოს მისი გმირები ბოროტმოქმედნი, ავზორენი, კაცისმკვლელები, როსკიპენი და მოლაღატეები არიან. მაშ, შოთა ჩუხთაველის, ლევ ტოლსტოის, შოლოხოვის, ალ. ტოლსტოის და საერთოდ მთელი ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლების „თვალთახედვის ისარო“ ისე ყოფილა შემართული, რომ ისინი თურმე ადამიანებში მხოლოდ ცუდ თვისებებს ამჩნევდნენ.

ვფიქრობთ, რომ საჭიროა დ. ბენაშვილმა კრიტიკულად გადახედოს თავის ზოგიერთ კრიტიკულ ნაზრევს. კრიტიკა პასკვილად არ უნდა იქცეს!

ბიბლიოგრაფია



ი. გოგებაშვილის თხზულებათა პირველი ტომი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოცემისათვის გამოიწვიო ქართული პედაგოგის, საზოგადოებრივი მდივოსა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის თხზულებათა პირველი ტომი. ეს გამოცემა ძველი გამოცემებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი შეიცავს ი. გოგებაშვილის დღემდე გამოქვეყნებულ ისეთ თხზულებებს, რომლებიც საცენზურო პირობების გამო თავის დროზე დაბეჭდილი არ უოფილა, ან დაბეჭდილი იყო პერიოდულ პრესაში და თხზულებათა დღემდე გამოქვეყნებულ კრებულებში არ მოხვედრილა.

ტომს წინ უძღვის პროფ. დ. ლორთქიფანიძის შესავალი სტატია, რომელშიც განიხილულია დიდი პედაგოგის ხანგრძლივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორია და, წარსულის შემკვიდრებისადმი მარტისტულ-ენინური დამოკიდებულების საფუძველზე, ვარკვეული ი. გოგებაშვილის მდიდარი პედაგოგიური შემკვიდრების მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის.

თხზულებათა პირველი ტომი იხსნება 1866 წელს გამოქვეყნებული სტატიათ „პაპოლა აფრიკის შეერთებულს შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესს და ახალ პრეზიდენტ შორის“. ამ სტატიაში ი. გოგებაშვილი ეხმაურება აფრიკის შეერთებული შტატების შესამოკვე წლების მონათა გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში დემოკრატი ლინკოლი ედგა. ამ მოძრაობას კ. მარქსი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა არა მარტო აფრიკის, არამედ ევროპის შემოთა მოძრაობისათვის. მარქსის მიერ შედგენილი მისაღობა ლინკოლის პრეზიდენტად მერტედ არჩევის გამო, ნათლად აღასტურებს, თუ რა ურთაღობით იღვენებდა თვალს და რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა მას კარლ მარქსი. ლინკოლის საბრალო ლოზუნვად მარქსს მიანდა — „სიკედილი მონობის“. მაგრამ, ამავე დროს, მარქსი მრუთითებდა ამ ფაქტორებზედაც, რომლებიც სამოქალაქო ომი აფრიკაში დამარტებამდე მიიყვანა. ი. გოგებაშვილი ეერ დანახა კლასთა ის რეალორი დაჯგუფებანი, რასაც ადგილი ჰქონდა აფრიკის სამოქალაქო ომში. იგი, აგრეთვე, აიდეალებს

ლინკოლის როლსაც, მაგრამ საყვებითა სწორად მიუთითებს ამ მოძრაობის პროგრესულ მნიშვნელობაზე და გამოხატავს თავის სიმპათიებს პროგრესული ძალებისადმი.

ურთაღობას იყრობს, აგრეთვე, სტატია „იარანდიას უთენდება“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის. გოგებაშვილი სასტაკად აკრიტიკებს ინგლისის დამპყრობელურ პოლიტიკას, ააშკარავებს საზოგადობის ორ მოწინააღმდეგე კლასად გათიშვის ფაქტს და წერს: „მოგესხენებთ, აწმდგომი წესწყობილება კაცობრობისა იმ გვარია, რომ გლეხობა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულა, სრულიად დამონებულა მემამულეებისა და მეფობრიკებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც შეიძლება, ნაკლებს აძლევენ ხალხი დლიდან საღამომდინ შრომობს, წელზედ ფებს იღვამს, მაგრამ უმეტესი, დიდი ნაწილი მისი შრომის ნაყოფისა ზადის მიწისა და ფულის პატრონების ჯიბეში“ (გვ. 263).

ი. გოგებაშვილი კარვად ხედავდა იმ კლასობრივ დაჯგუფებას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში აშკარადებოდა. მისთვის უცნობი არ იყო, აგრეთვე, მეცხრაშეტე საუყუნის მეორე ნახევარში გავრცელებული სოციალიზმის თეორიები. იგი არჩევს არსებული წესწყობილების შეცვლის ორ გზას: რევოლუციურსა და ლიბერალურს. მან იცის, რომ პირველი გზა გულისხმობს „საღდატანებით, თოფ-იარაღის ხმარებით, რევოლუციის შუამავლობით“ გარდაქმნას, რომ „ხალხი უნდა იჯანყდეს, აიღვეს და ძალით დაისაკუთროს მიწა და ფაბრიკებიც, რომელნიც მისი ოფლით, მისი შრომით აქვთ შექმნილი მემამულეებსა და მეფობრიკებს“ (გვ. 264). ზოლო „ლიბერალურ გზას იგი ახასიათებს, როგორც სახელმწიფოებრივი ღონისძიებების მშვიდობიან გარტებას. ი. გოგებაშვილი ემსრობა არსებული წყობილების შეცვლის ამ უკანასკნელ გზას. ეს იქედანაც ჩანს, რომ იგი დიდი იმედებს აყარებს გლადსტონის რეფორმებზე.

თუ ი. გოგებაშვილის პოზიციის დანუპირის პირებთ მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ არაერთ შეფასებას გლადსტონის პოლიტიკისა.

ამგარად დაენახათ მის პოლიტიკურ შეზღუდულობას, რაც გამოწვეული იყო „იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილი ვერ ამაღლდა მარქსისტულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის დონემდე“ (გვ. IV). მაგრამ ამ სტატიებს თავისი დროისათვის ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათში გამოხატული იყო თანაგრძნობა ეროვნული განთავისუფლებისათვის აჯანყებული პატარა არღანდიისადმი, რომელსაც „თავისი მუზონის, ინგლისის წყალობით, სამასი წლის განმავლობაში ერთი სასიხარულო აღდგომა არ გასთენებია“.

წიგნი წარმოდგენილი სტატიებიდან პოლიტიკური ხასიათი აქვს 1877 წელს ვაზ. „ტოფლისკი ვესტნიკში“ მოწინავე წერილებად გამოქვეყნებულ ვრცელ წერილს: „ეინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“. ამ წერილში ი. გოგებაშვილი ეხებოდა იმ დროისათვის ისეთმნიშვნელოვან პრობლემას, როგორც იყო აფხაზეთის თავისუფალი ტერიტორიების დასახლების საკითხი, როგორც დიდი სტალინი მიუთითებს, „ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ წერგავდა პატრიარქალურ — ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ეუფდ რაიონებში გაქცევიან და ნაციონალური შუღლი გაქაფიერებინა“. (ტ. 4, გვ. 388). ი. გოგებაშვილი წინ აღუდგა ცარიზმის მოხელეთა განზრახვას, აფხაზეთის მიწებზე დაესახლებინათ რუსი კოლონისტები. შეზღუდულ საცენზურო პირობებში იგი მოხერხებულად ამტკიცებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არაქართველ ტომთა დასახლების შეუძლებლობას.

ამ სტატიითაც ი. გოგებაშვილი მკითხველს წარმოუდგებდა, როგორც დიდი პატრიოტი და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შეურიგებელი მოწინააღმდეგე. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს სტატია არა სრულად არის წარმოდგენილი, რაც ყოველად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

პირველ ტომში წარმოდგენილ შრავალ სტატიას ი. გოგებაშვილი ამხელს მეფის მოხელეთა ძალადობასა და უხეშობას კოლონიალურ საქართველოში, მათი დამოკიდებულებას ქართული ენისა და კულტურისადმი. ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს მომავალი ბედობლა მტკიცედ იყო დაკავშირებული არსებით. მისი აზრით, ერთსეულმა შეიკრათ საქართველოს ნაწილები ერთი ვალდებულების ქვეშ, დაამყარა მის შორის სრული სიმეფე, მყუდრო-

ება და მტკიცე კავშირით შეიკრათ საქართველოს ბედი და უხეშობა თავისონს“ და რომ ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყევველად უნდა შენდებოდეს ჩვენთვის იყო და იქნებოდეს ჩვენი მომავალი“ (გვ. 363—364). მას სწამს, რომ მხოლოდ რუსული ენისა და რუსული კულტურის ათვისების საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი ქართველი ხალხის იმ ბნელეთიდან გამოყვანა, რომელშიაც იგი ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად იყო მოქცეული. გოგებაშვილის კრიტიკა მიმართული იყო ცარიზმისა და მისი ცალკეული მოხელეებისადმი, რომელთა მოქმედება შორს იდგა თვით რუსი მშრომელი ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებებისაგან. მოვესმინათ გოგებაშვილს: „რუსი ხალხის საღ გონებას საერთო არაფერი აქვს განსაზღვრული ვადის ზოგიერთ რუს ალტერატორთან, განსაკუთრებით, რომ არიან ველური ჩასობრივი განკერძოებულობით და ცდილობენ ეს სასიზღარო თვისება ჩაუნერგონ თავიანთ მკითხველებს“ (გვ. 282).

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის ი. გოგებაშვილი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც გაბედულად აღიზიარა ხმა სკოლებიდან განდევნილი ქართული ენის აღდგენისა და შობლიური ენაზე სწავლების შემოღებისათვის. იგი სასტიკად აკრიტიკებდა მთავრობის ბიუროკრატ მოხელეთა მიერ დაკანონებულ სწავლების სისტემას და მოითხოვდა მის დემოკრატიულ პრინციპებზე გარდაქმნას. დიდ პედაგოგს კარგად ესმოდა, რომ არსებული სისტემა ყოველმხრივ გზას უხეშობდა ამართლებს ფართო ფუნქციის განათლებასთან მისასილებლად. იმდღერების წინაშე, — წერს იგი — გაღებული აქვთ ვიწმინდის კარი. ღარიბებისას კი დახშული“ (გვ. 40).

ი. გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ სახალხო განათლებისათვის საჭირო უმარავე ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა ხალხს და თვით ხალხი კი სწავლა-განათლების უფლებას ყოველმხრივ მოკლებული იყო. მეფის მთავრობა გამოდიოდა, როგორც სახალხო განათლების უბოროტესი მტერი.

სწავლა-განათლების ხალხში გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვან დაბრკოლებად ი. გოგებაშვილი მიიჩნევდა სკოლაში გამეფებულ სწავლების სისტემას, კერძოდ, სკოლებიდან შობლიური ენის განდევნას. ი. გოგებაშვილი შობლიურ ენას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მას „ფრის ფარსმალს“ უწოდებდა თავისი აზრის ნათელაყოფად იგი იმომწებს დიდი რუსი პედაგოგის უმინსკის მოსაზრებას და წერს: „ენა საგანძობა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა. ენის წართმევა სულთხდა...“ (გვ. 207).



მშობლიურ ენაზე სწავლების უპირატესობას ი. გოგებაშვილი მრავალი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებებით ასაბუთებს და იგი აქვეყნებდა, როგორც პედაგოგიკის დიდი თეორეტიკოსი და გამოცდილი პრაქტიკოსი.

აღსანიშნავია, რომ ი. გოგებაშვილი ხალხის განათლებას სრულყოფილად არ თვლის რუსული ენის შესწავლის გარეშე. დიდი რუსი ხალხის ენის ცოდნა მას აუცილებლად მიაჩნია, რუსულ ენის მეორე მშობლიურ ენად აღიარებს. იგი მოითხოვს რუსული ენის სწავლების არა პირველი წლიდან დაწყებას, არამედ მას შემდეგ, რაც ბავშვებს მშობლიური ენის ცოდნაში საკმარისი გავლენებით ვინცა. ამასთან ერთად, მისი აზრით, უცხო ენის შესწავლა უნდა ხდებოდეს მშობლიური ენის საშუალებით და არა თვით უცხო ენის შემწეობით. იგი ამტკიცებს, რომ ადგილობრივ სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლებაში მკვიდრია ენის გამოუყენებლობა, რასაც აუცილებლად შეაქვს მომავლინებული მექანიკურობა მთელ სწავლებაში, არამც თუ ამრკობებს მოსწავლეთა წარმატებას ელემენტულის კლასის საგნებში და ხელს უშლის მათს სწორ განვითარებას, არამედ აფერხებს თვით რუსული ენის დროულად და შეგნებულად შეთვისებას" (გვ. 20-21).

საყურადღებოა სტატიები, რომლებშიც ი. გოგებაშვილს შეხედულებებია "გადმოცემული სახელმძღვანელოს შედგენის ზოგად დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ. ცნობილია, რომ მის მიერ შედგენილი რუსული და ქართული ენების სახელმძღვანელოები თავისი მეთოდოლოგიური გამართულობით ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყ-

რობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც.

ტომში წარმოდგენილ მრავალ სტატიაში ფართოდ განხილული და გაკრიტიკებული სწავლებაში გამომწვეული სქოლასტიკურ — დოგმატიკური მეთოდები და ღრმა თეორიულ — პედაგოგიკური სრულყოფილობით დასაბუთებულა სწავლების აქტიური მეთოდების უპირატესობა და პრაქტიკული წარმატებულობისათვის მისი შეზღუდვის აუცილებლობა.

გოგებაშვილი ამხელდა და აამკარავებდა მასწავლებელთა მომზადებისა და შესაფერისი პედაგოგიკური კადრებით სკოლების დაკომპლექტების საქმეში არსებულ მთელ რიგ მახინჯ მხარეებს მეფისდროინდელ სახალხო განათლების სისტემაში და, აგრეთვე, იმასაც, თუ რა უფლებები, აბუჩადგებელი და დამცირებელი იყო მასწავლებელი ძველ სკოლაში.

არ მოიძებნება განათლების დარგის წერილში საკითხებიც კი, რომელზედაც ი. გოგებაშვილს თავისი გულშემატკივარი სიტყვა არ ეთქვას და საქმისადმი უანგარო სიყვარული არ გამოეჩინოს. იგი არ ინდობდა მთავრობის არც ერთ მოხელეს თუ ქართველ მოღვაწეს, ვინც ასე თუ ისე სწორი გზიდან უხვევდა და ქართულ ეროვნულ კეთილდღეობას ჩირქს ცხებდა.

ი. გოგებაშვილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მტკიცე ბურჯად ედგა ქართული სკოლისა და განათლების საქმის და მტკიცე რწმენით წინასწარმეტყველებდა ხალხთა უკეთეს მომავალს.

ი. გოგებაშვილის თხზულებათა პირველი ტომი მნიშვნელოვანი შენაძენია დიდი პედაგოგის მექვიდრეობის შესასწავლად.

დ. გუგუნიძე.

ხალხური სიტყვიერების ახალი მასალები



რუსთაველის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ხალხური სიტყვიერების“ მეორე სერიის პირველ ნომრად ახლახან გამოქვეყნდა „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომლებშიც შეკრები-

ლია კახეთში ინსტიტუტის ფოლკლორული ექსპედიციების შედეგად. ქართული ზღაპართმეოღნეობის საკითხების შესასწავლად, გვევგარეშეა, სარტყეწიზი წიგნი მოთავსებულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭება.

სამკოთა ფოლკლორისტიკის წინაშე აქამდ დიდი ამოცანებია დასახელი. მეცნიერების ამ დარგის განვითარებისათვის, ისევე როგორც მეცნიერობის სხვა დარგების აღმავლობისათვის, ცხოველყოფელი მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის

გენიალურ საენათმეცნიერო ნაშრომებს, ამ ნაშრომების საფუძველზე ახლებურად დაყენებულია ხალხური შემოქმედების საყვანმო თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ისინი გვეხმარებათ უფრო ღრმად და მთელი სისრულით ჩაწვდეთ ზეპირსიტყვიანობის განვითარების პროცესებს. ამხანაგმა სტალინმა ფოლკლორისტიკის, ისევე როგორც ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე, სხვა საკითხებთან ერთად, დასაბამი ხალხური პოეტური ნაწარმოების მხატვრული ფენის, მხატვრული სტილის პრობლემა. ეს პრობლემა დღემდე თითქმის შეუსწავლელია.

ნ. მარის ვულგარულ-მხატვრიანობისტიკაში თეორიამ უნის შესახებ თავისი დიდი დასავა ფოლკლორისტიკასაც. მარის პალეონტოლოგიურ ჰუთოდს იყენებდნენ ხალხური შემოქმედებას პროცესების „შესასწავლად“, ეყრდნობ, აღსანიშნავია ტრისტან და იზოლდას პრობლემის განხილვა ე. წ. ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე, პრობლემისა, რომელიც გამოკვლევის საგნად გაიხადეს იაფტიდოლოგიურად მოაზროვნე ფოლკლორისტიკაში და გამოიმუშავეს ყალბი და მიღებული შეხედულება ამ უძველესი განთქმული სიუჟეტის აღმოცენებისა და გავრცელების შესახებ. პოზიტორი დასკვნების მიღება, ეყრდნობ, ტრისტან და იზოლდას ამბის სტრუქტურისა და მსოფლიოში გავრცელებული პარალელების გარშემო ნ. მარის ანტიმარქსისტული მოღვრების საფუძველზე, ცხადია, შეუძლებელიც იყო.

ა. სტალინის ფუძემდებელი ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ თავის უფლებებში აღდგა ფოლკლორისტიკაში მარის მიერ ყბადღებულ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით მიღებულია დადებითი დასკვნები მეცნიერების ამ დარგშიც.

ეჭვგარეშეა, საბჭოთა ფოლკლორისტიკის თეორიული პრობლემების შესწავლისათვის აუცილებელი პირობაა ხალხური სიტყვიერების მასალის მეცნიერული პუბლიკაცია—ამ მასალის თავმოყრა, სისტემატიზაცია და სათანადო მეცნიერული აპარატურით გამოკვლა.

გამოცემათა ზემოხსენებული სერიიდან ამ ორი წლის წინათ დაიბეჭდა მოზრდილი ტომი, რომელშიც თავმოყრილია თანამედროვე ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, შეკრებილი ელ. ვირსალაძის, ქს. სიხარულიძის, მიხ. ჩიქოვანის და აპ. ცანავას მიერ (მიხ. ჩიქოვანის რედაქციით). აქ არის დაბეჭდილი ხალხური ლექსები ჩვენი სოციალისტური ცხოვრების მრავალფეროვან მხარეებზე, ლექსები დღ ბელადებზე—ლენინზე და სტალინზე, ქართული ხალხის სათავე შეკრებილი—ამხ. ბერიძის.

ხალხური შემოქმედების გავება, როგორც ზედნაშენური კატეგორიისა, ჩვენს ყურადღებას

ამხვილებს საბჭოთა პერიოდის ზეპირსიტყვიერებაზე, რომელიც თვისებრივად ახალი ეტაპია პოეტური ფოლკლორის განვითარების ეტაპისაში, პრინციპულად განსხვავებულია ტომბრის რევოლუციამდელი ხალხური შემოქმედებისაგან, რამდენადაც ახალი ხალხური შემოქმედება აღმოცენებულია სოციალისტურ ბიზისზე.

ამ დებულების სათელსაფოვად ბევრი კარგი ნიმუშია მოცემული ქართული საბჭოთა ხალხური პოეზიის ამ კრებულში, რომლის მომდევნო ტომია სარეცენზიო წიგნი, არსებითად ესაა გავრცელება ამ წიგნისა, რომელიც გამოცემა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წელს სათაურით—„ქართული ხალხური ზღაპრები“, I ტომი (მიხ. ჩიქოვანის რედაქციით).

მეცნიერული აპარატურა პირველ ტომს არ ერთვის. ბოლოსიტყვიანობაში ნათქვამია, რომ ამ პირველ ტომს უნდა დართოდა გამოკვლევა დიალექტოლოგიური ლექსიკონი, საძიებლები და შენიშვნები. ტექნიკური მიზეზების გამო დასახული გეგმების მთლიანი განხორციელება წინამდებარე ტომში არ მოხერხდა. ამიტომ როგორც პირველის, ისე მეორე ტომის მეცნიერული აპარატურა მოთავსებული იქნება მეორე ტომში.

ამრიგად, ხალხური ზღაპრების 1938 წლის პუბლიკაცია ნაყოფიანია ამ მხრივ, რომ არ ახლავს მეცნიერული აპარატურა. ეს კი სავრძინობლად აბრკოლებს მასალის მეცნიერულად გამოყენებას.

სამუშაოდ, სარეცენზიო ტომსაც არა აქვს დართული სათანადო აპარატურა; მასში მოთავსებულია მხოლოდ შენიშვნები 1938 წლის (უნივერსიტეტის) გამოცემისა. ამრიგად, 1952 წლის გამოცემასაც აქვს იგივე ნაკლი, როგორც ჰქონდა 14 წლის წინათ გამოქვეყნებულ პირველ წიგნს.

გარდა იმისა, რომ არ არის დართული შენიშვნები და კომენტარები, სარეცენზიო წიგნში არ არის, აგრეთვე, მოცემული დიალექტოლოგიური ლექსიკონი, სადაც განმარტებული იქნებოდა ტექსტებში გამოყენებული იშვიათი (უმთავრესად დიალექტური წარმოშობის) სიტყვები და გამოთქმები.

სინიმშოდ აქ დავასახელებ სიტყვებს, რომლებიც განმარტებას მოითხოვდა: კაიო, აფშარო, ბედრეგანა, ბაფლი, ლოქ ფები, შეაყელოა, ლირთქლადღებელი, ბაბანი, გვევტილი, ტაფალა, ფარდალა, კერტისი ელავი, ურწყადები, უჯუნჯარეხებს, ოჯაჯადო, აიდავლა, ჯაფვლი, კოპაობა, ტუხი, ხარო, ნაშთალი, შუის დარა, ფეშევა, თამასაყევი, ზინთა, დასწველი, პუკალი, უშანი.

ეს არ არის სრული სია იმ სიტყვებისა, რომლებიც უნდა შესულყო დიალექტოლოგიურ ლექსიკონში, მაგრამ მინც შეიძლება ითქვას შემდეგ: ხალხური მეტყველების ტექსტებში, რომლებიც გადაშლილია 330 გვერდის მანძილზე, მოსალოდნელი იყო მეტი ლექსი კერ-ფრაზეოლოგიური მასალა. დიდიმეტრიის ნიმუშები მთელ წიგნში თითქმის სრულებით არა გვხვდება.

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „ტექსტების შერჩევის დროს მხედველობაში იყო მიღებული ერთიანი სალიტერატურო ენის განვითარების თანამედროვე ამოცანები“. იხადება კიბხა: ლიტერატურული ენის ნორმების მიხედვით მასალის გაჩაღებამ ზომ არ შეიწირა ტექსტის ზოგიერთი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური თავისებურება? ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ტექსტებს ალა-ალაჟ შერჩეობრული ენის შტამში ეტოვება ამან კი გამოჰყვენებულ მასალას რამდენადმე დაუკარგა ხალხური მეტყველების სურნალები და ბუნებრიობა.

ზაზგასძის ღირსია ის გარემოებაც, რომ ეს „შერჩევა“ თანაბრად როდე ჩატარებულა ყველა ზღაპრის მიმართ: ზოგ ტექსტს მეტი ენობრივ-სტილისტური ცვლილება განუცლია, ზოგს ნაკლები. ეს იმიტაც აახსნება, რომ სხვადასხვა პირია მასალის ჩამწერ-გამჩაღბავი. რედაქციული ერთგვარობა, ჩანს, ძნელად მოსაღწეოა.

ასე მაგალითად, ზოგ ზღაპარში ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური ხასიათის არც ერთი დიალექტური თავისებურება არა გვხვდება, ზოგში კი ასეთი ენობრივი თავისებურებანი ჭარბადაა წარმოდგენილი. ერთსა და იმავე ტექსტშიც ამ მხრივ თანმიმდევრობა არაა დატული. შეადარე, მაგალითად, „ზღაპარი ცხრა ყაჩაღისა“ (№ 143) სხვა ზღაპრებს.

ამრიგად, ტექსტებში აქა-იქ გვხვდება ტერმინოლოგიული დიალექტის თავისებურებანი.

ამ დიალექტური მოვლენების შესახებ ერთმეცნიერული თვალსაზრისით უნდა ითქვას შემდეგი: 1. ზმნის პირველი სერის თემატური ნიშნები ენაცვლებიან ერთმანეთს; 2. პრევერბისეული ა ემსგავსება ფუძის ე ზმოენს (სრული რეგრესული ასიმილაცია); 3. ე-ზე გათავებულ წყვეტილის ფორმას ემატება „ვი“ მარცვლი; 4 ს თანხმოვანი წარმოდგენილია იოტივ; ეს პროცესი ახასიათებს როგორც სახელებს, ისე ზმნებს (სახელებში — სუსტდება მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ზმნებში — სუსტდება შესამე პირის ობიექტური პრეფიქსი და შესამე პირის სუბიექტის მრავლობითობის მარცვენობის თანხმოვნითი ნაწილი); 5. ყრუელება ბოლოკიდური მშლერი თან-

ხმოვანი; 6. იკარგება წინადადებაში მიცემითის ნიშანი და ნათესაობითის თანხმოვნითი ნაწილი; 7. დატულია „დამ“ თანხმოვნითი ნაწილი; მარტყული ობიექტის მრავლობითი რიცხვითი მრავლობა თ სუფიქსით „სვე“ ნაწილიც ფუნქციით), რაც იმას მოწმობს, რომ აქც ნაწილიც ადგილას თ-ს გამოყენება და მხასიათებელი ყოფილა არა მხოლოდ გარეკაზმური, რაჭული და ზემოიმერული დიალექტებისათვის.

„შენიშვნებში“, სხვათაშორის, ლაპარაკი „რწყილი და კიანველას“ ტექსტის შესახებ, რედაქტორი წარმოვიდგენს ტექსტის ისტორიას და ასცენის, რომ „როგორც ჩანს, „რწყილი და კიანველას“ ჩანაწერი გოგებაშვილს ეკუთვნისო“. ეს მართალია: აკი თვითონ იაკობ გოგებაშვილიც აღნიშნავს, რომ ეს ზღაპარი მის მიერაა ჩაწერილი, ოღონდ ხალხურში ყოფილა „ტილი და რწყილი“. გოგებაშვილს ცვლილება მოუხდენია ცს ტექსტს დაბეჭდილია პირველ ტომში; შესულია, აგრეთვე, ელენე ვირსალაძის წიგნში: „რჩელი ქართული ხალხური ზღაპრები“, სახელგამი, 1949) ეფიქრობთ, ამა თუ იმ მეცნიერულ გამოცემაში „რწყილი და კიანველას“ მოთავსების დროს სპიკორა შენიშვნებში აღინიშნოს ის რედაქციული ცვლილებანი, რაც მოუხდენია იაკობ გოგებაშვილს ამ შესანიშნავი ზღაპრის მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სარეცენზიო წიგნში მოთავსებულა უშუაგვრად ფოლკლორული ექსპლიციების მიერ მოპოვებული მასალა. პირველი ექსპლიცია მოეწყო 1938 წელს სოფ. ივალთოში. ერთ ტიპურ სოფელზე დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ზღაპრულ ეპოსის ამ კეთებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და თავისი მიმზიდველობა არ დაუკარგავს არც აბლაგორდობაში და არც უფროს თაობაში. თავისი სიცოცხლის უნარიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საგნობო ფანტასტიკური ზღაპრები. 1947 წლის ყვარლისა და 1948 წლის თელავ-ახმეტა-სიღნაღის ექსპლიციების მიერ შეკრებილმა მასალამ ზემოაღნიშნულს დაკვირვება კვლავ დადასტურა.

აღსანიშნავია, რომ ექსპლიციის მასალა ასახავს ერთი და იმავე სიუჟეტის ევოლუციას ერთს და იმავე მოქმედის რეპერტუარში. 1948 წლის იმავე პიუბისაგან ჩაუწერაბათ იგივე ზღაპრები, რომელთა ფიქსაცია პირველად მოხდა 1938 წელს. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია — დამატების სახით — განმეორებითი ჩანაწერები. ამ ჩანაწერების შედარებით ანალიზა გვარწმუნებს, რომ მოქმედების რეპერტუარი გაფართოებულია და შეესებელი დამატებითი სიუჟეტური მომენტებით.



მის ზეგავლენის შესავალ წერილში („ქართული ზღაპართმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი“) სანიმუშოდ დამოწმებულია პარალელური ტექსტები — 1938-1948 წლების ჩანაწერები — და საველისძიო დასკვნებია მიღებული ხალხური შემოქმედების ნიმუშების ტექსტობრივი ცვლისა და ზღაპრის სიუჟეტური განვითარების თაობაზე. მართლაც, ზეპირსიტყვიერი ტექსტი დინამიკურია, შედმივ ცვალებადობას განიცდის, და ეს ცვალებადობა უმთავრესად ვაგუჯობებსაში, მხატვრული ნაწარმოების სრულყოფაში გამოიხატება: ზოგჯერ მისი დამსაყდნება, ასეთი შეცვლა შესაძლებელია როგორც ერთი მოქმედის პრაქტიკაში, ისე საერთოდ.

შეგრამ ერთი და იმავე მთავრის რეპერტუარის შედარებით შესწავლას გარკვეული დაბრკობები ეკლბება. საქმე ისაა, რომ, როცა ერთი და იმავე მოქმედისაგან სხვადასხვა დროს ვიწერო ერთსა და იმავე ზღაპრს, ყოველთვის არ არის ადვილებული შემწნეული განსხვავება (უმთავრესად ტექსტის ვანერცობა) აესნათ

„სიუჟეტური განვითარებით“. ღრს ერთსა და იმავე დროსაც მოქმელი ერთსა და იმავე ზღაპრს სხვადასხვანაირად არ მოქმედებენ. მავალითები ბევრია ამიტომ შეგებდა ჩემს სია ერთი შეცნირის სიტყვები, რომ, როგორც შევძლებელია ერთსა და იმავე ტალღაში ორჯერ შევეცადეთ, ისე შევძლებელია ერთი და იმავე ნაწარმოები ორჯერ მოვიმინოთ; მართალია, შეიძლება მდინარიდან სარწყულით წყლის ამოღება, მაგრამ მამან წინანდელი ტალღები აღარ იქნებიან.

შეუხედავად ზეპირსიტყვიერი ნაყოფანებისა, შეიძლება ითქვას, რომ სარეცენსიო წიგნი მნიშვნელოვანი შენაჩენია ქართული ხალხური სიტყვიერების დარგში, ამ დარგში ვამოცნათსერიის დაარსება და ჩვენი თვალთშედეგამ ზეპირსიტყვიერების მასალათ სისტემატური წესით შევაროვება-გამომწერება ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ზრდის მახვენებელია.

ზოთა კიბიზარი

ქართული რეალისტური ხასცენო ხელოცნების ფაქმდებელი



ქართულმა თეატრალერმა ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების დბოს არნახულ წარმატბას მიაღწია. ყოველწლიურად სახელმწიფო თეატრალერი ინსტიტუტი მრავალ ახალგაზრდა მსახიობს უშეებს ჩვენს სცენაზე სამიღვაწოდ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მეტად საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ საბიერებდნენ დრამატულ როლებს წარსულის საუცეთესო მსახიობები, როგორ მწნიდნენ სცენურ ტიპებს რა უნდა აეთვისოთ კრიტიკულად და რა უარყოფით მათი თეატრალერი შემოქმედებიდან.

ამ მხრივ ვამოცნობლა „ხელოვნებამ“ მეტად საპატიო და მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო. მას განზრახული აქვს ვამოცნეს წიგნების სერია სათაურით — „ქართული თეატრის მოღვაწეინი სასცენო ხელოვნების შესახებ“; თუ ვაითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი თეატრალერი ლიტერატურა მეტად დარბიბია ამგვარი ხასიათის წიგნებით, ეს წამოწეება უთყოფ მისასალმებელია.

ამ სერიის პირველი წიგნი დიდ ქართულ მსახიობს — ვასო აბაშიძეს მიეძღვნა.

ვასო აბაშიძე (1851 — 1926) ქართული თეატრის პირველი დიდი რეალისტი მსახიობია როგორც მხვილი მხეპკინი რუსული რეალისტური სასცენო ხელოვნების ფუძემდებელი. ისე ვ აბაშიძე — ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების ფუძემდებელია, სამწუხაროდ, ვ. აბაშიძის შემოქმედება არ არის მეცნიერულად შესწავლილი. სარეცენსიო კრებულს, ცხადია, არა აქვს პრეტენზია ამ ნაყლის შევცნებისა, შეგრამ მისი დირსება ის არის, რომ აქ პირველადაა თავმოყრილი არსებული დოკუმენტური მასალა ვ. აბაშიძის შესახებ. ვამოქმევენებელია დიდი მსახიობის თეორიული ნარკვევა — „სოცულ ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“, რომელიც პირველად გაბიერებაში“ დაიბეჭდა 1894 წლის № 171 და 172-ში, ხოლო მეორედ კრებულში — „ცხოვრების სარკე“ 1901 წელს. ამრიგად 50 წლის მანძილზე ეს შესანიშნავი შრომა დავიწყებას იყო მიცემული და მხოლოდ ახლა აღდგა იგი საბჭოთა მკითხველის წინაშე.

ვასო აბაშიძე, კრებული დ. კანელიძის რედაქციით და შესავალი წერბლით, ვამოცნობლა „ხელოვნება“, 1951.

ამ ნარკვევის გარდა კრებულში წარმოდგენილია ვ. აბაშიძის წერილები და სიტყვები, წერილები თვითონ ვ. აბაშიძის შესახებ და ნაწევრები ქართული ეურნალ-გაზეთებში მოთავსებული თეატრალური რეცენზიებიდან.

ვ. აბაშიძის ნარკვევს „მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მეტადრე ზენი თეატრალური ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი ხუთი თავისაგან შედგება: 1) სწავლა და განვითარება, 2) როლის მოშხადება და ვარჯიშობა (რეპეტიცია), 3) დაკვირვება, 4) დარჩევა შექსპირის მიერ მსახიობებისა. ტანისამობის, გრიში და 5) გამარჯვება სცენაზე. კრიტიკა.

ესაო აბაშიძის აზრით, „თეატრი ერთი საუკეთესო იარაღია ერის სულისა და გულის გასაშფეხნიერებლად, მისის ზნეობისა და ბუნების ესტეტიკური აღზრდისათვის“ (გვ. 51). თეატრი — ტრიბუნაა, საიდანაც ხალხს უნდა უქადაგო მაღალი იდეები, ამიტომ „აიღე ხელში დროსა სიმართლისა“ — მოეწოდებს ვ. ი. აბაშიძე მსახიობ — ქალს ეფეშა მესხს (გვ. 60). იმისათვის კი, რომ თეატრში შეასრულოს ეს დიდი საზოგადოებრივი მისია, საჭიროა იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი რეპერტუარი. გონიერი მსახიობი შეიძლება მხოლოდ კარგი რეპერტუარის წყალობით შემეშავდეს, — წერს ვ. აბაშიძე, — ითამაშეთ შექსპირის, შილერის, მოლიერის პიესებში გამოყვანილი ხასიათები, ავრთვეთ რუსულისა და ზენის დრამატული ლიტერატურიდან გრიბოედოვი, გოგოლი, ისტროვსკი, ვ. ერისთავი, რ. ერისთავი, ა. წერეთელი, ა. ცაგარელი, ვ. სუნდუკიანი“ (გვ. 42 — 43).

ნამდვილი შემოქმედების აუცილებელ პირობად ვ. აბაშიძეს მიანიჩა მაღალ დონეზე იყოს აყვანილი მსახიობის კულტურა და ტექნიკა. „თუ კაცი განვითარებული არ არის, რასაკვირველია, ვერც ვერას შეიგნებს და თუ წაიკითხული ვერ შეიგნავი, ვერ გაოგვ. უშეშველია ვერც წარმოადგენ კარგად“ (გვ. 31). მსახიობის შემოქმედებაში ემოციური და ტექნიკური მხარე ერთმანეთთან ორგანულ კავშირში უნდა იყოს. ვ. აბაშიძე დრამატულ ნაწარმოებს როდი განიხილავს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ სცენურად ვადაქმუნებისათვის გამოსადეგ მასალას. პირიქით, მსახიობის ამოცანას წარმოადგენს, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს დრამატურგის ჩანაფიჭრს, ნაწარმოების იდეა ორგანულად აითვისოს, „მსახიობის ხელოვნება იმას შეადგენს, რომ თავისის გარეგნობით წარმოგვიდგინოს ის ადამიანი, რომელიც ავტორსა ჰყავს პიესაში გამოყვანილი. ამიტომ მსახიობმა თამაშობის დროს, უნდა დაივიწყოს, რომ იგი

მსახიობია და მხოლოდ გეიმენოს და დაკტიტოს ავტორის მიერ შექმნილი ტიპი“ (გვ. 31).

აქვ. ცაგარელი თავის მოგონებაში აბაშიძის შესახებ შემდეგს წერს: „აბაშიძისაგან წარმოდგენილს ტიპს იმ სინამდვილეში მისულწყვია, რომ წარმოდგენის შემდეგ ხალხი თეატრის კარებში გაჩერებულა, აბაშიძე დაიწყვებია, და ეუდის იმ წყვეულს არუთინა ზიმშიოვის სცენონი! რამდენჯერ ვ. აბაშიძე ამხანაგებს თეატრის კარებიდან ვაუპარებიათ, როდესაც დაუნახავთ ადუღებული ხალხი შევრებილა „და აბაშიძისაგან წარმოდგენილ საძაგელ ტიპს უნდა სცენონი“ ა. ცაგარელი აქვე დასძენს „შეტი სინამდვილე შექმნილია“ (გვ. 110). ეს სწორედ ისაა, რასაც მიხ. შნეპკინიც მოთხოვდა მსახიობისაგან: «Итак, так сказать и кожу действующего лица» და შემდეგში დიდმა კ. სტანისლავსკიმ შესანიშნავად დაახასიათა ტ. სალენის ოტელოს როლში, რომ იგი „Итак, в кожу и тело Отелло“. ასეთია დიდი მსახიობების სცენური გარდასახვის ძლიერება.

მეგრამ იმისათვის, რომ ავტორის მიერ შექმნილი ხასიათი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი, არა კმარა მხოლოდ ნაწარმოების შესწავლა. აუცილებელია მსახიობმა იცოდეს ცხოვრება მის მრავალფეროვნებაში. „ნამდვილი მასწავლებელი დრამატული ხელოვნებისა არიან: ცხოვრება, პრაქტიკა და დაკვირვება“ (გვ. 36), ხოლო რაც უფრო ნიჭიერი და განათლებულია ხელოვნი, მით უფრო ღრმად და სწორად წარმოადგენს იგი ცხოვრებას სცენაზე. დაუღალავი შრომის, ცხოვრებაზე დაკვირვებისა და გვირის ბუნებაში ჩაწვდომის შედეგად არის შესაძლებელი, რომ მსახიობი „სცენაზე ცხოვრობდეს და არ არდგენდეს“ (გვ. 37). სცენაზე ცხოვრება, სრული გარდასახვა — იმ ვ. აბაშიძის სცენური შემოქმედებისა და თეორიული ნააზრევის დედაარსი.

იღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვ. აბაშიძე, როგორც მსახიობი, ისრდებოდა და ვითარდებოდა რუსული რეალისტური სკოლის ტრადიციებზე. ამიტომ ვასაკვირველი არ არის, თუ ვ. აბაშიძის ზოგიერთი თეორიული მოსაზრებანი ემთხვევა მიხ. შნეპკინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს თეატრალური ხელოვნების შესახებ. კ. სტანისლავსკიაც ხში ბევრი რამ ისემა შნეპკინის რეალიზმისაგან. „Старый друг в обществе, сколько позволит время, изучай человека в массе“, ასწავლის შნეპკინი მსახიობს — „Всматривайся во все слои общества“ და სხვ. ვ. აბაშიძე უფრო ვტილად ავითარებს ამავე აზრს: „დააკვირდით და თვალყური ადევნეთ ყველას და ყველგან, ტუნიშა და საზოგადოებაში, — მიმართავს იგი მსახიო-

ბებს, — დააკვირდით უფროსი როგორ ელაპარაკება მოხელეს, მოხელე უფროსს; როგორ უჭირავს თავი წარჩინებულს, მდიდარს, ღარიბს და სხვები როგორ ეპყრობიან მათ, როგორ იტანებენ მშვიდი და ვით არის კმაყოფილი მადლარი. დააკვირდით სახის გამოხატუებებს, მიხერა-მოხერას, ლაპარაკის ენოს. დააკვირდით როგორ დაიარება გლეხი და მებატონე, ვაჭარი, ზელოსანი, მხედარი და ცხადად დანიხავთ, რომ ყოველ მათგანს თავთავისი ჩვეულება და ხასიათი ჰქონია. ნერაფერს დასტოვებთ შეუმჩვენელად, ნერც ვრთს წყაროში, ეცდეთ შეთივისით ის, რაც უფრო თვალში განსხვავებულად გეჩვენებათ და, თუ შემთხვევად მოიტანა, სცენაზე წარმოადგინეთ" (გვ. 36 — 37).

კრებულის ფურცლებიდან ჩვენს წინ წარმოდგება ვ. აბაშიძე, როგორც თავისი დროისათვის უღრესად განსწავლული და კულტურული მსახიობი და საზოგადო მოღვაწე. მას დამუშავებული და შესწავლილი ჰქონდა დენი დიდროს „პარადოქსი აქტიორზე“, ბ. ზელენსკის თეატრალური სტატები, ლენინგის „პამბურგის დრამატურგია“, მიხ. შჩეპკინის „ჩანაწერები“, რუსულ ევრნალ „არტისტი“ და ბექელი ა. ლენსკის „შენიშვნები მიმიკასა და გრიმის შესახებ“ (1890 წ.), ტ. სალვინის „რამდენიმე აზრი სცენური ხელოვნების შესახებ“ (1891 წ.) და სხვა.

ვ. აბაშიძე არ იზიარებდა დიდროს დებულებას, რომ „მსახიობი უფრო ძლიერ მაშინ მოქმედებს, როცა დიდ ენებათა ღელვის დროს თვითონ არ არის გატაცებული“. მას მოჰყავს მაგალითები, რომ „უდიდესი არტისტები რამელი, რისტორი, მოსალოვი, სალვინი, როსი, ოლრიკი დიდად გატაცებული იყვნენ ხოლმე რამდენიმე დროს“ (გვ. 37). აღსანიშნავია, რომ ეს ზანჭბლივი კამათი მსახიობის ორი ტიპის შესახებ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში უკვე გადაწყვეტილია ე. სტანისლავსკის ვენიკალური მოძღვრების საფუძველზე. სტანისლავსკი ვაჟსწავლის, რომ „В настоящем искусстве водительство (на зрителей) происходит само собой. Оно основано на заразительности искреннего чувства и переживания“. პარპონიული შერწყმა ტეატრალურისა და ტექნიკის, განცდისა და გონიერების, ენებისა და ფაფის თავზე კონტროლის — აი საბჭოთა მსახიობის შემოქმედებითი პროცესის არსა.

მსახიობის აღზრდის ეთიკურ მხარეს ვ. აბაშიძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობდა. ყოველგვარი ინგაჩრება, უსულგულო, ზერადე და მოკიდებულება საქმისადმი, ერთბელ მოპოვებელი წარმატებით ტიპობა ენებს მსახიობის წინსვლას, ხოლო „სინდისიერად აღსრულება თავის მოვალეობისა საუკეთესო ნუ-

გვეთა მსახიობისათვის; იგია კვათობერი, რომელზედაც დფუძნებულია ყურადღებური ურთიერთობა“ (გვ. 37) და ყურადღებულ შრომა, სიყვარული თავისი პროფესიისადმი, მშობლიური ლიტერატურისა და ენისადმი — აი რა უნდა ახასიათებდეს ყოველ შემოქმედს. „მხოლოდ დაუღალავ შემოაბს და ცხოვრების დაკვირვებას შეუძლია შექმნას არტიტი ხელოვანი“. ვ. აბაშიძე დიდ ცოდვად უთვლის მსახიობს, თუ იგი დაუღვრობას იწენს აქტორის ტექსტისადმი რითაც მსახიობი შეუტაცოვს მსმენელ საზოგადოებას, აქტორს და საკუთარ თავსაც. „ყოველად შეუძლებელია კარგი თამაში, თუ როლი ზეპირად არ იცო, — წერს ვ. აბაშიძე, — უფრო მეტს ვიტყვით — როლის უცოდინარობა უსინდისობაა, შეუტაცოვდა ზელოვნებისა, აქტორისა, მსმენელ საზოგადოებისა და დამკვირება თვით თავის თავისაც“ (გვ. 34), ასეთი მომთხოვნი იყო დიდი მსახიობი როგორც თავის თავისადმი, ისე ყოველი მსახიობისადმი.

აბალი სალტერატურო ენის დამკვიდრების ერთნელ საქმეში ქართულ თეატრს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმ დროს, როცა ქართული ენა ყველა დაწესებულებიდან და სკოლიდან იდევნებოდა და როგორც ე. ჰავეაძე ამბობდა, „გზა არა გვაქვს, ჩვენი ენა ვისწავლოთ... ამისთანა საეალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სცენა, სწორედ ცის ნაში დამკნარა ყვეალისათვის“. ცხადია, ვ. აბაშიძე არც ერთ მსახიობს არ დაინებებდა ლიტერატურული ტექსტის ხელყოფას. „ქართული ენა ისეთი ეილიონი და დასტრატებული ენაა, განსაკუთრებით ზოგიერთ ნიჭიერ მწერალთა თხზულებებში, რომ არა თუ როლის უცოდინარობა, არამედ გადასხვაფერებაც კი დიდს ცოდვად და დამკრებად ჩაითვლება მსახიობის მხრივ“, — წერდა იგი.

დიდი მსახიობის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასახსიათებლად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1885 წელს ვ. აბაშიძემ დააარსა პირველი ქართული თეატრალური გაზეთი „თეატრი“. გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში ნათქვამი იყო: „უშობარებს მიზანი სალიტერატურო ასპარეზეზე ჩვენი გამოსვლისა იქნება თეატრის აღორძინებისა და მისი წარმატებისათვის შეეადინეობა“. გაზეთი ცდილობდა გზა ვაეკადა ქართული თეატრალური კრიტიკისათვის და თეატრის გარშემო შეექმნა საზოგადოებრივი აზრი. დასაწანია, რომ კრებულის შესავალ წერტილში არაფერია ნათქვამი ვ. აბაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. გარდა იმისა, რომ ვ. აბაშიძე 1885 — 1887 წლებში რედაქტორობდა ყოველკვირულ გაზეთ „თეატრს“, მან შეადგინა და გამოსცა „ჩანგი“, „პან-

თონი", მის კალამს ეკუთვნის შრავალი ნათარგმნი, გადმოცემული და ორიგინალური პიესა. კრებულში, აგრეთვე, არაფერია ნათქვამი, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ვ. აბაშიძეს ქართული ოპერეტის შექმნის საქმეში. ცნობილია, რომ 1882 წელს თბილისში დიდი წარმატებით დაიდგა ოფენბახის ოპერეტა „შეჯღისი იტალიელებით“ (თარგმანი ვ. აბაშიძისა). გაზ. „დროება“ აღტაცებით შეხვდა ვ. აბაშიძის ამ თეატრალურ წამოწყებას. ვ. აბაშიძე თამაშობდა სხვა ოპერეტებშიც, შავალითად ოდრანის ცნობილ „ნატურის თეატრი“ („მასკოტა“), რომელსაც ეწოდა ფალიაშვილი დირიჟორობდა (იხ. შ. კაშიძე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, გვ. 332 — 333).

ვ. აბაშიძე იყო მგზნებარე პროპაგანდისტი ქართველი და რუსი ხალხის თანამეგობრობისა. „თამაშეთ გრიბოდოვი, გოგოლი და ისტროსკი“, — მოუწოდებდა იგი ქართველ მსახიობებს. თერთნ ვ. აბაშიძემ ქართულ სცენაზე პირველმა შექმნა ფამუსოვის, ბლესტაკოვის, გორდინის, შშაგასი და კრეჩინსკის უცდავი სახეები. გაზ. „ივერია“ წერდა 1889 წელს: „ამისთანა ფამუსოვი და ლიზა, როგორც იყვნენ აბაშიძე და საფაროვი ბევრს სცენას დამშვენებდა არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენზე მეტად წარმატებულ ქვეყნებშიაც“. როდესაც დიდი რუსი დრამატურგი ა. ისტროსკი თბილისში ჩამოვიდა 1883 წლის 20 ოქტომბერს ქართული თეატრის მიერ მოწყობილ საზეიმო შეხვედრაზე ვ. აბაშიძემ თავისი სიტყვა სტუმრისადმი ასე დაამთავრა: „დიდად და დიდად ბედნიერი ვართ, რომ ჩვენ შეგვხვდა კვიყნეთ

თქვენთა კმნილებათა მეობებით შეამავალი ხნობარიის კავშირისა ამ [ურჩევლს] მჭირს, რომელთაც ბუერი აქვთ სტრატეგიაში“ და რომელთა შორის არსებობს ერთმანეთისადმი სიყვარული და თანაგრძნობა“ (გვ. 52).

სინტერესო მასალას შეიცავს კრებულის მესამე განთავსილება: „წერილები ეპო აბაშიძის შესახებ“. მკითხველი აქ გაიგებს, თუ რა აზრისა იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. ცაგარელი, ვ. გენია და სხვ. ვ. აბაშიძის ბელოვნების შესახებ. ი. ჭავჭავაძის აზრით, ვ. აბაშიძე ისეთი მსახიობი იყო, რომელსაც ჰქონდა ხასიათის ტიპურობამდე აყვანის ქვეშაირტი შემოქმედებითი უნარი. „შენ მიერ ზორცესხმული სასცენო ტიპები, — წერდა ილია, — რომელთა შვავისაც მხოლოდ თვით ცხოვრება აქლევდა და არა ავტორის კალამი, უცვდავად დარჩებოდა, რადგან ცხოვრება და შენი სასცენო მოღვაწეობა, ბუნებრივი სინამდვილე და შენი ამ ცხოვრების ნიჭიერად დასაბუთება ერთდროს არ ეწინააღმდეგებოდა. სული ერთი აქვთ“ (გვ. 101).

მთლიანად კრებული ნათელ წარმოდგენას იძლევა ვ. აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

კარგი იქნება, თუ გამოცემლობა „ხელოვნება“ არ დაკმაყოფილდება მხოლოდ ამ ერთი წიგნის გამოცემით და საზოგადოებას მიაწვდის მსგავს კრებულებს სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა შესახებ, რითაც საგრძნობ წვლილს შეიტანს იგი ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეში.

6. შუარაბანიძე

საქართველოს ისტორიის მიმოხილვითი



ისტორიის ინსტიტუტის ორგანოს შორივი ტომი მიძღვნილია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი.

კრებული იხსნება ი. ბ. სტალინის გენიალური შრომით: „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. შემდეგ წარმოდგენილია 27 შრომა საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგიდან.

„მიმოხილველი“, II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, 1951.

ნ. მახარაძის წერილი „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“ მიზნად ისახავს შეისწავლოს საკითხი საქართველოში საბუთათა ბელისფლებების დამარცხების შესახებ. ავტორი არცევეს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მომზადებასთან და თანმიმდევრობით გვიჩვენებს რევოლუციური ბრძოლის გზებს, რომლებმაც მიიყვანა საქართველო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე.

კრებულის შემდეგი წერილი — „ივანე ჯავა-

ზიგლიო და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში“ ეკუთვნის დოქ. გ. ლომთათიძეს. ავტორი დაწერილებით ახასიათებს აკად. ივ. ჯავახიშვილის როლს საქართველოს არქეოლოგიის განვითარებაში. ავტორი ჩერდება საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ეტაპებზე.

საქართველოს არქეოლოგიამ მტკიცე დასაყრდენი შექმნა საქართველოს ისტორიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მიღწევები საბჭოთა პერიოდში. მიუხედავად ამისა, საქართველოს არქეოლოგიას არ გააჩნია შემაჯამებელი ხასიათის ისეთი შრომა, რომელიც ამახვილებდეს ყურადღებას საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებზე. დოქ. გ. ლომთათიძის წერილი რამდენიმედ ავსებს ამ ხარვეზს.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ამავე კრებულში მოთავსებული შრომა აკად. ნ. ბერძენიშვილისა: „ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის“. ავტორი წერს: „ჩვენი ისტორიის თვალსაწიერი დღეს არქეოლოგიის მეშვეობით შეუდარებლად არის გაზრდილი. საქართველოს ისტორიის ძველი ეპოქების შევლევარი-მეცნიერები უღეს იძულებულია თავის ცვლვა — ძიების დეობაგეს წყაროდ არქეოლოგიური მასალა გაიხადოს“ (გვ. 341). ავტორი სრულიად სამართლიანად მიუთითებს „ისტორიკოსთა და არქეოლოგთა შვიდრო ორგანიზაციული თანამშრომლობის“ აუცილებლობაზე.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიას საქართველოს უძველესი ისტორიისათვის, ეს თუნდაც ამავე კრებულში მოთავსებულ გ. გობეჯიშვილის შრომიდანაც ჩანს: „სტალინის ნაკარგორა“. ნაკარგორის არქეოლოგიური მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება გათვალისწინება იმისა, თუ განვითარების რა საფეხურზე იდგნენ ქართველები 2—1 ათასწლეულში ძველი წელთაღრიცხვით.

როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში მთავარ როლს ასრულებს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეტალურგია (გვ. 275). ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურას, ერთი მხრივ, შვიდრო კავშირი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს, და, მეორე მხრივ, კავკასიისა და წინაზღის ეულტურასთან (გვ. 275).

კრებულში მოთავსებულია გ. ლომთათიძისა და ნ. გველიშვილის „თრიალეთში 1149 წ. მივლინების ანგარიში“. ავტორები წერენ: „ჩვენი უტრადლების არეში ემცეოდა ყოველგვარი არქეოლოგიური ძეგლი, რომელზედაც კი ხელი მივაყწედა და რომლის არსებობა ლიტერატურის მიხედვით ვიცოდით. ან იქაურებმა გვაუ-

ნობეს, ან კიდევ მოგზაურობისას თითონ შევაცელით“ (გვ. 315). მივლინება არქეოლოგიური მემოების ერთგვარ წინასწარ დაზვერვას წარმოადგენდა და სხვადასხვა უტრადლებს და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებს ეწვება. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ანგარიშში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ქვემო ქართლის ციკლოპურ ნაგებობებს.

ისეთილია რომ საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხი, პირველყოფილ-თემური წყობილება, სახელმწიფოს წარმოშობა და სხვა, შეიძლება შესწავლილი იქნეს ძირითადად ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაცემების მიხედვით. ქართული ეთნოგრაფიული სკოლა პროფ. გ. ჩიტაია ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მუშაობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ქართულ ეთნოგრაფიაში გაგვიჩნია რაიმე შემაჯამებელი ხასიათის შრომა. ეს კი აუცილებელია ჩვენი სამშობლოს წარსულის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მაგალითისათვის ავიღოთ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პრობლემა, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს ისტორიკოსისა და იურისტის მიერ. მაგრამ სახელმწიფოს წარმოშობა, თავის შრივ, ხალხის ეთნოგენეზის საკითხის შესწავლას თხოვლობს. უკანასკნელი კი ეთნოგრაფიის საგანს წარმოადგენს. გარდა ამისა, სახელმწიფოს წარმოშობის შესასწავლად საჭიროა გამოიკვეთილი იქნეს ამა თუ იმ ხალხის განვითარების საფეხურები, მისი ეულტურა, რის შესახებაც ცნობებს გეოგრაფიკულ არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ნემიზმატიკა და სხვ. დარგები. მაშასადამე, ისტორიკოსი ან იურისტი, რომელსაც საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის შესწავლა ეზბდება, აუცილებლად არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მონაცემებს უნდა დაეყრდნოს, და რადგანაც საქართველოს არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიას შეჯამებითი ხასიათის შრომა არა აქვს, ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შემსწავლელი იძულებულია არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების თითოეული შრომა ცალ-ცალკე შეისწავლოს, ასეთი შრომების რაოდენობა კი თანდათან დიდდება და ამდენად მათი შესწავლის სამეცნიერო რთულდება.

პროფ. გ. ჩიტაია შრომაში — „ქართული თორნე“ — იმ დასკვნაზე მიდის, რომ ქართული თორნე ამიერკავკასიისა და წინა აზიის ძველი მოსახლეობის კულტურის საგანძურს ეკუთვნის. ავტორის აზრით, „საქართველოში თორნე დაკავშირებულია წყობილობის მქონე პერეულთან და საქართველო პერეული მცენარეების უძველესი სამშობლოა, სადაც პურის ჯიშების ყველაზე უფრო მეტი რაოდენობაა

შემონახული, მოგან ექვსი სახეობა ენდემიურია, ქართული ხალხური კერამიკა ტოლოგიურ მთლიანობას ამჟღავნებს თავის შიგნით, ხოლო მკიდრო კავშირშია ძველ ქართულ კერამიკასთან, და შორს მიმავალი ანალოგებით ძველი წინააზიის კერამიკასთან. იმადგმა საკითხი, ხომ არ არის თორინის წარმოშობის კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში საქმბარი? (გვ. 383 — 384). შესაძლებელია ასეთი დასკვნა კიდევ საჭიროებდეს დასაბუთებას, მაგრამ თავისთავად ის შეტად მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლოს წარსულის შესწავლისათვის.

რ. ხარაძის შრომები განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. შრომაში — „ხევსურული ანდრუხი — ხალხური სამართლის წყარო“ — ნახვებებია ჩვეულებითი სამართლის ნორმების წარმოშობისა და განვითარების პროცესი. ავტორს საინტერესო მასალა აქვს მოტანილი უკლასო საზოგადოებაში ადამების ჩამოყალიბებისა და მათი შენახვის წესებისათვის. უკლასო საზოგადოების ზოგიერთი ადამი განვითარების განსაზღვრულ საფეხტრზე შესაძლებელია კლასობრივი საზოგადოების ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქცეს. ავტორი აღნიშნავს, რომ „წინდისა“ და „შეკვლობის“ ინსტიტუტებს შორის მკიდრო კავშირი არსებობდა (გვ. 394). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქართველო გამოიყარის არ წარმოადგენს, რადგანეც მრავალი ზღვის ისტორიაში სწორედ ასეთ-სავე მოვლენას აქვს ადგილი.

ავტორი აღბათ პირობით ზმარობს ტერმინებს — „ხალხური სამართალი“ „თემური სამართალი“. მაგრამ მინც არ არის სწორი. მარქსის განმარტებით, სამართალი არის გაბატონებული კლასის ნება კანონად ქცეული; მასთანავე. უკლასო საზოგადოებაში სამართალი არ არის („ხალხური“ ან „თემური“ სამართალი არ შეიძლება არსებობდეს).

აღ. რობაქიძე თავის შესანიშნავ შრომაში — „მოღვაში როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციურ საქართველოში“, ავითარებს იმ აზრს, რომ მოღვაშის ინსტიტუტი პირველყოფილ-თემურ წყობილებაში დებულობს სათავეს, ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში იცვლის შინაარსს იმ მხრივ, რომ ის ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმად ხდება. უკლასო საზოგადოების ინსტიტუტის გადაქცევა კლასობრივი საზოგადოების ინსტიტუტად შრომაში დამაჯერებლად და დასაბუთებულად.

კრებულში მოთავსებულია თ. ოზიურის შრომა „ხევსურული მთიბლური სიმღერა — გვირინი“. ავტორის აზრით, მთიბლური ლექსების საერთო სახელწოდება „გვირინი“ იმაზე მოუთითებს, რომ მთიბლური ლექსები გენეტურად

კერად სამგლოვიარო ლექსებს ეკუთვნის.

მ. გეგეშვიძის ეყუთენის შრომა „სამშობლოს უძველესი სახეების საკითხის შესწავლის დაწერილებით შეესწავლია ქართული ხალხური საზოგადოების ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღლია საინტერესო დასკვნები. ავტორის აზრით, „ენობრივი შეხვედრები ქართული და სუფერული საზიდის სახელწოდებებისა არ უნდა იყოს შემთხვევითი“. და ამ შეხვედრებს „შეიძლება გენეტიკური კავშირის შინაარსიც ჰქონდეს“ (გვ. 452).

ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას მიზნად დაუსაბავს ახალი ყოფის, საპოთა წყობილების დროინდელი წესწვეულების შესწავლა. ამის შესაბამისად კრებულში წარმოდგენილია კოლექტიური შრომა (გ. ზიტაია, მ. გეგეშვიძე, თ. ჭყანიანი) სათავეში: „ახალი ყოფის გორის რაიონის სოფ. თორტიზის კოლმეურნეობაში“. ამ სოფლის საკოლმეურნეო ცხოვრებიდან დამუშავებულია ორი საკითხი: მიწათმოქმედება და საქორწინო-ოჯახური ურთიერთობა. ამ ორი საკითხის მავალითვე ავტორები ცდილობენ გვიჩვენონ სოფელთა ყოფისა და შეგნებაში მომხდარი ცვლილებები.

კრებულში გამოქვეყნებულია ავრთვე აკად. ნ. ბერქინშვილის ნაშრომი: „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი)“. ავტორი ამტკიცებს, რომ „ავარანი“ თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ადგილებს (შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი) ეწოდებოდა. ეს ადგილები ითვლებოდა მეფეებისა და მღალი არისტოკრატის სასახლურ რეზიდენციებად. გარდა ამისა, ავარი ეწოდებოდა აწინდელი კოჯორის ციხეს. წამოყენებული დებულებები ავტორს შესაძლებელი სისტემით აქვს დასაბუთებული.

ტ. ხენდაძე თავის ნაშრომში „გზეთი დროება“ და თბილისის სასელიერო სემინარია“ მიზნად ისახავს გააქციოს თუ როგორ იყოს ახახული გარ. „დრავის“ ფერცლებზე თბილისის სასელიერო სემინარიის ცხოვრება. მაშინდელი ქართული საზოგადოება დანტერესებული იყო თბილისის სემინარიის ბუდით. ამ სასწავლებელში მიიღო განათლება მრავალმა ქართველმა მოღვაწემ.

აქ სწავლობდა დიდი სტალინი.

ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ მაშინდელი სასელიერო სასწავლებლებში „გემნაზიებისა და რეალური სასწავლებლებისაგან განსხვავებით“, სწავლობდა „ქართველი ზღვის შედარებით დაბალი ფენის ახალგაზრდობა“ (გვ. 61).

სარეცენზო წიგნი მოთავსებულია დოკ. მ. მესხის წერილი „საქართველოს ქალაქებს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. აკად.

ფ. ჯავახიშვილის შრომის შემდეგ, რომელიც გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო წყობილებას ეხება, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მეორე შრომაა, რომელიც მოქმედდება. ფეოდალური საქართველოს ქალაქებს. დოც. შ. მესხიას ეს ნარკვევი ფრიალ სერიოზულ შრომას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის იწვევს შენიშვნებს: 1) ავტორის აზრით, „ქონება“ ძველ ქართულ მწერლობაში „ყერძო საყთობებს“ კი არ ნიშნავდა, არამედ მფლობელობას“ (გვ. 90); ეს აზრი სწორი არ არის. ავტორს ამავე შრომის სხვა ადგილას მოჰყავს მავალით, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მის მიერ წამოყენებულ დებულებას. შიომღვიმის მონასტრის თერძზე, ქალაქ თბილისში „ქონება“ ჰქონია; მონასტრის თბილისში შეუძენია სავაჭროები და სხვ. ავტორი განმარტავს: „მონასტერი ქალაქში ტონებას იძენდა არა მარტო შეწირულების გზით, არამედ შესყიდვითაც, მოგებით“ (გვ. 104); გიორგი III მონასტრის „საქონებელნი“ გაუთავისუფლებია ბაქებისაგან (იქვე). თუ შიომღვიმის მონასტერი, მის მიერ შექმნილი „ქონების“ მხოლოდ მფლობელია, მაშინ ამ „ქონების“ შესაკეთებ ვინ არის? ჩვენს შრომაში — „საქონებების უფლებას ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში“ ეს საკითხი დაწვრილებით გადაშუქეთ და ვერჩევით, რომ „ქონება“ და „მფლობელობა“ ერთი და იგივე არ არის. 2) ავტორი ავითარებს იმ აზრს, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში „ქალაქი, მისი მმართველობა მეფის ხელისუფლებას დაუქვემდებარებ“ (გვ. 491); გამოდის რომ, გვიანფეოდალურ საქართველოში მეფე თანდათანობით იმპარჩილებს ქალაქებს. შუა საუკუნეების ისტორიაში, საერთოდ, ცნობილია, რომ ქალაქების დამორჩილებას მეფის ხელისუფლებას გაძლიერება და აბსოლუტიზმის დაწყება მოსდევს. საქართველოში ამ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. როგორ მოხდა ქალაქების დაქვემდებარება მეფის ხელისუფლებისადმი, ახსნილი არ არის. 3) ავტორს სათუოდ მიაჩნია დებულება, რომ ყოველ ფეოდალურ ინსტიტუტს იმენიტუტი ახასიათებს, ფეოდალური ინსტიტუტისათვის სწორედ ეს არის დამახასიათებელი, რამდენადაც ის ფეოდალურია და არ გადაკვარება, ამდენად მას ამა თუ იმ ხარისხის აბენიტუტი ვაჩინა უქვეყლად.

პროფ. ი. ცინცაძის წერილი — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან (XVII ს.)“ მიზნად ისახავს დახასიათოთ თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა და მისი დიპლომატიური ნიჭი. ავტორის დასაბუთება დაწყებულია.

დოც. ვ. გაბაშვილი თავის შრომაში — „სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიან-

ფეოდალურ საქართველოში“ — მრავალმხრივად განიხილავს საკითხს ავტორი არკვეს, რომ ვეზირი, მესტრფი და მენში (ქვეყნის მფლობელი) ქართლში ირანის მოხელეებთან ერთად მთავრობდნენ დასახსიათებლად ავტორს მოჰყავს მთელი რიგი ცნობები როგორც ქართული, ისე ირანული წყაროებიდან და არკვეს ამ მოხელეების ფუნქციებს. შრომას აქვს ნაილი.

ავტორი ვახუშტის ავტორაფის მიხედვით ასწორებს ვახუშტის გამოცემის იმ ადგილს, სადაც ბატონიშვილს საუბარი აქვს მოხელეების შესახებ. გამოცემაში წერია: „არამედ კვლად უიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მესტრფი და მენში“, ავტორაფში კი „უიზილბაშთა რიგს“ ნაცვლად წერია „უიზილბაშთა რიგის“. დოც. ვ. გაბაშვილის ეს შესწორება მართებელია და მნიშვნელოვანია, მაგრამ ტექსტის ამ შესწორებას არ უნდა ჰქონდეს გადაჭრული მნიშვნელობა ვეზირისა, მესტრფის და მენშის სახელების შინაარსის გამოსარკვევად. რომ ეს ასეა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ თვითონ ვ. გაბაშვილი, ნ. შენგელაია და სხვებიც ხსენებულ ტექსტის წინადადული წყაროებიდან ჩამოთვლილ მოხელეებს ირანის მოხელეებად თვლიდნენ. ავტორი აკრიტიკებს იმათ, ვინც არ იზიარებს ვახუშტის აზრს, რომ ვეზირი როსტომის დროიდან არის შემოღებული. ვახუშტის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ვეზირი XI — XIII საუკუნეების წყაროებშია დამოწმებული. ვახუშტის ეს კრიტიკა, რასაკვირველია უმართებელია, მაგრამ ვახუშტის ერთი ასეთი გამკრიტიკებელი თვითონ დოც. ვ. გაბაშვილიც იყო (იხ. ვინიქის შოამზე XIII, 1943). ამის შესახებ კი ავტორი ახლა არაფერს ამბობს. ამასთან დაკავშირებით გამორკვეული უნდა იქნეს საკითხი გვიანფეოდალურ პერიოდში იმერეთსა და სამეგრელოში არსებული ერთი ვეზირის ინსტიტუტის შესახებ. თუ ქართლში ვეზირი ირანის მოხელეა ეპისალური ქართლის სამეფოში, რა პროფილი აქვს იმერეთის ვეზირს? ამ საკითხის გამორკვევამ შეიძლება სხვაგვარად დააყენოს ვეზირის სახელის საკითხი.

დოცენტი ვახაშვილი წერს: „ხარკით თუ გადასახდით სარგებლობა სეფიანთა ერანში, ისევე როგორც აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული“ (გვ. 162). ხარკი (ZAM) საყოველთაო ხელისუფლების სასარგებლოდ გათვალისწინებული გადასახდელია, გადასახდით კი სახელმწიფოს შინაგანი გადასახდელია. პირველს არა აქვს კავშირი მიწისმფლობელობასთან.

დოც. ი. სოსელიას დებულება — მთავარი დამოუკიდებელი მფლობელია („სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის“) სწორია, მაგრამ მთავარი ყოველთვის არ არის „ყოფილი

ერისთავი“ (გვ. 173), როგორც ამას ფიქრობს ავტორი.

მ. ლორთქიფანიძის შრომა „თბილისის საამიროს ისტორიიდან“ საქართველოს ისტორიის ნაკლებად გამჭქებულ პერიოდს ეხება და მნიშვნელოვან საკითხებზე უხასუხებს.

გ. შელიძეშვილის შრომაში „უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე“ არკვევს დიავხის სამეფოს მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, ამ სამეფოს წარმოშობას და მის განვითარებას. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და მისი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესწავლისათვის.

ალ. გამყრელიძე შრომაში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის“ ეხება ამ წყაროს ერთ სიტყვას „ბერეთანი“ და ამტკიცებს: ეს სიტყვა უცვლელად უნდა დარჩეს, რადგანაც ის ხალხის სახელია და ტექსტშიც თავის ადგილასაა.

ირ. ციციშვილის შრომა „ქრისტიანობის“ სარტეპტორული კომპლექსი“ ქვემო ქართლის XIII საუკუნის ერთ სამონასტრო ანსამბლის ანალიზის შედეგად საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ შუასაუკუნეების მსხვილი სამეურნეო ერთეულის ნაგებობანი.

ამათ გარდა წიგნში მოთავსებულია ნაშრომები: ნ. უგრელიძისა („ფარშავანგის გამოსახულებით შემკული შინის კურკული სამთავროდან“), თ. ყაუხჩიშვილისა („ზოგი ქართული ზელნაწერის ბერძნული შინაწერი“), შ. ბურჯანაძისა („ბესიკის დაბადების თარიღი“) და პროფ. ა. ფირცხალაიშვილის რეცენზია („შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე“).

პროფ. იმ. სურგულაძე

საუხრადღებო ბიბლიოგრაფიული ნაშრომი



„ტექნიკა და შრომა“ გამოცემა კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამზადებული საყურადღებო ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ტ. II“. ნაშრომი მოიცავს გაზეთებში „დროებას“ (1866 — 1885 წ.წ.) და „შრომაში“ (1881 — 1883 წ.წ.) დაბეჭდილი სტატიების ანალიტიკურ აღწერილობებს.

საჯარო ბიბლიოთეკის გარკვეული მეშაობა აქვს ჩატარებული ქართული პერიოდული პრესის დამუშავებასა და საცნობარო ხასიათის მეცნიერული ნაშრომის გამოცემის საქმეში, რითაც იგი დიდ სამსახურს უწევს პარტიულ, საბჭოთა, სამეცნიერო დაწესებულებებს, ცალკეულ მეცნიერებს, მკითხველთა ფართო კონტინენტს.

გაზეთი „დროება“ თითქმის პირველი ქართული გაზეთია, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესასწავლად. მანამდე არსებული გაზეთები უმთავრესად საუწყებო ხასიათისა იყო. ასევე, დასაყრდენი საქართველოსათვის პირველი ქართული გაზეთი იყო „შრომა“, რომელიც 1881 — 1883 წ.წ. გამოდიოდა ქუთაისში ოა ფართოდ აშუქებ-

და პოლიტიკურ, ლიტერატურულ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებს. ამ ორი გაზეთის არსებობა დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული პრესის ისტორიაში. ასე რომ, საყურადღებოა და ადინშნული წიგნის ბოლოსიტყვაობაში: „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთების შესწავლას. შეიძლება ითქვას, რომ იქ დაბეჭდილი სტატიას თუ ცნობებს, ხშირად ისტორიულ პირველ წყაროს, ბეჭდური დოკუმენტის ან და გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის ანალოგიური მნიშვნელობა აქვს“.

წიგნში მოთავსებულია 13827 ლიტერატურული წყაროს აღწერილობა, მასალა განლაგებულია საკითხების მიხედვით. განლაგება უთუოდ პირობითია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის მხედველობაში მიუღია მკითხველთა ინტერესები. მკითხველს საშუალება ეძლევა იპოვოს მისთვის საჭირო მასალა ამა თუ იმ განყოფილებაში ან ქვეგანყოფილებაში. წიგნის სულ 23 განყოფილებაა. პირველ ადგილზეა წამოწეული მასალები, რომელშიც ასახულია რევოლუციური მოძრაობა. ეს განყოფილება („რევოლუციური მოძრაობა“), ისე როგორც ყველა სხვა განყოფილება, დაყოფილია კონკრეტულ ქვეგანყოფილებებად. ასეთებია, მაგალითად, რევოლუციური მოძრაობა. რუსეთში, რევოლუ-

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ტ. II).

ციური მოძრაობა უცხოეთში. სრულიად სამართლიანად ცალკე ქვეთავად არის გამოყოფილი პირველი ინტერნაციონალი (1864—1872 წ.წ.). ბიბლიოთეკას კიდევ უფრო მეტი დეტალიზაცია მოხდენია მე-3 განყოფილებაში (ინსტრუქცია, რეგლამი). ამ განყოფილების მასალები იმ ქვეგანყოფილებაშია წაღებული, სადაც უფრო ზუსტად, სწორად არის გადმოცემული საერთო თემის სპეციალური საკითხები.

მაგრამ მხოლოდ ასე, ამ წესით მასალების განლაგებით როდი შეიძლება მიზნის მიღწევა, — რომ ზუსტად მოქმედოს მეთხველმა მისთვის საინტერესო წყარო. საერთაშორისო წიგნში აღწერილობები დემიფირებულია, ე. ი. გახსნილი, კონკრეტირებული. მაგალითად, წიგნის პირველ განყოფილებაში — „რევოლუციური მოძრაობა“ პირველ ნომრად აღწერილია კოჩესპონდენცია — „ამავე რუსეთიდან“, რომელიც მოთავსებულია „დროების“ 1866 წლის 23 სექტემბრის № 30-ის პირველ გვერდზე. მართალია რევოლუციური მოძრაობის განყოფილებაში ამ მასალის მოთავსება თავისთავად ლაპარაკობს მის შინაარსზე, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მეთხველმა ზუსტად გაიგოს — სახელდობრ რომელ ენაზეა წერილი საკითხის ანუ ქმნის იგი. სწორედ ეს მიუღია მხედველობაში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებსა (ს. ევლი — ქუტიძე, ნ. ლარტყიფანიძე) და წიგნის შედგენაზე მომუშავე სპეციალისტებს (თ. მაჭავარიანი, თ. დონდუა, ვ. მელაძე და სხვ.), როდესაც № 1-ის აღწერილობა ასეა გახსნილი: „ამავე რუსეთიდან“ [დოკ. კარაკოზოვის ჩამობრუნება]. აღწერილობა № 5 ასეა: „5 დღიური. [150-ის პროცესის“ დოქუმენტი. ბრალდებულითა შორის: ივ. ჯანაძარი, შიხ. ჩიკვაძე, ანთ. ვაყარელიძე, ალ. ციციშვილი, გ. ზდანოვიჩი და სხვა]. (დრ. 1877, III, 6, № 26, გვ. 1—2)“. ამავე წესით არის გახსნილი აღწერილობა № 6 და ყველა სხვა, რომლებიც დემიფირაციას საჭიროებენ.

მაგრამ ისეთი აღწერილობა, რომლის სათაური თავისთავად ეუბნება მეთხველს, თუ რაზეა ლიტერატურულ წყაროში ლაპარაკი, მაგალითად, აღწერილობა № 7 „ვერა ზანელიძის საქმე, ლენ.—აბ. ტრუპოვის მოკვლის განზრახვაზედ“, აღწერილობა № 117 „არღვეთისკი, ოსუბ. ერეკლე მეფის ამავე მთაზედ, რომ იმყოფებოდა“ და სხვა მისთანები ყოველგვარი დემიფირაციის გარეშე არის აღწერილი (სხვათი აღწერილობები ძალზე მცირეა).

გაზეთ „დროების“ ფურცლებს ამშვენებდნენ ისეთი ქართული მოღვაწეები, როგორიც არიან: ა. შავჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვა. დიდი ნაწილი გაზეთ „დროების“ და „შრომის“ კორესპონდენციებისა იბეჭდებოდა ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით. ძალზე ბევრი ფსევდონიმი და კრიპტონიმი ახლაც ამოუნსწელია, ხოლო, რაც გახსნილია, იქაც სხვადასხვა სახის მხედველობა შეცდომა.

წიგნის შემდგენლებს დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ ფსევდონიმ-კრიპტონიმების გახსნაშიც. ბიბლიოთეკის განკარგულებაში მყოფმა ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომპლექტებში, თვით „დროების“ საარქაევო ცალბემა (დაცულია ბიბლიოთეკაში), ან კომპლექტებში, რომლებიც ბიბლიოთეკამ მიიღო „დროების“ მომწერეთაგან (მათ ახსოვდათ ვინაობა ამა თუ იმ სტატიის ავტორისა), გაუადვილა შემდგენლებს მუშაობა და ცნობილი გახდა კიდევ მრავალი სტატიის ავტორთა ვინაობა.

ამავე დროს, როგორც ბიბლიოთეკაშია ნათქვამი, მუშაობის პერიოდში „გამოვლინდა მიუწევებელი სტატიები ალ. ნანეიშვილის, სოფ. მგალობლიშვილის, გრ. ყოფშიძის და სხვ. ნ. ნიკოლაძის სტატიები მთლიანად დადგენილ იქნა მისი პირადი არქივის მიხედვით. მუშაობის პროცესში გამოვლინდა სერგეი მესხის დაეწეებულ ფსევდონიმები „ლაზარე მესხილი“, რომელიც ის გამოვიდა საწერლო ასპარეზზე 1868 წლ...“

ბიბლიოთეკის მუშაობის პროცესში მჭიდრო კავშირი დამყარებია ცალკეულ მკვლევარებთან, რომელთა დახმარებით (ბიბლიოგრაფიული ნაშრომის ბეჭდვის პერიოდში) შესაძლებელი შეიქმნა ვასწორებელიყო ის შეცდომები, რომლებიც აქამდე იყო დაშვებული. მაგალითად, დავით მიქელაძის ფსევდონიმად აღიარებული იყო დ. ზურაბიშვილი. სოლ. ცაიშვილმა დაადგინა, რომ დ. ზურაბიშვილი არის ფსევდონიმი დავით ჩქორტეასი; ა. გრიშაშვილის გაუხსნია ი. დავითაშვილის და ცაგარის ფსევდონიმები, ტრ. ზენდაქის — ანთ. ჯუღელის და სამსონ ყიფიანისა, სოლ. ცაიშვილს — ნიკო დადიანის და გრ. დადიანისა, თ. სახოკიას — ა. ჭავჭავაძისა და სხვ.

წიგნის დართული აქვს სხვადასხვა სახის საძიებელი: 1. პირთა სახელების (ეარსკვლევაებით აღნიშნულია ფსევდონიმები); 2. გეოგრაფიულ სახელოთა; 3. ქართული თეატრის რეპერტუარი; 4. რედაქციისა და საზოგადოებების საძიებელია.

მოუხედავად იმისა, რომ წიგნის განყოფილებები და ქვეგანყოფილებები დიდი მოფიქრებით არის შედგენილი, ისინი მაინც იწვევენ შენიშვნას. ჩვენი აზრით, ზელოვნურად არის გათიშული რევოლუციური მოძრაობა და ინსტრუქცია (მათ შორის არის ფილოსოფია — ეთიკა), თვით რევოლუციური მოძრაობა დაყოფილია: 1. რევოლუციური მოძრაობა რუსეთში,

2. რეკლამური მოზაიკა უცხოეთში,
3. პირველი ინტერნაციონალი. პარიზის კომუნა კი მოთავსებულია ვანოფილება „ისტორიაში“. — საფრანგეთის ისტორიის ქვეგანყოფილებაში. VIII განყოფილება არის პუბლიცისტიკა, შინაური მიმოხილვა, კორესპონდენციები, საგარეო მიმოხილვა. ქვეგანყოფილება „პუბლიცისტიკაში“ ასეთ აღწერილობას ვხვდებით: „3395, თბილისი, 21 ივნისს. [სისხლის სამართლის კანონების გაერცლება თერგის მაზრის მცხოვრებლებზე] („დრ“. 1883, VI, 22, № 118, გვ. 1)“. ასევე და ეს აღწერილობა შემდგენლებს ვადაცნაო ვანოფილებაში „სამართალი“. აღწერილობა № 3418: „კორტი. ამოთბა [ქეთათის ქალაქის თეთომართელობის მუშაობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი] („დრ“. 1878, III, 16, № 55, გვ. 1—3)“ უნდა ყოფილიყო „ქეთათის ქალაქის მართელობაში“ (XI განყოფილების მე-4 ქვეგანყოფილებაში), „3435. [შესხი სერგი], ს. შ. ახალი წელიწადი [სამშობლოს ენისა და ეროვნული შევრების დაცვა] („დრ“. 1878, I, 3, № 1, გვ. 3; № 1, გვ. 1—2)“ უნდა მოეთავსე-

ბინათ „ეროვნულ საკითხში“ (IX გვ. ქვეგანყოფილება 2), და ა. შ. **გარკინსკი** ბენდოვანია ვანოფილებაში „ეროვნული ურწუნობა“, მე-13 ქვეგანყოფილება — კორესპონდენციები სოფლის მეურნეობის შესახებ. ამ განყოფილებაში მოთავსებული მასალები უნდა ყოფილიყო განაწილებული სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების (მეშენებლობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა...) მიხედვით, მაგრამ ეს ნაკლი არ ამცირებს იმ დიდ მუშაობას, რაც გაკეთდა ამ შესანიშნავი ნაშრომის გამოცემით.

წიგნი ტექნიკურად ცუდადაა გამოცემული. ასეთი დიდი მოცულობის წიგნი (1037 გვერდი) უნდა უფილიყო აქვობილი ანა 7 X 11 ფორმატზე, არამედ 10 X 14, და ისიც ორ სვეტში. წიგნი დამუჭილია სხვადასხვა ხარისხის კაღზე, აჭრებულაა შრიტით.

„ქართული ვაჭრების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ტ. II-ს გამოცემით საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკამ სასარგებლო საქმე გააკეთა.

3. გომოლავი

ნაკვეთი კომუნის დიად მუშაობაზე



„ის რაც საბჭოთა კავშირში კეთდება, ყველა ზღაბრული გმირისა და დევნილის ფანტასტიკურ მამაცობას აღემატება“. ვლადიმერ ბურჯანაძეს აღეჭი მაქსიმეს-მე გორკის ეს სიტყვები თავისი წიგნის შესავალ ნაწილში მოყავს. გორკიმ ამ ორ სტრიქონში ნათლად გამოხატა საბჭოთა ხალხის დიადი საქმე და შეუპოვარი შრომითი სიმამაცე, ხალხისა, რომელმაც ვანელილი სტალინური ზეთულებების მანძილზე არაერთი გიგანტური ქარხანა ააგო, ააშენა ქალაქები და სოფლები ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის შორეულ და შივარდნილ კუთხეებში, ტიბეტში და უღამონებში, დააშრო კაობები, ააგო სარწყავი არხები, ჰიდროელექტროსადგურები, ზიდები, გააყვანა გზები, შეუცვალა სახე ბუნებისა. საბჭოთა ხალხმა ძველი ტექნიკური ნორმები ვადაყიარა თავის საწარმოო პრაქტიკაში და სრულიად ახალი ნორმები დაადგინა. საბჭოთა ხალხის ბეგრ სასახელო შვილს ათი-ათხუთმეტი

ვ. დ. ბურჯანაძე, „კომუნის დიად მუშაობაზე“. სახელგამი. 1952

წლის გვემა წინასწარ აქვს შესრულებული და ახლა 1970 წლისათვის მუშაობს. საბჭოთა ხალხმა დროს ააგო, მისი ოცნებები, ზრახვები, გვემები და შრომა ყოველგვარ ფანტასტიკურ მამაცობას აღემატება.

ვისელი წლის 27 ივლისს მრავალმილიონიანმა საბჭოთა ხალხმა დიდი ზეიმით იდღესასწაულა კომუნის დიადი მუშაობის პირმშობის ვ. ი. ლენინის სახელობის ვლადიმერის სახლისი არხის ვასნა. საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით და ენერგიით აშენებს სტალინგრადის და კუბინევის ჰიდროელექტროსადგურებს, თერქმენეთის შივარ არხს, კახეთის ჰიდროელექტროსადგურს, სამხრეთ უკრაინის და ზრდილოეთ ყირიმის სარწყავ სისტემებს, სევარ-არზანის ჰიდროელექტროსადგურს და სარწყავ სისტემას, მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურს და სარწყავ სისტემას, ი. ბ. სტალინის სახელობის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალურ არხსა და სხვა მრავალ გიგანტებს.

დიადმა ოქტომბერმა ჩვენს ხალხში დაურბული შემოქმედებითი ინიციატივა, ძალა და

წერგია გააღვიძა, საბჭოთა ქვეყნის მრავალერთა ოცნებას შესაბ ხორცი. რუსი ხალხი სიუქუნების განმავლობაში ოცნებობდა ვოლგადონის სანაოსნო არხზე. მისი ამენების საერთო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელსვე დაუწყო. დიდი ლენინი ვოლგადონის მომავალი სანაოსნო არხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ახსიათებდა მას, როგორც ძლიერ სატრანსპორტო მაგისტრალს, რომელსაც ფეხზე უნდა დაეყენებინა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ოლქების ეკონომიკა.

ეს დიდი მაგისტრალი უკვე აშენებულია, ვოლგადონი ეს არა მარტო რუსეთის ორი მდინარის შემგართებული არხია, იგი აგრეთვე ეკონომიკის ზღვაა, 160 ათასი კილოვატიანი ჰიდროელექტროსადგურია, რკინაბეტონის 15 უზარმაზარი რაბია, ვოლგადონი წყალია, რომელიც მორწყავს 750 ათას ჰექტარს და ვააწყლიანებს ორ მილიონ ჰექტარ მიწას. ვოლგადონი მაგისტრალია, რომელზედაც უკვე მიმდინარე მოსკოვის, ლენინგრადის, გოკისა და ურალის მანქანა-იარაღებით დატვირთული გემები. დონის ნახშირით და ლითონით, ნოვოროსისის ცემენტით, კრასნოდარის კონსერვებით, დონის პურით და ბრინჯით და მრავალი სხვა საქონლით დატვირთული გემები.

ვოლგადონი ეს ახალი სიკოცლავა, ვოლგადონი, მისი ნაგებობანი და მისი წყალი სრულიად შეცვლის კოლმურანთა ცხოვრებას, ვაკოცლებს სტალინგრადისა და როსტოვის ოლქებში გადაჭიმულ ედაზოებს, სიკოცლეს დაემკვიდრებს ბრინჯსა და ბამბას ამ მიწებზე, ამაღლებს მიწადაქმნების კულტურას, შეიყვანს ელექტრონის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, სამ-ოთხჯერ გაზარდის მეცხოველეობის პროდუქტობას, რვაჯერ გააძლიერებს მარცვლელ კულტურის მისავალს, გვემანად და საჭიარა რაოდენობით მიიღებს მიწა წყალს ყოველ დროს: დღისათ, ღამით, ჰამანკებამა, ჰარში, და აღარ იქნება ასეთი ძალი, რომელიც ხელს შეუშლის ადამიანს მიიღოს მიწიდან ის, რაც მას უნდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სხვადასხვა ჯერის ინტერვენტებთან და მძაფრ შტრებთან სამკვდროსასიკოცლო ბრძოლებს ეწეოდა, ვოლგადონის მომავალი არხის ტრასაზე საბჭოთა ინჟინრები სპაროქტო საჭიებელ სამშეაოებამ აწარმოებდნენ.

გმირი ქალაქის ცარიცინის ისტორიულ ბრძოლების დროს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა, კლინენტი ეფრემის-ძე ვიროსილოვთან ერთად წინასწარმეტყველური სიტყვები დაწერა ვოლგადონზე: „არხს გავიჭრით, რა-

ც კადეტებს ვოლგაში და ღონში დაეკრ-ნობთ“.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინიც ვიწრო მკვა კომუნრების ამენების დიდი პირიქაშია. ამ პროგრამის განხორციელება ბუნების გარდაქმნის განადიოზელ გვემის ხორცყუსხმასთან ერთად ვადასწყვეტს ენერგეტიკულ პრობლემების და დიდი სატრანსპორტო ეკანის განვი-თარების საქმეს.

ე-ბურჯანაძე თავის წიგნში პოპულარულად პეეება ამ დიადი პროგრამის შესახებ. ავტორს ეპეს ცალკე თავად აქვს დაყოფილი წიგნი: 1) მდინარე ვოლვის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა; 2) ვოლგადონის სანაოსნო არხი; 3) ეუი-ბიშევის და სტალინგრადის ჰიდროელსადგურები; 4) თურქმენეთის მოთავარი არხი; 5) კახო-კის ჰიდროელსადგური, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიშის სარწყავი სისტემები; 6) მშენებლობათა ტემპები და ტენეკა.

ავტორი ავეიწერს მდინარე ვოლვას, მის გეო-გრაფიას, ისტორიას, მის ეკონომიკურ მნიშვნელობას წარსულში. იხსენიებს იმ ცდებს, რომელსაც არაერთხელ მიმართეს რუსეთის მოწინავე ადამიანებმა, რათა ვოლგა დონთან შეერთებინათ. გვიამბობს იმის შესახებ, რომ „სეტრე პირველის დროიდან დაწყებული 1911 წლამდე სხვადასხვა ავტორებს წარმოდგენილი ჰქონდათ ვოლგადონის არხის გაყენის 30-მდე პროექტი“.

ველა ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა, რადგან მეფის რუსეთის პირობებში ამ „გეოგრაფიულ ესამართლობის“ გამოსწორება შეუძლებელი იყო.

შემდეგ ავტორი მოკლედ გვიყვება, თუ რას მისცემს საბჭოთა ქვეყანას ეუიბიშევის და სტალინგრადის ჰიდროელსადგურები, რამდენიმე სტრიქონით გვიხატავს ამ მშენებლობათა გრანდიოზულობას: „საგებობები, რომლებიც აიგება ეუიბიშევისა და სტალინგრადის ზემოთ ბუყრად დიდი იქნება ასეთის (ეუიბიტე), ვოლსონის (სამარიკის შეერთებული შტატები) და ლიიდის (ინდოეთი) საგებობებზე, რომლებიც ყველაზე დიდ საგებობებად ითვლებიან მსოფლიოში. ეუიბიშევის საგებარს ზემოთ აიგება უზარმაზარი წყალსაცავი, რომლის სიგრძე იქნება ხუთასი კმ, სიკავე ზოგიერთ ადგილებში — 40 კმ. ეუიბიშევის ზღვის“ ფართობი 5000 კვ. კილომეტრამდე მიადწევს. თითქმის ასეთივე სიდიდის იქნება „სტალინგრადის ზღვა“.

ახლა ამას მივემართო ასეთი შედარებები: „ეუიბიშევის და სტალინგრადის ჰიდროელსადგურთა სიმპლურტე თითქმის ექვსჯერ მეტი იქნება „გეოგრაფი“ გვემით გათვალისწინებულ სიმპლურტეზე, ვოლვის ახალი ჰიდროელსადგურების წლსდრი გამოშეყვება ვადაპარბებს

იტალიის ელსადგურების მიერ გამოშვებულ ან შევიცარისა და შევეის ერთად აღებულს აველა ელსადგურების მიერ წარმოებულ ენერჯიას.

გავისხენათ ვ. ბურჯანაძის წიგნიდან ისიც, რომ ეოლენოსპირეთში მოიპყრება 14 მილიონი ჰექტარი ვვალეინი მიწები, რომლებიც უმაღლესი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მისცემენ ქვეყანას. გავისხენათ ისიც, რომ ეოლენის ელსადგურები რკინიგზის ვლექტროფიკაციის შედეგად წლიურად 22 მილიონ ტონა ნახშირს დაზოგავენ, რომ ელექტროფიკირებულ რკინიგზაზე ხარჯები 30% შემცირდება. ხოლო შტატი 25%, და ნათლად დავინახავთ ამ ორი ვიკანტის მშენებლობის განხორციელებას და მათ დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ავტორი დამწერლებით ავვიწერს თურქმენეთის მთავარი არხის, კახოეის ჰიდროელსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო ყირიშის სარწყავი სისტემების მშენებლობებს და მათ მოცულობას. სამუშაოზე არასაკმარისად არის აღწერილი ამიერკავკასიის ისეთი დიდი მშენებლობები, როგორცაა სამგორის სარწყავი სისტემა და მისი ჰიდროელსადგურები, სევან-ბაზდანის ჰიდროელსადგური და სარწყავი სისტემა და შინგაურის ჰიდროელსადგური და სარწყავი სისტემა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მშენებლობანი პატარა რგოლებია ზემოდ ჩამოთვლილ კომუნისმის დიდ მშენებლობათან შედარებით.

იმისათვის, რომ დავანახოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ამ მშენებლობებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის და რა მოცულობისა არიან ისინი, ავტორი რამდენიმე აბზაცით და შედარებებით ემყოფილდება. ამიერკავკასიის ეს მშენებლობანი არა მარტო რესპუბლიკური მნიშვნელობისა არიან, მათ შიგნი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში შეაქვთ საგრძნობი წვლილი.

ავტორი ამ მშენებლობაზე უფრო ვრცლად უნდა შეჩერებულიყო. უნდა მოვხზოთ იმის შესახებ, თუ რა მჭრ დახმარებას უწყევნ ერთმანეთს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ამ მშენებლობათა განხორციელებაში. ცნობილია, რომ მარტო შინგაურის მშენებლობაზე სამოკამდე ქართველი ინჟინერი მუშაობს.

კარგადა დამუშავებული თავი „მშენებლობათა ტემები და ტექნიკა“. ავტორს ამ თავის დასაწყისში მოყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რა დიდი ხანი ქართველთ კაბიტალისტურ მშენებლობებში უტარდ თუ ბევრად დიდი მშენებლობისათვის. „თუ ჩვენთან უზარმაზარი სამშენებლო

სამუშაო შესრულებული იქნება მხოლოდ წელიწადში. ანალოგიური გაქანების ტემები და მასშტაბები კაბიტალისტურ სამშენებლო მშენებლობებზეა. ამერიკის მშენებლობების ტემები და კანადა წმ. ლარენტის მდინარეზე 15 წელიწადზე მეტ ხანს მშენებდნენ ჰიდროელსადგურს. 35 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა ამერიკის შვედეთში შტატების მოსკოლში-ალსის ჰიდროკვანძის მშენებლობა მდ. ტენესიზე“, და სხვ.

განსაკუთრებით კარგადა დამწერილი წიგნის ის ნაწილი, სადაც მშენებლობის ტემებზეა ლაპარაკი. ავტორი აქ ჩვენი ტექნიკის ძლიერებას ვვიკვებებს. გვიცნობს მძლავრ ექსპლუატორებს, სკრაპერებს, ბუღდოზერებს და მიწის შემწოვ მანქანებს. აი ზღაპრული სიმძლავრის მანქანა გოგანტი — მისიარულ ექსპლუატორი, რომელიც ურალის მანქანათმშენებლობის ქარხნის მეშთაა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა შექმნა. „თუ ვადასე ასეთი მძლავრი ექსპლუატორი სიგანით 120 და სიღრმით 20 მეტრამდე კრილს იღებს. ჩვეულებრივად დიდ მშენებლობაზე ათასობით მეშებს იყენებენ, მაგრამ აქ მისული დამიანი განცვიფრებული რჩება. როდესაც ხედავს მომშავეთა მცირე ჯგუფს. მანქანა მუშაობს ცელის, მაგალითად, ერთი ექსპლუატორი ასრულებს 7—10 ათასი შრის მობრუნის შრომას“.

კომუნისმის დიდ მშენებლობაზე ტრანსპორტის როლის მნიშვნელობის და ჩვენი პეტროზეულ ტრანსპორტის სიმძლავრის აღწერას შემდეგ ავტორი მშენებლობის ტემებს გვიჩვენებს: „ეიბიშვილის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე ყოველ საათში დაიგება ერთი ათასი კუბ. მეტრი რკინა-ბეტონი. ეიბიშვილის პენსი საეუბარის მშენებლობაზე ერთი წლის განმავლობაში დაგებული იქნება იმდენი ბეტონი, რაც 34 წლის განმავლობაში დაგებული იყო პანამის არხის მშენებლობაზე“. „თუ მთელ მონას, რომელიც ამოღებული იქნება სტალინგრადის ჰიდროელსადგურის მშენებლობის დროს ჩვენი რკინიგზის პლატფორმაში, მათი ჯიკვი სამეურნეო შემოვლის ირგვლივ დედამიწის ექსპლუატორს“.

ვ. ბურჯანაძის წიგნი „კომუნისმის დიდი მშენებლობანი“ სასარგებლო წიგნია, იგი თვალნათლად უჩვენებს მეთიბველს კომუნისმის დიდ მშენებლობათა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, მშენებლობათა მასშტაბის განხორციელების, მის ტექნიკას და მის ტემებს.

